

117/4

1982



ISSN 0132-6589

საქართველო

5

1982



ენათობი



უძველესი ურთიერთობების მემკვიდრე და საზოგადოებრივი-კომუნისტური ურთიერთობების

წიგნი № 58-0

№ 3

მაისი, 1982 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

დიდარ მწერლები — სიმბოლურად დაკრძალნი მიწაში. გრესტის ტრაგედია	3
გიორგი ქაჭალაძე — ბურჟუაზიული მწერლობის მოთხოვნა	13
კოსტა ნადირაძე — ნ. ბარათაშვილის ლექსის „შემოღობვა მთაწმინდაზე“ დაწერის თარიღის კირველად ამოკითხვა	38
ჩვენს დანდობა — ლექსები	44
ამირან მახაურო — ლექსები	48
შადრუხან შაშინაძე — ლექსები	51
რუსუდან გიგინეაშვილი — ლექსები	53
გენია მალაქაძე — კირველი ბასრულა. მოთხოვნა	54
ლილა მისი — დუმილი. რომანი. დასასრული	60
თენგიზ სვანაძე — ლექსები	133
გიორგი ქავთარაძე — ორი ლექსი	135
ალექსანდრე მუხამბე — ორი ლექსი. თარგმ. ბ. ხარაწულაძე	137

კრიტიკა და კომენტარები

გურამ გვარდამია — დიდი ბუნი ერთი მონაკვეთი	139
ივანე ლომიანი — გიორგი ქაჭალაძის „შემოღობვა მთაწმინდაზე“ დასასრული	152
როსტომ ხაბიძე — ამირანის თქმულების უძველესი ეპიზოდები	162
გიორგი გოცირიძე — ეთნოგრაფიული შენიშვნები	168

წიგნების მიმოხილვა

ვალერიან გუგუშვილი — წიგნი დიდი გენიოსის	174
--	-----

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

ს რ ე დ ა ქ ტ ო რ ი კ ო ლ ე გ ი ა :

გ.რ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუაელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერუ-
ლავა, ო. გიგინეიშვილი, ა. გომიაშვილი, ბ. კალაძე, მ. ლეზანიძე,
ლ. მრალაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ნ. წულეისკირი,
ვ. წულუაძე, ო. ზილაძე, ზ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ვ. ჯიბლაძე,

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები:

რედაქტორის — 98-55-11 უე 06264. ტირაჟი 26.950. შეჯ. 920. საქ. კა
მთ. რედ. მოადგილის — 98-55-12, განყოფი- ცუ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი. ლე-
ლეგების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20. ნინოს ქ. № 14.

გადაეცა ასაწივად 5. 04. 82 წ., ხელმოწერი-
ლია დასაბუქდად 19. V. 82 წ., ასაწივად ზომა
7¹/₄X12. ქალაქის ფორმატი 70X108¹/₁₆.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11. პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ-საგამომცემლო
თაბახი 16,58.

17500

დიდარ იმპარატორს

სიმღერასავით დარჩნენ ბიჭები

ბრესტის ტრაგედია

შესავალი

მომაქვს საქართველოს
დაკრილო მიწა,
ორმოცი წელი
ამ წამისთვის
ვცხოვრობდი თითქოს...
სევდა,
წუხილი,
მწუხარება
ჩემს გულში იწვა
და დღემდე აღარ გაეკარე
მე იგი სტრიქონს...
მომაქვს მე ერთი
მუტა მიწა,
მიწა ქართული
და ამ მიწიდან ჩემი მთება
შემოგბლავიან,
ძალიან მინდა ვითხრათ რაღაც
თბილი, არტყმული,
მაგრამ ამას თქვენ
ვით გაიგებთ,
ვთქვით, ბრალაა?!

ამ მუტა მიწას
მდინარეთა
ჩაეწნა კენესა,

პონტოს ტალღების
ძველი მოთქმა,
მოთქმა კოლხური;
მასში ასპინძის მოჭნეული
სიმღერა კვესავს,
წელგამართული და...
კრწანისთან
წელში მოხრილი!
ორმოცი წელი
თქვენ გიცდიდით,
მოედივარ,
მწველი
თან მზრებს მიძიმებს
ჩემი წლების
კიდევ ორმოცი!
მამავ, ბიძებო,
ეს ცხოვრება
ინელია, ინელი,
როცა არ უჩანს
ბოლო მოლოდინს!
გელოდით დიდხანს,
სულ ამოდ
თურმე გელოდით,
დღეს გადავწყვიტეთ შევაშფოთოთ
თქვენი სიმშვიდე,
ვდარდობდი თქვენზე, როცა
ჩემთვის გულით ვმღეროდი.

ტბილხმოვანობას ლექსისას ხომ
 სევდა მიშლიდა!
 და უნდა ითქვას ახლა ჩემი
 ყველა სათქმელი,
 არ მერიდება მე ცრემლების —
 ის ვაჟკაცს კშვენის, —

მოვდევარ თქვენთან
 ერთი მუტა
 სანთელ-საკმეველით!
 დე, იუოს იგი
 მკედრის შხის
 ბოლო სხივების მფენი.

დასაწყისი დასასრულისა

გავეურებ სივრცეს —
 ცეცხლში დამწვარს,
 დაჩეხილს, ნახშირს,
 მე არ მინახავს
 მსგავსი რამე,
 არცა მსმენია;
 ძეს ადამისას
 ამდაგვარი ნურმც დაენახოს...
 სივრცე ქვედდება
 კაეშნით და კანკალით თვალში,
 თითქოს და ჩემი ეშინია,
 ეშინია თითქოს ყველასი —
 ვინც აქ მოვიდა ძედ ადამისად —
 ადამიანად,
 რადგან არ იცის გულში იგი
 რა ზრახვას მალავს.
 აღარაფერზე აღარ ფიქრობ,
 (მძაგს ფიქრი ახლა),
 სული კი,
 თითქოს ამოფრენას ლამობს ვერანი.
 ეშმაგ, სატანავ,
 - საით მივეყვართ,
 საით, ნეტავ, კაცთა მზავობას,
 პირუტყვებს რაღად ვარქმევთ ხშირად —
 სხვა აქვთ სახელი!
 აქ ყველა წამი მწუხარება, მარად მწუხარე!
 უგუნურობავ,
 მზაკვრობავ, სიმზეცევე,
 კაცთა კვლავ,
 ვის ჩამოვეკიდო
 მკერდზე ლოდად დანაშაული?!
 აქ მომხდურს, მითხარ,
 რა ეწოდოს აწ და მარადის?!
 ...ვარსკვლავისმაგვარ კედლას ჭრილში
 ვდგევარ ყინული!

ვერა და ვერა!

ჯერ იქ შესვლა
 ვერ შემიბედავს...

იქ ოცდარვა დღე

კომპარტების კომპარი იდგა.

ოცდარვა წარღვნამ,

ვითარც ქვების მუცელმა ხარბად
 სულ ერთად ხარშა

ფოლადი და ადამიანი!

სანამ ვნახავდე

თავად ციხის

კედლებს შევხედავ.

(ციხეო, შენი მთელი სიგრძე-სიგანე, თურმე,

რალაცა ოთხიოდე კილომეტრია!)

აღმოსავლეთის კარიბჭესთან,

სადაც მუხავეცს

აქლემის კუხად აღუმართავს

ხიდი ბეტონის —

მივყევი ბილიკს...

ის გარშემო სიმაგრეს უვლის...

დაკონსპექტებულ ტენის უჭრედს

ვანჯღრევ და ვცდილობ

ერთი აგურიც არ გამომჩრჩეს

შეუმჩნეველი!

ვეშაპებივით

ტრანშეების გრძელი თოკები

უოველ ნაბიჯზე ციხეს

ტანზე შემოხვევია, —

მუხავეცის და ბუგის გაღმა

სანგართა წყება,

სხვა რალა არის—

მარყუტია იმეამინდელი.

(ორი მდინარე: მუხავეცის და ბუგის წყალი —

მალამოსავით

ციხეს უვლის გარშემო მტკნარად),

აი, იქ, სადღაც,

სადღაც იყო...

დიახ, აქ იყო...

და... მახსენდება:

კინო-ქრონიკა —

უტყუარი საბუთი მართლის:

ბუგის ნაპირზე,

როერაქში დგას გუდერიანი...

(4. 15 წუთი არის,

41 წლის ივნისის 22-ია:)

მას იქვე ექვსი სილუეტი

ამოსდგომია,

(შვილნი არაან —
ვერ აფრინდნენ
მეშვიდე ცამდე!)...
სულ თხუთმეტ წუთში დაიწყებენ
ვალპურგის ღამეს.
სულ თხუთმეტ წუთში დაიწყება
წარღვნათა წარღვნა,
სულ თხუთმეტ წუთში დაიფშვნება
ცათა სილურჯე,
სულ თხუთმეტ წუთში მიწა-ცეცხლი
ცად ავარდება,
სულ თხუთმეტ წუთში არ ერქმევა
საზღვარს საზღვარი,
სულ თხუთმეტ წუთში შეირყევა
პლანეტის ღერძი —
ბრესტს დაატყდება
ყუმბარების პირველი ჯერი,
სულ თხუთმეტ წუთში დაეცემა
პირველი მსხვერპლი.
(ორმოცდაათი მილიონის პირველი მსხვერპლი!)
სულ თხუთმეტ წუთში დაიწყება
საშინელება —
ომი ეი არა,
აკათა კვლა,
ელეტვა — არგაგონილი!
ვანდალიზმი და...
უფრო მძიმე,
გზა — საშინელი!
...ორმოცი წელი გასულა და...
აქ ვდგევარ ახლა:
აქ, სიმავრესთან
ძმათა მხარდამხარ,
ძმათა გვერდით!
ვინც პირველი დაეცა
იმ ქარიშხალში,
იმის გვერდით,
ჩემი საქართველოს
სისხლის და ხორცის გვერდით
ვდგავარ მდუმარი...

გაგვიმხელს ბრესტი,

თუ გაგვიმხელს, ისევე ბრესტი...

შემოსუდრულა ბლინდაები
ხავსით, ცირცელით.

კვრინჩხი და კნავი
თითქოს შამის თვალთ მიცქერის.



დაფშენილ ციხის ტანს მოსდებია
ფითრი, აბედი,
ციხესა შიგან დაწყველილა
ბევრის თავ-ბედი!
აქეთ ჭაგნარი, ფშანები და
ლელიანები,
მიწას ატყვია, წყალსაც ბუგავს
ის იარები!
ბუგს გადავყურებ
მკერდაბჭრიანს —
ყინულში ხენეშის,
რას, რას ჩურჩულებს
პოლესიეს
გაუვალ ტყეში...
და ველარ გვიმხელს საიდუმლოს
ტყე და მოხისი,

რომ გავიგებდე — მე იმ ერთი
ამოხვრისთვის,
ეგ ტყე რა არის — ქვეყნის კიდეს
ვინახულებდი —
ჭირისუფალი ჩემი მკვდრისთვის
ვინარბულებდი;
ეგ ტყე რა არის? პოლესიე! —
მე კი პოლესსაც
ვეწვეოდი სად, მყინვარებას
მზეც კი მოუცავს!
მაგრამ რა გითხრათ!
სანუგეშოს
ვერავენ მეტყვის!
გარდა ბრესტისა! —
თუ კი მეტყვის — ისევე ბრესტი!

სამშობლოა შავალი

თქვენ რამდენი იყავით,
გთვალეთ,
ვერ დაგთვალეთ,
ჭირში გაურიყავინი,
ალაღნი და მართაღნი!
დაგრჩათ ბევრს ხომ კვალი და...
ბევრის კვალი გამჭრალა,
ამ ცეცხლიდან, ალიდან
კარგად ველარ დაგთვალეთ!
გაცნაქულო ბიჭებო!
ვიცი ნატრობთ იარაღს,
სულში ცვარი იჭრება

და აწყლულებს იარას!
ხმა როგორ მოგაწვდინოთ
საცრის ტოლა ცრემლებით,
შებუმბლულნო არწივნო,
სანთლად შემოგვევლებით!
უტყვი არის ციხე და
მუნჯი არის სამარე!..
რა ვიღონოთ, ისედაც
დაგვიანდა წამალი!
თქვენს წყლულებს ვინ უშველის —
რა შელოცვა, მალამო!
სამშობლოა უცვლელი
აწ ყველაფრის წამალი!

ციხე-სიმაგრის სინამდვილე

აქ ყველაფერი ისეთია, რომ
ველარ გაიგებ,
როგორი იყო წინათ!
აქ ყველაფერი არეულია,
აქ ყველაფერა წესრიგშია და...
აქ ყველაფერი ბრწყინავს!

თოვლის ფანტელებს მუსიკის
ემინიათო თითქოს,
მუსიკის რათა, მუსიკის —
ერიდებთან ლითონს,
ლითონს კი არა — ჭართებად
დამწვარ-დაჩეხილ ფოლადს,

მეც. ღმერთო, რა მემართება,
ჩემი სხეულიც ბოლავს!
სულ ოთხი, ოთხადოთხია!

ამ ოთხ კვადრატულ კილომეტრს
თუ ვინმე დედა ეწვია,
მუხლმოდრეკილი ილოცებს,
ეს სულ ერთია ვინ არის,
რომელი მატერიკიდან,
თუკი დედაა, ვიცი, რომ

სანთლებით ხელში ილოცებს.
მე აღარ ვიცი, (საიდან?)
როგორი იყო ის დილა,
რადგან ფანტაზია ჩემი
ერთობ ღარიბია, წარმოვისახო,
გაგიმხელთ:

პირჯვარი ჩემს დღეში არ
გადამიწერია და
დღეს ხელს ნუ შემეშლით,
რომ გარდვისახო!

„გარდასახვაში“ —

ამ სიტყვაში ბევრია თქმული!
გარდაისახნენ!

სტიკვა მამულს დამწვარ-დაფერფლილა
გული..

8000-მდე იყვნენო აქ

იმ ცისმარ დილით,
30-მდე სულ სხვადასხვა ეროვნებისა —
გამოეთხოვნენ რა ძილის წინ
აღერსს და ღიმილს —

ბევრი გამოეთხოვა მას ხაშუღამოდება
და მერე ველარ ელირსა!
გრიგალი, წივილი, კივილი...
ჭიხვინი, დგანდგარი, ქუხილა...
ძახილი, პრილობა, ტკივილი,
სასოწარკვეთა, წუხილი!
ყველაფერი აირია,
ყველაფერი — თვალწინ —
უქანგბადო ჰაერია,
მიწას სისხლი აწვიმს!
დედებისა და ბავშვების
ტირილი და გნიათა —
ციხეს ცეცხლის ლაშები
მტერმა უღვთოდ მიასია!
წყალი იწვის, ზეცა იწვის,
ცას ეღება ალი მიწის,
„მესერშიმითა“ წივილია —
„იუნკერსების“ ბლავილი,
ნაბიჯი რომ ნაბიჯია,
მიწაზე ვერ გაივლი!
სიმწრით გარბი-გამორბიან —
ეცემიან, დგებიან,
ეს რა ხდება,
ეს რა დილა
თავზე დასთენებიათ?!
მავრამ მალე გონს მოსულნი,
თუ რა ხდება, ხედებიან,
და სამშობლოს სამსახურში
უყოყმანოდ დგებიან!

ბიძას—შოთას

უკან დამრჩა კავკასიის მთები,
წინ გაშლილი შორეული სერებია,
აქვე სადღაც დაფანტვია ხმები,
როცა ყმაწვილს ჯერ ვერ

დაგიმღერებია!

უკომპასოდ კარიკარ ვერ ივლი!
კითხვა-კითხვით ვის იპოვი, ვისა,
ყურს მივაპყრობ წინაპართა ყივალს —
„სადაურსა სად აღუფხვრი ძირსა!“...
ცხრამეტი წლის ზაფხულს შევესწარი
(ოცდაშვიდის — სდუმს ასევე მამა!)
ჰე, სიცოცხლის სიტკბოს და სამწარეს

აკვინდანვე გაიგებდი, განა?!
ავყოლილვარ ათასნაირ იჭეებს,
აღარ დაგრჩა ნუთუ სადმე კვალიც —
ცხრამეტი წლის პირტიტველა ბჰო,
შენზე ფიჭვი როგორ მომიკალი!
თუმც რას ვამბობ,
სხვა ჭილაგი გქონდა,
შენ კრწანისის მუხის იყავ ყლორტა,
და ამიტომ თუ დაფარა ლოდმა, —
უპირველეს მამულისთვის მოკვდი!
ვერ შეგხვდი და... აქ მხედებიან
სხვები.

და ვიხუტებ გულში შენს ძმებს, ბიძავ,
 ავამძივე დაფანტული ხმები —
 ათი დღეა ბრესტის ღამეს ღვიძავს!
 ათი დღეა კარგად მიცნობს ბუფი,
 მარტის ჭავშანს მუხავეცი ებრძვის,
 ბრესტის ციხეს გააქვს ბაგა-ბუფი —

გული ჩემი ამოდ არ დაშვრა!
 წამით ყველას გავაცოცხლებ ახლა,
 წამით ყველას ვეტყვი:
 „სმენა, სწორდათ!“
 წავეითხავ მათ გვარებს ხმამალლა,
 თქვენსკენ ახლა საქართველო მოდის!

1941. 21 ივნისი, შაბათი!

— ანანიაშვილი!
 — ვარ!
 — ასათიანი!
 — ვარ!
 — აფხაზაია!
 — ვარ!
 — ბაშალეიშვილი!
 — ვარ!
 — ბოკერია!
 — ვარ!
 — ბოსტაშვილი!
 — ვარ!
 — გელაშვილი!
 — ვარ!
 — გელაბახიანი!
 — ვარ!
 — ზედგენიძე!
 — ვარ!
 — ინჯია!
 — ვარ!
 — კალანდაძე!
 — ვარ!
 — უთქმელიძე!
 — ვარ!
 — ხარაბაძე!
 — ვარ!
 — შევარდნაძე!
 — ვარ!
 — ჭიჭვიშვილი!
 — ვარ!
 — ?

— ვარ!
 — ?
 — ვარ!
 — ?
 — ვარ!
 . . .
 ეს საქართველო გეძახით,
 ჰო, როგორა ხართ, ბიჭებო! —
 დედას სიზმრები აემღვრა,
 ღამის შეჭამონ იჭებმა!
 მარცხენა ძუძუ სტკივაო,
 შვილის განსაცდლის ეამსაო!
 შე, შავო დარდო, ტიალო,
 არ გვაფიქრინებ რასაო!
 დედა-სამშობლო უტკბესი —
 ვაყებო, დედა-მშობელი,
 სიზმრებით გადარეული,
 გაუკაწრავად მოგელით!
 ჰაი და ჰაი, ანცებო!
 იქ უსატრფოოდ ვერ ივლით,
 მაგრამა თქვე ზარმაცებო,
 ზოგჯერ მოსწერეთ წერილი!
 ვერ იცლით?
 რა სათქმელია!
 დედა ხომ ქვეყნად ერთია,
 დედა-სამშობლო და დედა
 უპირველესი ღმერთია!
 ...ეს საქართველო გეძახდათ,
 ხომ კარგადა ხართ, ბიჭებო! —
 შაბათის აღის ფერებში
 მწუხრის ფერები იჭრება!...

კრი, დედანო...

ნინო ანანიაშვილს
 მარო გელაშვილს
 თამარ ჩიქვიშვილს

ვინ რას შეტყვის,
 ქალბატონო ნინო,
 ვინ რას შეტყვის,
 ქალბატონო მარო,
 ვინ რას შეტყვის,
 ქალბატონო თამარ,
 თქვენზე — წმინდა დედანო,
 საქართველოს ასულნო,
 აქ ქარცეცხლში მოსულნო,
 ბრესტის გზის გამხედავნო,
 ეს თქვენ მანდობთ მთაყარს,
 რაიც გარდაგზდენიათ,
 მარტო ძალგიძთ თქვენა,
 რომ ქვეყანას ამცნოთ.
 თორემ სხვათა ენა
 უძღურია ახლა!
 მამულს შეილთა სიკოცხლე
 ქმრებთან ერთად ზვარაკად
 შესწირეთ და იქეცით
 მითად. ზღაპრად, არაკად!
 ქალბატონო თამარ,
 ხშირად ნუ, ნუ მოჰყევებით,
 ექ რაც დატრიალდა,
 თორემ დარდით მოკვდებით.
 გადარჩენილს იღბალზე

თქვენი დობილები
 ხშირად,
 ხშირად გესიზმრებათ
 უღვთოდ ნაწამებნი.
 ქალბატონო ნინო,
 ქალბატონო მარო,
 სად ვეძებოთ, სადა
 თქვენი საფლავები,
 თქვენთა ბედთა მოზიარე
 შვილებით და ქმრებით!
 თოვს ბრესტში და...
 წივის ქარი,
 ქარის ხმაში კენესა მესმის,
 წარსულ დღეთა რეკავს ზარი, —
 კრწანისია ახლა ბრესტი!
 და... მაია წყნეთელი,
 თინა ვაშლოვანელი,
 ჩვენი დედათ დედები,
 ტანჯვითა და წამებით
 მოსულან და აქ არიან,
 დასტირიან აკლდამებს.
 ღმერთო, მშობელ მიწაზე
 ცრემლი რად არ გვაქმარე!
 ქალბატონო თამარ!
 ბრესტში მომხდარ ამბავს
 ხშირად ნუ მოჰყევებით!

ბელადკ კებრე ბავრილოვზე

....ყოველ დღე ვისმენ ჩადიოთი, თუ
 ჩოგორი ამინდია ბრესტში!...
 გავრილოვის შეუღლის წერტილიდან.

რვა ათასი იბრძოდა და...
 გადარჩაო ასი.
 ყველამ ერთად ის დღეები
 ზე ასწიეს მხრებით.

კაზემატი, კატაკომბი
 პირთამდეთა სავსე
 გაუგონარ ვაყვაცობით
 და გმირების ხმებით!

უმწეო ბავშვს,
 დაჭრილ დედას
 მუსრს ავლებსო ომი...
 თვეზე მეტი ვასულია,
 მტერი ბომბავს ციხეს,
 არ ჩუმდება კაზემატში
 პეტრე გავრილოვი,
 მისი ცეცხლის ცელისაგან
 მტერი უკან იხევს...
 მაგრამ ბოლოს დაიწრიტა,
 პოლკი დაიშრიტა,
 გავრილოვმა კიდევ ერთხელ
 საბოლოოდ სცადა,
 გაქცევა ფაშისტები
 ჩრდილოეთის მხრიდან,
 მაგრამ ამ დროს მტრის კრაზანა
 ზე მოაწყდა სარდაფს...
 წლები გაჰყვნენ წლების ქუხილს,
 გამარჯვებამ იალა,
 მაგრამ მაინც ვერაფერი
 მოუხერხდა იარაჟს,
 გავრილოვი შეესწრო
 სვასტიკის დანარცხებას,

მტრის მოსპობა-გაქრობას,
 მის სრულ დამარცხებას...
 მაგრამ ბრესტის ჭრილობა
 განიკურნა აღარა,
 ოთხმოცი წლის გავრილოვს
 იარამ და ჭაღარამ
 როს დარია ხელი,
 უანდერძა მეუღლეს;
 — ო, ძვირფასო მარიამ!
 თუნდაც იყოს ძნელი,
 გთხოვ ერთ რამეს ძალიან,
 აღმისრულე ესეც ბარემ,
 როს მოვკვდები, ძმების გვერდით,
 ბრესტში მიწას მიმაბარე!
 ...ორი წელი გასულა,
 ბრესტში სძინავს გავრილოვს,
 მის საფლავთან იწვლია,
 გულს სევდა არ გაივლო.
 მძიმედ, ლაზვარ-მახვილად, —
 იქვე ნორჩი არყის ხე
 მგლოვიარე დახრილა!

თქვენზე მუხილი მარადია!

ნაოგნია დაცვის მონაწილეთა 888 ნეშტი, რომელთაგან ჯერჯერობით 207 ქარხაკის ვინაობაა დადგენილი. მათ შორის სამი ქართველის გვარია ამოცვეთილი შემორჩალის ფილაზე. ესენია: ასათიანი ონიხიმე ივანეს ძე, ბოსტაშვილი ირაკლი ალექსანდრეს ძე, შევარდნაძე აკაკი ამბროსის ძე.

ბოლო წლებში ჩვენთან ხომ
 სულ უთოვლო ზამთარია,
 გეგონებათ გაზაფხული დადგაო,
 აქ ე, ბრესტში,
 რაც მართალი მართალია,
 თებერვალთან ვის რალა აქვს სადავო!
 ესე იგი ყინავს, როგორც წესია,
 უფრო სწორად,
 როგორც ზამთარს შეშვენის,
 იქნებ ასე მართლაც უკეთესია,
 ღრჭიალებენ თოვლის თეთრი ეშვები?
 არა, არა!
 თქვენ დღეს სითბო გპირდებათ,

აჰა, მნათი საქართველოს მიწა!
 დედის ალერსს მხოლოდ ეგლა
 გპირდებათ,
 როგორც თქვენს მკერდს დავაყრი
 და... იმ წამს...
 იმ წამს ტანში ერთუანტელი დაგიართ,
 გაცოცხლდება უცაბედად წარსული.
 თავად იგრძნობთ ყველაფერს და
 ცხადია,
 უპირველეს გიხსენებენ ასულნი.
 ლაბრადორის შავ ფილებზე აწ მნათად
 თქვენი გვარი სამუდამოდ იალეზს.

კლდე-დროშაზე დაწერილა, რაც
 გწამდათ.

რწმენის ადამიანებს!
 მარადიული ცეცხლის ციალი
 სხვა რაღაა — თქვენი სულია,
 ქართველთ საძებრად ჩვენი წრიალი.
 ბუნებრივია, ვფიქრობ, სრულიად!
 თქვენთან მოვედი,
 აქ ვდგავარ ახლა
 და ველაპარაკები საკუთარ თავს!
 ავიღებ-მეთქი და გულზე ლახვარს
 დავიცემ-მეთქი,
 მაინც ხომ მკლავთ!
 მწუხარებას მოთოკვა უნდაო,
 რაც შემიძლია, ვთოკავ!
 ბიჭებო, რას მერტუვით.

უდავოდ

ბუგმა წარიღოო შოთა?!
 ცხრამეტის პირტიტველა ბიძა,
 თქვენს გვერდით
 მისი ხილვა მსურს,

აქ არის,
 სადღაც აქ ლეიძავს
 ფიფქივით მის წმიდა სულს!
 და თქვენი სუნთქვაც ფიფქებად
 მეცემა ჩურჩულით მკერდზე,
 არ ვიცი, ხეალ-ზეგ რა იქნება,
 სულ თქვენთან ყოფნას ვით შევძლებ!
 ამიტომ,
 ამიტომ,
 ამიტომ
 მითხარით მთავარი, გამანდეთ,
 ამ შავ ფილებს და გრანიტებს
 თქვენი სიცოცხლე ანათებს!
 იმსხვრევა ეს ლექსიც გოდებად,
 გარდაიქცა ტკივილად, ფაცად
 ყველა თქვენგანის წოდება,
 თქვენი უკვდავი წოდება,
 როდი გამანდო მიწამ,
 ბრესტის დაჩეხილმა მიწამ,
 ჩვენთვის უღვირფასესმა მიწამ!



ტურნირი მიწარ-მოწარით

მოთხრობა

ლამის თორმეტ საათზე, სექტემბერში, თუ არ წვიმს და არც ქარი უბერავს შემაწუხებლად, ამ პატარა ქალაქის ქუჩებში სეირნობას არაფერი სჯობია. ამასთან, თუ საკმაოდ მაღალი წარმომადგენლობის ბანკეტიდან მოდიხარ, სადაც ერთსულოვანი, აღიარებით, შენ იყავი მეტად გონებაამაზვილი, ენაშქვერი თამადა. ბუნებრივია, საუცხოო გუნებაზე იქნები. რაიონული გაზეთის ჯერ კიდევ ახალგაზრდა რედაქტორის — ტარიელ მენაბდის თამადა ამ რანგის ბანკეტზე არც პირველი შემთხვევა იყო და არც მეორე. მას, კაცმა რომ თქვას, ჭება-დიდება შვევ მოყირჭებული ჰქონდა და არც ტაში ენატრებოდა, მაგრამ ასეთი ღამე ნამდვილად სანატრელი და, შეიძლება თამამად ითქვას, განუმეორებელი იყო, გრილი, ჭანსალი ჰაერი იღუმალებით იყო დამუხტული, აბლო-მახლო ძეხორციელი არ ჰკაჟანებდა. წელან ცოტა წამოუშხაპუნა და ახლა ქუჩის ორივე ნაპირზე ჩამწკრივებული ჰადრების ფოთლებიდან ტააუნით ცვივოდნენ იირს წვიმის წვეთები. მშვიდად ციმციმებდნენ ქუჩის ნათურები. ტარიელი ნაბიჯით მიადგა თავისი ეზოს

კიშკარს. წამით შეუყომანდა, რომ შევიდე, დავწვე უნდაო, გაიელო გუნებაში. ეს კი უმადურობა იქნებოდა ასეთი დიდებული ლამის მიმართ. რა დამაძინებს ახლა! გათენებამდე უნდა იარო ახლა კაცმა ქალაქში, უნდა მოიჯერო გული. მაგრამ დილით რომ გამოუძინებელი მიხვალ სამსახურში და სკამზე ჩამოგვეყვინთება? ვერაა ეს მთლად სასიამოვნო პერსპექტივა. რომ შეავიანოს ხვალ რედაქციაში? ტარიელის მოადგილე — დემიან დევდარიანი კარგად იყოს და, იქ ყველაფერი მუდამ თავის წესსა და რიგზე იქნება. მოადგილე თუ გყავს, ასეთი უნდა გყავდეს, ღმერთის წყალობაა პირდაპირ. რა კაცია! არაფერს რომ არ თხოულობს, არც დაწინაურებას, არც პრემიებს, არც სხვა ჭილოებს, არც ჭებასა და დიდებას, არც სამუშაოდან ადრე წასვლას. ზის და აკეთებს თავის საქმეს მშვიდად და აულელებლად. ასწლიანი კაცი... ას წელიწადს ისე გაძლებს, როგორც ას დღეს. იქნებ სწორედ ამგვარ ცხოვრებაშია მთელი ამქვეყნიური სიბრძნე და ჭეშმარიტება?

უცებ რომელიღაც შესახვევიდან ქუჩაში თვალეზაბრიალებული „ქიგული“

გამოვარდა და მიინცდამინც იმ მოგრობო გუბეში შევირითდა, ზედ ტროტურთან ქუჩის ნაპირს რომ მოსდევდა და ამოხაბა კიდევ მაშინვე. გუბიდან ამოსროლილი ქუქყიანი წყლის თქემი ზღაპრულ მარაოსავით გაიშალა და ტარიელს ტანზე ჩამოელვარა. რედაქტორი ადგილზე გაშეშდა და მთელი წუთი გავიდა, სანამ გაერკვეოდა, თუ საიდან შეასხეს ამდენი წყალი. ირგვლივ ისევ სიწყნარე იდგა, ისევ მომზიბლავად კიმკიმებდნენ ქუჩის ნათურები, ტკაუნით ეცემოდნენ ძირს ჰადრის ფოთლებიდან ჩამოცვენილი წვიმის წვეთები. არც „ეიგული“ მოჩანდა სადმე. ხმაყ კი მიმწყდარიყო მისი, ისევე სწრაფად გაუჩინარებელიყო, როგორც გამოჩნდა, ტარიელს კი ტანზე წურწურით ჩამოსდიოდა ტალახიანი წყალი.

ასე ჩაგამწარებენ ყველაფერსო, ბრაზობდა იგი და ტანსაცმელს გამალეებით იფერთხავდა, ასე მოგიწამლავენ გუნებასო. მოდი და ასეთ ქალაქში იცხოვრეო. ამ ფერთხვისას ჯიბეში სიგარეტების კოლოფს წააწყდა და ესიამოვნა. ახლა არაფერი მიჭირსო, გაიფიქრა და ბალისკენ გაუხვია, რომელიც თეატრის შენობის გვერდით იყო გაშენებული. სკამი მოთებნა, დაჯდა და ნეტარებით გააბოლა. ჩვეულებრივ საკმაოდ ხშირად ეწეოდა, მაგრამ სუფრაზე სიგარეტის მოსაწყევად როგორ უნდა მოიკალოსო, ამბობდა ხოლმე, ამ საქმეში იგი ძალიან ემაღლიერებოდა თავის ნებისყოფას.

კარგა ხანს იჯდა ბალში ღრმად ჩაფიქრებული. ბანკეტიდან გამოყოლილი ხალისიანი გუნება და კმაყოფილება უკვალოდ გამქრალიყო. თავი სტეიოდა, ეუჭი უსიამოვნოდ დამძიმებოდა. „ესაა ცხოვრება? — ფიქრობდა და სიგარეტს სიგარეტზე უკიდებდა, — სანამდე უნდა გაგრძელდეს ასე ბოლოს-

დაბოლოს? ნუთუ არ უნდა შევწყვიტო? — დედს ეკის ამდენი ყბედობა, ან ეს უზომო ჭამა-სმა? ნუთუ ამისთვის გაჩნდი ამ ქვეყანაზე? ნუთუ ასე უნდა ვაატარო მთელი შენი სიცოცხლე?“ ამ ბოლო დროს ტარიელი საკმაოდ ხშირად ჩაფიქრებულა ადამიანის ცხოვრების არსსა და დანიშნულებაზე. სიცოცხლე ისედაც ზანმოყლეა, ამას დაუმტკთ ათასი სენი და ხიფათი, რომელიც ყოველ ნაბიჯზე გვიდარაჯებს. ტარიელს კი თითქმის მთელი თავისი ცხოვრება სუფრაზე აქვს ვატარებული და ვინ იცის, სანამდე გაგრძელდება ასე. მაშინ, როცა არსებობს ასეთი ღამეები, როცა შეიძლება განმარტობება, როცა გარეთ ასეთი მშვენიერი, ასეთი მომზიბლავია ყველაფერი.

რამდენჯერ უფიქრია: წავალ სადმე, გავიქევი, გავიპარები, დავიშალბი, სადმე მდინარის პირად წყალსატუმბი სადგურის მორიგედ მოვეწყობი, დავისვენებ ამდენი ღვინის სმისაგან, ყბედობისაგან, ტაშისცემისაგან, დევასვენებ ენას, ტვინს, ეუქსა და თირკმლებს, ყურებსა და ნერვებს. ან მთაში სადმე მეტეოროლოგებთან ქობში შევაფარებ თავს. აკი მთელი წლობით ცხოვრობენ იქ ადამიანები. მოიძარაგებენ სურსათ-სანოვავებს, შეშას, ნავთს და არიან თავისთვის, უვალ თოვლში სვირობენ, რადიომიმღებს უსმენენ, წიგნებს კითხულობენ. წიგნების კითხვა ტარიელს ბავშვობიდანვე უყვარდა. უყვარდა კი არა, გიყვებოდა წიგნებისთვის. მერე როგორ ამახსოვრდებოდა ყველაფერი, რასაც კი წაიკითხავდა. თამაღობისას ახლა რომ ისე უხვად იყენებს ლექსებს, ანდაზებს, იგავეებს, თქმულებებს, მთელ ნაწყვეტებს პოემებიდან, კიტატებს პროზიდან, სულ ბავშვობაში და სიჭაბუკეში წაიკითხული წიგნების წყალობაა. წიგნის კითხვა ახლაც გაგიეებით უყვარს, მაგრამ ვინ მოაყლის, ყიდულობს მხოლოდ, ყიდულობს და აწყობს თაროებზე, კარადაში, იქნება როდისმე დაშიდგეს ბედნიერი დრო,

მივდგები და ყველას გადავიკითხავო (მერე რა წიგნები დაუგროვდა!), მაგრამ არ მოდის ეს ბედნიერი დრო. მოვა კი როდისმე? ამიტომაცაა ზოგჯერ ტყვილივით რომ დაუვლის გაქცევის, განმარტოების სურვილი. ამასწინათ ესიზმრა, ვითომ კომბლით ხელში ცხვრის ფარას მიერეკებოდა მთაში და ისე კარგად, მშვიდად და ბედნიერად გრძობდა თავს, ისე ჭანსადად და ხალისიანად, გული დაწყდა რომ გამოვლენია, როგორც ბავშვობაში გვემართება ხოლმე, მრავალჯერ ნანატრი ნივთები, სათამაშოები რომ დაგვესიზმრება, მოაქვთ, გვაჩუქებენ... გამოგველენიება და მუშტები გვაქვს მაგრად შეკრული, არარსებულ სათამაშოებს ვუჭერთ ხელს, არავინ წაგვართვასო.

რალაც უნდა მოიფიქროს, უნდა უშველოს თავს, სანამ გვიან არ არის. უკვე ღვინის სმაც უჭირს, დილდილოებით ხშირად ტყივა თავი, არითმიაც დასჩემდა. რალაც გამოსავალს როგორ ვერ იპოვის, თუ კი მოინდომებს. დემიანი ხომ ყოველთვის ახერხებს თავის დაძვრენას, ყოველთვის მზადა აქვს რალაც მიზეზი — ავად ვარო, გადაუღებელი საქმე მაქვსო. გამოჩნდება, დაჯდება ნახევარი საათით, დალევს ორიოდე ჭიქა ღვინოს და გაიპარება. ამბობს, ჩვენ სუფრაზე ბოლომდე გაძლება ადამიანის სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობისათვის ჭაზიანოდ მიმაჩნიაო. სუფრაზე ყოველთვის ბოლოში დაჯდება, ისეთ ადგილას, საიდანაც ადვილად შეიძლება შეუშინველად წასვლა. გამოვა კაცი სუფთა ჰაერზე, ვაიღ-ვაპოივლის, შინაც თავის დროზე მივა, წიგნს წაიკითხავს, დროზე დაწვება და ადგება. არც უძილობა შეაწუხებს, არც ამოყორილი სტომაქი, არც ენის ქავილი, არც სინდისის ქენჯნა იმის გამო, რომ უღირსი ცამდე აიყვანა ქებით და ყბედსა და ფარისეველს ტაში დაუტრა. გაიგო კაცმა ამქვეყნიერი ცხოვრების აზრი და სიბრძნე. ცხოვრობს წყნარად. მშვიდად. უბრეტენ-

ზიოდ, აკეთებს თავის საქმეს, კმაყოფილია და მოსვენებული.

წყალსატუმბზე ან მეტეოროლოგიურ სადგურზე გაქცევა და ყველაფრის მიტოვება რომ წმინდა წყლის ფანტაზია იყო, ეს ტარიელმა კარგად იცოდა. ვინ გაუშვებდა, სად გაექცეოდა ცოლ-შვილსა და ნათესავ-მეგობრებს. ვერც თვითონ გაძლებდა ალბათ იქ მთლად ასე, რომინზონივით. ამდენი ქეიფი, ღვინის სმა, ლაქლაქი და ტაშისცემა კი ნამდვილად მობეზრდა და სერიოზულად ფიქრობდა, რამე ავადმყოფობას მოეიმიზეზებ და ნელ-ნელა შემეშვებიაო, თუმცა იმისაც ეშინოდა (და არც თუ უსაფუძვლოდ), თამაღობაზე უარის თქმას (რაც თითქმის ძირითად პროფესიად გადაქცეოდა) უარყოფითად არ ემოქმედა მის სამსახურებრივ მდგომარეობაზე. ეს შიში კიდევ უფრო განუმტკიცდა უფროს ძმასთან შეხლა-შემოხლის შემდეგ. იგი ერთ ჰატარა სოფელში ღორის ფერმის გამგედ მუშაობდა, იყო მეტისმეტად ყიამყრალი კაცი, ცალხელა, ცალთვალა და (რედაქტორის ღრმა რწმენით) ცალტვინაც. ავსა კაცსა ავი სიტყვაო, რომ არის ნათქვამი, ზუსტად მასზე იყო ზედგამოჭრილი. დიდ ჭიუტ და თავისნათქვამა კაცად იყო ცნობილი მთელ სოფელში. ამასწინათ ვაჟს აქორწინებდა. ეზოში უზარმაზარი სეფა გაჭიმა და თუ კი ვინმეს სახელი და გვარი გაეგონა, ყველა დაპატიყა. (შეჭვეყანა მიცნობსო, ფიქრობდა ტარიელი, ამის იმედი აქვსო), ტარიელმა ბევრი უშალა, გაზეთის ნომერი არ გამოიშვია, ხალხმრავალ ქორწილებს რომ არ ეგმობდეთ და არ ელანძღვდეთ და შენ, ჩემი საკუთარი ამა მაინც ნუ ჩამაგდებ საჩოთირო მდგომარეობაშიო. ხომ იტყვიან ჩემზე, კეკუას სხვას ასწავლის და იმისთვის ვერ უსწავლებიაო. ვიცი მე, რასაც ვაკეთებო, გაჭიუტდა მელორე, ერთხელ ხომ გამწერეთ გაზეთში, ღორებს კარგად ვერ უვლისო, ბარემ ახლა ლექსიც გამომითქ-

ვით, მკნე ტრადიციებს მისდევსო. იქნება ამგვარად მაინც შევიღე ისტორიასო. ხალხსაც იმდენს დაეპატიებებ, რამდენიც მომეპრიანება და შენ კი ევთილს იწებებ და თამადად დამიდგებო. ტარიელმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მაგას ნამდვილად ვერ ვიზამ, საქვეყნოდ თავს ვერ გავიმასხარავებო, რომ არაფერი გაუვიდა, თავი მოიკადამყოფა. კუჭი და ღვიძლი მაწუხებს, დღეიდან ღვინის სმაზე და, მით უმეტეს, თამალობაზე საერთოდ ხელს ვიღებო. უფროსმა მამ იქვე, მთელი სოფლის წინაშე პირში მიახალა: „შე უსინდისო და გათახსირებულო, ახლა აგტკიცდა კუჭი, მე რომ დამჭირდი? ახლა ამბობ ღვინოს სმაზე უარს, ორმოცი ცისტერნა რომ შესვი და არაფერი აგტკენია? შე უბედურო, პერანგებივით რომ იცვლი კაბინეტებს, მაგ შენი სამართებელივით გაღუსილი ენის და უძირო სტომაქის წყალობითაა, თვარა შენი დირექტორობა და რედაქტორობა ვინ თქვა. თამალობაზე რომ აიღებ ხელს, ამოგყარვენ პანდურს და გადაგადებენ სანაჯვეზე. ასე იქნება ეს, თუ კაცი ვარ მე...“

ასეთმა ფიქრებმა საბოლოოდ მოუშხამა გუნება ტარიელს, თავისა და კუჭის ტრეილმაც უფრო შეაწუხა, სიგარეტი გადააგდო და შინისაკენ გამოსწია. ხვლიდან ნამდვილად თავს უნდა მივხედოო, ფიქრობდა, ავდგები და წავალ სადმე ერთი ხუთი დღით მაინც, ჩემს მაგივრად დემიანს დავტოვებ, მაინც ის არ აყეთებს რედაქციაში აკელაფერს!

ის იყო, უნდა დაწოლილიყო, ტელეფონის ზარი აწკრიალდა.

ვინ ოხერს და მუდრევს ღვიძლს ახლა!

— ალო... ტარიელი ხარ?

— კი ვარ, კი...

დემიანის ხმა იცნო.

— გაგაღვიძე ხომ უდროო დროზე? რა ბუზი შეუქდა ნეტა ამ გათენებიანს.

— არ გინავს დემიანს მისი საქმეები ბდი აქამდე?

— რა ვიცი, რა ვიცი, ჩემო ტარიელ... საქმე ბევრია.

ერთხანს არცერთი არ იღებდა ხმას. ტარიელი გრძობდა, დემიანი ღელავდა, ესმოდა მისი მოხშირებული სუნთქვა. ერთ-ორჯერ ჩაახველა კიდევ ხმის ჩასაწმენდად, უჭირდა ლაპარაკის დაწყება.

— გიჭირს შენ რალაც დემიან, არ დარეკავდი ისე.

— კი მიჭირს, ტარიელ, და გამიგო უნდა შენებურად.

— თქვი, კაცო, რას ღერღავ.

— ხვალ სამსახურში ვერ მოვალ.

ტარიელი ცოტა ხანს ჩაფიქრდა.

— რა ვქნა ახლა. ვერ მოხვალ და ნუ მოხვალ...

ვერც ხვალ მოვალ, ვერც ზეგ და, საერთოდ, ალბათ მთელი კვირა დამაგვიანდებაო, სხაპასხუპით მიაყარა მოადგილემ.

— გაგყედი, დემიან? — შეიცხადა რედაქტორმა, — გამიყარე ბარემ დანა კისერში.

— ამას არაფერი აღარ ეშველება. ქვეყანა რომ დაიქცეს, მაინც უნდა წავიდე.

— ქვეყანას რა დააქცევს, შე კაი კაცო, მაგრამ ასე უპატრონოდ რა გულით უნდა დაგვეყო მთელ კვირას.

— მივდივარ, იცოდე...

— მშვიდობა ხომაა?

— კი, მშვიდობაა, მაგრამ უნდა წავიდე აუცილებლად და, ძალიან გთხოვ, მიზეზს ნუ მკითხავ.

— სად მიდიხარ, არ გაამხელ?

— შორს.

— იქნება მივლინება გაგვეფორმებინა... კი ჩამოიტანდი ერთ-ორ წერილს...

— მივლინება? — დემიანი წამით ჩაფიქრდა, — არ გამოვა.

— კაი აბა, მშვიდობით მგზავრობა. მოიფიქრე მაინც ერთი-ორი წერილი გზაში. გექნება მაგის დრო...

* * *

ფოსტის შენობიდან ორმოციოდე წლის ტანმორჩილი, ჯერ კიდევ საკმაოდ ლამაზი და მოხდენილი ქალი გამოვიდა. მხარზე ჟურნალ-გაზეთებით გატენილი ჩანთა ეკიდა. თეთრი სახე კორფლით დაწინწკლოდა, ცისფერი თვლები მოეკუტა (მზიანი ამინდი იყო) და სწრაფად მიბაჟუნობდა ტროტუარზე დაბალქუსლიანი ფეხსაცმელებით. სულაც არ აუშნოებდა იმოდენა ჩანთა. ჯანმრთელი, ყოჩაღი ქალი იყო.

1750

— ბოდიში, მარინა ივანოვნა...

ქალი შედგა. გაოცებული დააკვირდა მალალ, შუახანს მიტანებულ შავგვრემან მამაკაცს, წინ რომ გადადგომოდა. „ენინა? საიდან მიცნობს?“ თავის სიციხლეში პირველად ხედავდა ამ კაცს. შავი, გრძელი კოსტიუმი ეცვა, თმა გვარიანად შეთხლებოდა და გაჭალარავებოდა, მოკლედ შეკრეპილ, ბრტყელ უღვამებშიც გარეოდა ქალაჩა. ოდნავ დაბნეული ჩანდა. მორცხვად, თავაზიანად ილიმებოდა. მარინას მოსწონდა ასეთი დარცხვენილი და დაბნეული გამომეტყველების მამაკაცები, ასეთები უფრო მართალი და გულწრფელი არიანო, ფიქრობდა. თუმცა, უნდა ითქვას. მამაკაცების გულწრფელობასა და სიმართლეში მეთისმეტად დაეძვებული იყო ამ ბოლო დროს. არა, ამ კაცს ნამდვილად პირველად ხედავდა. ასეთი ტიპები, საერთოდ, იშვიათი იყო ამ დაბაში. აქცენტის უცხო აქვს, სამხრეთული.

— გისმენთ. — უთხრა ქალმა.

— თქვენთან სალაპარაკო მაქვს, ძალიან გთხოვთ, რამდენიმე წუთი დამითმით.

— ილაპარაკეთ.

კაცი უოყმანობდა. სანამ ამ პატარა ქალაქში ჩამოვიდოდა, მთელი ორი დღე დაყო გზაში და ამ შეხვედრის თითქმის ყველა შესაიღებელი გარემოება გაითვალისწინა. ახლა მაინც ოცი

წლის ბიჭივით დაიბნა. ამჯარად დელავდა.

— მეჩქარება, — თქვა ქალმა და ნელა განაგრძო გზა. რაკი კაცი არ ეშვეებოდა და თან მოყვებოდა, დაუმატა, — გისმენთ.

— უეჭველია... დიახ, უეჭველია გაგიკვირდებათ... ორი დღეა გზაში ვარ. ჯერ ფრენა, მერე მატარებელი, ბოლოს ავტობუსი. თითქმის ყველა სახეობის ტრანსპორტი გამოვიყენე, საბაგირო გზის გარდა (კაცმა იხუმრა, მაგრამ ქალს არ გალიმებია). ეს ესაა ჩამოვედი ამ დაბაში.

მთლად ასე არ იყო, კაცი გუშინ ჩამოვიდა, შუადღით. ორი დღე კი მართლა გაატარა გზაში. ტრანსპორტის შესახებაც სრული სიმართლე თქვა. მაგრამ ხომ არ ეტყოდა ახლა, მთელი ნახევარი დღე შენი ვინაობის გამოძიებას მოვუწდიო.

— თქვენ ცუდი არაფერი იფიქროთ... მე პატიოსანი კაცი ვარ... აი, ინებეთ ჩემი საბუთები. მე ნამდვილად დემიან დევდარიანი ვარ... აი, პასპორტი (ქალმა უზრდელობად მიიჩნია უცნობის საბუთებში ჩახედვა, თუმცა კაცი პირდაპირ ცხვირში ჩრიდა. ბოლოს იძულებული გახდა გვერდზე გაწეულიყო) ჟურნალისტი ვარ. ვმუშაობ რაიონული გაზეთის რედაქციაში. აი, დახედეთ, დახედეთ, ნუ გერიდებათ. ამ სურათში ბევრად უფრო ახალგაზრდა ვარ. ათი წლის წინანდელია. მაგრამ ამბობენ, რომ მას შემდეგ მაინცდამაინც არ შევცვლილვარ.

— მე არ მაინტერესებს, მოქალაქე, თქვენი საბუთები!

— დაგაინტერესებთ, როცა გაიგებთ, თუ რისთვის ჩამოვედი ამ სიშორეზე, რისთვის გაწუხებთ!

წამით ქალი გაურკვეველმა შიშმა შეიპყრო. მერე გაბრაზდა. რას შემომიჩნდა ეს კაცი? რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემთან? მე არავისთან არაფერი არ მესაქმება. ყველამ თავი დამახეზოს. ჩემი დავიდარაბა მუყოფა დიდ

უცნაური ვინმეა. არა, ეს კაცი სასიკეთო საქმეზე მოსულს არა ჰგავს. იქნება მთერალა? კი, სწორედ ასე უნდა იყოს. გადაუკრავს და ღლაბუცობის გუნებაზე დამდგარა. არც კი რცხვენია. თავხედობაც ასეთი უნდა!

— ბოდიში და თქვენ, ბიძია, ცოტა ხომ არ გადაჰკარით ამ დილით?

— არა, ძვირფასო მარინა ივანოვნა, საესებით ფხიზელი გახლავართ. არცერთი წვეთი, გეფიცებით... არცერთი წვეთი. კი ვაპირებდი... სულ ცოტას მეთქი, სიმხვევისათვის, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრე... დამიძახეთ, რაც გინდათ, გინდა ბიძია, გინდა მამიკო, სულაც არ მეწყინება. თუმცა მე არც ისე დიდი ხნით უფროსი ვარ თქვენზე, ბიძიად, ან მამიკოდ რომ გეკუთვნოდეთ...

— საიდან იცით, რომ მე მარინა ივანოვნა ვარ? — დაინტერესდა ქალი.

— ყველაფერი ვიცი... ორი ქალიშვილი გყავთ. ერთი წელს გათხოვდა, მეორე კი თოთხმეტი წლისაა, მერვე კლასშია. ქმარი ციხეში ზის. თქვენ თვითონ ჩასვით იქ და ღირსიც იყო... თქვენ ყველა გამართლებთ. ლოთი და უსაქმური იყო, საზოგადოების ზორცმეტი. სიტყვიერი შეურაცხყოფა არ გაემართა ამ პატიოსან ქალს და ორი შვილის დედას ფიზიკურად შეგებოთ... მე აღფრთოვანებული ვარ თქვენი პრინციპულობით, ასეც ეკუთვნოდა. თქვენ ვერაფერს გაგამტყუნებთ...

ქალი გაკვირვებული შეჰყურებდა ამ მალალს, სიმპათიურ მამაკაცს. მერე ისევ გაჰკრა შიშმა, ნაბიჯს აუჩქარა. რას ამკიდებია, რა უნდაო, ფიქრობდა. აშკარად მოგზავნილს ჰგავდა. იქნება სულაც ციხეში იჯდა იმასთან ერთად და მისი დავალებით მოვიდა? ეშმაკმა იცის, ვინაა და რა აქვს გუნებაში. ასეთი დათაფლული სიტყვების იქით მუდამ რაღაც ხიფათი იმალება. ნეტა ის საბუთები მართლა მისია? ეურნალისტი ვარო. რის ეურნალისტი, ვილაც გაიძვერა იქნება.

— თავი დამანებეთ, მე თქვენთან არაფერი საქმე არა მაქვს. ჩემს საქმეზე მივდივარ.

— მომისმინეთ, მარინა ივანოვნა... ძვირფასო... ძალიან გთხოვთ, ექვს ნუ შეიტანთ ჩემს პატიოსნებაში... ნუ შეგეშინდებთ. რაა აქ საშიში, დღისით, მზისით. თქვენს ადგილას, რა თქმა უნდა მეც გამოიკვირდებოდა, რომ ასე... მაგრამ... ორი დღეა გზაში ვარ. ცხრა მთას იქიდან მოვდივარ თქვენს სანახავად.

— ჩამომეხსენით, ღვთის გულისათვის, თორემ, აი, მილიციას მივმართავ. ჩამომეხსენით!

— კარგი, ჩამოგეხსენებით, ოღონდ ერთი თხოვნა შემისრულეთ, ერთი თხოვნა.

ქალი არ უსმენდა, სწრაფი ნაბიჯებით მიდიოდა, თითქმის მირბოდა. დემიანი ძლივს ეწეოდა თავისი გრძელი ფეხებით.

— ჩამომეხსენით, თორემ მილიციას დაუფიქრებ... — ქალმა ისე მკვეთრად აუწია ხმას. დემიანს შეეშინდა, მართლა არ დაუმახოს და ხათაბალაში არ გამხვიოსო. ნაბიჯი შეანელა. ერთხანს კიდეც მისდევდა ქალს ინერციით, მაგრამ თანდათან უკან რჩებოდა და ბოლოს დაბოლმილი გაჩერდა. „ეშმაკმა წაგიღოს!.. ეშმაკმა!“ ქალმა საკუთარი ქმარი რომ ციხეში ჩასვა, შენ რა სიკეთეს დაგაყრის. ჯანდაბას ყველაფერი... რა სისულელეა... რას მოვეთრეოდი, რამ გამასულელა. პატარა მაინც ვიყო, ორმოცდაათი კარზე მიკაუნებს. ამ ხნის კაცს ჭკუას კითხავენ. ახლავე გაქქულსაც შინისაკენ, ახლავე, ამ წუთას! ჭკუის სასწავლად უკვე კმარა ეს ყველაფერი!

საღლაც ქუჩაში ძელსკამს გადააწყვედა. დაჭდა, ოფლი მოიწმინდა. ერთი ცალი სიგარეტი მოსწია. ოცდახუთი წლის წინ გადააგდო პაპიროსი. გუშინ მაინც იყიდა ერთი კოლოფი. მეტისმეტად ღელავდა და იმიტომ. ცოტას მოეწყვე, ამ ჩახლართულ საქმეს მოვა-

გვარებ და ისევ გადავადგებო. ხარბად გაბოლა, ოდნავ დაწყნარდა. ეძნელებოდა თავის განზრახვებზე ხელის აღება. არა, ასე ადვილად უკან არ დაიხევდა. დემიანს მტკიცე ნებისყოფა ჰქონდა. ასე მალე ვერ მიატოვებდა ბრძოლის ველს.

* * *

ამ პატარა დაბას რამდენიმე ფოსტალიონი ემსახურებოდა. მარიანს უბანში შედიოდა ხუთი პატარა ქუჩა და მთელი ახალი დასახლება ტბის გასწვრივ, რომელსაც უბრალოდ ტბის ქუჩას ეძახდნენ. მარიანა გადადიოდა ეზოდან ეზოში, არიგებდა გაზეთებს, ეურნალებს, წერილებს და სამხრეთული გარეგნობის უცნაურ მამაკაცზე ფიქრობდა. ნანობდა, რომ ასე სწრაფად ჩამოიცილა და არ ათქმევინა, თუ რა საქმეზე იყო ჩამოსული. იქნება მართლა ეურნალისტი იყო? ენა კი ჰქონდა დათაფლული, მართლა ჰგავდა ეურნალისტს. თუმცა ახლა ვის არა აქვს დათაფლული ენა. იქნება ნაკლები ენა ჰქონდა? გველს გამოიყვანდა ზერელიდან. სასამართლოზე ისე გარეკა და გარეკა, მარიანა კინაღამ გაამტყუნეს, მაგრამ მადლობა ღმერთს, მოწმეები ჰყავდა და ექიმის ცნობაც ხელთა ჰქონდა. კარგ დროზე აიღო ცნობა... გარეთ ისე გააფენდა ენას, ანგელოზი გეგონებოდა, შინ კი, მტრისას. შინ უჩხული იყო, ტირანი, უზურპატორი. საწყალ გოგოებს სიცოცხლე მოუშხამა. მადლობა ღმერთს, მოცილა, როგორც იქნა. რაკი ვერაფერს ვახდა, ბოლოს დამუქრებაც კი დაიწყო, რომ გამოვალ მოგვლავო. ვითომ რომ გამოვა, არ ექნება ჰკუთნასწავლი? როგორ არ ექნება, იქ ყველას ასწავლიან ჰკუთნას. რომ გამოვა, ჩხუბის გუნებაზე აღარ იქნება. ასეა, ენის მიხედვით რას გაიგებ, ვის რა გული და სული აქვს. მართლა შერევილს კი ჰგავდა. მთვრალივით ლაპარაკობდა, მაგრამ სიმთვრალე მაინც არ ეტყობოდა. არც არ-

ყის სუნი უდიოდა. სიმპათიურიც იყო ო, ღმერთო, რას გაიგებ ამ მამაკაცების ამბავს, ვინ ჩაიხედავს მაგათ ბნელ სულში! საიდან გაიგო მაინც ასე დაწვრილებით მისი ამბავი? ასე შორიდან მოსულმა, თუ კი მისი სიტყვები სარწმუნოა და მართლა შორიდანაა მოსული. ეურნალისტიო... უცნაურიო... გაიგო მაინც, ვინ იყო, რა საქმე ჰქონდა. რა ვართ ეს ქალები... ჯანდაბას, რაც იყო, იყო, ათასი ვიღაც დაბორილობს ამ დედამიწაზე, ყველას ასავალდასავალს ვერ გაიგებ... და არცაა საკირო.

მალე სულაც დაავიწყდა ის უცნაური მამაკაცი. ორიოდ საათში შორჩა თავის საქმეს. ჯანმრთელი, ყოჩაღი ქალი იყო, ციბრუტივით ტრიალებდა, თვალს ვერ მოკრავდი, ისე დაქროდა ეზოებში, გაზეთებსა და ეურნალებს, წერილებსა და დეპეშებს არიგებდა, ყველასთვის შინაური და ახლობელი გამხდარიყო. შინ რომ დაბრუნდა, ცარიელი ჩანთა იქვე მიაგდო. ტახტზე წამოწვა და დაღლილი ფეხები დაასვენა, წინ კიდევ მთელი დღე იყო, საზრუნავითა და საქმეებით სავსე. ნატანა ჯერ არ დაბრუნებულ იყო სკოლიდან, ისევ კრება, დრამა ან კალათბურთი. ამ ბოლო დროს ცურვაზეც დაიწყო სიარული. ო, ღმერთო, რამდენი უნდა მოასწროს. ის იყო, სადილის მზადებას შეუდგა, ვიღაცამ კარებზე დააკაკუნა. გააღო, შეეცა, ფერი წაუვიდა, გული უცნაურად აუტოცდა. ისევ ის მამაკაცი... ცალ ხელში მოზრდილი პარკი ეჭირა, მეორეში რალაც გრძელი, გაზეთში ფაქიზად გახვეული. სუნზე იცნო — მიხაკები იყო... სად იშოვდა მაინც. ნუთუ ჩვენს დაბაში სადმე მიხაკები იშოვებენ? ქალი ვერც კი გამოერეკა, ისე აღმოჩნდა კაცი შუა ოთახში. ნუთუ შემოიპატივა? არც კი ახსოვს. იგი მიხაკებს გაზეთს აცლიდა და ოთახს ათვალერებდა, ყვავილებისთვის ვაზას ეძებდა. ქალი დაფაცურდა, ვაზა მოარბენინა. კაცი უკვე მეორე

ხელს ითავისუფლებდა. პარკიდან იღობდა და მაგიდაზე აწყობდა ვაშლებს (რაც ისევე იშვიათობა იყო ამ დამაში, როგორც მიხაკები), ნამცხვრებს, ბოლოს კონიაკის ბოთლიც ამოაივრინა. ციხე-სიმაგრე აღებული იყო. ფრიალებდნენ თეთრი დროშები. დემიანი საწყალი, საცოდავი, მორცხვი გამოძეტყველებით იღვა, მაგრამ დაკვირვებული თვალი მაინც შენიშნავდა მის სახეზე იმ ცბიერი მოქალაქის ჩუმ ზეიშს, მოწინააღმდეგე საშამათო ქსელში რომ გააბა.

— გეხეწებით, არ გამაგდოთ, მარინა ივანოვნა!

— არა, გაგდება რას ჰქვია, როგორ შეიძლება! ანდა რა აქვს, ბოლოსდაბოლოს, ამ კაცს საშიში? ეს ხომ ბავშვია, ანგელოზი. რა მორცხვად ილიძება, რა საწყალი გამოხედვა აქვს. ისე კი, შოლად დალაგებული რომ არ იქნება, ისე აქვია. ოჰ, ვინ ჩახედავს ამ მანკაცობის ბნელ სულში.

— რატომ წუხდებით, მოქალაქე. რა საჭირო იყო ყოველივე ეს... რა საუცხოო მიხაკებია... ვინა ხართ? რა გინდათ? არაფერი მესმის...

— დამიჯერეთ! — იყვირა დემიანმა, — შენდეთ! — დაუმატა და მაგიდაზე დაყარა თავისი საბუთები, — პატროსანი კაცი ვარ!

— მჯერა, — უთხრა ქალმა, — მაგრამ რა საქმე გაქვთ ჩემთან? არ გიცნობთ, არ მიცნობთ. პირველად გხედავთ ჩემს სიცოცხლეში.

— ორი დღეა გზაში ვარ...

დემიანი დაჟდა შეთავაზებულ სკამზე, შუბლზე ოფლი მოიწმინდა, ქალის ნებართვით სიგარეტს მოუციდა და გააბოლა. მერე კი, როგორც იქნა, დალაგებით ალაპარაკდა და ძლივს გააგებინა ქალს, რომ ზეალ ან ზეგ მის ჩანთაში აღმოჩნდება წერილი ვილაც პილაიკინის სახელზე. მარინას უეჭველად ეცოდინება, თუ ვინაა ეს პილაიკინი, რადგან მიწერ-მოწერის დიდი მოყვარული კაცია (როგორ არ იცის! იცის და

მეტრ არა? რაც მას წერს, მისი მისი დის ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის ყველა კუთხიდან. რა ჭირვეული, რა აუტანელი ბერიკაცია. რას სწერენ მაინც ამდენს? სულ ბეზღუნებს, წერილებს მიგვიანებო. უბნის შემოვლა მაინცდამაინც ჩვენი ქუჩით დაიწყეო... წარმოგიდგენია? სულ ბოლოში ცხოვრობს და აქედან დაიწყეო. პირდაპირ ჩემთან მოდიო. როგორ ჩასჩინებებს შტემპელს კონვერტზე. ვაი თუ შტემპელის თარიღი მიტანისას არ დაემთხვა, ერთ აჯალმაჯალს ასტეხს, წერილები სახლში მიგაქვს და განზრახ მიგვიანებო. ერთხელ გამგესთანაც კი მიჩივლა. კიდევ კარგი, მე არაფერ შუაში ვიყავი). დიახ, ცხადია, ის პილაიკინი წერილებს ბევრს ლებულობს, მაგრამ დემიანს აინტერესებს მხოლოდ ერთი, ერთადერთი წერილი, რომელიც პილაიკინს დემიან დევედარიანმა გამოუგზავნა...

— ესე იგი თქვენ?.. თქვენც გაქვთ იმ ბერიკაცთან მიწერ-მოწერა?

— სამწუხაროდ... პილაიკინს ამასწინათ, ამ ორიოდ დღის წინ მე გამოვეუგზავნე წერილი და მაშინვე წერილს თვითონვე გამოვეყევი უკან, რადგან ის წერილი პილაიკინმა არ უნდა მიიღოს.

— უცნაურია, — ქალი ჩაფიქრდა, — ძალიან უცნაურია... მაინც რა წერია იქ ასეთი?

— როგორ აგებხნათ... შეიძლება პილაიკინი მართლაც ცუდი, ავი, ჭირვეული კაცია, მაგრამ ჩემგან მან ის წერილი არ უნდა მიიღოს... ის წერილი... იმ წერილმა შეიძლება მოკლას... ოო, საშინელი წერილია. გთხოვთ, ნუ მათქმევინებთ. ასე რომ არ ყოფილიყო, ამ სიშორეზე წერილს გამოვედევნებოდი? იანგარიშეთ დრო, მგზავრობის ხარჯი... მივატოვე სამსახური, ოჯახი...

წერილი ზეალ ან ზეგ მოაღწევს. მარინამ იგი ადრესატს არ უნდა მიუტანოს. ამით ის დიდ სიკეთეს ჩაიდენს.

— ეს დანაშაულია, დემიან პეტროვიჩ, მე ამის ჩადენის უფლება არა მაქვს.

— წერილი ხომ ჩემი გამოგზავნილია?

— მე მაინც არა მაქვს ამის უფლება. დავილუბე კაცი, ეს თუ ჯორზე შეგდა!

ყველაფერი ასე კარგად აეწყო, რამდენიმე გონებაშახვილური სვლა და თითქმის უიმედო პოზიცია გამოვაბრუნე, გამარჯვება ასე ახლოსაა და ეს ქალი ჯორზე შეგდომას აპირებს...

— ნუთუ მე არა მაქვს უფლება, ჩემი დაწერილი, ჩემი გამოგზავნილი ბარათი უკან დავიბრუნო? იქნება გადავიფიქრე. ტყვია ხომ არაა, წერილია. მარტო ტყვიას ვერ დააბრუნებ კაცი. ჯერ არ მიუღია ადრესატს, ესე იგი ჯერ იგი ჩემია.

— ახლა იგი თქვენი აღარაა... თქვენ ხომ ჩაავადეთ ყუთში.

— არც პილაიკინისაა, ჯერ არ მიუღია!

ქალი ღრმად ჩაფიქრდა.

— რა ვიცი. რა ვიცი, თქვენ შეიძლება მართლა გაქვთ უფლება, რომ წერილი უკან დაიბრუნოთ... მე მსგავსი შემთხვევა არ მქონია ჯერ. ხომ არ გვეკითხა ჩვენი გამგისთვის?

—ოო, არა, არავითარ შემთხვევაში, ასეთ სარისკო ეარიანტზე წასვლა კატასტროფის მომასწავებელია. გამგე ქალია თუ კაცი? ეს ისე ვიკითხე, ყოველი შემთხვევისათვის. ქალი? არა, არა, ნუ ეიზამთ მავას, მარინა ივანოვნა, იალიან გთხოვთ!

როგორც იქნა დაიყოლია. დასკვნეს, რომ თუ ყველაფერი ეს კანონის დარღვევა იყო, იგი ადამიანის კეთილდღეობას ემსახურებოდა. პილაიკინის სახელზე მარინა ბარათს რომ მიიღებს, გვერდზე გადადებს და დევდარიანს დაუბრუნებს... ო, ღმერთო, ეს პილაიკინი ისეთი შარიათია, რომ გაუგოს, დალუპავს მარინას, ქვეყანას აიყლებს საჩივრებით. ეს რომ პილაიკინმა გაიგოს, ვინ იცის, რა მოხდება.

როგორ გაიგებს? პილაიკინი ვერაფერსაც ვერ გაიგებს. ხომ არ დაესიზ-

მრება ბოლოსდაბოლოს? და თუ გინდა დაესიზმროს, სიზმარი რა საბუთია?

ორიოდე დღის შემდეგ მარინამ დემიანს დაპირება შეუსრულა. დემიანმა დიდის ამბით გადაუხადა მადლობა, დაპირდა, პატივისცემას არ დაგივიწყებო, დაემშვიდობა და სასწრაფოდ დაბრუნდა სასტუმროში, კონკრეტი ფრთხილად გახსნა, წერილი ამოიღო, შიგ ახალი ჩადო, დააწება. ნახევარი საათის შემდეგ ის წერილი პილაიკინის საფოსტო ყუთში იდო. დემიან დევდარიანი კი ავტობუსების სადგურსაკენ მიისწრაფვოდა.

* * *

დემიანის უცნაურმა გაუჩინარებამ რედაქციის მუშაკები ძალიან შეაშფოთა და გააკვირვა. შეშფოთებული იყო რედაქტორიც. რა დამართა დემიანს? სად წავიდა? დაბრუნდება კი ნამდვილად ერთი კვირის შემდეგ? რომ არ დაბრუნდეს? აი, ეს კითხვები უბურღავდა ტვინს ტარიელ მენაბდეს. დაბრუნებით ნამდვილად დაბრუნდება. დემიანი სიტყვის კაცია. მაგრამ რამე ახალი მოვლენები ხომ არ იწყება ამ მშვიდი, დინჯი, უაღრესად პატოსანი და შრომისმოყვარე კაცის ცხოვრებაში? ხომ არ აიყრის გულს თავის საქმეზე? ხომ არ შეირყევა მისი კეთილსინდისიერება? მერე და რა ნიჭიერი კაცია. რედაქტორს ეჭვი არ ეპარებოდა, დემიანს რომ მოენდომებინა, აქამდე შორს წავიდოდა. მისი წერილები მუდამ საუკეთესო და სანიმუშო იყო. ცენტრალურ პრესაშიც ხშირად იბეჭდებოდა. რამდენიმე წიგნაკიც კი ჰქონდა გამოქვეყნებული მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მოღვაწეებზე. ამავე დროს, დისერტაციაზე მუშაობდა, თუმცა ძალიან კი გაუჭიანურდა მისი დამთავრება ზარმაკი კაცი არ იყო და ვინც მას იცნობდა, ყველას უყვირდა, ამ საქმეს თავი აქამდე რატომ ვერ მოაბა. აი, საერთოდ, რატომ ვერ დაწინაურდა? აქამდე შეძლებდა, რომ მისთვის ერთ-ერთი კოლმე-

ურნეობის თავმჯდომარეობა შეუთავაზებიათ. ერთ-ერთი საკმაოდ მსხვილი წარმოების ხელმძღვანელადაც გზავნიდნენ და თურმე უარი უთქვამს. ამბობენ, პედინსტიტუტშიც მიიპატიეს ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე, მაგრამ არ ისურვაო. ჩემს სამუშაოს მე კარგად შევეწყვე, ბევრი თავისუფალი დრო მაქვს და ამიტომ მას ასე ადვილად ვერ დავთმობო, ამბობდა. რაში სჭირდებოდა ეს თავისუფალი დრო, ან რაზე ხარჯავდა, ჭერჭერობით არავინ იცოდა.

დემიანი არ იყო მოგზაურობის მოყვარული კაცი. იშვიათად მიდიოდა სახლიდან. აგარაკზეც ვერ ისვენებდა ხოლმე. ცოლ-შვილს წაიყვანდა, დააბანავებდა, დატოვებდა და შინ დაბრუნდებოდა. შევებულება ისე ჩაეღოდა, გარეთ ფეხს არ გადგამდა. ან ეზოში ტრიალებდა, ან თავის პატარა ოთახში იჯდა, სადაც გარემუს სასტიკად ეკრძალებოდა შესვლა, ცოლსაც კი. ხანდახან უმცროსი ბიჭი — ცამეტი წლის ლევანიკა თუ შეაღწევდა დიდი ხეყუნამუდარის შემდეგ. ზოგჯერ ისინი მართო ჩაიკეტებოდნენ ოთახში და, კართან თუ მიაყურადებდით იმ დროს, ასეთ დიალოგს გაიგონებდით: „ბე ხუთი?.. სისულელეა. კუ ცე შვიდი და უყარე კაკალი. მაგას ისევ ა ხუთი სჯობია. ცუგკვანგს რალა ეშველება? აქ პატის იდეაცაა გასათვალისწინებელი, ჩემო ლეუშა. რის პატი, გაგყიდ მამიკო? სადაა პატი! აქ თუ საეტიუდო შამათი არ ვიპოვო, კაცი არ ვიყო... მომცილდი. ლევანიკა. საეტიუდო შამათი კი არა. იხვის ტოლმა...“

ასე იყო თუ ისე. დემიანი მშვიდობიანად დაბრუნდა თავისი ხანმოკლე მოგზაურობიდან. მას ცოლ-შვილთან დისკუსიების გამართვა არ უყვარდა და ვერც უბედავდნენ ბევრი კითხვების დასმას. ვთქვი თუ არა, ერთ კვირაში დაებრუნდები-მეთქი? ჩამოვედი? მორჩა და გათავდა. აქ საკმაოდ არაფერია. აოც რედაქტორს უკითხავს რაბე. თუ

რამე სათქმელი აქვს, თვითონ მტყუპებსო, დაასვენა მან და სწორადაც მოიქცა. შენი საქმე, ეტყობა, კარგად მოგიგვარებიაო, უთხრა. კიო, უპასუხა დემიანმა, მადლობელი ვარ, რომ გამიგეო. აბა, ჰე, ახლა საქმეს შენებურად მიხედვო, უთხრა ტარიელმა. დემიანის მიმართ მას იშვიათად თუ დასცდებოდა საუველური. კარგად იცოდა, ამ გაზუთის რედაქტორობა დემიანისთვის უფრო უპრიანი იყო, ვიდრე მისთვის. ერთხელ კერძო საუბარში წამოსცდა კიდევ, რედაქტორი აქ შენ უნდა ყოფილიყავიო. აქ გადმოყვანამდე ტარიელი უნივერსიტეტის დირექტორი იყო. იგი მთელ რაიონში ქუდბედიან კაცად ითვლებოდა. უცხო ენების ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს იყო ექსპერიმენტული მეურნეობის, საყოფაცხოვრებო კომბინატის, ყველკარაქის ქარხნის, პურკომბინატის, ჩანს ფაბრიკისა და რვაწლიანი სკოლის დირექტორი. ძველი რედაქტორი პენსიაში რომ გავიდა, ყველას ეგონა, რომ მის ადგილს დემიანი დაიკავებდა. მას კი სულაც არ სწყენია, რედაქტორობა რომ არ შესთავაზეს. რა ჩემი საქმეაო, ამბობდა, მაგისთვის სად მცალიაო. ჩემი მოწოდება სულ სხვააო. რა იყო მისი მოწოდება, თვითონ არ აზუსტებდა და სხვები ვერ ხედებოდნენ. კაცმა რომ თქვას, დემიანს ხშირად უხდებოდა ერთდროულად რედაქტორისა და მისი მოადგილის მოვალეობის შესრულება. იგი ტარიელის მარჯვენა ხელი იყო და თანამშრომლები იმედს გამოთქვამდნენ, რომ უახლოეს მომავალში ტარიელს ლუდის ან ხილის დამამზადებელი ქარხნის დირექტორად გადაიყვანდნენ და რედაქტორობა უეჭველად დემიანს დაეჩებოდა, თუ რა თქმა უნდა, სხვა ვინმეს უფრო მოტივირებული პრეტენზია არ აღმოაჩნდებოდა ამ თანამდებობაზე.

დემიანი დილით ჩამოვიდა. სამგზავრო ჩანთა თავის ოთახში დადო, ცოლ-შვილს თვალი შეავლო და რაკი დარწ-

მუნდა, რომ ყველანი კარგად იყვნენ. არც კი უსაუზმია, რედაქციისაკენ გაქანდა. ცენტრიდან კარგა მოშორებით ცხოვრობდა, მდინარის პირას. იქ მთავრდებოდა ქალაქი. მერე მდინარის ხეობა და ქვალორლიანი ქალები იწყებოდა. მთელი ორი კილომეტრი უნდა ევლო ფეხით, სანამ რედაქციას მიღწევდა. საღამოს სპექტაკლს დაესწრო, პრემიერა იყო და წერილი უნდა გამოეცხო სასწრაფოდ. შინ მოგვიანებით დაბრუნდა, ცოტა ნაქეიფარი — პრემიერას ბანკეტი მოჰყვა. თავის ოთახში შევიდა და, ჩვეულების თანახმად, მაგიდაზე დაგროვილ წერილებს დაუწყო თვალთვლება. ამ დროს მის ოთახში ლევანიამ შემოჰყო ცხვირი. თორმეტს გადაცილებული იყო, სახლში უკვე ყველას ეივნა.

— არ ვიინავს, ბიჭო, შენ? — გაუჩავრდა მამა, — ხვალ არ აპირებ სკოლაში წასვლას? ხომ იცი, რა ძილისგულა ხარ!

— იცი, რა გახარო მამიკო? მეშვიდესთან იგებ!

მეშვიდე პილაიკინი იყო ბიჭი მამას პარტნიორობის გვარებს ვერ იმახსოვრებდა, თორემ ნომრებით ყველას პარტია ზეპირად იცოდა.

— რა იცი? — დაინტერესდა დემიანი.

ბიჭმა სწრაფად გადმოიღო თაროდან ქაღალცი, პოზიკია დააწყო.

— აქ შენ ეე ექვსი გაუგზავნე და გეშინოდა, დე ორზე ეტლს შემწირავს და ვაგებო. ვერაფერსაც ვერ შეგწირავს. შენ შუალედური ქიში გაქვს ა ხუთზე... შენ რომ იმახდი, ნეტა ეფ ხუთი გამეგზავნაო, მაგ სვლით ფორსირებულად აგებდი... ცხენს გართმევდა...

— რას მართმევდა? — დემიანი გაფითრდა, საფეთქელში რალაცამ ჩაქუჩივით დაჰკრა.

— ცხენს... აბა, შეხედე? — ბიჭმა დაფა ახლოს მიუჩოჩა მამას.

დემიანმა გულზე იტაცა ხელი.

ლევანიკა, ცუდად ვარ მგონია...

კაცი შეტორტმანდა, მაგიდას მოეპოტინა, მაგრამ ის პატარა მაგიდა რას შეიკავებდა. დემიანი იატაკზე გაიშხლართა და ისეთი ბრაგვანი მოაღინა, იფიქრებდით, სახლი დაინგრაო.

* * *

ნუ გეშინიაო, დაამშვიდა ახალგაზრდა ექიმმა დემიანი, ახლა ნულარაფრის გეშინია, უკვე გადარჩენილი ხარ, ბიფათმა ჩაიარაო. ექიმი გამზდარი, კაფანდარა იყო, სამი თუ ოთხი წლის წინ დაემთავრებინა ინსტიტუტი. თავზე კი ლერი თმაც არ შერჩენოდა. მაინც უქუდოდ დადიოდა. სხვა ექიმები, როგორც წესი, თეთრი ქუდებითა და ხალათებით შემოდრიოდნენ, ეს ხალათზე უარს არ ამბობდა, მაგრამ ქუდს არასდროს არ იხურავდა. ერთხელ გაუჩავრდა კიდევ მთავარი ექიმი, იქვე, ავადმყოფებთან შეარკვინა. მაინც ჯიუტობდა, ეტყობა ამით თავის დამოუკიდებლობას უსვამდა ხაზს. ვილაც დიდი კაცი მფარველობს და მისი იმედი აქვსო, ამბობდნენ აქა-იქ. იქნება თავს იწონებს ეს კაცი თავისი სიჭაჩლითო. ფიქრობდა დემიანი. როგორ მოასწრო გამელოტება, ნეტა ქაჩალი ხომ არ დაიბადაო, ხუმრობდა თავის გუნებაში და იქვე ნაღვლიანად დაუმატებდა, სწორედ სახუმროდ მაქვს საქმეო.

— გადავრჩი ვითომ, აღარაფერი მიკირს? — ჰკითხა თავის უქუდო ექიმს.

— გადავრჩით, დემიან ბატონო, გადავრჩით... ერთი ორმოცდაათი წელი ქე გვაქვს კიდევ განალდებული და დანარჩენზე ვილაპარაკოთ მერე სუფრასთან.

ექიმი უცოლო იყო და დემიანს ექვი არ ეპარებოდა, რომ იგი მის ქალიშვილს ნათელას თავს აწონებდა, ჩემჩემად ეარშიყებოდა, დემიანის პალატას თითქმის არ სცილდებოდა. ნათელა სტუდენტი იყო. თბილისში სწავლობდა ეკონომიურ ფაკულტეტზე და როგორც კი მამის ავადმყოფობა შეატყობინეს ტელეფონით, გულგახეთქილი

მაშინვე შინისკენ გამოქანდა. ახლა მამას ადგა თავზე. ჩამოვიდა თუ არა, მატარებლიდან პირდაპირ საავადმყოფოსკენ გამოსწია და მერე არც გასულა მამის პალატიდან. ძალიან უხედებოდა თეთრი ხალათი. მალალი, ამოღტილი გოგო იყო, თითქმის ექიმზე მალალოც კი ჩანდა ცოტათი.

გაუყვება ვითომ ამას ჩემი გოგო? ფიქრობდა დემიანი. ქუდი მაინც დაიხუროს ამ კაიდედამამისშვილმა, ისე აქვს თავი მოპრიალებული, შეგაშინებს კაცს უცებ უდროოდ დროზე რომ წამოგეფეთოს.

* * *

დემიან დევდარიანის ავადმყოფობის ამბავი სწრაფად გავრცელდა ქალაქში და საყოველთაო გაკვირვება გამოიწვია. იგი მიაჩნდათ კაცად, რომელიც წყნარად და მშვიდად მიაღწევდა ასწელს ისე, რომ ფრჩხილიც არ წამოსტკივდებოდა. მისი ავადმყოფობა მძიმე დარტყმა აღმოჩნდა იმათთვის, ვინც იმედს არ კარგავდა, რომ დღეს თუ არა ხვალ დაიწყებდა დემიანის მსგავსად ზომიერ, თავშეკავებულ, უშფოთველ ცხოვრებას.

ტარიელის წუხილს საზღვარი არ ჰქონდა. საერთოდ, მთელი რედაქცია მეტისმეტად დამწუხრებული იყო. რედაქტორი დილითვე მივიარდა საავადმყოფოში, ინახულა თავისი მოადგილე და ოდნავ დამშვიდდა, ბეწვზე გადარჩენილად, გაიფიქრა. ექიმები სულ ცალ-ცალკე გაიხმოდნენ და სთხოვა, ჩემი საუკეთესო მეგობრისა და თანამშრომლის ვადასარჩენად თავი არ დაზოგოთო. ჩემი მარჯვენა ხელია და რამე რომ დაემართოს, არ ვიცი, რას ვიზამო. როგორ გვკადრებოდ, უთბარეს, თქვენი გაფრთხილება რად გვეჭირდება, ასეთ კაცს სიკვდილს როგორ დავანებებთ და, საერთოდ, საშიში უკვე აღარაფერი. ერთი სიტყვი, დემიანს პატრონობა და ყურადღება არ დაკლებია და ორიოდ დღის შემდეგ მთელი

ქალაქი ულოცავდა გადარჩენას. ძლივს დაიჭერა დემიანმაც, რომ სიკვდილს ბრძკვალეზიდან დაუსხლტა. თავდაპირველად ძალიან იყო შეშინებული და სულ ის წერილები ელანდებოდა, პარტნიორები რომ მიიღებდნენ მისი ვადაცვალეზის შემდეგ: „დევდარიანი მოულოდნელად წავიდა ჩვენგან. ღრმად დამწუხრებული ოჯახი“. მორჩა და გათავდა. რამდენ რვეულში გადაიხაზებოდა მისი ქულები, ნახევარქულები, ნულები. ვადიხაზებოდა მისი სახელი და გვარი. დარჩებოდა სადღაც, რომელიღაც საქადრაკო ბიულეტენში თუ ეურნალში ვინ იცის როდის გამოქვეყნებული ორიოდ პარტია დევდარიან-ჯუშამიარადოვისა, რომელიც მან ბრწყინვალე იერიშით დაასრულა, და აირაპეტრიან-დევდარიანისა, რომელშიც იგი, მეცდარი სადებიუტო სტრატეგიის გამო, მეცხრე სვლაზე მოწინააღმდეგის გამანადგურებელ იერიშში მოექცა და მეთექვსმეტე სვლაზე ფარხმალი დაყარა... აღბათ რამდენიმე წელს კიდევ მოიხსენებდნენ შარა-გენიგის გამბიტი ერთ-ერთ უიველეს ვარიანტში საკმაოდ გონებაშავილურ სვლას დევდარიანის იერიშის სახელწოდებით. მოიხსენიებს ვილაც გამოუსწორებელი ანალიტიკოსი და მკვლევარი, თორემ ვის რაში დასჭირდება დღეს შარა-გენიგის გამბიტი და, მით უმეტეს, მისი რომელიღაც მივიწყებული ვარიანტის მეჩვიდმეტე სვლაზე დევდარიანის იერიშში... ეს იყო და ეს მთელი მისი შემკვიდრობა. ამას შესწირა თავისი შემოქმედებითი ძალეზის გაფურჩქენისა და აყვავების ოცდახუთი წელი.

ამ ოცდახუთი წლის მანძილზე ორჯერ ჰქონდა შემთხვევა, პარტნიორი ხელიდან (ანუ სატურნირო რვეულიდან) რომ გამოეცალა. ერთი მათგანი იყო ორმოცდათვრამეტი წლის აგრონომი ჩელიაბინსკის ოლქის რომელიღაც საბჭოთა მეურნეობიდან. კარგა ხანს ელოდა მის წერილებს დემიანი, ბოლოს განმეორებით მისწერა და პა-

რტნიორის ქალიშვილისაგან მიიღო მოკლე პასუხი: „მამაჩემი გარდაიცვალა“. მეორე—ოცდახუთმეტი წლის ნორილსკელი ინჟინერი: მისი წერილებიც ასევე მოულოდნელად შეწყდა და პასუხი არ მოსულა არც მეორე და არც მესამე შეხსენებაზე. ტურნიორის მონაწილეები უკვე აღშფოთებულ წერილებს გზავნიდნენ მსაჯთან და მამასახლისთან, ეირკოვი აშკარად აბუჩად გვიგდებდნო, არაფერი ჩვენი არ ეყურება და დროის გადაცილებისათვის ყველა პარტიაში წაგება უნდა ჩათვალოს; ბოლოს მამასახლისისგან ცნობა მოვიდა, ხსენებული ინჟინერი ავტოკატასტროფაში დაღუპულა და ამ საპატიო მიზეზის გამო თამაშს ვეღარ გააგრძელებსო. „საწყალი ეირნიკოვი, უთბრა მაშინ ცოლს დემიანმა, რა ნიქიერი ახალგაზრდა კაცი მომკვდარა — უბედურს ტურნიორის დამთავრებამდე მაინც დაცლოდა. ყველაზე მეტ მოგება ჰქონდა, უეჭველად პირველ ადგილს დაისაყუთრებდა და ოსტატობის კანდიდატის ნორმასაც შეასრულებდა, ორი ბალი უკვე ჰქონდაო“. „მამაშინ რაღა მოკლავდაო“, ჩაილაპარაკა ბაბალემ ირონიულად. საერთოდ, რაც დრო გადიოდა, ბაბალეს ირონია ქმრის სპორტული მიღწევებისა და საქმიანობის მიმართ სულ უფრო და უფრო მწიარე და დაუნდობელი ხდებოდა. ამ ორი ათეული წლის წინ, დემიანმა თავის ერთ-ერთ პირველ ტურნიორში ბრწყინვალედ რომ გაიმარჯვა და მეორე თანრიგის ნორმა შეასრულა, ბაბალე ამაცობდა კიდევ თავისი ქმრის მრავალმხრივი ნიჭიერებით. მის გატაცებაში ჭერჭერობით სავანგაშოს ვერაფერს ხედავდა. მაშინ დემიანი ადვილად ახერხებდა დაერწმუნებინა მეუღლე, რომ ეს სპორტი ადამიანისათვის დიდად სასარგებლო იყო (აჩვენეს მას შრომისმოყვარეობას, წიგნთან მუშაობას. ანალიზს, ღრმა თეორიულ მუშაობას, ლოგიკურ აზროვნებას და სხვა და სხვა...), მაშინ დემიანი სწრაფად აგზავნიდა პა-

სუხებს, მაგიადაც წერილებს მარტინსკის ვედებოდა ასე ნერვებით მოშლულად. პარტიები უფრო მოკლე, კომბინაციები უფრო ეფექტური გამოსდიოდა, რომელთაც დიდი სიამოვნებითა და სიამაყით უჩვენებდა ხოლმე მეუღლეს, თუმცა ბაბალემ სვლებიც კი არ იცოდა წესიერად. ასეთი ყოჩაღი თუ იყავი, ცოტა უფრო ადრე მაინც დაგეწყო, აწი რალას უნდა მიიღწიო მნიშვნელოვანს, თითო ტურნიორს ხომ ორ-ორი წელი და ზოგჯერ მეტი დროც უნდებო, ეუბნებოდა ბაბალე. ჰო, დაეთანხმა დემიანი, ცოტა მართლა დავიგვიანე, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. ამის შემდეგ დემიანს ხუთი წელი და სამი ტურნიორი დასჭირდა. პირველი თანრიგის ნორმა რომ შეესრულებინა, მეტე კი მთელი რვა წელი და თორმეტი ტურნიორი მოუნდა კანდიდატის ორი ბალის შეგროვებას.

აქ კი საქმე გაჩერდა... ცოლი უკვე სერიოზულად ნერვიულობდა და გაბედულად გამოთქვამდა უმაყოფილებას და დემიანიც ვერ მიმხვდარიყო. რა ემართებოდა. თითქმის ყოველ ტურნიორში ნახევარ-ნახევარი ქულა აკლდებოდა ოსტატობის კანდიდატობამდე. არ იქნა და ვერ გადალახა ეს მიჯნა. რამდენჯერმე იფიქრა კიდევ, დავანებებდი თავს, მაგრამ ეს ნორმა მაინც შემესრულებინაო. ბაბალესაც პირდებოდა, როგორც კი ოსტატობის კანდიდატი გავხდები, არცერთ ტურნიორში განცხადებას აღარ გავგზავნიო. რომ აღარ დაადგა საშველი. მეუღლის რჩევით სპორტსმენისათვის საჩოთირო გზასაც კი დაადგა (ო, ეს ქალები!), ერთ პარტნიორს, რომელსაც უკვე მოესწრო ყველა პარტიის წაგება და მხოლოდ დემიანთან ჰქონდა უკეთესი მდგომარეობა, მისწერა (მგონი გუსევი თუ უტკინი იყო გვირად). ამ პარტიას თქვენთან ალბათ წავაგებ. ბევრად უკეთესი პოზიცია გაქვთ. შე კი ძალიან მჭირდება ნახევარი ქულა. კანდიდატის ნორმას ვასრულებო. თქვენთან ყაიპს

რომ მივალწვედე რამენიარად, ჩემს ბედს ძალი არ დაჰყვესო. როგორც შევატყუე, ეს ნახევარი ქულა თქვენს სატურნირო მდგომარეობაში დიდ ცვლილებებს ვერ შეიტანსო. უტყინმა მოსწერა, ჰა ბურთი და მოედანი, მოიპოვე შენი ნახევარი ქულა, თუ ვაეკაცი ხარო. შემდეგ წერილში დემიანმა უფრო დააზუსტა თავისი სურვილი, მართალია არასპორტული საქციელია, მაგრამ ვებედავ, ნახევარი ქულა უნდა გთხოვოო. თქვენი დიდად პატივცემული ვიქნები მუდამ, ვალში არავითარ შემთხვევაში არ დაგჩივითო. აღშფოთებულმა გუსევმა (თუ უტყინმა) ეს წერილი მამასახლისს გადაუგზავნა, დევედარიანი ახლავე ტურნირიდან გააგდეთ, ქრთამი შემომთავაზა და ნახევარი ქულის ჩუქება მთხოვაო. მამასახლისი დემიანთან დამაკაცებელი იყო, ცხადია (დაუსწრებლად): მან დემიანს მოსწერა, თუ ასე გკონდა საქმე, რატომ დროზე არ შემატყობინე, ნახევარ ქულას როგორ ვერ გამოვინებდი, ეს კრეტინი უტყინი რას მოგცემსო. რაკი მამასახლისმა უყურადღებოდ დატოვა უტყინის საჩივარი, მან ახლა მთავარ მსაჯთან აფრინა დევედარიანთან ნათამაშევი პარტიის ჩანაწერი, დაწერილებით გააანალიზა მოწინააღმდეგის არასპორტული საქციელი, ყველა სვლა, და კატეგორიულად მოითხოვა, ამ ფაქტზე საჯაროდ ემსჯელათ საქადრაკო პრესაში, უღირსი საქციელისათვის დემიანი ტურნირიდან გაერიცხათ, მისთვის წაგება მიესაჯათ და სპორტული კვალიფიკაცია მოეხსნათ. მსაჯმა მამასახლისს მოსწერა, მაგ საკითხი გაარკვიე და უტყინი თავიდან მომაცილეო. ერთი სიტყვით, ამ თემაზე ტურნირის დამთავრების შემდეგაც კარგა ხანს გრთიდებოდა მიწერა-მოწერა და ვნებათა ლეღვა. უტყინი ადგა და სხვაგან იჩივლა, უფრო მალალ ინსტანციებში, დამნაშავენი ზეიმობენ და აბუჩად მიგდებენო. აქცევდნენ თუ არა მის საჩივრებს ყურადღებას არავინ

იცის, ცხოვრება და ტურნირები მისი სი გზით მიდიოდნენ, მაგრამ დემიანის გრძნობდა, რომ მომჩივანს უკვე ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებდა და ეკლებზე იჯდა. ემინოდა ვაითუ მან ბოლოსდაბოლოს თავისას მიიღწიოს და დისკვალიფიკაცია მომცენო. მან კარგად არც კი იცოდა, თუ რა სასჯელი ელოდა იმ არასპორტული საქციელისათვის, რაც ჩაიდინა.

თითო-ორიოლა მოჩხუბარი, კირვეული პარტნიორი, მაგარი სიტყვებისა და საჩივრების მოყვარული ყოველ ტურნირში გამოერეოდა ხოლმე. მათგან მეტად საინტერესო კოლექციას შეადგენდა აკცი. კონფლიქტი ყოველთვის მოულოდნელად, სავსებით შემთხვევით წამოიჭრებოდა. ზოგჯერ ხდებოდა, რომ წერილი რალაც გაურკვეველი მიზეზების გამო სამი დღის გზას მთელ სამ კვირას მოანდომებდა. ამას, რა თქმა უნდა, შეატყობინებ მოწინააღმდეგეს და თუ არ დაგიჩერებს, წერილს მამასახლისს გადაუგზავნი და იგი შტემშელის შემოწმებით კონფლიქტს ადვილად გადაჭრის. მაგრამ პარტნიორის მოთმინება არ ჰყოფნის, ეკვი არ ეპარება, რომ ატყუებ და დროს იპარავ და მაშინვე გწერს: „ნუ თაღლითობთ, დრო სწორად აღნიშნეთ. გიჩივლებთ მსაჯთან“. ბრახდები შენც და პასუხობ: „ცოტა ზრდილობას მოუხმეთ. თაღლითი თვითონ ბრძანდებით“. ჰოდა ამის შემდეგ ნამდვილი მუშტიკრივი გაჩაღდება (მიწერა-მოწერით). დამაბულობა თანდათან მატულობს და ბოლოს, პარტნიორს სიტყვები რომ არ ყოფნის, გიგზავნის საფოსტო ბარათებს, რომლებზეც გამოსახულია ბეკემოთი, მგელი, მაიქუნი, ნიანგი, მართორქა და სხვა ერთგვარად სახელგატეხილი ცხოველები. არც შენ რჩები ვალში, მაგრამ მაინც მოგებურდება ყველაფერი ეს, ხელს ჩაიქნევ და ლანიღვა-გინებას ყურადღებას აღარ აქცევ. მხოლოდ სვლაზე პასუხობ. პარტნიორიც რწმუნდება, რომ ორთაბრილო-



ამ უაღრესად საინტერესო შეჯიბრში მის სასარგებლოდ დამთავრდა და ისიც უფრო მშრალი, თავშეკავებული და ლაკონური ხდება.

როგორც დავრწმუნდით, კისას თავანისმცემელთა შორის მიმომწერლები მეტად თავისებურ კატეგორიას განეკუთვნებიან, მაგრამ თუ ერთნი „ჰამენ“ ერთმანეთს და დანასისხლად არიან გადაკიდებული, მეორენი ერთ ტურნირს რომ დაამთავრებენ, მაშინვე თანხმდებიან, თუ რომელ შეჯიბრში განაგრძონ ერთად თამაში. ცვლიან ფოტოსურათებს, წიგნებს, სხვადასხვა ამანათებს, ეპატრიებიან ერთმანეთს და ზოგჯერ სტუმრობასაც ახერხებენ. ექვსწლიანი მიწერ-მოწერისა და სამ ტურნირში ერთად თამაშის შემდეგ ერთ ზაფხულს დემიანსაც ეწვია სტუმრად შორეული ბაშკირეთიდან სვიატოსლავ ეგორის ძე იბრაგიმოვი ქალიშვილით, სიითა და ორი შვილიშვილით.

ეს ხუთი სული ერთ „ვოლგაში“ იყო ჩაჭედილი. ყველაზე უფროსი — გადამდგარი პოლკოვნიკი სვიატოსლავ ეგორიჩი სამოცდაათი წლის იყო, ყველაზე უმცროსი სლავა — სამი წლის. ეგორიჩი სიყვარულით მას ჯიგიტს ეძახდა. სლავამ ჩამოსვლისთანავე თავი იმით ისახელა, რომ ბაბალეს მიერ რამდენიმე დღის წინ ინკუბატორიდან სასოებით მოყვანილი ორმოცი წიწილა საიჭიოს გაისტუმრა. სხვები, ესე იგი სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს ეცნობოდნენ, ეზო-კარს ათვლიერებდნენ, ალტაცებს გამოთქვამდნენ, შორეული მგზავრობის სიმძლეეებსა და მიმზიდველობაზე ლაპარაკობდნენ, პატარა ჯიგიტს კი მუყაოს ყუთში ჩასმული მოელურტულე წიწილები ეპოვა, ყუთი გარეთ გამოეტანა, წიწილებს თითო-თითოდ წყლიან ვედროში აყურ-ყუმალავებდა, მერე საპონს წაუსვამდა, ისევ ჩააყურყუძალავებდა, ხელს მაგრად მოუჭერდა და ბოლოს მზის გულზე აწყობდა. თავზარდაცემულმა ბაბა-

ლემ ალერსით რომ ჰკითხავდა: „აქეთებო, სლავამ ალტაცებით მიუგო, ვაბანავებ, ვწურავ და მზის გულზე ვაშრობო. არ შეეხოო, გააფრთხილა, არ გააღვიო, ახლახან დაიძინესო. მზეზე რომ მწკრივად დაწყობილი, „დაძინებული“ წიწილებიდან უმრავლესობას უკვე დამთავრებული ჰქონდა ბედკრული სიცოცხლე, ზოგიც ის იყო სულს ლევდა და უმწეოდ ასავსავებდა ფეხებს. ბაბალე ვალიდოლის გადასაყლაპავად გაქანდა. ბავშვის მშობლები იმ დროს წამოადგნენ თავს ჯიგიტს, თავისი შავი საქმე დამთავრებული რომ ჰქონდა და საშინლად აღშფოთდნენ. ეს რა სისასტიკეა, როგორ არ შეებრალო, ასე თუ გაიზარდა, ბანდიტი გამოვა და რა გვეშველებოო, რა წყალში ჩავარდეთო. დემიანი მთელი ხმით ხარხარებდა, ცდილობდა თავისი გულისწყრომა ამით დაეფარა. ხარხარებდა ეგორიჩიც (დემიანს ხათრს არ უტეხდა) და გაიიახობდა: „არ ნამდვილი ჯიგიტია აი ჰკეთის კოლოფი!“

დიდი მშვიდობა არც სლავას უფროსი მამა პეტკა აღმოჩნდა. სულ რაღაცს უდარაჯებდა მონადირე კატასავით, სულ სადღაც დაძვრებოდა და დასუნსულებდა, ყოველ წუთს საიებარი იყო: მშობლები გამწარებული დასდევდნენ ავალდაკვალ, ეტყობა, კარგად იცნობდნენ მის ხასიათს. ყველაზე მეტად იმის ეშინოდათ, მდინარეში არ ჩავიდეს და არ დაიხრჩოსო, მაინც ახერხებდა გაპარვას და გაუჩინაობას. ისიც კი მოახერხა, რომ მდინარეში ფონი მოძებნა, გაღმა გავიდა. ტყეს შეუყვია, სადღაც მარჯის სოროს მიავნო, შეივრა და გაეჩხირა კიდევ შიგ. პეტკას გაუჩინარება მოგვიანებით შენიშნეს, გულგახებთქილი ნინა და ანდრეი მაშინვე მდინარეს მისცვიდნენ. პეტკა, პეტკაო, გაჰკიოდნენ სასოწარკვეთილი, მაგრამ მათი ხმა მდინარის ხმაურში ინთქმებოდა. ბიჭის ნაკვალევით კი ვერსად იპოვის თანა-

დვილდო, იწიკლ



კეცა. გაფითრებული ანდრეი ძლიეს დალასლასებდა. მუხლები ეკეცებოდა, მიშველეთო, ეხვეწებოდა ერთსა და მეორეს. ეგორიჩი უაზროდ დარბოდა მდინარის გაღმა-გამოღმა, რამდენიმე წამში მთელი ქუჩა ფეხზე დადგა, საი-ღახლაც ბადეები მოარბენინეს და მდინარის კალაპოტი ორ-სამ ადგილას გადაკეტეს, წყალმა ზღვაში არ ჩაიტანოს, დამხრჩვალ მინც არ დაგვეკარგოსო. თითქმის არავის არ ეპარებოდა ეჭვი, რომ ბავშვი დაიღუპა, მოვალეობის მოხდის მიზნით თუ ეძებდნენ ტყეში და ღრეში, გორაკებზე, ჩირგვებში, ახლო-მახლო სოფლებში. შეიძრა, შეწუხდა დიდი და პატარა, მთელი ქალაქი, რაიონი. პირველად ერთი სოფლელი ქალი წააწყდა მაჩვის სოროდან ამოჩრილ ბავშვის ფეხებს, ივივლა და წაიქცა იქვე. ცალკე ის გახდა საპატრონო და მოსაბრუნებელი და ცალკე ბავშვი, რომელიც ყველასთვის გასაოცრად ცოცხალი და უვნებელი აღმოჩნდა. სოროში გაკვეხებული ტირილით დაოსებულები და ჩასძინებოდა.

ბავშვირელი სტუმრები სამხრეთისაკენ მზის საძებრად წამოსულიყვნენ. იმოდენა გზა ისე გამოველოთ, რაღაც ბედად სულ ღრუბლიანი ამინდები შეხვედროდათ და მზე კიდევ უფრო მონატრებოდათ. მაგრამ როგორც კი სამხრეთის ამ პატარა ქალაქში ამოყვეს თავი, მზემაც გამოაჩინა თავისი ძალა და სიფიცხე, — დააცხუნა უმოწყალოდ. ქალაქის მცხოვრებლები ჩვეულებსამებრ ჩრდილში მიძვრებოდნენ მზის შმაგი სხივებისაგან თავდასაცავად. სტუმრები კი გაშტერებული შლიდნენ ხელებს, ეს ხომ სასწაულიაო, ვაიხადეს ტანზე და მთელი დღე ასე დარბოდნენ ეზოში დიდიან-პატარაიანად, ხან მდინარეში ჩაყვივდებოდნენ, ხან ნაპირზე წამოწებოდნენ. რას შვრებით, მზე დაგწვავთ, ზევით ამოდით, ტანზე ჩაიცივითო, ეხვეწებოდა მათ დემიანი, ბავშვები მინც შეიბრა-

ლეთო, ეხმარებოდა ქმარს მზისაქვე მზეს როგორ დავემალოთ, ამისთვის გამოვიარეთ ამოდენა გზაო, ვაიხადნენ სტუმრები, საღამოს კი მთელი ქუჩა მათი სიბრაღულით იწვოდა, ვინ მაწონს მოარბენინებდა, ვინ ზეთს, ვინ დამწერის წამალს. მთელი ორი-სამი დღე დასჭირდათ. სანამ აღამიანურად დაწვებოდნენ, დაჭდებოდნენ ან გაივლ-გამოივლიდნენ.

კარგად რომ მოშუშდნენ, მანქანაში ჩასხდნენ და ზღვისკენ გასწიეს. ზღვა ოციოდე კილომეტრზე იყო ქალაქიდან. საღამოს მეტისმეტად კმაყოფილი დაბრუნდნენ და განაცხადეს, სწორედ იმისთვის ჩამოვედით, რომ ეს ჩვენი სამიოდე კვირა ზღვაზე გავატაროთო. ზღვაც აქვეაო, თქვა დემიანმა, მადლობა ღმერთს, მანქანით ხართ ჩამოსული. წაბრძანდით, ბატონო, თუ გინდათ მთელი დღე იქ ინებვირეთ და ინეტარეთ, მაგრამ ღამე ჩემს ოჯახში უნდა გაათიოთო. განა სულერთი არ არის? რატომ უნდა ეძებოთ იქ ბინა, როცა აქა მაქვს სახლიცა და კარიც, ეზოცა და მისი მიდამოებიც. ყველაფერი თქვენს განკარგულებაშიაო. ჩვენ ბინის ძებნას სულაც არ ვაპირებთ, თქვა სიფემ, კარავი გვაქვს წამოღებული. როგორ? აღშფოთდა დემიანი, ხუთი სული ერთ კარავში? რა კარავია ამისთანა? ჩემი სტუმრები ღამეს კარავში გაათევენ და მე თავი გამოვყო სირცხვილნაჭამმა ამ ქვეყანაზე. რატომ ხუთი? მხოლოდ სამნი. ორნი თავისუფლად მოთავსდებიან მანქანაში. ჩვენ თავიდანვე ასე გეკონდა დაგეგმილი, როცა აქეთ მოვდიოდით. არა, არა! თავი მომეჭრა და ეგ არის. აქედან ზღვამდე ნახევარი საათის გზაა. ჩემი სახლი კი თქვენი სახლია. ნუ ხარ შენ ახირებუ-ლი კაცი, მორიდებულად შენიშნა ბაბაღემ, დაიჩემებ რაღაცას და აღარ გადათქვამ. სად ზღვის პერი და სად ეს ჩვენი ქაობი, კოლოები სულს გვართმევენ. ბოლოს ეგორიჩმა წარმოსთქვა: რახან ჩვენი მასპინძელი ასე ხელ-

გაშლილად, გულუბვად და გულწრფელად, ასეთი სიხარულით გვთავაზობს თავის ბინასა და ეზო-მიდამოს. დიდ უმადურობად, თითქმის უზრდელობად მიმაჩნია მისი ჭეშმარიტად ქართული სტუმართმოყვარეობით ზრ ვისარგებლო. ამის შემდეგ როგორღა უნდა გავათიო ღამე კარავში, ან მანქანაში?

მშვენიერი ამინდები დაიჭირა. სტუმრები დილით, საუზმის შემდეგ მანქანაში სხდებოდნენ და ზღვისკენ მიეშურებოდნენ, საღამოს კი, გულუბვ მასპინძელს რომ არ სწყენოდა, უკან ბრუნდებოდნენ და შუალამემდე ისმობდა დემიანის ეზოში ხმამაღალი სადღეგრძელოებზე ხორხორცი, რუსულ-ქართულ-ბაშკირული სიმღერები, ერთგულეებისა და სიყვარულის ფიცი. ისევ დადგა დემიანის მაგიდაზე უპასუხო წერილების გროვა... ეგორიჩი „ბლიცის“ დიდი მოყვარული აღმოჩნდა, საქადრავო საათიც კი წამოეღო თან, ვაითუ დემიანს არ ჰქონდესო. მან დამაჯერებლად აიღო რევანში დემიანთან მიწერ-მოწერით წაგებული სამი პარტიისათვის. დემიანს უჭირდა „ბლიცის“ თამაში და არც ეტანებოდა. მეტიცმეტად არასერიოზული საქმეაო, ამბობდა. ამჯერად ლევანიკას მოუხდა ოჯახისა და ქალაქის ღირსების გადარჩენა, მან პირდაპირ „ფეხებქვეშ გაიგდო“ ორბალიანი პოლკოვნიკი, სული არ მოათქმევინა, მწარედ ანანა უფადან საქადრავო საათის წამოღება.

ხანდახან, როცა მასპინძლები განსაკუთრებით კარგ გუნებაზე იყვნენ. ნინა და ანდრეი დიდი სიფრთხილითა და მორიდებით ჩაურთავდნენ საუბარში, მთელი ჩვენი სიცოცხლის ოცნება იყო ერთი ღამე მაინც გაგვეთია ზღვის ნაპირას კარავშიო. კარავიც ამ მიზნით შევიძინეთ, ბოლოსდაბოლოს შინ რომ დავბრუნდებით, რა ვთქვათ, როგორ გავაზიხლოთ ნაცნობ-მეგობრებთან, რომ კარავში არ გაგვეთევიო, ჩემი აზრით, აცმა ყველაფერი უნდა გამოსცადოსო, შეიბრაღა სტუმრები ბაბაღემ, ზღვის-

პირას კარავში ღამეს მეც სტუმრები გავათევიო. როგორც იქნა ნინამ და ანდრეიმ დემიანს ნებათვა დასტუყეს და ერთ საღამოს სანუყვარ ოცნებას ხორცი შეასხეს -- ზღვისპირას კარავი გაშალეს. ეგორიჩს თავის შვილიშვილებთან ეთინა მანქანაში, რაც, აშკარად ეტყობოდა, დიდად არ ეხალისებოდა. სული მოითქვა ბაბაღემ, დემიანი კი წერილების გროვას მიეარდა. ორიოდ დღის შემდეგ გულმა მაინც არ მოუთმინა და სტუმრებს ჩააეთხა და რაკი დარწმუნდა, რომ ისინი მშვენიერად დაბანაკებულნიყვნენ და თავს კარგად გრძობდნენ, დამშვიდებული და ვალმობილი დაბრუნდა შინ. ბაბაღემაც ისევ მოიყვანა ორმოციოდ ბუნჩულა წიწილა. ცხოვრება კალაპოტში ჩადგა, თავისი გზით წავიდა. შეთხელდა წერილების გროვა, მაგრამ მოულოდნელად ამინდი შეიცვალა. დაიწყო კოკისპირული წვიმები, ზღვა ამღვრა და აღელდა, ნაპირი დატოვა და კარავს შემოუდგა. სტუმრებმა ილივს მოასწარეს კარვის მოხსნა, დაღონებულები ქალაქისაკენ გამოქანდნენ. მერე მთელი კვირა ამოდ ელოდნენ გამოდარებას, ამასობაში შეებულემაც მიიწურა და გულდაწყვეტილები გაუდგნენ სამშობლოსაკენ მიმავალ ვრძელ გზას. ბაბაღემაც გამოიყვანა თავისი ორმოცი წიწილა ღრმა იატაკქვეშეთიდან. პატარა ჩიგიტის მერე მიყენებულ ზარალზე დარდის გამოწელება მას დიდად არ გასჭირვებია. წიწილა მაინც წიწილააო, ფიქრობდა. თავი და თავი აქ მაინც სულ სხვა რამ იყო: ბაბაღეს ქმარი ეცლებოდა ხელიდან. დემიანი ცდილობდა დაემშვიდებინა მეუღლე, რომ საგანგაშო არაფერი იყო, უმტყიცებდა, კაცი ვარ, ღმერთმა მოჭარბებულად მომცა ძალა და ენერგია, ბრძოლისა და გამარჯვების ეინი და წყურვილი, რაც დაკმაყოფილებას საჭიროებსო. ბრძოლა და გამარჯვება ადამიანის უმაღლესი ნეტარება, მისი არსებობის გამართლება, სიცოცხლის არსი და დანიშნუ-

ლებო. მერე, შე კი კაცო, — პასუხობდა ბაბაღე, — რაღა მაგ უჩინარ, უხილავ მეტოქეს ეჯიბრები საღდაც უფასა და კრემენჩუგში, აქ ცოტა გაქვს საბრძოლო და საჯახირო? აგერ არა გაქვს ცხვირწინ ბრძოლის ასპარეზი? იბრძოლე, გაიმარჯვე, ინეტარე. და ამთავრე მაგ შენი უბედური დისერტაცია, რაღა ბრძოლის ეინი და წყურვილია მაგ, როცა სინამდვილეში ყველაფერზე ხელი გაქვს ჩაქნული, ყველაფერი დათმო. შენ რასაც მიკიეინებ, მაგისტვის ბრძოლა მე ჩემი ღირსების დამამცილებლად მიმაჩნიაო, მტკიცედ მიუგო დემიანმა. ძალიან ვთხოვ თავი დამანებო. ქალიც ანებებდა თავს, თუმცა ვერ ხვდებოდა, რა მიაჩნდა დემიანს თავისი ღირსების დამცილებად და რატომ. ითმენდა, მაგრამ მოთმინებასაც ჰქონდა საზღვარი.

ერთ საღამოს გვიანობამდე შერჩა თავის ოთახს დემიანი. მთელი ათი დღე ძალიან დატვირთული იყო გაზეთის საქმეებით. ჭერ თბილისში გაგზავნეს მივლინებით რაღაც საქმეზე, მერე მთაში ფერმების შესამოწმებლად წასულ რაიკომის კომისიას ახლდა, ბოლოს მოსკოვში მიავლინეს სასწრაფოდ. შინ დაბრუნებულს ერთი უფთი წერილები დახვდა. მაშინ ოთხ ტურნირში თამაშობდა ერთდროულად და ეს მეტიმეტი აღმოჩნდა. რედაქციიდან მოვიდოდა თუ არა, თავის ოთახში ჩაკეტებოდა და ლამეებს ათენებდა. დილით გამოუთინებელი, დაღლილი, თვალუბაწითლებული მიდიოდა რედაქციაში.

ჰოდა იმ ღამესაც თითქმის გათენებამდე შერჩა თავის ოთახს დემიანი, ცოლმა რომ შემოუღო კარი.

— არ გინავს? — გაიკვირვა დემიანმა..

— არა...

— წადი, დაიბინე. ხომ ხედავ, უკვე შუალამეა.

— შუალამე კი არა, თენდება.

— მით უმეტეს. წადი, წადი...

— არ შეძინება.

დემიანს ჰადრაციის დაფუძნებლის მოჯადოებულებით დაჰყურებდა ფიგურებს.

— დემიან, გადადე ერთი მაგ დაფა გვერდზე.

— აა? რატომ?

ქალი გაბედულად მივიდა და ჰადრაცი გვერდზე გასწია.

— დემიან, რამდენი წერილი სკირდება ერთ ტურნირს?

— დაახლოებით ოთხასი, — მიუგო დემიანმა, ხან ცოტა მეტი, ხან ნაკლები.

— ოთხ ტურნირს ათასექვსასი დასკირდება მაშინ, ხომ?

— კი, დაახლოებით ასეა.

— ორ წელიწადში ათას ექვსას წერილს უნდა უპასუხო?

— მოაწია ასე, რას იზამ.

— ათას ექვსასი... ღმერთო, მიშველე... შენ ჰკუაზე ხარ, დემიან?

დემიანს უკვე დაფისკენ გაეპარებინა თვალეები და ქალის წამოძახილისთვის ყურადღება არც კი მიუქცევია. მიიბე პოზიცია ჰქონდა. სიცოცხლე გაუმწარა ამ პარტიამ. როგორ მოხდა, რომ საქმე აქამდე მივიდა? საოცარია პირდაპირ. ნდობით მიჰყვებოდა ცნობილ, საკმაოდ პოპულარულ, ათასგზის შემოწმებულ ვარიანტს. რამდენ დიდოსტატს უთამაშია ზუსტად ასე და განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. და უკებ ხელში განადგურებულ პოზიცია შერჩა. აშკარა იყო, მის პარტნიორს — თითხმეტი წლის კიეველ მოსწავლეს რაღაც სიხლისთვის მიეგნო. არა, თვითონ რას მიაგნებდა, ალბათ წინ რომელიმე დიდოსტატის, ან ძლიერი ოსტატის სულ ახლახან ნათამაშევი პარტია ედო, რომელსაც დემიანი არ იცნობდა. როგორ გამოეპარა? რამდენი ბიულეტენი რამდენი ეურნალი და კრებულა გადაჩხრიკა. ვერსად ოდნავ მიმსგავსებულსაც კი ვერაფერს მიაგნო. მეთერთმეტე სვლაზე იმ ბავშვმა მხედარი შესწირა, მალე ორი პაიკი მიაციოლა, ბოლოს მთელი ეტლი და ნელ-



ნელა, მეთოდურად აბამდა საშამათო ქსელში. ასეთი შეწირვა ნახსენებიც კი არსად ყოფილა, არცერთ სადებიუტო ცნობარში, იმდენად არასერიოზული მოსჩანდა ერთი შეხედვით.

უკვე მათე დღე იყო, ეს პოზიცია რომ ედო მაგიდაზე გაშლილი. საიმედო არაფერი იყო. დაცვა არ ჩანდა. დრო კი გადიოდა. ერთ სვლაზე მეტის დაგვიანების უფლება არ ჰქონდა. ან უნდა მიეწერა, შესვენებას ვაცხადებო.

დემიანს სულ დაავიწყდა, ბაბაღე თავს რომ ადგა და პასუხს ელოდა.

— ეცო, შენ ჰყუაზე ხარ მეთქი? დემიანმა მეთუღეს ახედა.

— რა გინდა, ქალო შენ?

— დისერტაციას როდის ამთავრებ?

— რა შედისერტაციება ახლა მე? — სცადა ხუმრობა დემიანმა, — ხედავ რა დღეში ვარ? ატყობ, როგორ მიგებს ეს ლაწირაკი?

— დემიან, ჰყუაზე მოდი მეთქი... შეაფურთხე ეშმაკს, დემიან. გადაყარე მაგ დაწვევლილი ფიგურები ფანჯარაში... ცეცხლში ჩაყარე, მოსპე...

და ქაღმა, პირველად თავის სიციცხლეში, გაბედა და დაფას ხელი ჰკრა. ფიგურები იატაკზე მიმოიფანტა.

დემიანი ფეხზე წამოვარდა.

— ქალო, გადი გარეთ!

თვალები გიყვივით უბრიალებდა, ერთიანად ცახცახებდა.

ქალი მიხვდა, ცუდად იყო საქმე. ოთახიდან გავარდა და გაუხდელად შეფრა თავის ლოგინში, თავზე საბანი წაიხურა და გაისუსა. მაინც კარგა ხანს ესმოდა კაცის ყვირილი. ბაბაღეს კი არა, მთელ ქუჩას ესმოდა იმ ღამეს დემიანის ბღღვინვა:

— რა გინდათ ჩემგან... მომეშვით! მომცილდით... დამანებეთ თავი! , არ მინდა, ბატონო, დისერტაცია. არაფერი არ მინდა... რას მერჩით. ჭიბჭირი არ ვარ მე და რეციდივისტი, ქურდი და მორფინისტი, ლოთი და კაცისმკე-

ლელო... ვის რას ეუშავებ? ^{მეტი ვინაა} ხართ? ადამიანები არა ხართ?

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ ნათელა დაარწმუნეს, რომ მამამისს უკვე აღარაფერი უჭირდა. ბილეთი აუღეს და თბილისის მატარებელზე დასვეს. ბაბაღეც უფრო ხშირად მიდიოდა შინ. საბლ-კარისთვის რომ მიეხედა. გაკვეთილების შემდეგ ლევანიკა პირდაპირ მამასთან მოდიოდა საავადმყოფოში. ბიჭი იალიან წუხდა, რომ მამა მის სიტყვებზე გაბდა ასე ცუდად თუმცა ვერასვლით ვერ მიმხვდარიყო, რატომ უნდა სწყენოდა მამას. მეშვიდეს რომ უგებდა. ეტყობა მეტისმეტად გაუხარდა, დაასკვნა ბოლოს. მეტისმეტმა სიხარულმაც ხომ შეიძლება კაცს ავნოსო. მან, რა თქმა უნდა, არ იცოდა, თუ სად იყო იმ ერთ კვირას დემიანი, სახლიდან რომ გაიქცა, სად მოგზაურობდა და რა მიზნით. საიდან გაოგებდა, რომ დემიანმა იმ შორეულ დაბაში თავისი ჩასვლით სამუდამოდ დაკარგა კანდიდატის ნორმის შესრულების უკანასკნელი შანსი. თურმე ის სვლა რომ არ შეეცვალა, ყველაფერი რიგზე იყო. ახლა კი... თუმცა იმედის პატარა ნაპერწკალი მაინც ბეტუავდა. პილაიკინის პასუხი ჯერ მოსული არ იყო. პოდა, ხომ შეიძლებოდა, წამით იმ ბერიკაცსაც გადაფარებოდა თვალზე ლიბრი და ვერ დაენახა პატარა კომბინაცია, რითაც მხედარს იგებდა? რა არ ხდება, მოხუცი კაცია, პენსიონერი. და ასე თუ მოხდა, დემიანი ნახევარ ქულას გადაარჩენს. ეს კი საკმარისია კანდიდატობისათვის. ეგა, კაცმა რომ თქვას, სკორდება კი დემიანს ეს კანდიდატობა? რა ჩანდაბად უნდა, ყველაფერს აქვს თავისი ბოლო, ეყოფა. მთელი ოცდახუთი წელი რა აკეთა მეტი? ცოტა დროა? ეს ხომ მთელი ცხოვრებაა. ისე კი, ნეტა პილაიკინი იმ კომბინაციას ვერ დაინახავდეს... აკი თვითონაც ვერ დაინახა. სამი დღე იმ პოზიციას დას-



ჩერებოდა და მაინც ვერ დაინახა. რატომ უნდა დაინახოს მაინცდამაინც იმ ბერიკაცმა?

მეხუთე დღეს, როცა მისი ვარაუდით პილაიკინის წერილი მოსული უნდა ყოფილიყო, ბიჭს ჰკითხა:

— რა ამბავია შინ, ლევანია, მოდის და მოდის წერილები, ხომ?

— მოდის და მიდის კიდევ...

— რაო? — შეჰყვირა დემიანმა, — სად მიდის?

— სადაც საჭიროა...

დემიანი საწოლზე წამოჯდა, ამის უფლება მას უკვე მოპოვებული ჰქონდა.

— ლევანია, შენ სხვანაირად ლაპარაკობ რაღაცა...

— რატომ ვლაპარაკობ სხვანაირად... შენ ახლა პასუხის გაგზავნის თავი გაქვს? მე ვპასუხობ.

— შენ?

— ჰო, მე... დიდი ამბავია თუ?

— ბიჭო, შენი პასუხი ივარგებს?

— ივარგებს, -- თავდაჭერებულად მიუგო ბიჭმა.

დემიანმა ხელი ჩაიჭნია და ისევ წამოწვა. ჩამოყარა ყველაფერი წყალშიო, გაივლო გუნებაში. სხვას ვინ ჩივის, მოგებულ პოზიციებსაც წამოხდენსო... თუმცა, ჰქონდა კი ამას რამე მნიშვნელობა? წაახდინოს, თუ წაახდენს. რაში მენალელება!

ამოიოხრა და კედლისკენ გადაბრუნდა. კაი ხანს არ ამოუღია ხმა. ბიჭს ეგონა, სძინავსო, ჩანთა გახსნა, წიგნები ამოაწყო და გაკვეთილების სწავლას შეუდგა. ამ დროს დემიანმა ჰკითხა.

— მეშვიდეს წერილი მოვიდა?

— მოვიდა.

— რაო, რა სვლას მიგზავნის?

— იქ სვლა არ წერია!

დემიანი გადმობრუნდა.

— აბა?

— გნებდება.

— რაო? მნებდებაო? რატომ მნებდება?

— როგორ თუ რატომ...
და...

დემიანს თავბრუ დაეხვა. გულისცემა ოდნავ გაუხშირდა, პირალმა დაწვა, გაირინდა, თვალები დახუჭა.

— რას შერები, მამა. ექიმს ხომ არ დავუძახო?

აღბათ კუდი ფერი მაქვსო, გაიფიქრა დემიანმა.

— არა, ლევანია, ნუ გეშინია!

გაირინდებული, თვალდახუჭული იწვა წამით ჩაიხინა კიდევ. ბიჭი შეშინებული შეჰყურებდა მამას. დემიანს რამდენიმე წუთის შემდეგ გამოეღვიძა. თავს კარგად გრძობდა. შიშმაკ გაუქარა.

ბიჭიც დამშვიდდა. კითხვა განაგრძო.

— სულ ეგ არის? მეტს არაფერს მწერს?

— ავადმყოფობის გამო ტურნირიდან გავდივარო. ყველა დაუმთავრებელ პარტიას ვთმობო.

დემიანს მეტი არაფერი უკითხავს. თვალდახუჭული იწვა, თანაბრად, მშვიდად სუნთქავდა და ბიჭს ეგონა, დაიხინაო. საღამოს ბაბაღეც მოვიდა. ლევანიამ ხელით ანიშნა დედას, ავადმყოფს სძინავსო, მერე თავისი წიგნები და რვეულები ჩანთაში ჩააწყო და შინისაკენ გასწია. ბაბაღე უმზერდა დემიანის მშვიდ სახეს, უსმენდა მის თანაბარ სუნთქვას და კიდევ უფრო უმტკიცდებოდა იმედი, რომ ჭმარი ზიფათს გადაურჩა, მობრუნდა სიციხისაკენ. ამიერიდან ქალი ძუ ვეფხევით შეუპოვრად ჩადგება დემიანსა და იმ დაწყვეტილ წერილებს შორის. არა, აწი აღარ დაიხვევს უკან, აღარაფერს შეუშინდება ჭმარის სიციხის, ჯანმრთელობის გულისათვის. რაც იყო, იყო. რა იყოღა, აქამდე მივიდოდა საქმე, თორემ აღრევე გამოაჩენდა ვეფხვის ბრჭყალებს. იძინე, ჩემო დემიან, იძინე, გამოჯანმრთელდი, დაუბრუნდი შენს ოჯახს.

მაგრამ დემიანს არ ეძინა და არც

ისე დამშვიდებული და დაწყნარებული იყო, როგორც მის ცოლ-შვილს ეგონა. დემიანი თავის უიღბლო, სტუდენტობისდროინდელ სიყვარულზე ფიქრობდა. გოგო მისი თანაკურსელი იყო. თამილა ერქვა. განსაკუთრებული მას არაფერი ჰქონდა: როგორც იტყვიან, საესებით ჩვეულებრივი გოგო იყო. თუნდაც ცოტა უფრო მეტი, ვიდრე ჩვეულებრივი: ლამაზი, ხალისიანი, კეთილი, ჰევიანი, ნაზი, ალერსიანი. კი, ბატონო, კარგი გოგო იყო, ვინ უარყოფს, მაგრამ ისეთი მაინც არა, რომ შეხედავ და გადაირევი კაცი, ეს რა ვიხილეო. ასეთი გოგოები საკმაოდ ბევრია. პირველ დანახვაზე არც დემიანი გადარეულა მისთვის. ეგ კი არა, იმასაც კი ფიქრობდა, ამ გოგოს არა უშავს, ჩემი დასაწყნარი არაფერი სჭირს, მაგრამ იქნებ უკეთესს შევხვდეთ და, ცოდვა გამხელილი სჯობს, შესაყვარებლად უკეთესს ვიებდა. მერე ცოტათი შეიცვალა აზრი. ამ გოგოს აშკარად ვატყობ, მოვწონვარო და რაღა სხვას ვეიებო. მაინც თავს იჭერდა თამილასთან სიყვარულზე ლაპარაკისაგან, იქნება მერე სხვა მომეწონოს, სხვა შემიყვარდეს და ვაითუ ამ კეთილ გოგოს გული ვატყინოო. ცოტას კიდევ მოვიცდი, თამილა არსად გარბისო. აშკარა იყო, რომ ოქროსფერთმიანი, ოქროს მშვილდისრით აღჭურვილი, ვერაგი, დაუნდობელი, სასტიკი, შეუბრალებელი, ისრის უზუსტეს სროლაში გაწაფული ყმაწვილი შორიახლოს უტრიალებდა დემიანს და გუნებაში მზაკვრულად იცინოდა. ბოლოს მასაც მოხეზრდა კატა-თაგვობანას თამაში და თავისი მოწამლული ისარი დემიანს ზედ გულის ფიცარზე დააქვდა.

სამინელი სენი ელვის სისწრაფით დაეუფლა დემიანის სულსა და ხორცს. იგი ვერასდროს ვერ წარმოიდგენდა, რომ შეიძლებოდა ადამიანს ასეთი რამ დამართოდა. ალბათ ვერც სხვა ვინმე წარმოიდგენს, თუ პირადად არ გამოსცდის. არა, ეს არ ყოფილა სიყვარული,

ეს ნამდვილად ავადმყოფობა იყო. თანავეი, გამანადგურებელი, მიწასთან გამასწორებელი სენი, რომელსაც დემიანი სამკვდრო-სასიცოცხლოდ, სასწარკვევით შერკინებოდა. როგორც კი თამილა ვაჟის თვალსაწიერზე გამოჩნდებოდა (ეს კი ჩვეულებრივი ამბავი იყო — ისინი ხომ ერთ კურსზე სწავლობდნენ), ვაჟი უცნაური, სასტიკი, რაღაც არამიწიერი სიძლის მავნიტურ ველში მოექცეოდა, სული და გული ერთიანად აუფორიატდებოდა და აუწრიალდებოდა. კარგავდა ნორმალური აზროვნების, მსჯელობის, ლაპარაკის, ქცევის უნარს: გამოტყინდებოდა, გამოშტერდებოდა. გოგოს უბრალო მისალმებაზე, გამოხედვაზეც კი გაწითლდებოდა, გაყვითლდებოდა, დამბლა დაეცემოდა. ოო, არა, ეს ნამდვილი უბედურება იყო. მტერსაც არ უსურვებს დემიანი ასეთ სიყვარულს, თუ კი ეს სიყვარული იყო... გააფთრებული, გამაგებული, სახეში მუშტებს იშენდა, ლამის საკუთარი ხელებით გამოეგლაჯა ყელი. თავის გრძნობებზე ლაპარაკს როგორ გაუბედავდა გოგოს, როცა მისი სახელის გაგონებაზეც კი ელეთ-მელეთი მოსდიოდა. ანდა ღირდა კი მასთან სიყვარულზე ლაპარაკი, რამე სასწაულით კიდევ რომ მოეხერხებინა ეს? არ ღირდა, ატყობდა, რომ არ ღირდა.

გოგო ახლა აშკარად გაურბოდა მას, უკვე აღარ მოსწონდა ვაჟი, აღარ სჭირდებოდა მისი სიყვარული. შეიძლება ეზიზღებოდა კიდევ და ვერც გაამტყუნებდი — რომელ ქალიშვილს მოეწონება, შეუყვარდება ასე დამბლად-ცემული, გამოთავყანებული და გასაკოდავებული მოტრფიალე ქალებს ხომ, როგორც წესი, მოსწონთ ძლიერი, გონებაშეხველი, ენაშეხველი, დალაგებული ვაჟები, დემიანს კი რა დალაგებდა, რა მისცემდა, რა აღუდგენდა წართმეულ ძალას. რა გაუხსნიდა, გაუნათებდა დაბნელებულ გონებას.

საქმე იქამდეც კი მივიდა რომ გამე-

ლავნების მაგივრად, რაც კი შეეძლო, ცდილობდა დაემაღლა, შეენიღბა თავისი სიყვარული, თავი თამილასთვის ისე მოეჩვენებინა, რომ ფრჩხილადაც არ უღორდა იგი. ფიქრობდა, როგორც კი გოგო გაიგებს, თუ როგორ მიყვარს, რა დღეში ჩამავდო მისმა სიყვარულმა, კიდევ უფრო შეეზიზღდება და შევტულდება. წავალ, სადმე გადავიყარებო. და მანამ არ დაებრუნდება, სანამ ამ სენისაგან არ განეთავისუფლებო. მაგრამ მაინც რომ ვერ მიდიოდა? სიცოცხლე არ შეეძლო, თუ კვირაში ერთხელ მაინც არ დაინახავდა გოგოს. კვირაში ერთხელ? არა, ეს ძალიან ცოტა იყო. მისთვის უბედური, აუტანელი იყო ყოველი დღე, თამილას თუ ვერ ნახავდა. მაშინ მას აღარაფერი ახარებდა, არაფერი ამქვეყნიური არ ეყურებოდა. რამდენჯერ შეღალამებდე უხეტიალი იმ უბანში, სადაც თამილა ცხოვრობდა, იქნება სადმე თვალი მოკვრა, იქნება მისი ხმა გავიგონო. ჯამუშოვით ხეებს, კედლებს, ჩიხურებს მოფარებული თვალს ადევნებდა გამკვლელ-გამომკვლელს.

არა, დემიანმა როგორ არ სცადა ებრაილა თავისი ბედნიერებისათვის. ამას ვერ დაუტარგავთ. იგი ხშირად ფიქრობდა, და სავსებით სწორად, ვინ რა იცის, მე გულში რას ვმღერვიარ, მოდი გავაგებინებ თამილას, თუ რა დღეში ჩამავდო მისმა სიყვარულმა, იქნება გამიგოს, შემიბრალოს, შემიყვაროსო. იქნება ელოდება ის გოგო, როდის მივალ და ვეტყუი რაც მაწუხებს, მე კი ღობე-უორეს ვეფარებო. მაგრამ რომ ვერ შეძლო? რომ ვერ მოახერხა? ყველა მისი ცდა კატასტროფით დასრულდა. ჩვენს შორის რომ დარჩეს, საქმე ცდამდე არც კი მისულა. რამდენჯერმე ათათ გვერდიანი წერილი დაწერა... მთელი კვირაობით წერდა, შლიდა, ასწორებდა, გადაწერდა, ისევ შლიდა და ასწორებდა, რალაცას უმატებდა, რალაცას აკლებდა. ბოლოს იფიქრებდა, ვოგოს თითქმის ყოველდღე ვხვდები

და ამსიგრეე წერილს რომ მიმიღებ, ჩემგან, ხომ მოკვდება სიცოცხლი. მაშინვე ნაუწუებად აქცევდა იმ წერილებს. მერე ლექსების წერას მიჰყო ხელი. გადაწყვეტილი ჰქონდა, ბოლოს ლექსების რვეული თამილასთვის ეჩუქებინა. არაფერი გამოვიდა არც ამ წამოწყებიდან. დემიანის ტანჯული ლექსები ყველამ წაიკითხა მის კურსზე, აქებდნენ, ყოჩაღ. პოეტი ყოფილხარო, ეხუმრებოდნენ — მართლა ასე შეყვარებული ხარ, თუ ფანტაზიებში დაეხეტებო, ყველაფრის გამოგონება როგორ შეგიძლიათ ამ პოეტებსო. თამილამაც წაიკითხა და უთხრა, შე საცოდაო, ვინ დაგწვა და ვინ მოგიღო ასე ბოლოო. მან კი ისიც ვერ გაბედა ეთქვა. შენ ხარ ის ერთადერთი. ვისთვისაც და ვისზედაც ლექსებს ვწერო, ეს ლექსები შენ გეუთვნისო. განა არ იცოდა, რა უნდა ექნა — უნდა ეყვირა, ებღავლა მთელი ქვეყნის გასაგონად, შენ ხარ ჩემი მკვლელი და ჩემი მხსნელიო, ჩემი სიცოცხლე და სიკვდილიო... მან კი რა, ხმის ამოღებაც ვერ გაბედა. გაბედა კი არა, მონუსხული, გაქვევებული იდგა და ენის დამკრა რომ დააპირა, ყელიდან უცნაური ხრიული ამოხდა, მტეტი არაფერი.

არიან კაეები, თუ კინმე შეუყვარდათ, ქვეყანას აიკლებენ, გოგოს ხომ გასაქანს არ მისცემენ, ხან უკან დასდევენ ლანდივით, ხან წინ ხედებიან, სულ მის ირგვლივ ტრიალებენ. დღედაღამ სიყვარულზე ჩასჩიჩინებენ. ვის არ ჩაირვევენ საქმეში: გარეშესა და შინაურს, ნათესავს, ნაცნობს, მეგობარს, ამხანაგს, მტერსა და მოყვარეს, დიდსა და პატარას, ბოლოსდაბოლოს, მორტაცებენ კიდევ, თუ სხვა გზით ვერაფერს გახდებიან. დემიანის უბედურება ის იყო, რომ საკუთარ წვენიში იხარშებოდა, უახლოეს მეგობარსაც კი ვერ უმხელდა თავის გასაჭირს. მხოლოდ ერთი, ერთადერთი კაცი დედამიწის ზურგზე გახდა ღირსი ჩაეხედა მისი ტანჯვის უძირო ქაში.

ეს კაცი იყო მისი თანაქორსელის გივი ელერიას მამა — ქრისტეფორე ელერია. დაბალი, სქელი, ბანჯველიანი, ბეჭებში მოხრილი, ავადმყოფი, მეტრისმეტად შეუხედავი კაცი. ყველაფერი სტკიოდა საცოდავს: უჭუი, თირკმელები, ღვიძლი, გული, აწუხებდა რადიკულიტი, ნეკრისის ქარები, ასტმა, ეგზემა, ფსორიაზი. თვითონაც არ ვიცი, სული რაში მადგასო, ამბობდა; მძლოლად მუშაობდა ერთ-ერთ საქალაქთაშორისო ავტობუსზე, სულ გზაში იყო და ძალიან უჭირდა. როგორც კი გივი უმაღლესს დაამთავრებს, მაშინვე მუშაობას თავს დაეანებებო, ამბობდა, დავწვები და ვიმეურნალებო, თუ საერთოდ შეიძლება აწი ჩემი მკურნალობაო, ანდა ლოგინში მაინც მოვკვდები, ვიცი დიდი დღე არა მაქვს, რაც ხანია მიჩერდება ეს დაწყველილი გული და საქვზე რომ მომისწროს სიკვდილმა, იმდენ ხალხს ხომ დავლუპავო, მაგრამ უმთავრესი მაინც ის იყო, რომ ქრისტეფორე წერდა. წერდა ლექსებს, პოემებს, სონეტებს, ბალადებს, კომედიებს, ტრაგედიებს, მოთხრობებს, რომანებს, ფილოსოფიურ და პოლიტიკურ ტრაქტატებს. სამ თვეში ერთხელ ჩამოდიოდა თბილისში ხელნაწერებით სავსე ჩემოდნით, დადიოდა გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებში, გამომცემლობებში. სამი თვის შემდეგ ახლებს ჩამოარიგებდა, ძველებს კი დახვეტავდა, ჩემოდანში ჩააწყობდა და წაიღებდა.

ასე გრძელდებოდა ათეული წლების მანძილზე, დაუსრულებლად. სადღაც დაუბეჭდეს ჯამდენიმე ნაწყვეტი ლექსებიდან, მოთხრობებიდან. აქა-იქ რედაქციებში შემოსული ლექსების მიმოხილვაშიც ახსენებდნენ მის სახელს. ერთი მოზრდილი მოთხრობა წიგნადაც კი გამოსცა. მთელი ოთხი წელი ფრონტზე გაატარა და თავისი განცდები და შთაბეჭდილებები ჰქონდა აღწერილი. გადაყვა იმ წიგნის გამომცემს. მთელი ათი წელი დაჰქონდა გამომცემლობი-

დან გამომცემლობაში. დაუწყებდნენ წაიღებდა, გადაწერდა, გადაამუშავებდა, ათას რამეს გამოაკლებდა, დაუმატებდა, ისევ მოიტანდა, ისევ დაუწუნებდნენ. ბოლოსდაბოლოს, გამოუცეს, შეებრალათ თუ იმედი ჰქონდათ, იქნება ასე მოვიცილოთო, არავინ იცის. წიგნი რომ არაფრად არ ვარგოდა, ამაზე ორი აზრი არ არსებობდა. ოთხი წელი კაცმა სანგარში გაატარა და იმ წიგნს რომ წაიკითხავდი, იფიქრებდი, ვილაყაა, ახლადგამომცხვარი ეურნალისტის, ომი რომ სიზმრადაც არ უნახავს, ნაჯღანნი გადაუწერიო. მეორე გამომცემისთვის რომ დატრიალდა რამდენიმე წლის შემდეგ, უბოდიშოდ გამოისტუმრეს, მაგ წიგნს ერთი გამომცემაც ეყოფაო. გულს მაინც არ იტებდა, ფარხმალს არ ყრიდა. წერდა და წერდა, ძველებს აშალაშინებდა, ხევწდა, ახლებს უმატებდა. სად ჰქონდა მაინც ამდენი დრო საქალაქთაშორისო ავტობუსის მძღოლს, დღე და ღამ საქვს რომ უჯდა. დასკინოდნენ ჩუმიად თუ აშკარად, ამასხარავედნენ, საკუთარი შეილიც კი არ ინდობდა, პირში ეუბნებოდა, რა წერას ყავხარ ატანილი, მოეშვი ბოლოსდაბოლოს, ხომ ხედავ, შენი საქმე არაა ეგ, ხომ ხედავ, არაფერი გამოგდისო. ყველაფერს იტანდა საცოდავი ქრისტეფორე ელერია, ყველაფერს უძლებდა.

დემიანი და გივი ერთ ბინაში ცხოვრობდნენ სტუდენტთა ქალაქში. იმ საღამოს, ქრისტეფორემ რომ შემოალო ოთახის კარი, ორი ჩემოდნით (ერთში ახალი ხელნაწერები ჰქონდა, მეორეში საახალწლო პურ-მარილი), დემიანი მარტო იყო. ბიჭები საქეიფოდ წასულიყვნენ. დემიანს თავი ტკიოდა, საერთოდ უჭეიფოდ იყო და მარტო დარჩენა ამჯობინა. წამოეწვები, გამოვიიხებ, იქნება თავის ტკივილმა გამიაროსო, უთხრა ამხანაგებს, მერე შემოგიერთდებითო. პოდა, ის იყო, წვებოდა, ქრისტეფორემ შემოალო კარი: რომ გაიგო, ბიჭები საქეიფოდ წავიდნენო, ძალია-

ნაც კარგო, თქვა, პურმარლიანი ჩემოდანი გახსნა და სასწრაფოდ გააწყო სუფრა, ათიოდე ლიტრა სახლის ღვინოც ჩამოეტანა, სანთლის არაყიც, არაფერი აკლდა სუფრას. სმა აკრძალული მაქვს, მაგრამ ახლა შენთან უნდა დავლიო, თუ გინდა მომკლასო. ბოლოსდაბოლოს, ერთხელ ხომ უნდა მოვეკდევო. ისე კი, თუ სიმართლე გინდა, სანამ ჩემი ბედოვლათი ბიჭი სწავლას არ დაამთავრებს. სიკვდილი ნამდვილად არ მინდაო. ნელ-ნელა შეეყვნენ და სვეს. მთელი ღამე გაათენეს, ვერც კი გაიგეს, ისე შეათვრნენ ერთმანეთს. თამადა ქრისტეფორე იყო. სულ ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. მოყვა ფრონტის ამბებს, ყველაფერი გაიხსენა, სად, როდის და როგორ დაჭრეს. ისე საინტერესოდ ყვებოდა, დემიანი გაოცებული იყო, ასე რომ დაეწერა წიგნი, მეორედ კი არა აქამდე მეათედ გამოუტყემდნო, გაიფიქრა და ეს თავისი აზრი კინალამ გაუმტლანა, ისე გაუშინაურდა, ისე უშუალოდ იგრძნო თავი ამ მამის ტოლა კაცთან. დროზე დააჭირა ენას კბილი. სულ მე რომ ვლაპარაკობ, შენც მიაძებ რამეო, შესთავაზა ბოლოს ქრისტეფორემ და მოხდა საოცარი ამბავი, დემიანმა სულმოუთქმელად დაფქვა თავისი სიყვარულის ისტორია. აი, ასეთ დღეში ვარ, ჩემო ბიძია, და მითხარი, თუ ეშველება ჩემს საქმეს რამეო.

ქრისტეფორემ ღრმად ამოიოხრა, ჩაფიქრდა და ნაღვლიანად თქვა, არაფერი არ ეშველებაო. ისევე, როგორც ჩემი მწერლობა და პოეტობა, შენი სიყვარულიც განწირული, დაღუპული საქმეაო. მაგრამ შენ კი გეშველება რაღაცა, როდისმე სხვა შეგიყვარდება. დრო გაივლის, კრილობა მოგირჩება. მე კი არაფერი მომარჩენსო. მე ჩემი ტანჯვა საფლავში უნდა ჩავიტანოო...

ქრისტეფორემ ჭიჭები შეავსო, ჩვენს ტივილებს გაუმარჯოსო, თქვა და სულმოუთქმელად დაცალა. მერე განაგრძო:

-- ვწერ მე, ჩემო ბიძიკო, დემიან,

კი იცი შენ... ვწერ და არც ვიცი, რა ამან და არც მომარჩინა. არაფერი არ მინდა შენი, არც ფული, არც ჭამა-სმა, არც ჩაცმა-დახურვა, ოღონდ კალამი მომეცი და ქალაღი, ერთი პატარა ჩამოსაჯდომი ადგილი და დრო. მაწერი-ნე და მაწერინე. რაა ეს, რა ჭირია ამისთანა, გაიგე ახლა შენ. ვწერ ავტობუსში, გზაში რომ გავჩერდები ხანდახან, სასტუმროში. შინ და გარეთ. შუალამეზე გამომვლევითბა და ვწერ. ამ დროს მე ბედნიერი კაცი ვარ, დემიან, ბოშო... იქ ვარ ე, მეშვიდე ცაში. მგონია, გამოდის ყველაფერი კობტად და ლამაზად, ამას წაიკითხავენ და გადაირევიან-მეთქი. ვფიქრობ და ვარ განცხრომში. არ ვარ ახლა მე გურამიშვილი? აკაკი წერეთელი? და ფიროსმანი? კი ვარ, კი, ჩემო ბიძია, დემიან, მაგრამ ერთი პატარა განსხვავებით: მაგათ ის კახა დედაკაცები პირდაპირ ლოგინში უწევებთ, მე კი შორიდან მიკრეპენ კბილებს, მოდი ახლოსო, მეძახიან, მივალ და გახტებიან გვერდზე. რას გამიკარებენ!.. ამისთანა უშნო რომ ვარ, ვითომ იმიტომ? ჩემზე უშნოც იყო ზოგიერთი, მაგრამ არ დაუწუნებიათ შეხედულებით... აჰ, რომელი დედაკაცები? ვერ ხვდები ვითომ ახლა შენ, დემიან, ბოშო? თქვენ მაგნებს მუტებს ეძახით, პარანასის დედოფლებს, მაგრამ დედოფლები კი არა, ის არ გინდა კიდევ? უწესო ქალები არიან პირველი ხარისხის, სადაც გინდა, იქ ვიტყვი მე მაგას. არ მეშინია. ეშმაკმა წაილს მაგათი თავი და ტანი. რაა, რომ მატყუებენ და მათახსირებენ, რატომ, რა დაუეშავე, რას შერჩიან, ჩამომცილდნენ, ბატონო, დამამებონ თავი... აარა, როგორ გეკადრება. ჩამჭიდებენ ხელს და მაწერინებენ ათას ბითურობას და სისულელეს, თან გვერდზე იცქირებიან, ყბას მიჭიკევენ, იკრიპებიან უსინდისოდ... ჰოდა ვწერ მეც, მას შემდეგ, რაც წერა-კითხვა ვისწავლე. ოთხი წელი სანგარში ვეგდე, იცი შენ მაგ, გამაბე უკვე. ვსროლილობდი და ვსრო-

ლილობდი, მივრბოდი, მივფორთხავდი. მაინც ვსროლილობდი. ერთი ტალახიანი ორმოდან ამოვტებოდი და მეორეში ვერტობოდი თავით. რომ შეწყდებოდა ცოტა ეს სროლა, სირბილი და ფორთხვა. სხვები მიდებდნენ სადმე თავს და იძინებდნენ. თუ ძილი ერქვა მაგას, წყოს აბოლებდნენ, წვერს იპარსავდნენ, ფეხსახვევებს აშრობდნენ, მკაეჭირე ქალებს ელაბუცებოდნენ, გულს იოხებდნენ... მე კი ფანქარს და ქალალს ვეძებდი. ვწერდი და ვწერდი. კი ვხედავ ახლა, ბითურობა რომაა ყველაფერი, მაგრამ რომ ვერ ვეშვები?

შენ კი სიყვარულზე ჩივი... შენი სიყვარული, დემიან ბოში, რწყილის კბენა ამასთან.

აი, ამ ამბებს იხსენებდა დემიანი, როცა გარინდებული, თვალდახუჭული იწვა და ლევანიკასა და ბაბალეს კი ეგონათ, სძინავსო. მერე კი დაეძინა, მაგრამ სიზმარშიაც თავის პირველ უბედურ სიყვარულსა და ქრისტიფორე ელერიას ხედავდა.

დილით დემიანმა კარგ გუნებაზე გაიღვიძა. რედაქციიდან ტარიელი და სხვა თანამშრომლები ეწვივნენ, ვაშლები მოუტანეს და დაუბარეს, მალე გამოდი. უშენოდ თავს ობლად ეგრძობო. ნაშუადღევს კვლავ ლევანიკამ მოაკითხა, წიგნები ამოიღო ჩანთიდან და გაკვეთილების სწავლას შეუდგა.

— ესე იგი მოდიან და მიდიან წერილები, ხომ? — კითხა დემიანმა.

— მიდიან, აბა? — ამაყად მიუგო ბიჭმა.

— ჩემი ხათრი ხომ გაქვს შენ, ლევანიკა?

— აბა არ მაქვს? რაზე შეგეძინებოდა?
— რალაც რომ დაგავალ, რას იტყვი გააკეთებ?

— გააკეთებ.

— აბა, შინ რომ მიხვალ ამ საღამოს, მისწერე ყველას, რომ მე ავადმყოფობის გამო, თავს ვანებებ თამაშს და ვთმობ დაუმთავრებელ პარტიებს.

— კაი, რა, მამიკო, კანდიდატობა ხელში გაქვს და რალა დროს თავის დანებებაა. შენ სულ არ გჭირდება თავის შეწუხება, მე ვუპასუხებ შენს მაგიერად.

— მერე სწავლა? გაკვეთილები? სკოლა?

— ყველაფერს მოვასწრებ, შენ მაგის ნუ გეშინია.

— დედაშენი მაინც არ დაგანებებს.

— დედა რას გაიგებს...

— დედაშენს ახლა ველარაფერს გამოვაპარებთ, ლევანიკა!

დემიანს მეტი არაფერი უთქვამს, გვერდზე გადაბრუნდა და დაიძინა. რამდენი სძინავს და რა სწრაფად ეძინებაო, გაუევირდა ბიჭს. მერე წიგნის კითხვა განაგრძო. გაკვეთილების სწავლას რომ მორჩა, ფიქრმა წაიღო. მისი გონება ახლა დემიანის სატურნირო რვეულებში დანავარდობდა.

მესამე რვეულში მეთერთმეტესთან აშკარად უარესი პოზიცია აქვს. შავი კუ თამაშიდან გამოთიშულია. თეთრი კი ხელიკივით დაფერება მთელ დაფაზე. რომ ადგეს და ეე პაიკი შესწიროს? შემდეგ კუ ქიშით შედის თამაშში ა ექვსიდან. მერე ბე ხუთს გაატარებს და თეთრების ლაზიერის ფლანგს შავად წაუვა საქმე...

დემიანს მშვიდად ეძინა.



კოლაუ ნადირაძე

**ნ. ბარათაშვილის ლექსის „შემოდგემა
მთაწმინდაზე“ დავების თარიღის კირველად
კმოკითხვა**

II

აჰა, ეს მარტიც!
მაგრამ ზამთარი
მეორედ,
ვგონებ,
ვით პატარძალი,
საქორწილოდ
მორთული თეთრად,
მოგვადგა კარებს!
ჩვენ კი
ველოდით
მზეს და დარებს!
თოვს!
მერე როგორ,
რა სინაზით
რა ლამაზად,
და რა სიუხვით,
ვინ მოელოდა?!
ეს რაოდენი
სისპეტაკე
ყოფილა ცაზე!
ეს რაოდენი
სისუფთავე
თაეზე გვეღვრება!
რა მორიდებით
ეს სითეთრე
მიწას ეკვრება.

მოედანს ფარავს!
რა ოსტატურად
ის ნაძვის ხეს
სიმწვანეს პარავს!
რა თვალთმაქცობით
ბავშვურ გართობით
ჯერ კიდევ შიშველ
ხეების ტოტებს
თოვლის ფანტელით
ჭყარგავს და
აქსოვს!
ო, ამ სითეთრით,
უმანკოებით,
და სისპეტაკით
მეც ხომ,
ოდესღაც,
ვიყავ შემკვული
და შემოსილი...
ოდესღაც,
მახსოვს!...

II

თვე მარტის,
ვიცი,
ხშირად
მეტად
კეთილაც იყო!

ვიგონებ,
 ზოგჯერ, მარტის
 უღრუბლო
 და დამთბარ
 დღეებს,
 ახალ ფოთლებით
 დამშვენებულ,
 მოშრიალე,
 ისევ ფრთოსნებით
 ამღერებულ
 ბალებს და ტყეებს!!
 არაფერი სჯობს
 იმ შეგრძნობას,
 რომ ნელნაბიჯით
 გაზაფხული
 გიახლოვდება,
 რომ ცოცხალი ხარ,
 კვლავ ცოცხალი,
 მთელი არსებით
 რომ გრძნობ ამას,
 არაფერს იტყენ,
 ჩანი ძარღვეებში
 რომ გემატება
 და ვნებით
 სუნთქავ!
 რომ კვლავ
 გახარებს
 და გიტაცებს
 ფათური ქვეყნად!
 თითქოს რაღაცას
 ჰპოულობ,
 იქნ
 და ძალა შეგწევს
 გიყვარდეს ისევ.
 გიყვარდეს ნამდვილ,
 ალალი გრძნობით,
 მთელი არსებით
 აგზნებულ გულით!
 და თანაც გსურდეს —
 ჭირში
 მოქცეულ
 ადამიანს,
 ბუნებით ფხიანს,
 ბედით განწირულს
 მოიმეც შენსას
 დაკეჭულს,
 სნეილს,

დაუდგე გვერდში,
 დაეხმარო.
 უჩვენო ძმობა
 ვაქაყური,
 და შენ,
 შენ თავათ,
 ამ ქვეყნის
 საბრალო მწირო,
 მისთვის,
 უფიქროდ,
 თუნდაც,
 თუნდაც,
 თავი დასდო,
 თავი გასწირო!

მისი
 ა. თ.

მისი
 III
 311

ისევ თოვს,
 თოვს
 განუწყვეტლივ,
 დღე იწურება,
 მე სულ მარტო ვარ,
 არვის ვახსოვარ.
 ან ვის
 და რისთვის
 უნდა ვახსოვდე?
 ხალხს საზრუნავი
 განა აკლია?
 მშვიდობა ყველას!
 სიკეთე ყველას!
 ნამდვილი ლექსი,
 ამჟამად, ჩვენში,
 ვამჩნევ,
 უთუოდ
 ამძიმებს ჰაერს!
 რა ვუყოთ მერე!
 არ მოსწონს
 მოდას!
 მოდას, მბრძანებელს
 გემოვნებისა,
 წერის,
 საუბრის,
 კაზმულობისა,
 მოდას ტრფობისა
 და მოქცევისა,
 და კიდევ,
 კიდევ
 მრავალთა სხვათა!

ასეთი იყო
 იგი მარადის
 და ასეთივე
 იგი დარჩება
 თავისი
 სწრაფი წარმოშობით,
 თავის უგონო
 ცვალებადობით!!
 მაგრამ ჩვენ ამით
 ნუ შევედრკებით,
 კალამს ნაგავში
 ნუ გადავისვრით,
 ნუ დავყრით
 ფარხმალს!
 თანაც, სიმშვიდეს
 ნუ დავკარგავთ!
 ხელს ნუ შევეშლით
 ვისაც ახარებს,
 ვისაც აღზენს
 უაზრობისა,
 სიცარიელის
 და აბდაუბდის
 რითმებით
 მორთვა,
 რითმებად ანცმა —
 ილზინოს ასეთ
 შთაგონებით
 და განცხრომითა
 შობილმა კაცმა,
 მხნემ და
 მამაცმა.
 დღეს ჩემ
 „ფაცხაში“
 საკმაოდ თბილა,
 მხოლოდ ტელეფონს
 ვერ ავუწყვე
 ვერასჯობით ბანი,
 მას,
 ჩემ მწამებელს,
 ვერ გავუგე
 სიგრძე და განი,
 მაგრამ ამ ტანჯვას
 მე როგორმე
 გადაეურჩები!
 ვეიშობ კი
 ვველას და
 ვველაფერს

მოწყვეტილი,
 ალბათ, დავრჩები!
 გვიანლა არის,
 მაგრამ, ჭერ კიდევ
 შორს არის დილა!
 ბარათაშვილის
 წიგნსა ვშლი
 ფრთხილად
 და ვაკვირდები,
 არ ვაუო
 რატომ,
 სულ პირველად
 ჩემს სიცოცხლეში
 „შემოლამების მთაწმინდაზედ“
 დაწერის თარიღს,*
 და.....
 უეცრივ,
 გონებას ჩემსას
 რალაც ბურუსი,
 ბინდი
 შორდება!
 რალაც,
 ვით ელვა,
 გაიეღვებს
 და განათდება!
 როგორ?
 არ მესმის!
 ეს ხომ ბავშვის,
 კიდევ ბავშვის
 ლექსი ყოფილა!
 „შემოლამება მთაწმინდაზედ“
 ბავშვმა შექმნა,
 ბავშვმა დაწერა?!
 ჩვენ სუყველანი,
 ბავშვობაში
 ლექსებსა ვწერდით,
 მაგრამ როგორს?
 გოგებაშვილას
 „დედა ენას“
 ებაბავდით ჩუმათ,
 ზოგჯერ კარგად

* ამ ლექსის პირველ ვარიანტს დაწერილს თარიღად უზის 1833 წელი, როცა პოეტი 15 წლის ყრმა იყო.

ზოგჯერაც ცუდად —
 ეს იყო მხოლოდ!
 ჩვენი მშობლები
 ამ ჩვენ
 ნაწერს.
 როს ვიძინებდით,
 ბუხარში
 სწვავდნენ.
 ჩვენ კი
 ამ შედევრს.
 ქმნილებას ბავშვის,
 ვუტოლებდით
 „ბედი ქართლისას“
 და
 დრად „შერანს“,
 შექმნილთ უკვე
 მომწიფებულ
 გენიის ხელით:
 რა დრო
 გასულა.
 რამდენი წელი!
 საოცარია!
 ვკითხვლობდით
 და, სხვათა შორას,
 ვიტყოდით ხოლმე,
 თითქოს „ვამკობდით“ —
 „ბარათაშვილის
 ლექსი არის?
 კარგი ლექსია!“
 სხვა არაფერი?!
 არც კი გვრცხვენოდა
 როცა ასჯერ
 და ათასჯერ
 წაკითხვის შემდეგ —
 ჩვენ
 ამ გაცვეთალ
 სიტყვებს ვამბობდით!
 ეს ვინ
 გვეოლია,
 რა მწვერვალი
 მიუწვდომელი!
 ვით მეხდაკრული,
 ვიდებ უძრავად,
 თანაც უსაზღვროდ
 ბედნიერა!
 ჩემ გულს
 იპყრობდა

ერუანტელი,
 განცდა ძლიერი!
 ვინ მისცა
 ამ ბავშვს
 ეს ლეთიური
 დიდი ქართული?!
 ან ვინ
 ჩაუდგა
 მას
 ეს ენა,
 ეგზომ
 ძლიერა და
 გამართული?!
 ეგების თავად
 აპოლონმა,
 პოეზიისა
 და სიტურფის
 ღმერთმა ძლიერმა,
 ეს ენა მხოლოდ
 მას უბოძა
 და ჩაუნერგა?!
 ავილოთ, თუნდაც,
 სტროფი პირველი,
 და წავიციოთხოთ
 ამ გაგებით,
 რომ მას სწერს
 ბავშვი,
 შთაგონებული
 ციურ განგებით:
 „ჰოი მთაწმინდავ, მთაო წმინდავ,
 ადგლნი შენნი
 დამაფიქვრელნი, ვერანანი და
 უდაბურნი
 კითარ შევნიან, როს მონამენ ცვარნი
 ციურნი.
 ოდეს სალამოს დაშთენ ამოს ციაგნი
 ნელნი“.

მკითხველო ჩემო,
 მომეც უფლება,
 რომ შეგეკითხო:
 ეგებ გსმენია —
 სადმე,
 ოდესმე,
 რომ ამ ასაკის
 ბავშვს,
 ასეთი რამ
 ლექსად ეთქვას.

და დაეწეროს?!
 ნუ შეეჩერდებით
 მეორე სტროფზე
 და წავიკითხოთ
 მესამე სტროფი:
 „მახსოვს იგი დრო, საამო დრო,
 როს ნალვლიანი,
 კლდევ ბუნდოვანო, შენს ბალიკად
 მიმოვიდოდი,
 და წუნარს საღამოს, ვით მეგობარს,
 შემოვეტრფოდი,
 რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და
 სევდიანი!“

საიდან,
 როდის,
 რა ნალვლიანი?!
 კლდევ ბუნდოვანო
 ვინ ასწავლა
 ასეთი თქმა
 ამ მკირეწლოვანს,
 ჭერ კიდევ
 გაუფურჩქენელს,
 სათაყვანებელს,
 ჩვენს საყვარელ
 პატარა ტატოს,
 „მარგალიტს ობოლს“,
 ხელიდან ხელში
 საგოგმანებელს?!“
 „ჩემებრ მწუხარ და სევდიანი!“
 წარმოგიდგენიათ.
 ასეთი რამე?
 „ჩემებრ მწუხარ და სევდიანი“
 ასეთ გამოთქმის
 ავტორის ხანში,
 ასეთ რამეს
 განა ვამბობდი?
 მე ხომ კიდევ
 „ოთურმას“ და
 „ცხენობანას“
 ვთამაშობდი,
 ჩემ თავს
 ვართობდა!
 ავიღოთ ახლა
 მეხუთე სტროფი,
 რომლის
 მსგავსი რამ,
 ბავშვთა ბაგეს

ჭერ არასოდეს
 დასცდენია,
 არ წარმოუთქვამს,
 მთელ მსოფლიოში!
 „მე შენსა მკვრეტელს, მავიწყდება
 საწუთროება,
 გულისთქმა ჩემი შენს იქითა ებიებს
 სადგურს,
 ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ
 ამაოება,
 მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავენი
 განგებას ცაურს“.

რა რიგ
 ნათელი,
 გასაგები
 ხდება ახლა
 დიდი ტრფიალი
 რაც ნორჩ,
 მშვენიერ
 ეკატერინეს
 სულში დამკვიდრდა!
 რამაც საშინელ
 დაკარგვისაგან
 გადაგვირჩინა.
 და დაეიწყებინ
 ზღვას გამოსტაცა
 ჩვენი გენია,
 დიდება ჩვენი,
 ჩვენი, ნამდვილად
 „ზენაართ სამყოფს“
 მიღწეული
 ბარათაშვილი!
 თავს დამტრიალებს,
 როგორც არწივი,
 ყოველ ლექსი
 „შემოღამების“!
 „აწცა რა თვალნი ლაყვარდს გიხილვენ
 მუის ფიქრნი შენდა, — მოისწრაფვიან.
 მაგრამ შენამდის ვერ მოაღწევენ
 და ჰერშივე განიბნევიან!“
 შემდეგ ამ ბავშვის
 მომჭადოებელი
 მეშვადე სტროფი:
 „მთავო ცხოველო, ხან მკინარო. ხან
 ცრემლიანო.
 ვინ მოგიხილოს, რომელ მუისვე
 თვისთა ფიქრო შეება

არა იპოვნოს და არ დახსნას გულთა
ვაება,
გულ-დახურულთა მეგობარო, მთავ
ღრუბლიანო!

ღმერთო,
როგორი მშვეენებაა,
სევდა დართული
რა რიგ წარმტაცი
პოეზია,
და რა ქართული!

აქ შეიძლება,
სუსხიან მარტის
ამ მიწურულ
თოვლიან დღისთვის
დიდი სიამით,
დიდი მადლობით
წერტილის დასმა,
რადგან დღეს
ვიგრძენ
მე სავესებით
სიღიადე
ბარათაშვილის!!
(რასაც მრავალნი
კიდევ ვერ გრძნობენ,
და ვერ ხედავენ),
მაგრამ,
მე მინდა,

„შემოღამების“
დაუჯერებელ
სასწაულის
ამ ღვთაებრივი
ქმნილებისა
ბოლო სტროფით
დავამთავრო
ეს ჩემი ლექსიც:
„ჰოი, საღამოვ, მყუდრო, საამოვ,
შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად!
როს მჭმუნეარება შემოსევის, შენდა
მოვილტვი განსაქარვებლად!
მწუხრი გულისა სევდა გულისა —
ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი
და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!“
კურთხეულ იყოს,
ტატოს შექმნილი
სამშობლო ჩვენი!
ავიდეთ მხოლოდ
მთაწმინდაზე,
ავიდეთ
კრძალვით,
და ვეამბოროთ
მუხლების მოხრით,
უკვდავი მგოსნის
უწმინდეს საფლავს!



რეპაზ დანელია

მზის ქვეყანა

მე გამოვდივარ ყოველ დღით სახლიდან მისთვის,
რომ ეუსურვო სიკეთე ყველას,
ვთქვა ჩემთვის: ბავშვებს გაუმარჯოს, ბავშვებს,
რომელთაც
გარს არტყიათ ტყეები თოჯინების, მანქანების, ხმლების,
თოფების,
ტყეები — ორიოდ წამის სავალი.

მე გამოვდივარ ყოველ დღით სახლიდან მისთვის,
რომ ვადღეგრძელო ჭრელი ქალაქი,
რომ ვადღეგრძელო ფერის მეფე... ჩამოძონძილი...
რომ ვადღეგრძელო სიცილი და დაცლართხო ღამე,
დეკემბრის ღამე — უთავბოლო, უშველესი!

მე გამოვდივარ ყოველ დღით სახლიდან მისთვის —
შენს სანახავად რომ მოვიდე
და
ბალახების ღრუბელს ვუტიო.
მე გამოვდივარ ყოველ დღით სახლიდან მისთვის,
რომ მოვიხილო თქვენთან ერთად მზე, მზის ქვეყანა!

მერცხლები

გაფრინდებიან მალე მერცხლები,
აფერადებულ მზეს დასტოვებენ.

გაფრინდებიან მალე მერცხლები,
უკანასკნელი დღეს აგვისტოა.

აფრინდებიან მალე მერცხლები,
აფრინდებიან. მკერდი ნათელი
იმათი — ჩემი საქართველოა!..

გაფრინდებიან მალე მერცხლები.

გ ზ კ

მკერდმოვერცხლილო მერცხალო ჩემო,
მდინარეს მკერდზე გადაუარე,
თბილ ქვეყნებისკენ თვალი ნულარ, ნულარ გიჭირავს,
აქ დარჩი, ნახე დიდთოვლობა, თოვლის მინდორი —
მობიბინე, როგორც ჭეჭილი.

მკერდმოვერცხლილო ჩემო მერცხალო,
შენ მაინც იქით უნდა გაფრინდე?
უნდა იახლო თან ზაფხული და გაზაფხული?.. —

გზა მშვიდობისა!..

მ კ მ კ ლ ი

ჰყივის მამალი —
სოფლის საათი —
უფერადდება რიყრაყით ყელი.

ჰყივის მამალი, ჰყივის მამალი... —

ცა ჩამოდის ჩუმად ეზოში,
ცა ჩამოდის თვითონ, თავისით,

ხეებს და ბავშვებს ეთამაშება —
ლიმილის ფერებს მოათავთავებს.

ჰყივის მამალი —
სოფლის საათი —
უფერადდება რიყრაყით ყელი.

ფერის კალოზა

რა ბადრი მთვარე, რა ნოემბერი!..
ზღვაა ფერების შენი თვალები.
მალე ზაფხული გეამბორება, —
მწვანე ქვეყნიდან გითვალთვალებენ!..

რა ბადრი მთვარე და რა გიშერი!..
შენ ნათელი ხარ ჩემი ქალაქის!

ხელები თბილად გამომიშვირე,
მალლა ასწიე თავი ამაყი.

რა ბადრი მთვარე, რა ნოემბერი!..
ზღვაა ფერების შენი თვალები.
მალე ზაფხული გეამბორება, —
მწვანე ქვეყნიდან გითვალთვალებენ!

ავვისტო, ხვატი

ავვისტო. ხვატი.
მდინარეა თვით ზეცის ტოლი, —
ათინათებენ ცირები თოლებს.

იქ მუხის ტყეა,
იქ ტირილი გაისმის შაშვის... —
აქ კი ვიცინით ჩვენთვის ბავშვები!

ავვისტო. ხვატი.

შიშველ მთვარეს ვხედავ შორიდან.
აგერ ორი და,
წყალში ჩადის, ღმერთო, ორივე!..
ავვისტო. ხვატი.

ფერების კოსონი

(ფრაგმენტები კომიდან)

1.

მოადგებიან ნაპირს შენსას ჩემი ირმები? —
ამოფრინდება ცა, სიმღერა ბროლის ყელიდან,
ბავშვობის მთვარეს —
ოქროსფერს და ოდნავ გაცრეცილს
თვალწინ ლამაზად ამიფრიალებ!

მოადგებიან ნაპირს შენსას ჩემი ირმები? —
მიმომატარებ გაზაფხულის ულურჯეს მკერდზე
შენი სიზმრებით და წკრიალა შენი სიცილით.

მოადგებიან ნაპირს შენსას ჩემი ირმები.

2.

ჩალის ღეროთი დანთებულ კოცონს
კინკა გოგომ გადაუარა, —
აფართქალდა ცა,
სევდას ბოლო, ბოლო მოედო.
ბალი, ბალები აეივყივდნენ ბელურებივით,

ისევ აენტნენ, ისევ, ისევ... —
ცას აფრინდნენ ცეცხლის ბალები.

3.

მოაბღავლა ჭიშკარს მოზვერმა.
გვირგვინი ვარსკვლავების დაიდგა მიმწუხრმა
თავზე და ლამაზი თვალები მინაბა...
აწკრიალდა ზარი ლამის, როგორც სიცილი შენი!..



ინგო კახიანი

ჯანსაღი აწილან ხეების დასაველად,
არხაჯთან გასცდნენ კლდეების შვერილთ,
სერს ფარა ამშვენებს, ცას — ღრუბლის ფასტამელა,
ლურჯ-მწვანეს თეთრი რარიგად შვენის!
აი, ავლავ ქედები, ფარა და სიმარტოვე,
აი, ავლავ ღრუბლიან ცას ემდური...
გაშორდნენ ნისლები კლდეებს და შეატოვეს
ნაძობი, — წაწალის საწმერთული.
სამყურა-მკვლიავეთ სავსეა საბოვრები
და შერე რა კარგად მოიშართნენ!
ბატყებს დედაცხვრები მსუყე რიეს აწოვებენ,
იმათაც რარიგად მოიშატეს!
ბილიკი ქცეულა მწკრივების ღარადელად,
ფარდები იფერებს ნაირფერ ფარაგ-მძივებს,
ზენა ქარს ეტყობა ჩამოსწვიმს ხვალამდე და
ბალახს ისევე ღიხით დაამძიმებს.
ღამით კი გარშემო დაქსაქსულ ნარიანებს
როცა ელვა აღარ მოანათებს,
ბალახის ჩურჩულში ნაბადი ჰავლიანი
ავლავ დალალთა სურნელს მოგანატრებს.

წავიდნენ დღეები გარეულ ხილთა ბერტყვის,
ისევე წინწანაქრით დავითვრები,
წავიდა ბებოჩემი, ახლა ვინლა მეტყვის:
— შვილო, ჩემ დროთაიმე მიაყრები!
წავიდა ბებოჩემი, წასვლის წინ სულ მუდამ,



თავის ბაღლობისას გვიამბობდა,
 — ეჰ, შვილო, შევებულდიო სიციცხლეს გულმურდალს, —
 ჯავრობდა, წასელას რომ გვიანობდა.
 შემთვრალი ცალთვალა ხნიერი მეზობელი.
 ამბობდა ორ ჯოხზე დაბჭენილი:
 თინას რა უჭირსო კიდევია, ე, ზოგები
 ცოდვისთვისა ვართო გაჩენილნი,
 თავისთვის სიკვდილიც აღარ მეზოგებო,
 ასე უშვილძიროდ დარჩენილის.
 წელსაც საარაყედ რამდენი პანტა ბერტყეს,
 ისევ წინწანაქრით დავითვრები,
 წავიდა ბებოჩემი, მეტად აღარ მეტყვის:
 — შვილო, ჩემ დროთაიმეც მაიყრები.

* * *

ტრაქტორმა ხევები ხმაურით აიკლო,
 მთები დანამულან დილის ცვრით,
 იმასაც ამბობენ მწყემსები: აიქ კვლავ,
 მანქანა ივლისო თივისთვის.
 გააფრთხო ნადირი, შორს ჩამოიშორა
 ამ უცხო ხითხითა არსებამ,
 ზევითევენ ბოლქვები ამოისროლა,
 ვეება ქორაფს რომ აქცევედა.

დალდედან დათხრილი ლოდები
 მიგორავს
 ქვევით და აფეთებს ნაგრილებს,
 ბუბუნი დაიწყეს ნიშამ და ნიკორამ,
 მუქარით ბორცვები დარქინეს:
 — გრცხვენოდეთ ხარებო, მაგასთან
 მუქარა,
 ეგ აგხსნით: კრო-ტაბიე-მარგილებს.

* * *

გავიდა მკათათვე, გავიდა ლეინობისთვეც,
 შიშვლად შეპყურებენ ხენი ხეთა:
 — ხეებო, თქვენ რომ ითმენთ, მაგდენს ვინ მოითმენს,
 გორის გადაღმაც რომ ვერას ხედავთ.
 ხეებო, ყინვაში როგორ ძლებთ ეზო-ყურეთ,
 როცა პატრონები აერას სხედან,
 ან ასე სევდიანად რატომ შემოგვეყურებთ,
 გზა-გზა ამომავალ მერან-მხედართ!

* * *

ფიქრები ყოველ წუთს იცვლიან კალაპოტებს,
 იციან ძველი გზის დაეწყებაც,
 ფიქრიც იმ დიდ ხეს გავს, რომ ვკრით და ვანაფოტებთ

არ ვიციტ კი როდის დაიწვება:
სჯობს სულიც არ მედგას და ფიქრიც აღარ მქონდეს,
გული თუ გრინობისგან დაიკლება.

* * *

მზის სხივები დედამიწას მგონი ალლობენ,
უკვე და თოვლიც მალე გაშრება,
ფერდობებზე შექ-ჩრდილები ბორიალობენ,
გაკიდებულნი მუქ-თეთრ თავშლებად.
კვლავ მეფობა სურდა ზამთარს, ველარ შეიძლო,
დაიხვივილეს კიდევ ზეავებმა,
ახლა სითეთრ-სიმკაცრე და სიუიშიათე
სადლაც შორეთში მიემგზავრება.



• • •

მშვილდოსანი გახლდათ ის ქალიშვილი,
კანდიდატი სპორტის ოსტატობისა.
არ მჯეროდა, — ასე ბაბუაწვევრამ,
ასე ნაზმა რა უნდა ისროლოს-თქო?!
არ მჯეროდა, — მატყუებდა, მეგონა.

მაგრამ მალე ჩემი პირითვე ვაქე:
რალა მეთქმის, შაბაშ, კარგად გისვრია!
მართლა ზუსტი გქონია-თქო მიზანი...

ვერ მიმიხვდა: შენ საიდან იციო,
მიცქერდიო რომელ შეჭიბრებაზე?
ვერ მიმიხვდა... შევებრუნდი და წავედი,
სულ წავედი, გადვიკარგე იქიდან:
დღემდე ენანობ გულჩვილობას მაშინდელს.

იმ დალოცვილს, ისრის სროლა არა და —
ამოძრობა მაინც ესწავლებინა.

• • •

არ გაახარებს ამ თოვლს ჩვენი მზე,
ჰა და ჰა, ორი დღე თუ აცოცხლა.
არ გამახარებს არც მე — ჭერ ისეც
მდაგავს და მზრუკავს გულში სხვა
ცეცხლი.

არ მარგებს-მეთქი მზესთან მზვაობა,
იმიტომ ვეძებ ჩრდილს უნიათოდ.

გამორბის თოვლში ჩემი თაობა:
 მოვასწროთ, კვალი დაეაჩნიოთო.

თენდება. გავლეს, გადაიარეს,
 წერტილად მოჩანს თითო-ოროლა.
 მიხმობენ, გესმის, თოვლი წკრიალებს...
 ეპასუხობ: თოვლი არა, ტოროლა!

თენდება. ლამეს წამოსძვრა ქოში.
 შემოვუბრუნდი: აბა, დროებით!
 მივდივართ ასე — კოკამდე თოვლში,
 უზრუნველები, უღმერთოები.

თენდება. ჩიტმა შემოკრა გონგი,
 ნისკარტი დაკრა მზეს და დარეკა.
 გამორბის თოვლში პირთეთრი გოგო,
 გოგო კი არა — თოვლის პლასტიკა.





რუსუდან გიგინაშვილი

საჭირო ხარ შენც...


საჭირო ხარ შენც, ხანდახან
 ღრუბელო,
ვაეცაცივით ახმიანდე, დასჭექო,
მოსკედს წვიმა როგორც რაში
 უბელო,

მურყნარებმა სოკოები დაჩეკონ...
სხვა ფერი აქვს, ცა როცა პირს
 დაიბანს,
ხეებს მორთავ შენეული მძივითა,
ცისკარი რომ მოადგება აივანს,
დედამიწა მოსჩანს ქალწულივითა.

მომეფერე, გადამისვი თმებზე ხელი,
რომ სიცოცხლის სურნელება
 უაეთ ვიგრძნო,
შემომძარცვე ნაზამთრალი სამოსელი,
ერთხელ კიდევ გაზაფხულდეს
 ჩემთვის ვინძლო.

ერთხელ კიდევ ამოვარდეს
გულში ქარი,
მზეს და წვიმას სხივს და წვეთზე
დავეკიდო,
რომ გავეჭვი სიმარტოვეს ურჩი ქალი
და ლოყებზე ატმის ცეცხლი წამეკიდოს.

ყაყაჩოებს წავეჩხუბე ყანაში.
მთლად გაწითლდნენ, როცა კლი დაეწამე,
მითხრეს, წილი არ გვედოო ლალატში.
ჩვენ რატომო? უთხარიითო თავთავებს.
ისე იყვნენ დილის ცვარით მთვრალეები.
ბარბაცებდნენ, ფეხზე ძლივსლა დგებოდნენ,
სწორედ მაშინ მიებლიტათ თვალეები,
როცა სურდათ ცოტას შემრიგებოდნენ.



ბენიკ მალაქაელიძე

პირველი ბასროლა

პოი მთებო, მთებო!
თქვენ, ისევ თქვენა,
თორთ არ ძალშიდს,
ამდენთ კირთ თმენა!

312

მოთხრობა

ვილისში ვსხედვართ. კაკო ძიას ვეე-
ბა ბეკები გეაროიანად მელობება, მაგრამ
თვალის ცეცხებითა და წაყუზვა-ჭახი-
რით რაღაცის დანახვას მაინც ვახერხებ.
სოფლებს ავცდით. მთებში ბაწარივით
გადავდებულნი ვხედავთ მთელ მთა-
სა და მთელს გვეწვევს, თავისთან აე-
ყავართ. სახე გარეთ გავრავი, ცხვირზე
ნიავი ამეტყვიდა და სუნთქვა დამიგუბა.
მანქანა პირდაღებულ კლდეებში მიჰქ-
რის, ვალაღებულნი თვლები მხიარუ-
ლად ტრიალებენ. ასფალტს კოჭებივით
იხვევენ. უკან შემოქცევნი, გაძლება
ხომ უნდა ყველაფერს. ისეთი მიხვე-
ულ-მოხვეულია, საჭეს ჩაფრენილი კა-
კო ძია თავადაც ძრავად ქცეულა,
ბრძღვინავს და ებრაევის აღმართებს,
მანქანას დაყოლილა აქეთ-იქით ირწყევა
და მასთან ერთად უხვევს. გვერდით,
თითებში ახრჩოლებული სიგარეტით
მამაჩემი უზის, ეგეც კარგად ქანაობს,
უთენია გამოცედილთ და ძილაყოლილია
თვლებს.

მოსახვევებში მათი მხრები ერთმა-
ნეთს ებმება, თვალის გასაძვრენ ადგი-

ლსაც ვკარგავ და ჩემთვის ვიბუდებ.
უკან ვზივარ, იალთან. სკამზე მოკე-
ცილ ლომგულას თავი ნალვლიანად ჩა-
მოუდვია წინა თათზე. მაგისტვის ახლა
მანქანა და ბოსელი სულ ერთია, მთავა-
რია სანადიროდ დროზე მიაბრძინონ
და დრუნჩაღებულნი გაუყვეს თავის
საქმეს. წამოიწია, ზანტად დაამთქნარა
და უსაშველოდ დაგრძელებული ენა
ალისფერი ბაირალივით გადმოკიდა. და-
სცხა ბიჭს. თვალი კაკო ძიას „ზაუერმა“
მომტაცა. ბუდე შეხსნია და იქიდან თა-
ვმოშონედ იჭყიტება. თოფი ვარო. მა-
განა თქვას. მარტო ხელის შეველება
რად ღირს, ვასროლა ხომ... ეკ, ბევრ-
ჯერ დამიკვებნია ბიჭებში, სანადირო-
დაც ვყოფილვარ და თოფიც მისრო-
ლია-მეთქი, მაგრამ იმათი მოტყუება
რომ შეიძლება, საკუთარ თავს რაღას
უშვრები? მადლობა ღმერთს, ახლა მა-
ინც გამიმართლა. ბებიჩემმა კი მაცამა
შიში — თქვენ ხომ კარგსა შვრებით,
ოჯახიდან იკარგებით და იხვეწებით,
ახლა ბიჭის აკიდებალა გაკლდათო —
ეუბნება მამაჩემს და უფრო კაკო ძიას,



ალიონზე რობრობ-ბოხოხით რომ მოჯაგ-
 ჯაგდა. სიხარულისაგან გული სადღაც
 გამეპარა, მაგრამ რად გინდა ბებომ ეს
 მთასავეთ კაცი კედელთან მურაბის ქუ-
 რღვივით ატუნა და თავისებურად მისდ-
 გა. ისიც კიდევ თავჩალუნული უსმენს
 და საკუთარ ხელებს ეკვით ჩასცქერის.
 მგონია უკვირს აქ საიდან გაჩნდნენო.
 დიდხანს გასძლებდა? ღიმილი თანდა-
 თან—წაებარა და ტურჩები ყურებამდე
 აუწია, სეალებშიც ხომ ეშმაკი შეუჭდა
 და თავს რაღას დაანებებდა, გაშალა
 ეს ლავაშივით მტევნები, მოარგო ბე-
 ბოს მხრებზე. მოსწყვიტა მიწას და აი-
 ტაცა ღრუბლებში. იქიდან ჩამიკრა
 თვალი და ჩემი ეკვი «ვაი — თუ არ ამი-
 კიდონო», ცხრა მთას იქით გადაკარგა.
 დათვის აღერსით დაბუბნილი ბებიჩემი
 სამშვიდობოს გამღვალი დაბრუნდა.
 წამომიყვანეს.

ისევ გზას გავხედე; მოჰქრის ჩვენცენ,
 თავაწყვეტილი მოედინება, ფეხქვეშ
 გვივარდება და მანქანის შშიერ ხახაში
 ინთქმება. ერთხელ იქნება მეც დრო
 მომივა, მხრებს ლაღად გავიშლი და ასე
 საჭეს ჩაფრენილი ვივლი, ვიჭროლებ
 ქვეყანაზე. ახლა კი ერთი აზრი მაქვს,
 ერთი სული — მალე მივალწივით. მალე
 ჩამოვხდეთ, შევუყვებთ საქმეს. აი ნაწ-
 დვილი ნადირობა სად ატყდება! კაკო
 თიას დიდი სახელი აქვს გავარდნილი,
 მთებშიც ყოველ კვირა დღეს დადის
 და ბოლო ხანს მამაჩემიც ხომ აყვავა—
 შევებულეებას ასეთი დასვენება უხ-
 დებაო! მოინადირებენ, ჩამოვლენ,
 წამოიტანენ: ეს მელაია, არჩვიო ტა-
 ხიო... ერთხელ დათვიც ჩამოიტანეს,
 თავად კი არა ერთი აქნა, ბარკლის
 ანაქერი: ანდა ცოცხლად რატომ მოა-
 თრევდნენ? ადგილზევე გამოუშვანავთ.
 აუკადავთ და მაგისი შავი ხორცი ნამ-
 მობ მთიელებისათვის ჩამოუტრიგებიან
 ხელზე. აუ! ლომგულას ქებით აივსო
 სოფელი. — ასეთი მამებარი მეორე არა
 სთქვათო, თვალებს აბრიალებს კაკო
 თია და ნეტა რაღაში სჭირდება, ისედაც
 ხომ უვლას სჭერა.

ნაშუადღევზე სოფელმა შეგვიტყუა

მიკლავნილმა გზამ მთებთან მიგვეტოლა,
 წამით შიგ შეგვაგდო და ახლა, უკან
 მოხედვაზე საღლაც გადაიკარგა. ჯამის
 ფსკერზე ვართ— მეთქი აი რა ვიფიქრე.
 სულ ზემოთ მავალთ გარშემო ახლაც
 მთები შემოგვჯდომიან და თეთრად
 იცინიან, ალბათ ხედებიან ჩვენს გაბია-
 ბრუებას. კაკო თია ყურს არ იბერტ-
 ყავს, მეტადაც გამხიარულდა, სიკოცხ-
 ლე მამაჩემსაც დაეტყო, ლომგულაც
 ხომ წამომქდარი, დასაყუფად ემზადება.
 სოფელი მაცეცებს, ჯამის კედლებზე
 მრგვალად შეფენილა, სადამდეც აუწი-
 დებოდა—იქამდე, მთები რომ ზედმე-
 ტად შეეწუხებიანა. ძირზე ღელე დაუ-
 ხტის, ანკარა, სათავეც მალე მოუჩანს,
 სულ ზემოთ, ღრუბლები და თოვლი
 რომ ერთდება, აი იქ. ყველაფერს გულ-
 დაგულ ვათვალაიერებ და მივიკრის, ამ
 სოფელს ჩვენებურისა რომ არაფერი
 სცხია, აქ სახლებს ყელზე არც მესერის
 ღობე ჰკიდიათ და არც მოზომილი ეზო-
 კარი ამძიმებთ თავისი გალავნებითა და
 ურდულიანი კიშკრებით. მარტო ორ-
 ღობე რა არის, თვალი იმასაც ვერსად
 წავედღე. სახლი თუ დგას ისე, დედი-
 შობილა. ან ეზო რად უნდა, ან იმის
 კარი.

შეხბით, შევტოტმანდით, გზიდან
 გადავედით და ერთი სახლობა დავიჩე-
 მეთ. კაკო თია უკვე იციანის, მამაჩემიც
 ფორიაქობს, სამზადისშია, ეტყობა მა-
 რთლა მოვალწივით. ახლა სახლი ნახეთ-
 მარტოდმარტო, ყინვილა, არც სათა-
 ვისი, საქათმე... წინ მთიელი წამომდგა-
 რა, დინჯი, თავადაც ღიმილით პირთამ-
 დე საესე. ჩვენს მოლოდინში ყალიონს
 მართავს. კაკო თია ლამის კარზე მიუხტა,
 ბოლო წამს საჭე გვერდზე მობუნდა, და
 მანქანა ჰყვიტინით დაამუხრუჭა, ლომ-
 გულა შეხტა; აღარც არავის აცალა.
 გამოღებულ კარიდან პირველი ის გაღ-
 მოეშვა, მთიელს ფეხებთან მიუვარდა.
 დაუნოსა, გაებლღაოუნა და სახლის გარ-
 შემო მოჰყვა სირბილს. ქათმები აბუნ-
 დლლა, დააწიოკა და ეზოში გამოსული
 მასპინძლის ძაღლისკენ გაექანა. შიშმა
 გამკრა, აი სერიო თუ შეიბნენ, დაითი-

გნენ. ან ლომგულას რაღა ეშველება, ან ჩვენ-მეთქი. მაგრამ რა გინდა ვინ გაცლის, იმათ ერთმანეთი გაუხარდათ, ნეტავი თქვენ. ბომბორა-მეცხვარე კულის ქნევით შემოგება, ბოხად დაუყვება და მოკერცხლეს შორს, ხალხურ საქმეებზე. ეკო ძიაც გადმობარგდა. ვიწრო კარიდან ძლივს გამოიჩიჩქნა. მთიელს ქოშინით ეახლა. გადაეხვივნენ ძმურად.

— ლეთისოს სიციცხლე ლეთისოს! — აჟყვა მამაჩემიც, მასში რაღაც უცხო გაჩენილა. თავისთავს ვერ ჰგავს— გულაჩქროლებულია მეტად, თავისუფალი.

— მასწავლებელს ვახლვარ, კარგ ვაქვს, კარგ ქართველს! — სალამი არ დაუკარგა მთიელმა, მამაჩემის დაქნეულ ხელს ხელი შეუდგა, ჩაებლაუჭა და თავისკენ მიიზიდა. ერთმანეთს მხრები დაატოლეს, მერე გაიყარნენ და პირგაციონებულები ისევ შეერთდნენ.

მიკვირს ცოტა: მამისა მიკვირს, ეკო ძიასი. ლომგულასი და ლეთისოსიც მიკვირს.

— მოდი შვილო აქ. ჩემი ბიჭია, ვაჟკაცი! — მამა დონიწმემოყრილი ჩემსაკენ მობრუნებულა და როგორც კი ნახელავს, ისე დამკერის. ვწითლდები. რა ექნა, როცა მათვალისწინებენ, ყოველთვის ვწითლდები. თავჩაკიდული მიეუხალოვდი. თან გამოცნობა მწადაია: — მთიელი მაკოცებს, არ მაკოცებს...

— ამომხედე. ვაჟო! — ლეთისომ მოკაუტეებული თითით ნიკაპი ამიწია, თვალეში ჩამაქტერდა. არ მაკოცებს.

— ჰოო, ფიქრიანია! — ილიმის მთიელი, ვხვდები არ დამცინის, ისე, კეთილად ილიმის. მამაჩემიც ჰყვება, ეკო თიამაც მანქანის გადმოცლა წამით შეწყვიტა. თვალი მომიჭურტა და მეც მორცხვად შეღიმება.

— ეგრე! — ემაყოფილა ლეთისო და იქვე ვაიწყდები.

ქერდს რა უნდა და ბნელი ღამეო! გვერდზე გავდივარ, სახლს ვეცლები, აქაურობას ვათვალისწინებ. სანადირო არაფერი უჩანს, მე თუ ამ საქმეში რამე გამეგება. ან ტყე სად არის, ან ჭალაყანები და მისთანანი: ირგვლივ მარტო

ბაიყუში მთები იბლიერებოდა. მთებზე კალთებზე შეფენილი საქონლით. თვალგასწვრივ კი ღრუბლები გაბამბულან და ხატავენ თავიანთებურად. ლამაზია ყველაფერი, უცხო. ვდგევარ, ჩემსას ვფიქრობ. იქნებ აქ მანქანას სტოვებენ და სანადიროდ ისე გადადიან? ლეთისოც მეგზურად ეყოლებათ. ამა მაგას ეცოდინება აქაურობა. სხვას ვის. ნამდვილად ასეა. ჰოდა, ალბათ დასვენებულზე, მალეც გავალთ. ვმშვიდდები. გარშემო შეადლის სიციხე ლაპლაპებს, წვავს და დაგავს მიწას, მეც უმოწყალოდ მსუსხავს. უკან ვბრუნდები. მამაჩემს ტანზე გაუხდია, ბალახებში ფეხშიშველი სეირნობს. ერთგან წაუჩოქა, მიწა მოქექა და როგორც პეშვით წყალი, რაღაცა ისე სათუთად ამოაცურა.

— მოდი შეალო, ნახე ერთი. — მივდივარ. ჩვეულებრივი ყვავილია, მთის. მამას კი სახეზე ნეტარება გადააქვრია. ისე ნახად ყნოსავს. მგონი ეშინია არ შევიტყუდებო. მხრებს ვიჩეჩავ და ეკო ძიას საძებნელად გავბრვივარ. სახლის უკან მივაგენი, ჩრდილში გავორებულს. თავქვეშ მანქანიდან გადმოღებული ტყავის ბალიში ამოუდვია, ნებიერობს თავისთვის.

— ეკო ძია, როდისღა... — ცერად ამომხედა, გამობურცულ ტუჩებზე თითი აუკრია:

— სსს, ჩემად. გესმის ხმა?

— რა ხმა? — და გატრუნული სმუნად ვიქეცი. ნადირი თუ ბორგავს სადმე, კბილატყიებული დათვი ბრდღვანავს სიმწრით ან იქნებ ვეფხვიც...

— მთები ბაასობენ, ბიჭო, ერთმანეთში, დარბაისლურად არჩევენ ამ ქვეყნისას, იმ ბარისას. მაგათ თავზე მობურული ღრუბლები კი საკუთარი ფიქრებია, აზრები... ვაჟაც მაგაზე წერდა სულ... — იდაყვზე წამოიწია, უცნაურად მომაჩერდა:

— შენც რომ ლექებასა წერ, ჰა ლლა-ჰო! — იავე თვალს მიჰაქუნებს და მე კი სირცხვილით სად ჩაეძვრე, იმას ვეძებ.

— ჰაიტ, შე, — მოსაფერებლად წა-



მეტანა, მაგრამ რაღას გავუჩერდებო-
დი, მოვეცეხლე იქიდან.

— წერე ღლაპო, წერე, მაგაზე უკე-
თესს ვერც თქვენ იზამთ, — დამაყოლა
გაქცეულს და ზურგზე გადაგორდა.

გაკვირვების თავიეც აღარ შემრჩა.
მოვლასლასებ ჩემთვის, მამას ჩავუარე,
მუცელზე გაწოლის ბალახზე წიგნი
გადაუშლია და კითხულობს ზემოდან.
გამოცნობა რად მინდა, სახეზე ეტყობა,
ლექსებია. აბა ნადირ-ფრინველთა წიგ-
ნი რომ არ არის, მეც კარვად ვხედავ.
ღვთისოც სადღაც გამქარალა, სახლში
შევდივარ. ვეძებ. იქ უკუნი სიბნელეა,
როგორც ქაში. ისე გრილა. აედელთან
მიდგმული განიერი ტახტი დავლანდე,
ზედ გულაღმა მოვეწყე და მივეცი თა-
ვი ბოდმას. ნეტა რაღას ელოდებიან?
ღვთისოც რომ არა ჩანა, აად წავიდო-
და? შემომაცივა, იქვე ნაბადი მოვისინ-
ჯე და შევეფარე თბილად. ექვე, ამათ
თუ ასე გააგრძელეს, საღამომდე ვერ
გავალთ. ჩათბუნებულა თვალები მე-
წულეობა და ვხედავ ტყეს, მარტო ფილ-
მებში რომ მინახავს. ხელებში კობტა
ზაფერი მიკირავს, ფეხებს ჩექმები მი-
ცავს, თავს ფართოფარფლებიანი ქელი
და მივაბიჯებ ისე. წინ ათათი მამებარი
მიმირბის, ყუფით ნადირს აფრთხობს.
ტყიდან დენის. აგერ დათვი გამოგორო-
და, პირდორბლიანი ზედ ჩემზე მოდის,
ბუზღუნებს და ტოტების ლაწა-ლუწით
მთელი ტყე აქ მოაქვს. გადაეუხტი მარ-
ჯვედ, მივეუმიზნე და ვშვლივთ შუბლში
ტყვია. წითელი წერტილი დაეტყო, თა-
ვი ნელ-ნელა გაუახსლიანდა, ბეწვი
გაებლანძა. შემომხედა საცოდავად.
ერმლიანად და მოწყდა უსულოდ, ჩემს
ფერხითთ. უკან დავიწიე, ხელი ვერ
მიხლია, ვდგევარ ასე, გაშეშებულნი.
თავზე ფრთების შლამაშლუბით ფრინ-
ველები დამტრიალებენ, მაგათგან ცა
ვაშავებულა. ტყიდანაც რაღაც ხმაური
მოისმა, თანდათან ნადირმა იწყო გა-
მოსვლა, მოგროვება. აგერ ჰელია მო-
ცუნცულება, ირემი მოხტია, გვერდით
ლაშებჩამოღელილი მგელი მოკყვება,
იმას მაჩვი, უკანიდან ტახი მოღრუტუ-

ნობს, ყველა ჩვენთან მოიკრება და
მაგათ შუა. მხეცები კი დათვს გლოვო-
ბენ, იმას დასტირიან: მაჩვი მაჩვურად
სლიპ-სლიპებს, ირემი მუშტისოდენა
ერმელსა ღვრის, მგელი კი გულდაჩი-
გნილი ყმის. აბა მეც ერეული მერევა,
ყელში გორგალი გამჩხერია და ვე-
ლარ გადამიუღაპავს. გამოვეცალე ყვე-
ლას, მოვრბივარ სახლში, მხეცე-
ბის გლოვა კი ავლავ ჩამესმის, ვერ
ვიშორებ. ზემოდან ცაე მოიჭუფრა, ერ-
თი გულიანად ამოიხვნეშა და მორთო
მაგანაც ტირილი, ხეები კენწეროებს
დარდით აქეთ-იქით აქანავებენ, ფო-
ლები ვიშვიშებენ, ქარი უბედური და-
წანწალებს და გულისწამებდად წივის.
მოვრბივარ და მომდევა გლოვა, წყავლა
ცისა და წყავლა მიწის, ტალახში ვეცე-
მი, ამოგანგლული ადგომას ვედილობ,
მეტად კი ვეფლობი. დაღუპვის კარზე
ვიღაცის ძლიერი ხელი ვიგრძენი, ძაღ-
ლონე მოვიკრიფე, დავეკიდე ჩემს
მშველელს, ვეკიდები, ვეკიდები და ვა-
ოფლილი თვალს ვახეღ.

— კარგი, კარგი. გეყოფა შვილო ჰი-
ლი! ასე მზეც უშენოდ ჩავა — მამაჩე-
მის ხელს დაბლაუტებელი კიდევ დიდ-
ხანა არ ვუშვებ. სიზმარი ყოფილა, სიზ-
მარი და სხვა არაფერი. რომ დამიარა
სიხარულმა, ერთიანად ამიტაცა და გა-
დამყლაპა, გამარჯვებული წამოვვარდი!

— უკვე გავდივართ? — აცეტებული
მამაჩემს სახელოზე ვეჭაჩებო, კარში მი-
ცხვები. სახლიდან გამოსულებს ღვთი-
სო შემოგვეგება:

— ბიკოს, არ მოილხინა ჩემს ტახტ-
ზე? — ძალად ბრაზობა მთიელი, ულ-
ვაშებში ქირქილებს და მალე ისევ ვა-
ვიწყლები. მზე მართლაც მიმალვახეა,
შურდულმომარჯვებული ბიჭივით მთესს
ამოფარებულა და სხივებს იქიდან
გეტყორცნია. გემრთელად ვიმთქნარებ,
ხელებს მხრებზე ვირტყამ, ევხიზლდე-
ბი. კაკო ძია ნაკვერჩხალთან წაქუზულა
და. მადი, ცერთან მწვადებს ამიშხინებს
მადიანად. გვერდით ააამო სურნელით
ერთიანად დარეტყიანებული ლომგულა

მიცუცნულა და თათებში მოგდებულ ძვალს ღრღნის.

— ჰა, ძილისგულა, გამომართვი! — ავარვარებულ შამფურებს კაყო ძიას ვართმევ და იქვე, მოლზე ახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან მიმაქვს, როგორც ხელისგულზე ჭია-მაია, ისეთია ეს სუფრა.

— ნამდვილი ქარვია, დილოცოს ღაზის ნაყური. — ღვთისო ღვთისო თვალმილულული აქაშნიკებს, ნება-ნება წრუპავს, ენას აწყლაპუნებს.

— ცუდი ჩვენი არ დგება, — იქადნის კაყო ძია, წელში იმართება, შამფურება ერთ მუკში ბლუჯავს და ნაკვერჩხალს ფეხით ფანტავს. მეორე ხელით დედას პურებს კრუფს, გვიერთდება.

— ესეე! — როგორც იქნა მოკალათოდა ჩემს გვერდით. ერთი გადმომხედა და — ჰაიტ! — ორივენი გულიანად ვიციანო.

ლუკმა ერთ ლოყაში რომ აღარ მეტყეა, მეორეს ვახმარ, დიდად ვირჩები.

— ამით ჩვენს ცას გაუმარჯოს, ჩვენს მიწას და ყველაფერს, რაც შათ შუაში დგას თუ დაიარება, — კაყო ძია სხვის ნათამადარ სუფრაზე თავის დღეში არ მჭდარა და ამბობენ არც დაჭდებო. აანამ სიტყვას დაიწყებდა, ერთი ხანი ცას უყურა, თითქოა იქ ეწერა მაგის სადღეგრძელო, მერე ჩვენც გადმოგვებდა და ახლა მარცხენა ხელით დონჭჭემორტეული, მარჯვენათი ცხვირზე ჭამს იპირქვეაებს. განზე აღარც შამაჩემი ურჩება, გადმოსროლილ ალავერდს ღვთისოს დოქს უყენებს და მოსჩქეფს ქარვიაფერი.

— აი, იმ კლდეზე მიჩაკვეულ ამირანს გაუმარჯოს! — თითს ცაში იშვერს მამაჩემი და ასეთი ბედნიერი ჭერაც არასდროს მინახავს; მოღედილ პერანგში ხელი შეუყვია, გულ-მკერდს ვალერსება იმის თითს თვალს ვაყოლებ და კვდრობ. ღრუბლებში ამირანი გაეპარჩიო.

— იმის განმათავისუფლებელსაც, მაწავლებელს, არ დაგავიწყდეს, იმასაც გაუმარჯოს! — ღვთისო ჩემკენ შემობრუნებულა, ისევ თავისებურად

ჩამცქერის. თვალს ვუსწორებ ვერცხვას მო კი მთები წამოგდგომიან და თავიანთი საფიქრალით დამძიმებული მკაცრად გვიყურებენ. საღდაც კრიჭინა ვერ ისვენებს, საღდაც საქონელი ბღავის და გულზე უცხო დარდი მეძალდება. უჩვეულო, მთის დარდი.

მიყვარს მთა ამაღლებული, რასაც წყარონი სდიანო, მოჩუხჩუხებენ ედემსა საგრილობელად ხდიანო.

ღვთისოს გახვებდე, კვამლში გახვეული, ისევ მე მიცქერის:

„ჰა ბიჭი, ხომ კარგად მღერის მთის ვეფხვი, ჩვენი ყაზბეგი, განა ვაჟა, არწივი და შევარდენი ცუდად მღერის? ჰოდა, ნადირთ და ფრინველთ ხოცვა რომ მოგწყურებია, მაგათზე მაღლიანს ამ მთებში ვის გადაეყრები?“

— აუჰ, აუჰ, შენ გაიხარე, რა კარგად იტყვის ხოლმე, ბიჭო, ვეფხვიც აქა გეყავა და არწივიც, ჰოდა ააღლა ჭანდაბაში უნდა წავიდეთ, აუჰ, აუჰ. — ბუბუყებს კაყო ძია, ბუბუყებს და ნასიამოვნებია მეტად. ეეჰ, აქ ნადირობის სუნიც რომ არ ტრიალებდა, მაგას რაღა მიხვედრა უნდოდა. მამაჩემიც რომ ბეჯითად თვალს მარიდებს, ისევ თუ სცხვენია საწყალს. მეც თვალს ვუქამავ, გვერდით ვიხედები. იქ კი, თითქოს წინაზე, ტანწერწეტა, აწყობილი ზაფერჩნაძეს მიყუდებია და იაც მიჰყიტიანებს, ჩემს მზერას კაყო ძია იკერს, მიყვება, მიყვება და თვალს ისიც ზაფერს ადგამს.

— ხალხო, ამ თოფს ენა ჰქონდეს, ვაი რა ხარხარ-მასხარს დაგეყრიდა! — თითს თოფისაკენ იშვერს და თვალებზე ეტყობა, ისევ ეშმაკი შესჯდომია. — მაგის გამკეთებელს ჰგონია დააქციო მტერ-მოყვარეო, გაწყვეტა მხეცის ქუანებაო, აუჰ, აუჰ, აუჰ — თავისებურად აბუბუბუტდა — ნადირს და მტერს ვეგლეჯინები სწორედ, ხოცვა და ქვებია არაა ჩვენი საქმე, სიკეთე და მხოლოდ ეგ — დოქი ჩაწურა ჭამში, მკაცრად, დინჯად — ქორწილში თუ დამიკლია ეგ თოფი, კიდევ ჩვენს სოფელში რომ ბაღლი გაჩნდება, მამინ გამომაქვს, ჰო-

და, აულ სიკეთეში მეხმაროს, ამინ! — ძლიერ მოითქვა აფორიაქებული სულა და გადაუშვა ღვინო მადიანად. სხვებ-მაც გადაუშვეს: — ამინ! ამინ!

ღვთისომ დაღუფლზე ყალიონი მოკა-ჩა, ცალი თვალი მოჭუტა და დანარჩე-ნებს წარბი აუწია:

— აღარ მოენათლოთ მონადირედ, ერთი არ ვასროლინოთ ბიქს?

მინც ვერ ვიჭერებ, გულს კი, იცოცხ-ლე, გააქვს ბაგაბუგი.

— ოღონდაც, მაგრამ პირობა არ და-გავიწყდეს მოსთხოვო, მონადირეთ კუ-რთხევის პირობა! — სალოც თითს მალ-ლა სწევს კაკო ძია და შამაჩემს თვალს უკრავს. ისიც მე მიუყრებს, თავს მიჭ-ნევს. ჰოდა, რაც სკოლაში ლექსები მესწავლა და არ მესწავლა, სუყველა იქ მათქმევინეს. მაგას ვილა დასაქერდა და საკეთარიც ჩამოვარაკრაკე, მხრებზე ხელია პარტყუნითა და „ყოჩაღ ბიჭოა“ ძახლით ერთიანად გალაღებულმა. მთები კი დგანან და, მგონი, ჩემზე მა-გალია ეცინებათ.

ბოლოს, ფილმის გმირს რომ ხმალს გადასცემენ, კაკო ძიამ ზაუერი ისე გა-დმომცა. დასაცემინებლად გამზადებულ-ლი, ცივი, შემართული მკელელი. ორი-ვე ხელით ჩამოვართვი, გავისწორე, მარ-ჯვნივ შამაჩემი ამომდგომია. მარცხნივ კაკო ძია, ღვთისო სუფრასთან დარჩა, სურადღებით მიცქერს. ლულა ჭერ მთებს მიუვნიშნე, მერე ღრუბლებში ავწიე და სადაც ჩემი აზრით ამირანს ტანჯავდნენ, იქ მივადე. თითაც გამოე-კარი და...

გასროლის ხმაზე დაფეთებულმა ლომ-გულამ თვალი ცივად მიავლო და გულ-

გახეთქილმა სახლის ქვეშ დუქანს მივხე-უკანათა თათები მანამ ამუშავა, სანამ ვიწ-რო ღრიჯოში ბოლომდე არ შეიჭრთა. იქ ეტყობა ცოტა დაწუნარდა. მალე აბ-რიალებული ღრუნჩი გამოუჩნდა. იმას თავიც მოჰყვა და შეშფოთებულმა აქ-ეთ-იქით მიმოიხედა. დარწმუნდა მეტს აღარავინ ისერისო და კუდამოძებულ-ლი გამოძუნძულდა. ისეე მიტოვებული ლუქმა მოიძია და მისდგა ძაღლურად.

ავდრის ღრუბლებში გავარჩიე ტყვი-ამ როგორ დაამსხვრია ბორკილები, რო-გორ აიწყვიტა გმირმა ამირანმა და მიაი-ფართო მხარ-ბეჭი როგორ მიიძალა მთება იქით.

თოფი იქვე მივაგდე, სუფრას დაეუბ-რუნდი და ჩაუყეკი თავში.

ალიონზე გამოვედით. ფეხზე მთის ცვარი გამოგვევა, ტანზე მთის სურნი-ლი. სახლს თვალი გამოვადი, წინ წამომ-დგარ ღვთისოს, მისი სიტყვები გამას-სენდა — ჩემი კარ-მიდამო თავს ღრუბ-ლებში იბანს და ტერფები კი ღელეწ-უწყვიო, — გამახსენდა და დავეთანხ-მე. მანქანა ჯამიდან თანდათან გამოი-კრა, თავქვე დაუყვა. კაკო ძიას ცხვირი მინაზე მიუტყულებია, ნიაღს დაძაბულ-აპობს.

— კოლაანო ჩაუველი, აბა ბარში ხელკარიელი ხომ არ ჩავალთ, — ეუბ-ნება შამაჩემს.

კოლა ვინც არის, ვხვდები, გული მა-ქანდება დახოცილი ნადირის და იმათი ერთ წერტილზე გაყინული თვალბრის წარმოდგენისას. გარეთ კი ნისლი იკ-რებს, სქელდება და შედედებული ცდი-ლობს ქვემოთ არ ჩაგვიშვას.



დუმილი

რომანი

IX

ზედიზედ ორი დღე-ღამე შეხვდა ანგელინა მორიგეობა. სამსახური შემდეგ ი იყო დააპირა გელა საიბენელად წასვლა, რომ ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაში თბუთმეტაკაბიკიანი კარტოფილი მოიტანეა. იფიქრა, ყოველ დღე ზაზრიდან ამია თრევას, სახლთან ახლოს არია და ბაუმ აქვე ვიყიდო. სანამ ტომარა სახლამდე მიათრია და ნახევარდ აველა კარტოფილი აივანზე გაშალა, უკვე გვიანლა იყო, — არადა, ვიდრე გელა არ ნახავდა, საავადმყოფოში მიავლა და ელოა შეხედვა აღარ შეეილო. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ბიჭის საპოვნელად წასვლა ეპირებოდა, თითქოს ჭიბეს უწვავდა ის გაყრეცილი წერილები, მისამართი რომ ეწერა ზედ. ზოგჯერ აურვილი წამოუვლიდა, გაეშალა და წაეკითხა ისინი. დედაშვილობაზე დახარბებულ, მარტოხელა ქალს აინტერესებდა, რას წერდა ბიჭი დედაა. რამდენჯერაც დააპირა ბარათის გადაკითხვა, იმდენჯერვე შეაკავა რალა უხილავმა ძალამ. მერე ქუჩა-ქუჩა რომ შეუყვდა და სასწავლებელიც იპოვა, გაიხარა. დერეფანში გა-

მოფენილ გოგო-ბიჭებში ლევანას ვიწვილს დაუწყო ძებნა. რატომღაც სწამდა, თვალის ერთი გადავლებით ვინცნობო, მაგრამ ვერ შეილო. ზარა დაირეკა და ახალგაზრდებმა თავთავიანთ ჯგუფებს მიაშუოეა.

საკლასო ოთახების ჩამოვლა ველარ გაბედა ანგელინამ. ეზოში გავიდა, საავადმყოფოს, წამლებსა და ექიმებს შეჩვეული ქალი, ბავშური ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა ყველაფერს.

— ვის ეძებთ? — მოესმა ზურგის მხრიდან.

მიიხედა. თმაქალარა, გამზდარი კაცი გასაღებების აცმას აჩხარუნებდა.

— აქ ერთი ახლობლის ბავშვი...

— რომელ კურსზეა?

— არ ვიცი.

— სპეციალობა?

— არც ეს ვიცი.

— უცხო პირთა შემოსევა აკრძალულია!

— როგორ გეკადრებათ! — ამრეზით ახედა ქალმა.

— მიბრძანდით! მიბრძანდით!

ამდენი იარა, ეძება, ვითომც არაფე-

რი. დედა რომ ელოდება ბიჭს, მომაცვ-
დავი დედა, ესეც არაფერი?! ეტყვის,
მაშ არ ეტყვის?! რა არის დასამალი?!
ეგებ შეიგნოს ამ კაცმა.

და ალაპარაკდა თვალში ცრემლჩამ-
დგარი ქალი.

— მძ! ჩაახველა კაცმა — გასაგები-
აო — ანიშნა. წავიდა და თან გაიყო-
ლა. საძინებელ ოთახებს ჩამოუარეს.

ერთგან შედგნენ... აწოლები, კა-
რადა. მაგიდაზე წყლიანი სურა, წიგ-
ნები, რვეულები.

კოტაც კიდევ და... შეერთა ქალი.
ის ცინფერთვალა ბიჭი,ოდნავ შეფიფ-
ქული საულეაშეთი, ალი-ყვალი ლევანა
იყო.

— უიმე, შვილო! ასე უღმერთოდ ვინ
გაგიმეტა. — შეიცოდა ანგელინამ.

ოთახში გელას გარდა, კიდევ ორი ბი-
ჭი შეამჩნია, ერთი გარღვეულ ფეხსაც-
მელს აყერებდა, მეორე ფანჯარასთან
ატუზული, დამფრთხალი თვლებით
შესცქეროდა ქალს.

— გამარჯობათ!

— გაგიმარჯოა!

— მე ანგელინა ვარ, — როდია-რო-
დის სული ამოითქვა ქალმა, — შენი
თანააოფლელი.

გელას ჩალიღავებულმა თვალებმა გა-
ოცება ვერ დამალეს. ასეთს სოფელში
არავის იცნობდა. არსად ენახა, წა-
მით ფიქრმა გაუელვა — „გიზო შუბლა-
ძის დედინაკვალი მომიგზავნიდა, ის
ქალი რომ არ იკადრებს, ისეთი არაფე-
რია“. ამიტომ გაიქვავა სახე, შეყარა
წარბი.

ენად გაიკრიფა ანგელინა. შორიდან
წამოიწყო. სად ეძებდა და როგორ იპო-
ვა, რომელ ავტობუსს გამოჰყვა, გზა
რომ შეეშალა და ორი გაჩერებით ად-
რე ჩამოვიდა, მძიმე ხელჩანთამ თითე-
ბი რომ დააწყვიტა, წუხდა, ვიშვიშებდა.
თავს აცოდებდა გელას.

იხვე იხე მოქუფრული, ეჭვიანი მზე-
რა ჰქონდა ყმაწვილს. განა ვეუ ამჩ-
ნევდა ქალი ბიჭის ორჭოფ გამოხედვას?
ამჩნევდა მაგარამ...

— სახეზე რა მოგივიდა, ^{ქართველში} ^{გველმოითუქა}
ჰკითხა გელა.

— არაფერი — ცივად პააუხოზდა
ბიჭი.

— ეყენი, დედაშენმა... — ხელჩანთა
წინ გააჩოჩა.

მხოლოდ ახლა იცნო გელამ სახელურ-
გადაქექილი, დედისეული ტყავის ჩა-
ნთა.

— თვითონ სადაა?!

— საავადმყოფოში.

— საავადმყოფოში?!

— ავადაა, შვილო, ჩვენთან წევს.
აწრილდა გელა. ჭერ ქალს შეაჩერ-
და, მერე მის მიმყოლს.

* * *

მოგვიანებით, მზე რომ გვადიხარა,
გონზე მოვეგო ელო, ერთი ამოიხვნეშა
და მხარი იცვალა. ფანჯარასთან დაკუ-
ცქულ, სათვალთან ქალს შეხვდა.

— გეძინა? — ჰკითხა სოფიომ — და-
იყვენე, დაისვენე, ასე ჯობს — ექიმმა
თქვა, ყველაზე მთავარი თილიაო.

— დაღამდა?! — იკითხა ელომ.

— ჭერ არა, ხედავ?! ახლა ჩადის მზე.
აწორედ ამ დროს, შეწყვეტილი აა-
უბრია გაგრძელება ატრდა, თუ ჩამა-
ვალ მზეა აადევნა მზერა, შემოსული
სტუმრები არ დაუნახავს ელოს.

პირველ, ვინაც თვალი დაატანა მათ,
სოფიო იყო. გული შეუჯრთა ქალს, მი-
ხვდა, ვინც იქნებოდა ეს აწოწილი ბი-
ჭი. მღელვარებისაგან ტუჩები ააკმაკუ-
ნა. გაშლილი წიგნი დახურა, ისევ გა-
ხსნა, ჭერ ელოა გახედა, მერე შემოსულ
ქალსა და ყმაწვილს.

თვალები წამოენთო, მზერა გაუთბა.

იხვე იხე გაუნძრევლად იწვა ელო,
სოფიომ წიგნი რომ დახურა და ისევ
გახსნა, ამისათვის არ მიუცია დიდი
შნიშვნელობა, მაგამ თვალებში შუქი
რომ ჩაუდგა ქალს, აიხარულს შუქი.
ის კი ეუცხოვა მერე თეთრბალათიან
ქალსა და ბიჭს წაატანა მზერა, და შე-
ლანდებო, — თვალები დახუჭა ელომ.
როცა გაახილა, ისინი იხვე იქ იდგნენ,
ღია კარებში.

ჩამავალი მზის შუქზე ობოლ მარგალიტით ბრწყინავდა დედის თვალის უბეში ჩამდგარი სიხარულის ცრემლები...

— დედა! — საწოლთან ჩაიჩოქა ბიჭმა.

დედა-შვილია ამ შეხვედრით აღელვებული სოფიო მალიმალ ახამხამებდა გამოხუნებულ წამწამება და ცრემლს ველარ იკავებდა. ანგელინა კი მონუსხულივით იდგა ზღურბლთან, ვერა და ვერ გადმოებიჯებია კარის ნაგერახე.

დედის უბეში თავჩარგული ბიჭი პირისახეს მალავდა, მშობლის თბილ, მყუდრო გულისპირში გატრუნული, უსასოო ბედნიეობას განიცდიდა.

სდუმდა დედა, ვაჟის მხრებზე უძალოდ ფათურობდა მისი თითები. ცრემლი ახრჩობდა, ოდნავ სახის წამოწევა და სულია ჩათქმა რომ დააპირა გელამ, წამსვე დაუქირა დედამ სახე. თავისკენ შეაბრუნა, ჩახედა.

ბიჭმა თვალები დახუჭა. გრისინობდა დედის გაფაცოცებული მზერა, ააცა იყო ჩალილავებულ უბეს შეამჩნევდა და ახანაუც გამოკოთხავდა. მაგრამ დედა დემპლს არჩევდა, არაფერს ეკითხებოდა, მხოლოდ ოდნავ მუბუქად და შეუმჩნევლად შეეხო თბილი თითები ზეულის ევლს, ნიკასს, წამწამებს... დაიხარა ქალი. ჩალურჯებულ უბეზე აკოცა. გელა უხმოდ ყლაპავდა ცრემლებს, მერე ერთბაშად ამოუჭდა გული...

როგორც იქნა შეიკავა ცრემლი და თავი წამოსწია, შეკრთა — ჩასაქრობლად გამზადებულ ლამპარს ჰკავდა დედა, ილიეს ომ აუნთქავდა.

— მოაკლდი! — უჩურჩულა ანგელინამ.

მეორე დღით, გოგია მააწავლებლის კოლი ვერიკო და კიდევ ორი ქალი — ჩინჩალაძეების უბნიდან, საავადმყოფოს კარება კითხვა-კითხვით მიადგნენ. მორიგე სანიტარ ქალა თავი შეაცოდეს და თეთრბალათომობრული ქალები საავადმყოფოს კიბეს აპყვენენ.

წინა კვირას შაქარა შოფერს და ილი-

დორე კალფენას ენახა ელფი მამაქმენჯა დაბრუნდნენ კაცები, საჩვენო პირი არ უჩანსო... ჰოდა, ახლა წამლების აუნთ საესე დერეფანში, ისე შიმ-ფეთებით მიაბიჯებდნენ ქალები, თითქოა ააცა იყო ელოს უაულო გვამს უნდა გადაკროდნენ. როგორც იქნა, მონახეს პალატა. შევიდნენ. მშვიდი, უწყინარი ძილით ეძინა ელოს. მის გამოლვიებებს ჰოკრიდნენ ქალები.

სამაგიეროდ სოფიო წამოფარფატდა ლოგინიდან. სკამი მიაწოდა სტუმრებს. დააიმედა — ნუ გეშინიათ, კარგად არისო...

მნახველებმა ხელჩანთებიდან ნადული და ჭყინტი ყველი, შემწვარი წიწილა და ქვის ეციის ხაჭაპური, რომ ამოიღეს, სოფიომ ღიმილი ველარ შეიკავა: „ქალებო, ვინ არის აქ ამეების მკამელი, ჩაის წყალს იღვსა ველაპავთო“.

ქალებმა რაკი მოსაკითხი მოიტანეს. დასაბარებელიც დაიბარეს, რალა გააჩერებდათ, გზას დაეშტრნენ. გელა თუ ნახულობსო, — იკითხეს წასვლის წინ.

- გელა?! — დაიბნა სოფიო.
- ჰო, მისი ბიჭი.
- კი, როგორ არა.
- ხშირად მოდიო?! —
- ხშირად?! კი, კი...

მარტო შესიებული სახე, თუ ჩალილავებული თვალია უბეები არ იყო გელას მიმალვის მიზეზი. დედის ხელახალ ხილვას, მისა აფორიაქებას გაურბოდა ბიჭი. ამიტომ იყო გარე-გარე უტრიალებდა საავადმყოფოს კარებს, ზვერაგდა და აყურადებდა. გამოჩენას ვერ ბედავდა. იმდღევანდელმა შეხვედრამ შეაშინა და გააწამა. აქეთ ანგელინამ აუქნია ხელი: რას გიგავს ცხვიპირი, ხომ ხედავ, შენი დანახვა როგორ ანერვიულებსო.

ახვა რა გზა ჰქონდა — მიიმალა ბიჭი.

ყოველ ღამით, სიზმარში, საავადმყოფოს კეებერთელა შენობას ხედავდა გელა. ფანჯრებში ცეცხლს ალი გუზ-

გუზებდა. მინები იმხვეროდა სიმხურ-
ვალისაგან, მერე კეცხლი ქრებოდა და
სიბნელეში იძირებოდა საავადმყოფოს
შენობა.

მარტოდმარტო კედებოდა დედა. აა-
შინელეზა იყო!

იმ დღეს დილაადრიან მიასკდა საა-
ვადმყოფოა კარს გელა. ადრეაო, უთ-
ხრეს. ხუთი საათისათვის დაიბარეა.
მშვიდად, უდარდელად უპასუხეს, ახ-
ლოს არ გაიკარეს, მისი არც თხოვნა,
არც მუდარა შეისმინეს, ყური დაიყ-
რუეს და თვალი დაიბრმავეს.

უტრიალა და უტრიალა საავადმყოფოს
ეზო-გალავანს, როგორც ციხეს ძნელად
შეასლწევს, კებრაკლიტულს — გაუხ-
სნელს და დაუმორჩილებელს, ეკლესიას
— უკაროს და უფანჯროს, ვერ შეძერა,
ველარ შეაღწია. მოგვიანებით, ლეიბე-
ბით დატვირთული მანქანა მიადგა ყვი-
თლად შეღებულ ფართო ქიშკარს,
მძღოლს შეევედრა გელა და იმანაც ხა-
თრი დასდო.

მალე ქიშკარი მოაღეს და მანქანა სა-
ავადმყოფოს ეზოში შეგრიალდა. კე-
ლა მანქანიდან ჩამოხტა და ისე სწრა-
ფად აირბინა კიბე, წინშემოხვედრილმა
თეთრხალათიანებმა დააკენეს, უნე-
ბართოდ გაპარული ავადმყოფი ბრუ-
ნდებოა უკან.

შევიდა და იგრძნო, როგორ წაეკიდა
კეცხლი ყვრიმალეებზე. დედის საწოლ-
ზე ვილაკ თვალეზგატანჯული ქალი იწ-
ვა და ძლივს სუნთქავდა. თეთრხალა-
თიანებმა ჩგუფი ადგა თავზე.

ლასლასით ჩამოყვავა კიბეს.

პირდაპირ მიასლების კარს მიადგა.
მოასცდელში, კორფლიანი ქერა ქალი
იჭდა, გელა რომ მიადგა და „გამიშვიო“
უთხრა, გაოცდა ქალი. საიდან გაჩნდო-
ბიჭო? — შეაგება კითხვა, — ჯანდაბი-
დანო — უპასუხა. კანკალეზდა ბიჭი.

თითქოს დანაშაული ჩაედინოსო გამ-
ხელა უქირდა. ეჩვენებოდა, ორი დღე
ქ არა, ორი ათეუნი დაავიანდა, დე-
დის ნახვა ვერ მოახეოხა, ახლა სამაგიუ-
რო გადაუხადეს: როგორც უღირსსა და
უნამუსოს, დაუმალეა მშობელი. არც

შეალად ცნეს და არც პატრონად
შვილი იყო, აქ იტრიალებდა, აქ იწე-
ბოდა. ავადმყოფის სასთუმალთან დაა-
ლაშებდა და გაათენებდა. მართალი იყო
ის ხალხი: რისი ღირსიც იყო, იმგვარად
მოექცენენ... ხოლო შენ, უღირსო შვი-
ლო, რა სამართლე გაგაჩნდა, არავინ
ირკვევს, არავინ იიიებს. ბრალდებულის
როლში გამოავლა ყველა ეხალისება,
დაკვა და გამართლება მითხარი, თო-
რემ... ერთხელ მაინც ჰკითხონ, რა დღე-
ში ჩავარდი, ნახევრად დამბლადაცემუ-
ლი, უაზრო მშობლის დანახვისას, შე-
გეძლო კი ხელმეორედ მისვლა?! გჭონ-
და კი ამის ძალა და ღონე?!

გულის სიღრმეში ჩააფრებული უსა-
შველო ტკივილი მოაყენებდა არ აძლევ-
და, ხელმეორედ მისვლა გადაწყვიტა.
ხილი იყიდა, მსხალი და ვაშლი. როცა
ბაზარში ხილს არჩევდა, დარწმუნებული
იყო, სართული შეეშალა და დედა იყე-
ვე იქ, იმავე პალატაში დახედებოდა.

ზუსტად ხუთ საათზე, უკვე საავადმ-
ყოფოს შესააცვლელთან იდგა. თეთრი
ხალათი მოაცვეს და მოლიავებულ კარ-
ში უხმოდ გაატარეს. დინჯად, დაკვირვებ-
ბით მიყვებოდა კიბეს, ითვლიდა კი-
ლევს: მეორე სართული, მეამე...

კარი შეაღო და შედგა. ერთხანს ვაო-
გნებულა იდგა, პალატაში კვლავ უც-
ნობი ქალები იწვნენ.

— ვის ეიებ? — ჰკითხა ერთმა, ვამ-
ხდარმა, უფერულმა ქალმა.

— აქ... აქ... — მითითა საწოლი, —
დედაჩემი იწვა.

— დედაშენი... — ქალმა გაოცებისაგან
მხრები აიჩეჩა — არ ვიცი... მე ამ დი-
ლით მომიყვანეს.

აღაოც ის სათვალისანი, ჰალარა ქალი
ჩანდა, დედისა სასთუმალთან, წიგნით
ხელში, რომ იჭდა იმ დღეს!

წამით მოეჩვენა გელას, არა მარტო
პალატა და სართული შეეცვალა, ავი-
თონ შენობა, მიასლები, მეარე ქალიც
კი ახვა იყო. მია გასაღიზიანებლად სა-
ხეებს იკვლიდნენ. როგორ მოიქცეს?!

ანგელინა სად არის? — ჩაებღაუ-
კა უკანაყენელ იმედს.

— ანგელინა? ავადმყოფს გააყოლეს,
მშვიდი ხმით პაუზობდა სანიტარი
ქალი.

— რომელ ავადმყოფს. — შიშმა და-
ზაფრა ბიჭი.

ელო რომ წაიყვანეს, სოფიო იმ დღეს
დიდხანს იდგა ფანჯარასთან. საავადმყო-
ფოა კიშკოიდან სასწრაფო დახმარებია
მანქანა რომ გავიდა, მაშინაც იქ იდ-
გა. მხოლოდ ტუჩება აცმაკუნებდა და
წამდაუწუმ სათვალეს წმენდდა. მერე
ლიმონიანი ჩაი რომ მიუტანეს, პირი
არ დააკარა. არც წამლები მიიღო. იდ-
გა ასე, ზეზეულად, ფეხზე ჩამომწყდარ-
ი. თითქოს დამნაშავე მოწაფეავით
კუთხეში დააყენა ვინმემ და სასჯელს იხ-
დისო...

მერე სანიტარი ქალი შემოფაჩუნდა
პალატაში და ახლად განთავაუფლებ-
ულ საწოლს დაადგა თვალი. თეთრე-
ული უნდა გამოეცვალოო. ჩაილაპარა-
კა. შებრუნდა. სოფიომ ჯერ სანიტარს
გააყოლა მზერა, მერე ხალათი გაიბრო
და ელოა საწოლში ჩაწვა. საბანი გა-
დაიხურა და გაიტრუნა.

ორჯერ შემოაკითხა სანიტარმა, სა-
წოლის აშლა უნდოდა, ორჯერვე საბა-
ნიში გახვეული ქალის შემფოთებულ
თვალებს წააწყდა და გაეცალა. ექიმს
გააგებინა, ხითხითით უამბო მომხდარ-
ი. გული შეეკუმშა მკურნალს — თა-
ვი გაანებეთო, — გადაუგდო კუშტად.
იმ ღამით სოფიო მოკვდა. სიმპოტო-
ვის დარღმა მოკლა აბრალო.

დილით, ფარდები რომ შეხსნეს და
მზის სხივებით აივანო ოთახი, მიცვალე-
ბულა, ვილაკაზე გაბუტულ, უწყინარ
გოგონას წააგვდა — უმიზეზოდ მწა-
რედ რომ დაეაჩათ.

X

დილიდანვე აღელვებული იყო ანი-
კო. გული გარეთ მოუწევდა, გზას გა-
პყურებდა, სულ ეჩვენებოდა. ვილაც

მოიწევდა მათკენ და საცა მუხს ჭრის მუხს
შემოალებდა.

წამდაუწუმ აჩქარებდა მოზოზინე
დაა — არიქა, საწოლში არ მოგვისწ-
რონო, არიქა, წერილფეხი დაუბურებე-
ლი არ დაგვრჩესო, აადილა დროზე-გა-
ვამზადოთო.

ანიკოს ყოველ ბრძანებას უხმოდ ას-
რულებდა ფაცო.

აადილობისას, კეცები რომ შემოაწ-
ყვეს კეცბლზე, „ჭიკაკი ფხალი“ მოვხა-
რშოთო, დაიჩემა ანიკომ. დედას უყვარ-
ათ — არ გაამხილა. მთელი დღე გზას
გაპყურებდა და ეშინოდა, გაცხადებით
წინათგინობა არ გამოცრუდესო, სუ-
ფოია გაშლას აგვიანებდა ანიკო, ფეხს
ითრევედა, არც ფაცო ჩქარობდა, უმც-
როს დას შეაკეპროდა თვალეშვი.

სად იყო და სად არა, გუგუნით ჩა-
ნოუხვია ორლობეში მანქანამ. გარეთ
გასვლა ვერ გახედეს. ზაფრანის ფერი
გადასდებოდა ორივე დას და შოშიე-
ბრით უცემდათ გული.

ფლანელს მწვანე კაბა ეცვა ფაცოს,
წინსაფარიც მოერგო ტანზე, მაგრამ მი-
სი წინ წამობურცული მუცელი და შეე-
სებული მკერდი ბრმასაც წაართმევდა
მზერას, ამიტომაც უჭირდა ეზოში გა-
ეცლა.

ანიკომაც აღარ იცოდა, რა ექნა, და-
რდი უხეთქავდა გულს, ანამდე დაე-
მალა და არ ეთქვა ოჯახის გააპირი დე-
დიანათვის. ამაობაში მანქანაც შეჩერდა
კიშკოთან. ვილაც ტანადი ქალი შემო-
ვიდა ეზოში.

— გამარჯობა, გოგონა! — მიეაღმა
ანიკოს უცნობი, აპრებულცხვირიანი
და პროლათვალეზიანი ქალი.

— გაგიმარჯოს!

— მამაშენი სადაა?

— მამაჩემი?! — გაკვირება დაეტ-
ყო გოგოს.

— შენ ელოს გოგო არა ხარ?

— დიახ... — თვალეზად იქცა ანი-
კო, მღელვარებისაგან ტუჩები შეუთრ-
თოლდა.

მხოლოდ ახლა შეამჩნია ანიკომ, ქალს
თეთრი ხალათი რომ ეცვა და კიშკარ-

თან ცხვირით მობჯენილი მანქანაც, „ასწრაფო დახმარების“ რომ იყო.

ქალბატონიან მძღოლა ააქვზე ჩამოვდო თავი, მანქანა მოღებულ უკან კარებში ააქაცე და ვილაკის ფეხები მოჩანდა. შიშით მოიხედა უკან.

— ფაცო! — იკვლა შეშინებულმა გოგომ, მაგრამ უმაღლე გონა მოეგო. სმა ჩაიკმინდა და ჩაჩუმდა. ფაცო დამხმარედ არ გამოადგებოდა, როცა ძალა მოკლებდა და მანქანას მიუახლოვდა, უკვე მორბოდნენ მეზობლები, ფეხდაფეხ დასდევნებოდნენ ავისმაუწყებელ წითელკუართან მანქანაა, ააცა იყო მოაყდებოდნენ კიშყარს.

— დედა! — მივარდა, ჩაეკრა, უკონიდა პირისახეს, ხელებს, მერე ვილაკამ განზე გასწია ანიკო. საკაცეა დასწვდნენ, კომციმ ასწიეს და შინ შეიტანეს.

ფართოდ მოაღეს სახლის კარი, ააწოლეს აშალეს, ავადმყოფი მოასვენეს, ყველაფერა აკეთებდნენ სხვები... მეზობლები... გარეშეები, მძღოლიც გაიკრეკა (გუგუნით ჩაიჭროლა მანქანამ), ბუხაოი ააგუზგუზეს, მერე შეიქნა ერთი ამბავი — ეხვევოდნენ და კონიდან იმ ფაშფაშა ქალს, დედას რომ მოჰყვა თან და ახლა შინაურივით დააბიჯებდა ოთახში.

— რავა დაიკარგე, შე ქალო... — საყვედურობს ერთი.

— აეე რავა მოგვიძულე, — თავს აცოდებს მეორე. სტუმარს უხერხულად ილიმია, სახე ებადრება და სიყვარულით პაუხობს ყველა.

შემკრთალი და აბუზული ანიკო ადგის ვერ პოულობს. ეჩვენება, რომ ილიან დიდხანს გაუგრძელდათ მიკითხვითხვა და სალამ-ქალამი მეზობლებს. ველარც ფაცო ჩნდება ამდენი მოაეირე თვალის წინ. ხან წერილფებს იმიზეზებს, ხანაც ახლადმოგებულ ხბოს. ფაცო ხომ იმალება, და იმალება. მაგრამ დედასთან მიახლოვებას ვერც ანიკო ბედავს. ვაი თუ ვერ იცნოს დედა... ვაი, თუ უაზრო. არაფრისმთქმელი მზერა მიპყროა. ამიტომაც უკლა

მის ააწოლა გარე-გარე. ელზადაყოფილი დის წავლენ მეზობლები. მიწყნარდება სახლი, ეგებ იმ ქალმაც ინებოს მოაყენება. გვიან, ძალზე გვიან მიცოდება დედაათან. უხმოდ ჩაეხუტება.

მანამდე კი, აწრიალებული და ბოლომდე აულშეირულია გოგო.

ორ დღეა დარჩა სტუმარი, თავზე დაატოილებდა ავადმყოფს. მის იტყუას ფაიი ქეონდა. წამლებიც თავად წამოივლო ანგელინა. ელოს მეტრნალმა ეკიმმა გამომატანაო, იწონებდა თავს. დანიშნულ დროზე ასმევედა ავადმყოფა. იმედს იილეოდა, მაღე მორჩებაო, ია არ გააცხადა. დათვლილი დღეები რომ ქეონდა ქალა, თავად რომ იძალა, აავადმყოფთა მოაკლა... დე, თავის სახლში, თავია კერიაათან მოკედესო. აიშვიდეა საჭირო, ხმამალალი ლაპარაკი და მღელვარება აენებსო, ამას ისე ხმამალლა ლაპარაკობდა. ზოგჯერ გულში ეკვიც გაკარავდა ანიკოს, ხომ არ ტყუოდა. ანგელინა. ეგებ სინამდვილეა მალავდა.

ასე გავიდა ორი დღე, მესამე დღეს, ფიქრში არ იყვნენ ისე. სტუმარი წამოდა და — წავალ აწიო, — განაცხადა. შეეცა ანიკო, შეყოყმანდა. ერთი გულით ამ ქალია წასვლა, აღარც კი უნდოდა.

ის ორი დამე, ანგელინამ ელოს საწოლთან გაათენა, მის საათუმალთან. ანიკო და მისწოლოდა საფერხეში. დამით ესმოდა დება, წამოდგებოდა ანგელინა და დიდხანა, დიდხანა რამოდა მისი ნაბიჯები, ავადმყოფთა აღვიებდა. წამალა ასმევედა. ხოლო ახლა, როცა ანგელინამ წაყვლა გადააწყვიტა, დაიბნა გოგო. მეც ოჯახი მაქესო, სამასხუროო. — ანიკოსთან თითქოს თავს იმართლებდა ანგელინა.

კარგა მანილოზე ოომ ჩააცილდა კიშყარს. მოხედა, ოდა-სახლის ბოძს აკეროდა ანიკო — გამაკილეო ანიშნა. გაედევნა გოგო.

ერთხანა გვერდიგვერდ მიადევდა ანი-

ყო, უსიტყვოდ მიაბიჯებდნენ, აე უბრაოდ იარეს... მეზობლები გადმორბოდნენ, ეშვებოდნებოდნენ ანგელინა, კიდევ გვინახულე, ნუ დაგვივიწყებო — თხოვდნენ. ზოგა ყველი მოქონდა, ზოგსაც ხილი, პოლასი სენიონი შევილიშვილმა, გრძელანჭება ნაზიამ, მოვსებულე ვარკა და ერთი ქილა თაფლი გამოუტანა. ცხონებულმა მამაშენმა გადამოჩინა ჩემი გოგო, — ძველი მადლო გახსენებია პილასის. ეამა ანგელინას, მშობლია აიკეთე წინ რომ დაახვედრეს და მადლად გაუფინეს.

აე ჩავიდნენ სოფლია ბოლოში, როცა ჩაახვევა მიუახლოვდნენ და ორიოდე მოსახლია იქით, ნახევრად მოშლილი ყორე, წელში მოღუნული ლელვია და კომშია ხეები გამოჩნდა, შეაქროლა ქალა. გვიმრა და ანწლო მოადებოდა ნახანარალს. ნამეხარვით შემორჩენილი ბუხრის მილი დარჩენილიყო წვიმიან და ქაოის სათარეშოდ. ამბერეი მეტუცია ნაახლარზე არაინ ისურვა ყერიან გაღვივება — კოდვილიანი ადგალიაო... არადა, მიტოვებული ეზოგარემო, დაუმარხავი მიცვალებულივით ილო მთელი სოფლის თვალწინ.

შედგა ანგელინა. სიმწრით მოხედა მეზობლებს, ერთი მიიმედ ამოიხვენეშა და უცებ აქვითინდა.

შეცა გოგო. იდგა შუა გზაზე, ორმაგლაბაბიანი ტანმინიშე ქალა, ფეხებთან, ზორავით ავსებული მიიმე ჩანთა ელო და... მწარედ ტიოდა. დიდხანს ტიროდა. შეეცოდა ანიკოა.

— ანგელინა დეიდა...

მოხედა. მეჭით მოიწმინდა კრემლი და მერე საწყლად უთხრა გოგოს:

— ხედავ ანიკო?! ცვეარებივარ სოფელა, მე მეგონა...

რა ეგონა ასეთი, არ ჰკითხა ანიკომ. მერე ქალაქიაყენ მიმავალ შარაზე გაეიდნენ და საერთოდ ხმა არ დაუძრავს. აეტობუსის გაჩერებასთან კარგახანს იდგნენ, წამდაუწყემ მადლობაა უხბიდა გოგოა — გაიხარეო, გაიხარდეო, შენ რომ არ მყოლოდი, აქამდია სულს ვერ ჩამოვტანდიო.

ხელახლა უბარებდა, როგორც მისი ულიყო, რა დოოს, რომელი წამალი მიეცა და საერთოდ როგორ მოველო ავადმყოფი დედიანათვის.

და ბოლოს: — ხომ იცი, ქალაქში ეცხოვრობ, ერთო კომწია ოთახი მაქვს, მეშვიდე სართულზე, ჩემი აივნიდან მთელი ქალაქი მოჩანა, მოდიო, მეატუპრეო... — მიამართიც დაუწერა. ოთახი და შესასვლელი არ შეგეშალოსო... გატრუნული უსმენდა ანიკო.

— მამა თუ ნახულობ? — ჰკითხა უეცრად.

— მამას?

შეჩეოდა გოგო. მოეჩვენა, თითქოს ხელი ჰკრეა და ანგელინა განათებული ფანჯრიდან, მეშვიდე სართულის კომწია აივნიდან, ძირა მოადენინეა ზლართანი.

— კი.

— რატომ წავიდა?

— არ ვიცი...

რომ სკოდნოდა მაინც არ ეტყოდა — ანიკოს ჭიუტი მზერა უმაღ დაიჭირა ანგელინამ.

მერე აეტობუსი გამოჩნდა. ანიკომ ხელი წაშველა და იაიკ მიიმე-მიიმედ შევიდა მანქანაში.

* * *

მობრუნდა ანიკო, კიშკაოს რომ მიუახლოვდა და ააკუთარ ეზო-კარა შეხედა, გული დასწყდა: თითქოს მიცვალებული ესვენათ. ისეთი სიჩუმე იყო გამეფებული. ხანდიხან ფაცოს მწვანე კაბა თუ გაიღვებდა და იაიკ უმაღ მიეფარებოდა თვალს. როცა ოთახის კარი შეაღო და საბნია ქვეშ ჩაქარგულ მშობელს დააკერდა, გული გადაუტანდა — მარტო ცხვირი და მიმქრალი თვლებილა დარჩენილიყო დედიგან.

ამდენხანს ფაცოა უგუნებობა თუ ზაფრავდა ანიკოს. ეიმედებოდა — დედა ჩამოვა და ყველაფერს ეშველებოდა ახლა რა შეუილია გაქრობის პირზე მიულ ქალს?!

დარდმა და საფიქრალმა გუნება გაუფუჭა. დაღალა ანიკო. მოგვიანებით შუა კარი ღიად დატოვა. უფრო ყურად-

დებით ვაქნებო და საწოლზე მიწვა...
 ნალვერდალი ლუოდა ბუხარში, რცხი-
 ლია შეშაა გაქრავდა ალი, ატაკუნ-
 დებოდა, სხივი გაანათებდა ჩაბნელებულ
 ოთახს, აველისძველ ავექს, რკინის სა-
 წოლს, აარკიან კარადას, ჩაქრებოდა
 ალი: მერე მთელი ძალით იფეთქებდა,
 წამით გაკაშვადებოდა, ასე განუწყვე-
 ტლივ. მკრთალი, უძალი სინათლე აფე-
 რადებდა ოთახს.

ქარი აწვალებდა სახურავს, თბილ
 ქვეშაგებში გაუტრულ ანიკოს ეჩვენე-
 ბოდა, რომ მატარებელში იწვა და სად-
 ლაც უხილავ ქვეყნისკენ მიქროდა,
 ლურჯი, მწვანე ფეხები უნანავებდა მზე-
 რას.

უცებ შექვი ჩაქრა... შეძრწუნდა გო-
 გო. არა, შექვი რომ გამოიროთ, ეს არ
 იყო ახალი. განაყუთრებით ზამთარში
 და თანაც აეთ. ცივ, ქარიან ღამეში.
 მაგრამ ახლა, ამ წუთში, მატარებელში
 რომ იწვა და შორეულ ქვეყანაში მიე-
 მგზავრებოდა, შეკბუნდა. სიბნელე
 ხელს უშლიდა ხელახლა განეგრძო ოც-
 ნების გზით მგზავრობა. იფიქრა, ცო-
 ტა შევიციდი და ხელახლა განათდებო.
 თვალები დახუჭა, საბანი თავზე გადაი-
 ფარა... თიღმა წაიღო და წაიყვანა ჩამ-
 თბარი გოგო...

...გადაბიბინებულ ველ-მინდვრებზე
 გოგო-ბიჭები ცხოვრებს მწყემსავდნენ,
 ერთგან მდინაოე მიადგაფუნებდა ტა-
 ლეზა, ფართო და წყალუხვი ჩანდა,
 დაგა-დუგით გადაეკლენ ხიდა და გამო-
 ჩნდა ქალაქი... დიდი და ვეებერთელა,
 კოლოფებივით ჩამწყრივებული სახლე-
 ნით. ნათელი ფანჯრებითა და მოკა-
 ფე სინათლეებით. აქ, ერთ ღამაზ და
 მალალ ახლში ანგელინა ცხოვრობდა.
 თუმცა რალა ცხოვრობდა, აგერ ანგე-
 ლინაც აივანზე გადმომდგარა და თი-
 თქოა მდინარეს გადაკქეროდა...

უცებ რალაც გაურავეველმა ხმამ
 გამოაფხიზლა ანიკო, თავი წამოსწია.
 ბნელოდა ოთახში. ბუხარში ცეცხლი
 ჩანაცრებულიყო. ლოგინზე წამოჯდა
 გოგო, შიშველი ფეხები ცივ იატაკზე
 გადმოდგა, სიბნელე ტლანქად დაწო-

ლოდა ყოველ კუნჭულს. ვეზნე...
 ისეაა აად იდო ააანთი. ბუხარის თავ-
 ზე? ფაკოა ხალათის ჩიბეში? იქამდე
 მიღწევა არ გინდოდა ამ სიბნელეში?
 არადა, ჩემი, კენესასავით ძაბილი ხში-
 ნებდა ოთახში.

სულ ახლოს დედა საწოლი იდგა...
 რას უცდი?! მიდი! ჭერ ატლასის საბანს
 გაედვა თითები, ქვევით დაჰყვა. აქ, დე-
 დის ფეხებია, აწწია საბნის კუთხე და
 შეწვა.

ჭერ საწოლის კიდეს აეკრა და მკლა-
 ვი იაათუმალა ანიკომ, მერე ნელ-ნელა
 გააჩოჩა ფეხი და მუხლიც გამართა, რკი-
 ნაზე იწვა, მაგრამ სიცივეს არაფრად
 აგდებდა. თანდათან გაუთბა სხეული.
 ახლა აღარც გადმოვარდნის შიში ქეო-
 ნდა და აღარც წყვედიადი ზარავდა. რა-
 კი საწოლში მოხერხებულად გაწვა. მუ-
 ხლიც გამართა, აიამისაგან თვალმიღუ-
 ლულს წამიერად ჩაელიმა. ეს სიამე, თუ
 ჩალიმება დედის სიახლოვიდან, მისი
 თბილი სხეულიდან მოდიოდა... ბურანით
 დათენთილ გოგოა აო გაუგია რა ღრის
 გავიდა. წამით მოეჩვენა, თუ მართლა
 ასე იყო, სულ ახლოს, დედის თითები
 შეინარა, ჭერ მუხლზე მიეცაცუნა, მე-
 რე თეძოზე... ეალურაებოვდნენ. თვითო-
 ნაც მიეკრა. უფრო ქვევით, გოგონაა
 მკლავებიანაკენ მიოწეედნენ დედის თი-
 თები... ვერ მიწედა. შედგა. თითქოს
 შეისვენეა აცახცახებულმა თითებმა,
 ძალა არ ეყოთ.

ერთბაშად წამოიმართა გოგო. შეტ-
 რიალდა, დედის ფეხებს გაექცა და
 მკლავებს მიაშურა. გულში ჩაეკოა.

* * *

ერთხანს ფეხები უხურდა და სიმხუ-
 რვალე სხეულს უწეავდა ელოს, მერე
 ერთბაშად ყველა ტკივილი მოეხსნა და
 როგორც იყო, სული მოითქვა.

საავადმყოფოს კედლები, თეთრხალა-
 თიანი ეჭიმები, ოდნავლა ბეუტავდნენ
 ხაოვნის შორეულ კუნჭულში. მხოლოდ
 სოფიო მანწავლებლის გალუღული პირი-
 საზე და ცრემლიანი თვალები ვერა და
 ვერ მოიცილა. დამშვიდობება მაინც მო-

ესწრო, ახლა რა ქნას?! როგორ მიაწვდინოს ხმა?! შეწუხდა. აწრიალდა, მერე ნატვრა ხილვად რომ ექცა, წარმოიდგინა კიდევ... ოდნავ მოღებულ კარში შეიკვრიტა, მერე თამამად შეაღო და შეაბიჯა. მოულოდნელობისაგან სოფიო მასწავლებელმა წიგნი გვერდზე მოისოლა, ლოგინზე წამოჭდა და სათვალეები შუბლზე წამოიკოსა.

— დავებრუნდი, ქალბატონო სოფიო, შენთან გამომშვიდობება დამავიწყდა და დავებრუნდი. უნდა მაპატიო.

ბოლო სიტყვები ისე ხმამაღლა გამოუვიდა ნათქვამი, აკუთარი ხმა თვითონვე ეუცხოვა ელოს, თავი წამოაწია, მიაყურა, გარეთ ქარი სისინებდა, ეტყობოდა აბბილია კარი დარჩენოდათ ღიად მოიქნევა კარა, მიარტყამდა, მოიქნევა, მიარტყამდა. მერე სინათლე ჩაქრა. ასე ეგონა, სისუსტე შემეპარა და მზერა დამიბრძავედაო. მაგრამ თვალს რომ ძალა დაატანა, მიხვდა — წყვილიაღში იწევა... მოკვდი ალბათო, — გაიფიქრა. სწორედ იმ დროს, ოთახში ვიღაც შემოტყაპუნდა, აბანი ააწია და გვერდში მიუწევა ელოს, ანიკო! — უთხრა წყნარად. ხმა ვერ მიაწვდინა, მიხვდა, მარტო გონება, შერჩენოდა, სხვა ყველაფერი წართმეოდა, მიხვდა და მთელი იალით იყვარა: ანიკო! რაკი ხმა ველარ მიაწვდინა, ძახილი ვერ გააგონა, თითები ააფათურა... ერთხანს შიშით აკვირდებოდა, მართლა ვამოიარავებ თუ არაო... ჯერ საკუთარ გვერდზე მიიკე-მოიკევა ხელი, მერე გოგონასკენ გადაინაცვლა. იგრანო, როგორ გაიტრუნა ანიკო, ეფერებოდა წვრილ კანკებზე, გაღუულ მუხლისთავეებზე... ჩემი გოგო... ჩემი გოგო — ჩურჩულებდა გუნებაში ელო და რატომღაც მაინც ეგონა, რომ მისი ხმა ახლა მთელ სამეზობლოს ესმოდა, მაგრამ აღარას დაგიდედათ, რადგანაც მისი ნაბოლარას ახლად აფეთქებული ძუთუ-მკერდი ედებოდა მკლავზე და სიხარულთან ერთად მწუხარების ტკივილიც აესებდა დედის გულს.

* * *

დილით უკვე თოვლს შეებუმბლა არემარე.

დედის ოთახში თოვლის სინათლე შემოპყვა ფაცოს. ბუხარში დაუზოგავად შეაყარა შეშა, შეაახა ნავთი და წყლიანი კარდალა ნაქაზე ჩამოიკიდა.

კარგა ხანა იჯდა ფაცო ფიქრში წასული, თვალები მოგზოგოზე ნაკვერცხლებისათვის მიეპყრო, თითქოს რაღაც შოუეულა იხანებდა და ვერაფრით ვერ გაეხანებინა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც ეცებლა უჭდა უფროსი ქალიშვილი, მზერა არ აცილებდა დედა. უცქერდა მია ზურგა, ბეჭებს, საეკვოდ წამოზრდილ მუცელს.

გუგუნებდა ბუხარი, სველი კარდალიდან ჩამონაყონი წვეთები წააპა-წყუბით კვიოდა ეცხლში.

ეტყობა, ფაცოს მოწყინდა გაუთავებელი წააპა-წყუბი, კარდალა ჩამოგდა, ია იყო წელში გაიმართა, რომ დედის დადარაჯებულ მზერას წააწყდა. დანაშაულზე დაჭერილ ბალივით შედგა. აუნთქვა შეუგუბდა. ოფლის მახვილი წვეთები დაასხდა შუბლზე.

— დედა! — დაუთახა ჩემად.

უხმოდ, უსიტყვოდ შესცქეროდა ელო.

— დედა! არ გიხანავს? — მიუახლოვდა ფაცო.

თავი აუქნია ქალმა, არაო — ანიშნა. მერე თანდათან რომ აემღვრა მზერა და მსხვილი კურცხალით ავესო უბე, მის ფეხებთან მოიკუნტა ფაცო.

— ჩემი ბრალი არაა, დედა! ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი.

სდუმდა ელო. თვალები დაეხუტა, ფერჩათეთქვილი, გაქვავებული სახით გაუნმრევლად იწევა.

— დედა, ყველაფერს გიამბობ, შემომხედე..

თვალის გახელას, ერთ შემოხედვას ევედრებოდა ფაცო, მხოლოდ დედის მზერა უნდოდა ეგრძნო, მისი თვალების სითბო.

— დედა! მომისმინე...

არცერთი სიტყვა არ გამოჰპარვია

ელის საწოლში ჩაკრულ უმწიფარა ანი-
კოს გამახვილებულ ამენას.

XI

მოუთავებელ ახლში ქარი გადი-გა-
მოდიოდა, მტვერსა და ნაკარს სახეში
აყრიდა ლევანას. „რა უემურ ხასიათზე
გამელედიდო“. — გაიფიქრა, თავს ვერ
მოერიო, ძილი ვერ შეიბრუნა.

მალმალ გვერდის ცვლა, საწოლია
უთავბოლო ჭოილაო თენგოს გამილვიე-
ბსო იფიქრა და ლოგინში გაისუსა, ყე-
ლში მოწოლილი ხველება ძლივ-ძლივო-
ბით უკანვე ჩაბრუნა.

მხრები შევეაო და ქელი დაუშახვილ-
და თენგოა, აღარც ენა ებმის ძველებუ-
რად და თვალების ბლანტეასაც გადაე-
ჩვია. თავად ლევანა ნაკლებად ამჩნე-
და იმისწულს ცვლილებას. ზოგჯერ რე
მუქარით, ღრენით გადახედავდა. და
შეუცაცხანებდა, ყალყზე შედგებოდა
თენგო: ამ უხმო, უსიტყვო ორთაბრი-
ლაში ბიჭი თანდათან გამოიწრთო.

ახლის მშენებლობაზე თენგოც წაი-
ხმარა ლევანამ. ზეით-ქვეით არბენი-
ნა, ფიცრები ათრევირა, მერე ჩაქტჩი და
ლურსმანი მისკა ხელში, აბა, შენ იკოო.
— დააყოლა. შალაშინის ხელში აღებაზე
სული ელეოდა ბიჭს, მაგასაც მოესწრე-
ბოო, შენგან ნამდვილ ოსტატს გამოვი-
ყვანო. — აიმედებდა ლევანა. ხანდახან
ხუმტარას გააკრევირებდა ფიცარზე, ხა-
ნაც სატეხს მიაჩეჩებდა ხელში, შეეუ-
ლსაც ჩამოაშვებინებდა მალლიდან, აბა
თარაზოში გამიშინჩე ეს მუდრეგოო, ეტ-
ყოდა ახლად შეკრულ ფიჭვის კრილა
ჩარჩოზე.

ამ სახლს მზისშვილისათვის ეაშენებო,
ხმაალა, ყველა გასაგონად ამბობდა
ლევანა. შენიაო, — წამდაუწუმ უბახო-
და თენგოა. — შენი საყუთრებააო, ამით
თითქოს ამაგრებდა და ძალას აძლევდა
ბიჭს, საპროპელო იმედს, რწმენას უნე-
რგავდა.

ზოგჯერ ძველი იმააცები ჩამოუვლო-
დნენ ლევანას, დოჭით ლეინოს, კეჟერა
ფხალს და კეკია მკანდს გამოიყოლებდ-

ნენ, ჭიშკარს მოადგებოდნენ მტკნარ მტკნარ
ტრია თვალით ახედაე-დახედაედნენ ახ-
ლად აყვანილ კედლებს, ნამუშევრაო მო-
უწონებდნენ, ხელსაც წააშველებდნენ,
მოგვიანებით, ბუხართან გრაელ, დაუს-
რულებელ ამბებს წამოიწყებდნენ...
მერე, ლეინო რომ შეუბრაწავდათ ლო-
ყებს, თენგოსკენ გააპარებდნენ მზე-
რას, ცოლია თხოვია? ამბავა გამოკით-
ხავდნენ, როდიათვია აპირებო?! თუ
ბიჭი ანეკსზე ადვილად წამოეგებოდა,
ლევანა ბუხარში თავა წარგავდა და ცე-
ცხლა დაუწყებდა ჩუჩხურს.

პოველ ხანებში იყო ანე. მოგვი-
ანებით კი, როცა ბიბა-იმისწული უკვე
ერთი გადახედვით ატყობდნენ ერთმა-
ნეთის სათქმელს, ლევანა იმდენად
აღარ ბრაზობდა, თვალის ერთი გადა-
ლება, და თენგო მისახვედრს ხედებო-
და.

იმ ღამით კი, ძილი რომ გაუტყდა და
საფიქრალს აპყვა ლევანა, სულ სხვა
მიზეზი გაჩენოდა. სოფელს თვალის
მახვილი ჰქონდა და სმენაც. ერთს რომ
გაპარვოდა, მეორე წაყრავდა ყუოს, მე-
სამე და ასე... მოედებოდა მთასა და
ბარს, გახშიანდებოდა, გაფრთიანდებო-
და.

ავგულა, ეამი კაცის სახელი ჰქონდა
ლევანას, ძნელად თუ ვინმე გაუბედავდა
პირში სიმართლის შეხლას, შორიდან
მოვლით. არაკად ეუბნებოდნენ ყოველ-
თვის სათქმელს.

გელას ანახავად რომ აპირებდა ელო
წასვლას, კარგა ხანია იყოდა ლევანამ,
(ანიკოს რა დაამაგრებოდა ენაზე!), უე-
კირდა კიდევ, შვილზე დაფეთებულ დე-
დას ამდენხანს რამ მოათმენინაო, მე-
რე ავადმყოფობა რომ მოეძალა ქალს
და დაუგვიანდა წასვლა. ესეც ამცნეს.
შეწყებდა ლევანა.

არ გასულა დიდი დრო და, გაემგზა-
ვრაო — რომ უთხრეს, ბიჭის ნახვა მო-
არჩენსო, დამშვიდდა კაცი.

ერთი სატყვიარი რომ მიწელდა, მეო-
რემ წამოყო თავი...

იმ დილით, შაქარო მოადგა ჭიშკარა.
კულტურის სასახლის მშენებლობა შეჩე-

ოდა, გელოდებიანო, მოახსენა ლევანას — წადი, ამ საათში მანდ ვიქნებიო“. შაქარო წავიდა და ცოტა ხნის შემდეგ, თვითონაც მიჰყვა უკან.

ჩრდილში მოკალაოებულ მუშებან შეუძინველად თავს წაადგა ლევანა, ყური წაქრა:

— ყოველ ღამე... კარგი სიძესავით მოადგება მოტოციკლეტით... — წამოიჩყო ხმაჩახლეჩილმა კაცმა. — ეის უხევევენ თვალებს?!

— პატარა გოგო ხომ სახლშია? — გაიოცა მეორემ.

— ჰო, მაგრამ იმა ვინ აგდება რამედ...

სწორედ ამ დროს, — გამარჯობათო! — მიესალმა ლევანა.

მოულოდნელობიანად დაიბნენ, ენა ჩაუვარდათ. ეუცხოვა ლევანას მათი სიტყვე. ვერაფერს ჩახვდა, მერე ცალკალე რომ დაანაწილეს საქმე, საქუთარ თავთან მარტოდ დარჩენილ კაცს ფიქრი შეუტანდა. მის დანახვაზე რად შეშფოთდნენ?! შეჩოჩოლდნენ?!... როცა ხელახლა გახმოვანდა სიტყვები... — მოტოციკლეტი... ღამე... პატარა გოგო... — თმა ყალუხე დაუდგა.

ერთს მიხვდა — ამ ბოლო დროს, პატარა ანიკომ მამათან სირბილს უკლო, რამდენჯერაც მოვიდა, იმდენჯერ გაქცევაზე ეჭირა თვალი, ფაცო ხომ არიან ახლშო, ჰკითხვდა ლევანა, კი, როგორ არაო, შიშით შეაქერდებოდა გოგო. თუ კი ამდენხანა ჩურჩულ-პუტუნით გული გამოქვამა, მამი წამოდი ჩვენთანო, ახლა ადუმდა, პირიპირ შეყრასა და თვალბში ცქერა გაურბოდა.

მიხვდა ლევანა, რალაც აადრუმლოა მალავდა უმცოოთი გოგო.

სულ მალე მეზობლებმა ამკნეს ლევანას — ელო სასწრაფო დახმარების მანქანით მოიყვანესო. თან ანგელინაც ახლავსო: რომელი ანგელინაო, ამბერკი მებუკის ქალიშვილიო, შეჩქვიფდა ლევანა. საიდან-ადაო, გაიკვირვა. საავადმყოფოში უმუშავნია, ელოსათვის მოუვლია, ახლა თავზე ადგასო“. აწრიალდა

ლევანა. ანდიაზე დადებულ მანქანას ვა აპეტრივით უჭერდა ყელში.

მალე რომ წავიდა ანგელინა, და აფელმა გააცილა, ესეც გაიგო ლევანამ.

იმ ღამეს, ერთხანს თოვლსაგან გაეციენებული შეშის შიშინა უსმინა ლევანამ... სდუმდა ბიძა-ძმისწული, წამიერი თვლემა მოძალეოდა ლევანას.

უცებ კვნესა ჩაეკა. კვნეა ტირილით შეიცვალა, თავი წამოსწია. გესმის? — ჰკითხა თენგოს, რა უყო?! გაოცებული სახე ჰქონდა ძმისწულს. „ელოც ტირის...“ „ვინ?“ „ალბათ მოკვდა ვინმე...“ არ გაამხილა ანიკოს მოთქმის ხმა რომ ჩაესმა კაცს. ხელახლა მიაყურა. ქარი ზუზუნებსო, — დაამშვიდა თენგომ, — თოვლსა და ნამჭერს ბუქავს.

— გავალ, გაციხედავო. — წამოდგა ლევანა.

— შენ არა, მე... — წინააღმდეგობა გაწევა დააპირა თენგომ, უკვე ფეხზე იდგა ლევანა. ქული ჩამოეფხატა შებლზე, ბამბიანსაც მიწვდა.

— სად მიხვალ, ბიძია?!

პასუხი არ აღირსა, უხმოდ გაიხტრა კარი.

თოვლი ჩაეფრქვა სახეში, სუბმა შეუთოშა ცხვირ-პირი, ხელახლა მიაყურა. უკვე გარყვევით ეამოდა... ქალი ტირილდა მოთქმით. ვაი, ჩემს უბედურ თავსო, ვაი, შენა გაუბედურებულ ოჯახსო... იცნო, ვინც იყო, ოცდახუთი წლის წინანდელი ხმები ხელახლა რომ ჩაესმა, ამან კი არ გააოცა, სულ სხვამ შესიარა. მთელი ამ ხნის განმელობაში, რაც ოჯახი მიატოვა და ახალი ფუძე წამოიჩყო, მუდამ ერთს დაატრიალებდა ფიქრით. ელოა წინაშე ეფეცურად ვერ მოიქცა, მამაკაცური ფხა და ლაზათი ველარ გამოიჩინა. დავმალა და გაექცა, როგორც მაშინ, იმ პირველ შეხვედრისსა, ვერ გაექცა, მერე თავისივე ფეხით მიაკითხა, რაე ახლაც, თავდაუზოგავად რომ მიაკვლნა. ადრევე ლავ თოვლს და იმ კუთხიკებს უჭირავს მზერა.

ერთხანს აუე უბარაქოდ იაოა, იცოდა აით მიყავდა გულის დახილა. იმასაც



ხედებოდა. შორეული ტირილი და კენეა მხოლოდ მოჩვენება იყო, ღამის უქმურით გამოხმობილი.

ნება-ნება ეშვებოდა ფანტელი, ირგვლივ სიწყნარე იყო. ასეთი გარინდება და იდუმალება. მხოლოდ თოვლით ჩახერგილმა მთა-ბარბა იცის ხოლმე... ამ დროს ძახილი ყრუედება და ნახვევი იფანტება. თითო-ორილა მეზობელი შემოეფეთა. საღამო მიაცეს და გაეცალნენ. ადამიანება შორის, როგორც დუმილი და შეთანხმება, ისე იღვა თოვლი.

თეთრი საფარველია ქვეშ დაატარებულ და დალაგამოცილი ჩანდა იველი სახლი, საღორეში ღორი ღრუტუნებდა, შიმშილა და სიცოცხე აეწრიალებინა. კაცის ხელი აკლდა გვერდზე გადაწოლილ ღობეა, მოღიაკებულ ქიშკარს, ყველას და ყველაფერს...

შეწრიალდა ლევანა. სული აუფორიაქდა. სახლში სიწყნარე იყო. აუკ ტირილი ისმოდა და არც შეცხადება საკვამურიდან ბოლა ამოდიოდა და თოვლით გადათეთრებულ კას ერთვოდა. სამზეურაა ფერდი იფარავდა ეზოს, ნაკლებად ატანდა ქარი. შეჩერდა ლევანა, რატომ მოხვედრო, ჰკითხა საკუთარ თავს — ვინ გიხმობდა, რა გინდოდა? ატუზულხარ საკუთარი სახლის კიბესთან მარტოდმარტო და მიახლოვება ვეღარ გაგვიბედავა, შე საცოდავო!

შეპყურებდა განათებულ ფანჯრება, საკვამურიდან ამოსულ ბოლს, ეღმად მამოკიდებულ ფარდას, წითელგულა ქალომება, ზედ კართან რომ დაეწყო ყილაცას და ერთი სულა ჰქონდა, სანამ კარს მიადგებოდა.

წამით, ააშინელი აზრი აუტივტივდა: ღამე... მოტოციკლეთი... უკვატრონოდ მიგდებული ოჯახი... მიიხედ-მოიხედა, თითქოა ეჭვი ირწმუნა. ეგებ ამალამაც?! დაიზაფრა. არასოდეს განეცადა ეჭვიანი კაცის ავადმყოფური სულია შფოთვა, არასოდეს აპოლოდა მას, სიბერემდე სიქაჩლეს მოელოდო — გაიფიქრა. მერე საკუთარ თავს შეუწყრა: „მთელისოფელი ღამარაკობს.

შენ რა, კურში ზიხარ?! გეგმავს ათავეო“.

თოვლმა უმატა ბაოდნას. გაულურჯდა ცხვირ-პირი, გაეთოშა ხელები.

მოულოდნელად, კარი გაიღო და ანიკომ გამოყო თავი, თეთრი თავსაფრით გაეთბუნა ცხვირ-პირი. შეერთა კაცი, დაავიწყდა სიცივე, გამხდარი და უმწეო ჩანდა გოგო. ფიჩხია მომცრო გულურა შეათრია... გული ჩაეთუთქა ლევანას, უკვე აღარ ახსოვდა არც მოტოციკლეთი და აღარც უდროო ატუმარი. ამ ქვეყნად არავინ ახსოვდა...

— ანიკო! — მოუხმო.

შედგა გოგო. მამის წყნარი ხმა მიწვდა და შუა კარში შეაჩერა.

— დახურე კარი! — შეუწყურნენ შიგნით.

მიხურა.

კარგა ზანს იღვა გაუნძრევლად.

ისევ ისე ბარდნიდა თოვლი და შეუბრალებლად ფარავდა ნაფხებურება.

წამით მოჩვენება ლევანას, თითქოს საღლაკ დასაყარგავიდან დაბრუნდა. არსად არავინ არ ელოდება. სულ მარტოა ამ ქვეყანაზე.

ისევ გახედა სახლს, კოკმანი აღარ დაუწყია, კიბეს აპყვა. სანამ კარა შეაღებდა, ფანჯარაში შეიჭვრიტა, ოთახის ყოველი კუნძული ხელისგულივით მოჩანდა. აიშუდროვე იყო. ზომ არ აძინავთო, — ხელახლა მოიჩრდილა ბელი, ელო სად წევსო, — დაინტერესდა. ააყოლა და ჩამოაყოლა მზერა. იველი მაგიდა და წყლიანი აურა, კამილი, ეედელზე სურათები. ყველაფერა ისევ ისე იყო, ხელუხლებლად; დაბამბული ჭება, კუთხეში ღერსმანზე რომ დაკიდა, ახლაც იქვე, თითქოა პატრონი ორიოდე წუთით გავიდა გარეთ და საცაა, დაბრუნდება. აგერ კარადა, უშობლია ფულით იყიდა ელომ. მანქანიდან გადმოღების დროს ოდნავ გაეზარა სარკე, რამდენი ივიშვიშა ქალმა, უბედურება იცისო... მეთი უბედურება რაღა გინდა!

რამდენჯერაც შეიხედა, იმდენჯერ გაუძინელდა მუღლის სახია დანახვა,

მოხანდა ააწოლი. ატლანა საბანი, ოდნავ შეხრილი მუხლი... წამლებიც მოხანდა... თერმომეტრიც... ქალი კი არა ვიღაც ეფარებოდა. შწანებულათიანი, ცნობა გაუძნელდა. ვინ იყო? წამით, ანგელინა ეგონა, არ წასულაო. — გაიფიქრა, ალბათ მომატყუებს. მეზობლებმა... აქ, ამ სახლში, მათთან შეხვედრა ნამდვილად არ უნდოდა.

ფიქრის დარტყმა ვერ მოასწრო, რომ მწვანეხალათიანი ქალი შემობრუნდა. იცნო, ფაცო იყო, ფფრობი ქალიშვილი. ეუცხოვა მისი წინ წამოწეული მუცელი. თავი დაიმშვიდა, გააუქმებულა თუ შეეკლილაო, მერე ხელახლა რომ შეხედა, სიმწრისაგან გაუშრა ხორბი, ნერწყვილი ჩაყლაპვა გაუძნელდა.

„ფეხმძიმედ არის“ — უეცრად გაცეკა ტინში, ყურები აუწივლდა... კარზე მიწოლა და ძალით შეგლეჯა ვერ გაბედა, რაღაც უხილავი ძალა აცეკებდა. ხელახლა ფანჯრისაკენ გაექცა მზერა... აღარსად ჩანდა ფაცო... ახლა დედის სასთუმალს ანიკო უჯდა. ავადმყოფს რძეს აამეცდა, ცალ ხელში რიიანი ქუჩა ეჭირა, მეორეთი დედა მიეკრა მკეოდზე.

ახლა შევარდნა და ვაი-უშველებელის ატება არ შეეიღო ლეენაა.

ელოსაკენ გადაიტანა მზერა. თმაგათურებელი, გამხდარი ქალი თითქოს აღარ იყო ამ ქვეყანად. ხელები აიფარა თვალებზე, ოხერა ჩაიხშო, მერე ასე ცელგამწარებულე უიან გამობრუნდეს და ბორიციით დაეშვა კიბეზე.

XII

გადიოდა დღეები. აღუშდა ელო. სინამეში ჩაყურათულოყო ძველი სახლი. დედის ამგვარი ყოფა გულს უკლავდა ანიკოა... აადაც კი იყო, შინ თუ გარეთ, განუწყვეტლივ მასზე ფიქრობდა, მისი სახე ედგა თვალწინ. წრიალებდა. შფოთავდა.

წინა კვირაა, გოგია მანაყალებელმა მოინახულა ავადმყოფი. უბრალოდ არ შერბეულა ელო. თითქოს არც გაუგია

მისი სტუმრობა. გოგია კინაღამ იქნებოდა გაცილებელი, რომ აიგანხვ, ჯოხის კაუნით პილასი ამოვიდა. კარის ნაგერაზე ფეხი არ ჰქონდა გადმოღებული, რომ ფაცოს მიამბა: „აბა კეციტ ნაკვერჩხლები მომიტანეთ“, — თვითონ ავადმყოფის საწოლთან მივიდა, ჯორკოზე ჩამოჯდა, ჯოხი ანიკოა მიამჩნა, „ეგერ, ბუხრის ყურთან მიაცუდო“. თვითონ ჯიბეები მოიხიბრია და სახთლება ამოიღო. აანთო. ააწოლიან თავზე მიანება. მერე კოტაოდენი სიმინდია ფქვილი მოთხოვა. ნალვერდალით საეეე კეცზე მოაფრქვია, მუხლებზე ჩაიჩოქა და აბუტბუტდა: „მონადებო, ძირიანო, შვილიანო“...

პილასი რომ წავიდა, ერთი კვირის განმავლობაში სკოლაში არ წასულა ანიკო: ორშაბათ-სამშაბათა სურდომ არ მისცა საშველი, გაცივდა, ოთხშაბათ-ხუთშაბათს, ელო წუხდა, შფოთავდა ძილში და ფაცო შეეხეწა: არ წახვიდე, მარტო არ დამტოვოო, ხოლო პაოააეევა...

სწორედ პარასკევს გადაიკარა. თოვა შედგა, აული ჩაიჭვა. მზის სხივები გადაექარგა არე-მარეა. ლამაზი ჩანდა აოფელი, შვენოდა თოვლის საბურველი.

მთელი დღე მოჯადოებულებით იყო ანიკო, საქმეს გული ვერ დაუდო, გადიოდა და გამოდიოდა, ამ კუთხიდან იმ კუთხეში. ერთხანა ახლადგამოჩეკილ წიწილებს ეფერა მერე საწოლზე ჩამოჯდა და აწივლებული წვრილფეხი კალთაში ჩაიხვა. ბუხართან კრუხი წიოქობდა, კალათიდან ამოფრენას ლამობდა... ფაცო შემოწერა — „რა მოგივიდა, გაგივიდა? საქმე თუ ვერ გიპოვნია, წადი, წყალი მოიტანეო“ — დოქი შეამჩნა ხელში.

ანიკო ზანტად წავიდა ქისაკენ. კარგახანს აჭრიჭინა ოწინარი. როგორც იყო აავსო დოქი, იქვე, თოვლში ჩადგა და ერთხანა ჩამავალ მზეს გაყურებდა. მერე აოფლის ორლობეს გახედა, გზაზე კაცი დალანდა. შეხედა და იმ წუთას იცნო, ღმერთო! ააით გაქცეულიყო, აღაო იცოდა. თორნიკე მანაყა-

ვლებელი! მისი კლასია დამრიგებელი და სიმღერის გუნდის ხელმძღვანელი მოდიოდა... აბა, ამდენ გაცდენას მართლა ვინ აპატიებდა?!

პალტოშემოხსნილი, მალალი, ტანადი, ახალგაზრდა კაცი, გამართული, სწორი ნაბიჯებით მოჰყვებოდა საცალფეხო გაკალულ გზას.

სანამ გამოიხედავს და თოვლზე ამოსულ გოგონას შეამჩნევს, რა დაუშლია ანიკოს რამდენიც უნდა უტყვირო და თვალებით ეალერსოს მასწავლებელს.

...ახლა, დოქი თორნიკეს მიაქვს. გვერდოგვერდ მიყვება. არა, ანიკომ როდი ათხოვა — მომეხმარეო, თავად ინება. უბრალოდ, აიციურაგან დაწითლებული გოგონას თხელი, სიფრიფანა ხელის მტევნები რომ დაინახა, შეეცოდა და გამოართვა. ახლა გვერდით მიჰყვება და სიტყვა არ ძრავს. არც საყვედურის თქმას აპირება, თითქოა მხოლოდ იმისათვის გადმოელახა თოვლითა და ნამტერით გაჭოვებული ამოდენა გზა. ანიკოს რომ შეშველებოდა და წყლიანი დოქი თვითონ წამოეღო.

სკამი მიაწოდეს და დაჯდა. ცეცხლი შეალეიჯა და თბება. ოთახში ერთ კუთხეში მიდგმული ააწოლიდან ავადმყოფის ქალაჩა თმა მოჩანს.

ხოლო ია, ვინც კეცხლი შეალეიჯა და სკამი მიაწოდა, სადღაც გაიპარა თუ მიიშალა.

ზის ახლა თორნიკე მასწავლებელი მარტოდ-მარტო, ავადმყოფის ოთახში და ხედება. ამ სიჩუმით ელაპარაკება ანიკო: „აი, ვინ არის ჩემი პატრონი. მადი და მოსთხოვე პასუხი. საყვედურით ავეცე, ხოლო მე, რომელმაც გაცვეთილები გვაცდინე. გუნდის მეთაური ხარ და ჩემთვის — დამსაჯე! ისიც გახარვდება. დამნაშავეება საუბარში აორევენ, მათ სკიან მხოლოდ...“

— ეია უტყერი ანიკო? — გამოსძახა სამზადიდან კარის სახელურს აკრულ გოგოა ფაცომ.

— აუ. — ტურნებთან თითი მიიტანა ანიკომ, — მასწავლებელი მოვიდა.

— რომელი?

— თორნიკე.

— თორნიკე?!

— ჰო, ახალი მასწავლებელია, ისტორიის გვასწავლის...

— რა უნდა?

— გაცვეთილება რად აცდენო...

— ვაი, შენი ბრალო...

— რა ექნა?

...თორნიკე, გარდა იმისა რომ ისტორიის მასწავლებელია, მუსიკალური განათლებაც აქვს. იგი ძველ ხალხურ სიმღერებს, საგალობლებს იწერს, აგროვებს. ამენით დაჯილდოებულ ბავშვებს ეძებს. სიმღერის გუნდი ჩამოაყალიბა სკოლაში. ქართულ სიმღერა-საგალობლებს მასწავლის ბავშვებს: მომღერალთა შორის, ყველაზე ნიჭიერ „აბსოლუტური სმენით“ (ასე იცის თქმა) დაჯილდოებულ ბავშვად — ანიკოს თვლია. ამიტომ ანდობს რთულ სიმღერებს, მისიმღერებს. ერთი შეგახედათ როგორ მილულავს თვალებს, როცა ანიკო წამოიწყებს სიმღერას.

ანიკო მხოლოდ გუნდის მეთაური-ბაზე მღერის, ისიც თორნიკე მასწავლებელია ხათრით, თორემ რა ემღერება...

ამა ახლა ფიქრობს ანიკო, დაბნეული და გულაფართკალებული.

აგუზგუზებულ ბუხართან მარტო ზის თორნიკე. არ ჩანდა მასპინელი, არ შემოდოდა ანიკო. ფაცოს არსებობა თავად არ იცოდა, მამამ რომ ცოლ-შვილი დატოვა, გაგონალი ჰქონდა, ხოლო დედის ავადმყოფობა ახლა გაიგო და დაიბნა კაცი. ამ სიჩუმემ ზომ მთლად, გატანჯა. მერე იფიქრა, ანე უპატივემლოდ. უუუუადლებოდ იმისთვის მომეტქნენ, რომ ენიშნებიან, დროა ადგე და წახვიდეო.

მიხურულ კარს იქეთ, საცოდავად ატუბულ ანიკოს გარკვევით ფსმოდა როგორ მოუთმენლად აქრიალებდა თორნიკე აქამს. უხაროდა ანიკოს, თავისთან ოთახში რომ ჰყავდა დამწვედებული მასწავლებელი. მაგრამ! მეამეცერ ჩახველა თორნიკემ და... შემინდა გო-

გო. — საცაა კაოს გააღებს, წამოდგება და წავაო.

ლევანის ხეობაში წევარდა, ფეხზე წამოდგარ სტუმრისაკენ არც გაუხედავს, კითხვით არც აინტერესებდა; დედია აწვალს მიაშურა. მშობელს პირისახეზე აბანი გადახადა და როცა აცეცებულ დედის თვალებს წააწყდა, აული ჩაეწრიტა. შეტორტმანდა.

გვერდით თორნიცე ედგა.

XIII

გვანი ალაღო იქნებოდა, გელა რომ შეიპარა სოფლის ორღობეში. მიდიოდა მალვითა და კრთომით, თითქოს ვიღაცის ყოვლისმხილველ თვალებს ეზალეებოდა. ხეირიანად ვერ ჩამხედარყო, საიდან უკვრეტდნენ ისინი. თოვლით გადაფარული სოფლის განათებული ფანჯრებიდან, თუ იმ მყუდრო და პატარა სახლიდან, საითყენაც ათე გამეტებით მიუწყედა გული.

კარგა ხანს მოუხდა ფეხით სიარული. გზა მოკლე მონაკვეთებად დაჰყო. აქედან და ეგერ, თხმელის ტოტი რომ მოჩანს, იკამდე... ერთს მძიმედ ამოთქამდა აული, გადაეშეებოდა ნამჭერში. მიღწევადა თხმელის ტოტი, ხელახლა მოზომავდა მანილა.

თოვლის საბურველს ერთმანეთში გაერთიანებინა სოფლის ყოველი კუთხე-კუთხელი. ბიჭის გონება კი მხოლოდ იმას ხედავდა, რაც თეთრი საბურველის ქვეშ იყო მოყოლილი — მოკვიაა და კუნელის ბუჩქი, ოქროცოცხა და ოშოშიაა ფოთოლი, საპრაიაა ხევი და ფერმის საძოვარი, მერე ბოგირი, ღელის პირაა ჩიტი-ლელვა და რიხა-რიხების ფერდი, მიაა ამოთხე და ჯოჯობეთი. მიაი სიხაული და ტყვილი.

მერე ოდნავ მოღებულ ჭიშკარს რომ მიადგა, უკებ ფხაკა-ფხუკა ჩაესმა. წყვეწყვი. იქვე, მის ფეხებთან წამეტუნით გაგორდა ძალი, ჩაიჩქა გელამ, თავზე ხელით მოეფერა, ყურები მოუქაჩა. სიხარულიაგან ხტოდა, წამეტუნებდა. კედს აქცინებდა ძალი. მერე ირგვე-

ლივ შემოუარა გელა, გაუთამაშებდა თამაშს. შუა ეზო გადაირბინა, ხელახლა მობრუნდა, გაუგორდა ფეხქვეშ. შარვლია ტოტზე ჩაეჭიდა, დაქანა, ლამია ჩამოახია, მეოე იბრუნა პირი და მოკურცხლა, კიბეს აცდა, კარს მიაკურდა, ბრწყალბით ფხოენიდა, თითქოა ოთახში მყოფთ ეძახდა: გამოდით, გამოდით!

— რომელი ხარ? — კარი გამოაღდა. იცნო გელამ, ანიკო იყო.

თბილ შალში გახვეული გოგო, ბორბიკით წამოვიდა მისკენ.

ხელახლა აწკმეტუნდა ძალი.

— გაჩერდი, ძალი! — შეუწყრა ანიკო — რამ გადაგრია?

დინჯად მოაბიჯებდა გოგო, არ ჩქარობდა, ვითომც წინასწარ იცოდა — ჭიშკართან ვინც დახედებოდა.

მია დანახეაზე ერთი კი მიიხედა გოგომ უან და თავშალა მოიძრო...

— გელა?! — შენა ხარ? ბიჭო?! — და იკვლა გოგომ.

— გელა მოვიდა! გელა!

* * *

რაკი იმა დაბრუნდა, იგი უკვე მონაწილე იყო იმ საიდუმლოში, რომელსაც თავიარ ჭკუით, თავად მალავდა ანიკო.

ახლა ავიზიზებულ ნაკვერჩხლებს ჩასკერის გელა, სველ წინდებს იშრობს და წამდაუწუმ ცხვირს იხოკავა, ხედება გოგო. მია დაბრუნებამ რალაც ტვირთი ჩამოაცილა, თითქოა მიიმე მოვალეობისაგან გაათავისუფლა. ახლა გელა უნდა გაძლოლოდა ოჯახს, მათ უნდა ეფიქრა ბოუნდაა და მართალზე.

წუთით არ უფიქრია ანიკოს, რასაც თვითონ ითმენდა და მალავდა, იმა შეაძლებდა თუ არა იმის მიჩქმალვაა, დღეს თუ ხვალ, არუმითა და მოწყენილობით გასაუთებულ სახლში, ბავშვი გაჩნდებოდა! დის მოთენთილი ტანი, მიიმე ნაბიჯები მხოლოდ ამ ერთზე მეტყველებდნენ.

ხოლო მია, გელა, კიათვიააც უნდა

— დედა! — ჩაატოჩულა ბიჭმა, ქალის თვალებში ცრემლმა გამოყოფა.

მშობლია ცივი, ნეატიანი თითების პირველსავე შეხებაზე იგრინო გელამ რაღაც უცნაური, თრთოლვით ცახცახებდნენ იანი. ვერ გაარკვია რას ნიშნავდა ეს ჩემი თრთოლვა, რისგან იყო გამოწვეული... სასუსტისაგან?! ავადმყოფობისაგან?! ეგებ სიხარულისაგან, ხელახლა ჩავიბა, გაედევნა ბიჭი დედას მზერას.

ახლა მშობლის თვალები გელას შეაკეროდა. გაუშაოთა ბიჭმა მზერა, თითქოს ეუბნებოდა — თუ რაიმე გაქვს სათქმელი, თქვი, ნუღარ მალავო. ისიც იგრინო ბიჭმა, ახლა რასაც იტყოდა დედა, სამუდამოდ უნდა დამეხსოვრებინა, რა სიძნელეც არ უნდა შეხვედროდა; უნდა აღესრულებინა.

— მოდი! — უთხრეს თვალებმა, მიუახლოვდა ბიჭი.

— რა იყო დედა?!

სიძულვილს და ჭავრის ამოყრას არ თხოვდა იგი, სულ სხვას...

მთელი ამ ხნია განმავლობაში, რაც დედის საწოლისავე წამოვიდა, გაუთავებელი ზღუქუნი ჩავსმოდა. უკან რომ მიიხედა და უფროსი დის შესიებულ ცხვირ-პირს, დატალულ პირსახეს და წინ წამოწეულ მუცელს დაატანა მზერა, მომჩვენაო, — გაიფიქრა, თვალები დაახამხამა, მერე ერთბაშად, თითქოს კინკრიხოში ჩაჰკრეს ხელი, გამოაკვირეს.

ფაცო ფეხშიმედ იყო!...

— ვაია მაგ ბავშვი, ვაია? — იღრილა.

— გელა! — იკვლა ანიკომ და მივარდა ძმას.

როგორც ტყეში გაჩენილი ხანძარი გადადიოდა ტოტიდან-ტოტზე, ხიდან — ხეზე, ბოლოს ერთიან, ევებერთელა აცონად იქცევა, აევე მოედვა გელას სიბრაზისა და შეურაცხოფის განცდა.

— გელა! დედა შეხედე ბიჭო? — იწივლა ანიკომ.

მოშორდა ბიჭი ფაცოს და დაეძინა საწოლზე ჩამოუჯდა.

ერთხანს გულში იკრავდა და პირი-სახეზე ხელებით ეფერებოდა დედა, შემდეგ, თანდათან ოომ შეანელებს თითებმა მოძრაობა, იგრინო ბიჭმა, ცივმა ოფლმა გადაურა მშობლის სხეულს, არ გამოჰარვია, უკანასკნელი იალა როგორ მოიკრიბა ავადმყოფმა და ხელი უბიძგა შვილა. ეხამუშა გელას. ლამის ჰკითხა: — რად მიცილებო, მაგრამ დანებდა ავადმყოფის სურვილს. კარი გამოალო და ბარბაცით გარეთ გავიდა, რომ ანიკოს გულშემზარავემა კვილმა გააპო სუსხიანი ჰაერი.

— მიშველეთ! ავდება... მიშველეთ!

კედელს აკრული გელა გაუხირევლად იდგა. გონზე მოსვლა უჭირდა.

მერე თანდათან დაიწმინდა სივრცე. გამოჩნდნენ ადამიანები. შეიკნო ისინი.

პირველი, ვინც ხელი ჩამოართვა და მიუსამიძირა, გოგია მასწავლებელი იყო, მერე მისი ცოლი ვერიკო, მერე ანთიმოზა ეფრემიძე, ანთიმოზას კლიმენტი გეგენავას ცოლი და კოლინდა მოჰყვა: ვარდიკო და ფეფუშა, წივილით აიკლეს იქაურობა. მერე პილასიმ მიატირა კომეარს: გამოდი, გამომეგებე, ჩემო ანთებულო სასთელოო.

— შენა ჩამოავლას ელოდა საცოდავი, — ეს გოგია მასწავლებელმა უთხრა გელას.

თავდახრილი იდგა გელა. სამძიმარზე მოაული ხალხი ჭერ შავ კაბაში გამოწყობილ ფაცოს დაადგამდნენ თვალს, მერე აედელთან უხმოდ ატუხულ გელას. დამტირებელი არავინ ჰყავდა და გრიელ, გულისშემფერელ მოთქმას წამოიწყებდა ხოლმე პილასი. მერე მოთქმას უკებ მოწყვეტდა და ოდნავ შემალლებულა. ცრემლიანი ხმით იკითხავდა: „შვილებს ვის უტოვებ ქალო? აი-მწრით დაზოდილ შეილებო“, და აქვი-თინდებოდა ხალხი.

დასაფლავებია დღეა ერთი შევთავ-



ააფრიანი, ტანდაბალი ქალი შემოიძურწა ოთახში. უხმოდ ჩამოუარა ჭირისუფლებს, აკოცა გოგოებს, აკოცა გელას... მხრები უთახთახებდა იმ ქალს...

— იცანი? — უჩურჩულა ერთმა მეზობელმა მეორეს, — ელენია, ლევანას რძალი.

— არ გადამრიო, ძალიან კი მოტეხილა აცოდავი.

ხმები ეამოდა და არც ესმოდა გელას, ეოთხანა წყრებოდა კიდეც, ამ ქალებს ამდენი აატირებოდა რა გასჩენიათო, ვის უჭკვრეტენ და რატომ, ააეიროდ ხომ არ მოაუღიანო, ეგებ მართლაც ასე იყო... უცნობმა ბიკოლამ, თენგოს დედამაც იმიტომ გამოიარა ამოდენა მანილი, რომ ტირილით გული ეჭერა?! კუთხეში მიყუჩულს, თავდახრილა ლაპა-ღუპით აცვიოდა ცრემლები, დრო და დრო მის შემბრალებ მზერას გრინობდა გელა, წასვლია წინ კიდეც ერთხელ ჩაიყრა ბიჭი გულში და უხმოდ გაეცალა, როგორც შეუმჩნეველად შემოიძურწა, ასევე წავიდა.

რადაც გაურკვეველ თუ გაუზარებელ ყოფას მიაყვამოდა გელა, იქცეოდა ისე, როგორც სხვები უჩვენებდნენ: აქ დადუქიო და იდგა: ხალათი გამოიცვალეო, და გამოიცვალა, მერე გრძელ მაგიდასთან დაავეს და წინ ცარიელი ფურცელი დაუდგა, დააწერე ვის პატიყებ, რომელ სოფლიდან, რამდენ კაცსო, რა ექნა, ოჯახის უფროსი ის იყო, და პასუხსაც მისგან მოითხოვდნენ.

მთელი ამ ხნია განმავლობაში გამუდმებით ეჩვენებოდა, რომ დროებით, სხვის მაგიერ, უწევდა ამ მოვალეობის შეარულება, ხოლო ია, ვინც ოჯახის ბურჯად უნდა მდგარიყო მის გვერდით, ჭერჭერობით აო ჩანდა.

თუმცა, დედია გარდაცვალების პირველსავე ღამეს, მეზობლებმა, მის დაუყოხავად კაცი აფრინეს ლევანასთან ელო მოკედაო — შეუთვალეს, გედევანა ჩინჩალათე გაგზავნეს — კაცი ენამწარე და უხიაკი, ამ მოვალეობის აღსრულება თავად იკისრა გედევანამ, გზა დაეჩქარა, მალე მობრუნდა, უხ-

მოდ შემოატეხა სახლში, რამდენიმე წელი — მიცვიოდნენ ქალები, წადი და მოვალე, იტირაო? — ჩაეძინენ მომეშვიითო — შეუღრინა კაცმა.

ხეივანიდან ვერ მიხვდა გელა, ასე აბნეულ პაატებებს რად იძლეოდა გედევანა, ერთს ეკითხებოდნენ და მეორეს პასუხობდა, რამდენჯერაც გახვდა გელამ, იმდენჯერ მისი დადარაჯებულო, მრავლიამთქმელი მზერა იგრინო ბუქმა — მოითმინე და გამაგრდიო, — ანიშნებდა იგი.

შუა ღამიას, ხალხი რომ შეთხელდა და სოფელი ჩაწყნარდა, უკანა ოთახში გაუშალა გელას საწოლი, ძალიანადად დააწვინეს ქალებმა, ხვალ დიდი აქმე გელისო, მოიხვენეო.

რა მოაყვენებდა, გაუხდელად მიეგდო.

წინა ოთახში გოიელ ტახტზე, თეთრზეწარგადაფარებული დედა ესვენა, მასზე ფიჭვი არ შეეილო გელას, ტყვიანი მაჭლაჭუნაავით აწეა მკერდზე, სულს მოთქმა უჭირდა, მოგროვილი ცრემლები ყელში მობჯენოდა და საცა იყო წააღრჩობდა, ერთი აღრიალება ცოტა სულს მოათქმევინებდა, მაგრამ ითმენდა.

ითმენდა, სანამ მოთმენა შეეძლო... მერე დები შემოვადნენ ოთახში და ძმის ფეხებთან მიწვნენ, მათმა გამტყნარებულმა სახეებმა, გახეშეშებულმა ხელის თითებმა და ტირილისაგან დაოსებულმა თვალებმა, იმაზე მეტი უთხრეს გელას, რისი თქმაც საჭირო იყო, მოუთმენელია მოთმენა მართებდათ ახლა.

თანდათან მიჩუმდა სოფელი, მინავლდა ხმები, მხოლოდ სახლი, მათი ძველი სახლი დარჩა აკვნეებულო, იგი გულში იკრავდა თავის ბინდართ და ავბედით ღამეს უჩუმრად ებრძოდა.

ებრძოდა ჭრილით, ქარის სიძინით, სახურავიდან დაცოცებული კოამიტის ნამახვრევეებით და ბოლოს, იმ ბორძიკა ნაბიჯებით, თანდათან რომ შეპოერია იჭაურობას, მიხვდა გელა, ვიაცი იყო ის ნაბიჯები...

იგი ჯერ კბემ გააცა, მერე რიკულის გამირმა, ყველაფერმა, რასაც კი შე-
ეზო.

კარიც ისე თავისთავად გაიღო, თა-
თქოა ვილაყას წინასწარ დაეტოვები-
ნოს ლიად. ოთახში შევიდა და იქვე შე-
დგა.

მეოვეც ახლდა თან, თანმზლები. ია
მეორე იყო, გამუდმებით რომ ღერჩუ-
ლებდა; სამძიმრია თუ საგალობელია
რალაც გრიელ უსაართლო სიტყვება
წარმოთქვამდა. იცნო გელამ, — მამა
იყო და მირი იველი ძმაცაი, ანთიმოზა
ეფრემიე.

სწორედ მან დააშლევინა მარანი, ურ-
მით გადაზიდა ფიცრები, ახალი სახლის
მშენებლობაზეც ანთიმოზამ წაშველა
ხელი. ახლაც გვერდით ედგა. მაინც რა
ძალა ჰქონდა იმ ძველ იმობაა, წლებით
გამოწვალულ ფიკვერცხლს!

ვერ მიხვდა. მხოლოდ ყრუდ, თავი-
სთავად იგრანო, აწორედ ამგვარი მო-
სელა, ჭამომშვედობება ჭკობდა ყვე-
ლაფერა, თითქოა ემადლიერებოდა კი-
დეც მამაა. ამიტომ არ წამოუწევია თა-
ვი, არ შეხმიანებია მათ, ყველაფერი
აცალა — უხმო დგომა, წამდაუწუმ
ხენეშა, გულამოძღარი კვითინიც... უო-
ველივე ის, რასაც აეე ზუსტად და გო-
კვევით გადმოაცემდა ძველი სახლია აე-
დლები...

XIV

დედის დასაფლავებიდან მეორე კვი-
რას, ერთ მოქუფრულ საღამოს, რო-
ცა სიბნელემ მოიკიდა ფეხი, ოთახში
ანიკო შემოვიდა, რალაცნაირი დაფეთე-
ბით, კანკალით, მიუხალოვდა იმას და
აჩურჩულდა.

— რა გინდა, გოგო
— აღექი!
— რა იყო?
— უნდა წახვიდე!
— სად?
— გედევანას ცოლი მოიყვანე, ბებია-
ქალი.

გედევანაა ჩაბნელებულ ეზო-გარე-

მოს რომ მიადგა და რაინდგანა
ბრაგუნო, აუყენა, შიშით გული ეყრე-
ბოდა ბიჭა, ეგონა, მის დაბრუნებამდე
რალაც დატრიალდებოდა სახლში, ერთ
უბედურებას — მეორე მოჰყვებოდა.

ამ შიშის ფეთებაში იყო გელა, რომ
ქრელი შარფით თავწაყრული ქალი
უკვე კბეზე ჩამობოდა, თან ფანჯა-
რაში თავგამოყოფილ გედევანას ნაწყ-
ვეტ-ნაწყვეტად ესროდა სიტყვებს: თუ
დამიგვიანდეს, ნუშიყო ეჭიმთან გადა-
დი, წამეხმაროსო.

გზაზე მეზობლია ერთი ქალიც გა-
მოიყოლა ბებიაქალმა.

გელამ კარი შეაღო და ოთახში შეუ-
შვა ქალები, თავად გარეთ დარჩა... ში-
შაა და ზაფრას შეეპყრო იგი, რითი ეშ-
ველა, რა მოემოქმედა, აღარ იკოდა ბი-
ჭმა.

შიშა დიდი თეალები აქვსო და გელა-
საც წამით მოეჩვენა, თითქოა ფაცოა
კენესა-წუხილა უსმენდა არა მარტო
ოთახში მოფუსფუსე დამხმარე ქალები
და ააღლაც ოთახის კუნჭულში მიე-
ოუნჩხული ანიკო, არამედ მთელი სო-
ფელი, დიდი და პატარა.

მერე სად იყო და სად არა, ნუშიყო
ეჭიმოც მოქაქანდა. „ტელეფონი არ
მუშაობს, ასწრაფო დახმარებინა მანქა-
ნა სანამ ჩვენამდე მოაღწევდეს, ცხრა-
ჯერ გაძვრება ავადმყოფს სულა... არა-
ვინ ზრუნავსო, თავს არაეინ იწუხებ-
სო, ასე ბუზღუნით ჩამოლია ეზო, ხმა-
ურით მოაკვდა კარა, შეაღო და შე-
ვიდა.

ცოტა ხნია შემდეგ გედევანაც გამო-
ჩნდა, კბეზე ავიდა და იქვე კბის თა-
ვთან შედგა.

— სიგაუეტი გაქვა? — კითხა გე-
ლამ.

— აბა, რა შექვს ბიჭო! — და გედე-
ვანამ სიგარეტი მიაწოდა...

უკვებ წვრილი, უმწეო ხმა გაისმა.
როგორც კინათლის სხივი, როგორც
გადარჩენის იმედი, ერთბაშად გახმოვა-
ნდა იგი.

ხელახლა განმეორდა, უფრო გარკ-
ვევით და უფრო ილიერად, ღმერთო!

ბავშვის ხმა იყო — ჩვილის, ახლად-შობილის. შეტყობელმა სიხარულმა შეიპყრო გელა. სხეული აუცახცახდა. ვერ მიხვდა, რამ გამოიწვია, რამ მოგვარა, ან საიდან მოვარდა, სიხარულის უზარმაზარი ტალღა, სისხლი რომ აუჩქვდა, სმენა რამ გაუმძაფრა.

ახალი ადამიანი!

კარგა ხანს იფუსფუსეს ქალებმა, პირველად ნუშიკო ეჭიმი წავიდა... „გალმა უბანში, სიცხიანი ბაღი მყავს სანახავიო“, წავიდა და გედევანს გაიყოლა თან.

ბუხართან ჩამუხლა გედევანს ცოლს, ჩვილიათვის ააწოვარს ამზადებდა.

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც სახლის კარი შემოაღო, ამ ქალის სახელა იგონებს გელა და ვერაფრით ვერ გაიხსენა. — ქეთო? — არა, ქეთო გედევანს დააჰქვია... თბილისშია გათხოვილი. მარო? — არც მარო. აბა? არ ახსოვს. არადა, ენის წვერზე უტრიალებს. მერე როგორ უნდა დაელაპარაკოს. უბრალოდ მისი ხმის გაგონება სურს. წამით იგრძნო, ბებიქალის ფუსფუსს მარტო თვითონ როდი შესჩერებოდა, იქვე, ბუხართან ახლო, ჭირკვზე ჩამომჭდარი ანიკოც აჰყოლია...

მოგვიანებით, ღამე თანდათან რომ გაიკრიცა, ერთ ძილს წყალიც წაიძინებესო, — ჩაილაპარაკა ბებიქალმა, — მთელი ღამე ფეხი აო ჩამიდგამს, დავიღალეო...

იქვე საწოლზე მიწვა, გაუხდელად. თან ბოდნობდა, ჩანს გული ეთანადრებოდა... აგერ არ ვართო?! — დააიმედა ანიკომ.

როგორც კი ატუმრის მოაუნტულ ტანს, თეთრწინდებიან ფეხებს და თავკევემ ამოდებულ იდაყვს წაატანა მზერა გელამ. იმ წუთს გაახსენდა, ამ ქალს თინა ერქვა...

ბუხრის პირას, აკამა ახურავეს შიდალო თავი გელამ, მუხლები გაშალა, თავლებშილულულს ესმოდა, როგორ მიმოდიოდა ანიკო ოთახში, საქმიანობდა.

ბოლოს ანიკოც მშრე ფეხებთან ჩა-

კუცქდა. ბუხრის სითბომ მოაღუნა და-მმა... არ გაუგიათ როდის მიეპარათ ძილი, არც ის გაუგიათ რა დრო გავიდა... შეთანხმებულებივით ერთად გამოიღვიფეს. თითქოს, ვიღაც უხილავი არსება მიეახლა და-მმას, ხელი ჩასჭიდათ და შეაღვიძა, შეაჩანჭლარა... ახლა უკვე გონზე იყვნენ. რა მოხდა? ვინ გამოაღვიძა? ეგებ ჩაფშუტულმა ცეცხლმა, მიფერფლილმა ნაკვერცხლებმა, სითბოს ნაცვლად სიცივე რომ მოაღვოდა ოთახს, ან ბავშვია ტირილმა (ახლა, ამ წუთში გაახსენდათ რომ გაჩნდა ჩვილი!), ეგებ დედამისმა, დაღლილმა და ძალაგამოცლილმა... ყვირილისაგან ხმაჩახლეჩილმა? არა, სიჩუმე იყო... აღარც ჩვილის ტირილი ისმოდა და აღარც უფროსი დის კენჭა-მახილა. მხარშეკეცივით იწვა ფაცო. უმოძრაოდ და უშფოთველად. მის ღრმს, გუნებეირ ძილს არ შეუშფოთებია ისინი... არც ბებიქალის უწყინაო ფშვინავს. უფრო სხვა... მინც რას? წამოიწია ანიკო. „ჩამქრალაო“, — ბუხარზე ანიშნა მმას. წამოდგა გელა, ჭერ ერთი ნაბიჯი მოინაცვლა, მერე მეორე. უცებ ფერი ეცვალა.

— რა მოხდა? — ზაფრა ეცა ანიკოს.

სისხლი...

ფაცოს საწოლის ქვეშ შედედებული სისხლის გუბე იდგა...

— ფაცო! — იღრიალა ბიჭმა.

წამოვარდა ბებიქალი.

— მომეხმარეთ! — მოხედა და-მმას.

თბილი, უსიკოცხლო სხეული უძალოთ დაემორჩილათ, გადმოაბოუნეს.

— ფაცო!

— ფაცო! — ჩასძახოდნენ.

— მიშველეთ! — იკივლა ანიკომ.

— მიშველეთ! — მოუხმობდა მშველელს.

კიოდა გამეტებით, თავგანწირვით, ეკოდა მაშინაც, მეზობლები რომ მოასკდნენ კიშკარს, კიოდა დიდხანს. რალაკნაირი შიში, ნერვიული კრუნჩხვა გაბჭენოდა სხეულში. „ამ საცოდავს რალაკლავთო“, — იკითხა ვლაცამ. ნუ-

შეო ექიმმა ცივი წყალი ასვა და ყვრი-
მალეები დაუზოლა ანიკოს... ახლა ცეცხ-
ლთან ზის გოგო. დაბნეულად შესიკე-
რის მოაუღლა და დამხვდურს. ყველ-
გან ნუშეო ექიმი ვრია, იგი ბრძანებ-
ლობდა, იგი მარჯვობდა, ერთხანს „ხე-
ლოვნური სუნთქვაო“, და ხელფეხზე
წაესოვნენ მომაკვდავს. მერე ნეშები
მოაბალეს, „აიხალი“ — დაიძახა ნუ-
შეო ექიმმა... „ასწრაფოდ სიახლი!“
ყველაფერი გვიანი იყო.

აუტი, უსუსურა ხმით ტიროდა ახა-
ლშობილი, ტუჩებს აცმაცუნებდა, თავა
აქანავებდა, რალაცა ეძებდა.

— „რა ეშველება პატარა“, — გაი-
ფიქრა ანიკომ, — „ქერ დედია რიეკ
არ უგეშია“...

— „ჩაის... ჩაის წყალი ააი“ —
უჩუჩულა ვილაცამ. აზრდაუტანებლად
მიჰყვა ამ ხმას, როცა პირველი წვეთე-
ბი გადაყალბა პაწიამ, მუქისოდენა აა-
ხეზე წითელი ფერი აენთო, ააოცარი
რალაც იგრძნო ანიკომ. დღემდე გაუ-
გონარმა. უხილავმა, აქამდე არ არსე-
ბულმა განცდამ გაუთბო გული.

ხელახლა ატირდა პაწია.

— გაღმა, ჩინჩალაძის რძალს ჩვილი
ბალი ჰყავს და იუძუ ასკდებაო, —
ჩაილაპარაკა ვილაცამ.

აკი აფრინეს.

რაც უფრო ხშირად და მალიმალ ჩხა-
ოდა ახლადშობილი, მით უფრო მეტად
ეწურებოდა ანიკოს გული. ბალის ხმა
ფარავდა ყველა და ყველაფერს. ამ
ხმამ მიანელა ტირილია და მოთქმის
შარი. ამ ხმამ ამოავთო უხარამზარი ორ-
მთ, საკუთარი ხელით რომ გაითხარა
ფაცომ.

ჩინჩალაძის რძალი, თურამაულის ვა-
შლივთ ლოყაწითელი ქალი, დედობი-
თვის მოღერებელი იუძუ-მეგრდი ჩა-
ლათში რომ არ ეტეოდა, ოთახში შენ-
ვიდა. „ობლის გამოყვება მადლიაო“, —
შეაგებეს მეზობლებმა. მორცხვად ჩაი-
ღიმა ქალმა. „იღვნი რიე მაქვს, მეღ-
ვობაო“. — კრძალვით შეიხსნა უბე...
ფრთხილად მიუახლოვდა აკვანს... ვარ-
დიფერი, აავსე იუძუ ახლოს მიუტა-

ნა პატარას, წვეთ-წვეთად ეღვრებოდა
რძე, ტუჩებზე მიუსუ-მოუსუა. შეჩერდა
ბალი. გაიტრუნა. თითქოს იგრძნო მო-
ახლოვებული ბედნიერება. ისევ ააკმა-
ცუნა ტუჩები... იაეე შეაგება ქალმა სა-
სიციოცხლო დერიტა. „მიდი, ქალო, ნუ
დაზაფრე ბალი“, — აჩქარებდნენ ჩი-
ნჩალაძის რალა. „მეცოდებაო“... —
ატირდა ქალი, გამეტებით ჩასჩარა იუ-
ძუ პირში... გაინაბა ყველა.

— ხელავ. რაეა ქაჩავს?.. მაგარი გო-
გო იქნება... — მოგვიანებით ჩაილაპა-
რაკა რომელიღაცამ.

— შენ გაიზარდე...

— ყოჩალ, შე დალეულო...

— აგაშენა უფალმა...

თანდათან მინელდა ხმები. დაიძინა პა-
ტარამ.

* * *

მოგვიანებით ანიკოს თანაგლაელები
შემოლაგდნენ ოთახში, გოგოები მუქ-
ში მოკუჭული ცხვარსახოკებით იწმე-
ნდნენ ცრემლებს. უაზრო, ყეყერი სა-
ხეები ჰქონდათ ბიჭება. მათყენ გახედ-
ვა არ უნდოდა ანიკოს. მოაწაელებს
მასწავლებლები შემოყენენ. წინ აკო-
ლის დირექტორი მოდიოდა, თავი
ბლაგვი. უხეში თითები შებლზე მოუ-
თითუნა ანიკოს. თავჩალუნული, ერთა-
ნად მოკუნტული გოგო კრუსუნა განა-
გრძობდა... ახლა, ამ წუთში, იგრძნო
როგორ შეეჩვია ჰირინფლად ჯღო-
მას, ქეო დედა დასტიროდა, ახლა დას.
ნინუცა მასწავლებლის ნაშრომ-ნაჯა-
ფი თითებიც იგრძნო, რალაც ჩაიდუღუ-
ნა ქალმა. მგონი დაამედა — გამაგრ-
დიო — უთხრა. გაეცალა ქალი და... ნაც-
რისფერი ჰიჯაი, წითელი შარფი.

რა არის კაცის ცხოვრება. ოდნავ, სულ
ოდნავ შეეხო თორნიყეა თითები და
მორჩა! თითქოს აღარც არსებობდა გუ-
ლის გამაწვრილებელი ხმები, აღარ ტი-
რის პატარა, აღარც თოვლს გაუღია
ხრამა-ხრუში. ლია კარებში ძნელად
ატანს სუსხი... ეს იყო ერთი წამის ბედ-
ნიერება!

ჩაიარა და წავიდა.

თანდათან მინელდა ნაბიჯები. ახ-

ლა მოთმინება ადგას თავზე და თბილ მკლავებს ააგულდაგულოდ ხვევა...

ამ მოთმინებით გაიყვანა სამი ღამე, ამ მოთმინებით შეჰყვა სასაფლაოა აღმართს. გამოეთხოვა დას, მიასყარა მიწა, მიაბნა ყვავილები, გადაახა ნაქურთხი ღვინო და წყალი.

ახლა რიდიტ გულისპირს იბნევა ჩინჩალაძის რძალი და თან ბოდისობს: „დედამთილა დავუტოვე ბავშვი, მეშინია არ ატრდესო“, წაეღას აჩქარებს, მიხვდა ანიკო, ინელსა და რთულ საქმეა შეაქიდა გამჩენმა, ტიროდა ბალღი, წიაჭობდა ობოლი, უხმოდ შესჩერებოდნენ და-იმა ერთმანეთა.

ეკირის თავზე მაწონი და ბრინჯია ნახარში მოაშადაეს, ნუშიკო ეჭიძი აციტხაედა მალღამალ, პილაიმ მეწველი თხა აჩუქა პატარაა — ძროხის რაფა, თხა რძე ჯობიაო... უფრო ინელებს კუჭიო... არადა, დაიღალა ჩინჩალაძის რძალი, ბავშვიც გაუხდა ავად, უკლო სიარულს.

პატარა გოგოს დღე და ღამე თვალეში შესციცილებდა და-იმა, გულდაგულ უელიდნენ, ბანდნენ, ასუფთავებდნენ, დღე ერთი იყო და სამჭერ მოივლიდა გელა სოფელა, ხან კერდღლია ქონს ეიებდა, ხან თხია ნალველა.

იმ ღამით კლიმენტი გეგენავა ესტუმრა კოლით. ამ ქალს მუდამ ენა უაწრება, ახლაც პოველი იწყებს ქაქანს: ამინდზე, უგზობაზე, ბავშვზე... ყველაფერზე.

ვერ მიხვდა ანიკო რად დასჭირდა მეზობლის ქალს ამდენი შესავალი, აქაური და იქაური, რა მოსურვებოდა, რა გადაეწყვიტა, მერე გელას გადაწვდა, სწავლის ამბები გამოკითხა, არც ანიკო დაიიწყა, ეს მერამდენედ ჩაქიოთხა, რამდენი წლიაა ხაო, რომელ კლასში სწავლობო.

თავდახრილი პაუტობდა ანიკო.

— ბავშვის გაზრდა ადვილი არ გეგონოთ... სად შეგიძლიათ, თვითონ ხართ მოსავლელიო. — ქადაგებდა ვარდიკო, — რამდენი ოჯახია შვილს ნატრობს, მაღლობელიც დაგიჩებათ, ფულსაც არ დაიშურებენ.

კოლა ქაქანში არ ერეულა, ანიკოს ნტი, მია შემცბარ, აწოილებულ აახეს, გააწილებული კაცოა გამოხედვა ქონდა.

წამოდგა ანიკო, აეკანთან მივიდა, მინარე ბაღს ჩახედა, მერე ბალიშია ქვეშ ამოდებულ რიან ბოთლა აითბო ვაუსინჯა.

— რას გვიჩვევ, ვარდიკო დეიდა? — ჰკითხა გელამ.

— უნდა გასცეთ, გააშვილოთ...

იმა მოხედა ანიკომ, გააშვილებულით რომ აყუდებულა კართან, ველარ მოუფიქრებია, დაჭდეა თუ წაივიდა, აი ახლა, ერთიც რომ დააქნიოს თანხმობის ნიშნად თავი, „კი, ბატონო, სწორი ბოიანდებითო“, იმ წუთში აკვანს წამოაველება ხელს ეს ენაწაგდებული ქალი, ეგებ არც შეფუთნოს ბალღი, თბილ საბანში არც გახვიოა, იყე გაუყენოა გზას, გადირბენა უზოა, ხვეის პირს, ბროწეთლის ფერდობს და მორჩა! უყვე სახლში იქნება, იქვე შეულება ფეფუტა კარს, მიეაყვიან ბაღს, გაუთხოვარი, შინაბერა დები, ატყდება გნიასი.

მაგრამ ადუმდა გელა, ბიჭის შებუახული წარბები, კუმტად შეკრული აახე თანდათან მშვიდდებოდა.

— ახლა პატარაა... ჩილია... — ხმას უდაბლებს ქალი, — გაიზრდება და აახელი ხომ უნდა, გვარი? თქვენ ჯერ კიდევ არ იცით, რაა ნიშნავს ბუში... მთელი სიცოცხლე გაიტანჯება, შერცხვება... დაუფიქრდით.

თითქოა ნაჯახი ეჭირა ქალა ხელში, ყოველი დარტყმა აუტანელ ტკივილს იწყვედა.

— ბუში?

აწივლდა ყურები, ავანგაშდა გონება.

— მერე სად ვეძებო მამამისი? — თაკის მართლებასავით იკითხა გელამ.

სუნთქვა შეეკრა ანიკოს, გაკირვებით ჩაეღება ნერწყვი, იმას მოხედა.

რათ უნდა ძებნა... კარგ სიქსავით მოადგებოდა მოტოციკლეტით.

მთელმა აოფელმა იცია, — არ დაინდო ვარდიკომ.

და-იშია შეყოვნებამ, მათმა ფერდა-კარგულმა პირისახემ ფეხზე წამოაყენა კლომენტი. „წაივადეთო“ — ანიშნა კოლა.

— თქვენი საქმე, თქვენ იცით... — ჩაილაპარაკა ქალმა.

კიდევ დიდხანს შეაკეროდნენ ერთ-მანეთს და-ძმა. ვერაფრით ვერ მიხედნენ, რომელმა წუთმა აიფულა კოლქმარი კარი გამოვლით და უხმოდ გაძურწულიყვნენ.

არადა, ნამდვილად არაებობდა ია წუთი.

XV

ატურები კიშკარს რომ გააცდნენ, იმ წუთიდან გელას უფრო მწვავედ შეუტია გელმა. შებღალულ სახელს, დაკოდილ გულს განკურნება უნდოდა. ჭერაც არ იყოდა. რას ჩაიდენდა, რას მოიძოქმედებდა. მაგრამ შეხლა-შემოხლა, იქნებ სისხლის დაღვრაც მოახლოებული იყო. ამას ბუნდოვნად გრძნობდა.

მერე ნათლად წარმოუდგა თვალწინ ჩაელოლი წუთები, დედის ბოლო სათხოვარი, შიშამდგარი თვალები ... მოპავედავი ფაცო... სიახლის გუბე...

გაიტანჯა, ჰო, როგორ გაიტანჯა. სანამ უნდა გაგრძელდეს ასე?! ერთ დღეს ხომ უნდა დაესვა წერტილი?! ხომ უნდა ამოიუფნოთქო ლალად?! ხომ უნდა დაუბრუნდეს სასწაელებელს, ამხანაგებს?!

უხმოდ წამოდგომა, ქედის დახურვა და უბრად გაკლა არ შეეძლო. ყველაფერს რომ თავი დაანებოს, ანიკოს როგორ შეატოვოს ჩელი, რა ნამუსით? ბავშვს პატრონი მოუძებნონ, გააშვილონ? მერე?! სულერთია, ვერ მოისვენებს, ვერ დაძვირდება. მამ როგორ მოიქცეს?!

მეტის მოთმენა აღარ შეეძლო, წამოდგა.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა ანიკომ.

— მოკალ.

— მეშინია...

— რა გეშინია...

აევანში ტუჩებს აცმაცუნებდათ ზეგანა გოგო, სასაცილოდ ამთქნარებდა.

საოცარი იყო: ფაცოს შეცდომა, თუ დანაშაული, ამდენხანს მძიმე ტვირთად ეკიდა ოჯახს, მაგრამ მისმა სიკვდილმა, წასვლამ და გაქრობამ თითქოს გაანელა ყველა წყენა, ერთი ტვირლი მეორემ წარხოცა, გაასუფთავა. ამას ფიქრობდა გელა, როცა კიშკარს გასცდა. რაც უფრო აჩქარებდა ნაბიჯს, მით უფრო ტუვირდა — თუ ეი განელდა წყენა, მამ სადღა მიდის? ვის უნდა ებრძოლოს, მოტოციკლეტების პატრონებს უნდა ჩამოუაროს? ვის იპოვის, რას იპოვის მერე? განა ეს აქეთ-იქით წყვეტება და ვილაყის იებნა ამოი არ არის?

ამასობაში კარგად შეღამებულიყო. მთვარე ჩააფრებოდა ხეეს. ყინავდა. გელას წამით მოეჩვენა, რომ მისი ცხოვრება მარტო გაუთავებული სარბილი იყო, ორლობიდან — ორლობეში, ხევიდან — ხეეში, გარბოდა და უკან ბრუნდებოდა, კვლავ და კვლავ.

„არ ივარგებ, უშნო ხარ... უიღური... უსუსური...“ — ჩაღმუვლა ვილაყამ და სანამ ხმას შეიცნობდა, უკვე თვალწინ დაუდგა ბრაზისაგან ჩაეამებული პირისახე. მამა იყო.

კეცხლი წაეკიდა.

— განზე ვადგა. შორიდან გვიწერს, თითქოს მას არაფერი ეხებოდეს... ბრაზით გაიფიქრა, როცა ჩამოინებულ სოფელს უჭკერტდა. დიდი და საესე მთვარე შეუსვენებლად მოსდევდა. ყოველი წამი, ყოველი კენჭული, მთვარე და დათოვლილი სოფელი, ხის კენწეროები, ჩრდილობურული სახლები, ყოველი სურათი ნათლად და გამეტებით რჩებოდა მეხსიერებაში. ბიჭი თითქოს ეშვილობებოდა ამ ქვეყანას და სიკვდილთან შესახვედრად მიიჩქაროდა. მერე აიწეწა ყველაფერი, შორიახლო სიშლერა და დოლ-გარმონის ჭყვიტინი გაისმა. და სანამ ხეირიანად გაიზრებდა, საიდან მოდიოდა ეს ხმები, უკვე იყოდა, ვის ოჯახშიც კეიფობდნენ.

ორართულიანი სახლი, მოლიაგებულ კიშკარი, შეორთქლილი მინები,

ეზოში მანქანები, ხმაური და ღრიანცე-
ლი. სიმღერა. ერთმანეთში არეული ხმე-
ბი. წინ წაიწია. უცებ, კარი გაიღო და
სამხრებშიანი კაცი კიბეზე ჩამოვიდა,
მერე სხვებიც გამოიშალნენ. ერთი, მეორე,
მესამე... ვერ გაარკვია რამდენი იყ-
ვნენ. აჩაჩახბდა მანქანების ფარები, ყო-
ველი კუთხე განათდა, გაფერადდა.
გაცლა არ უფიქრია გელას, იქვე დარ-
ჩა, კიშკრის სვეტს აკრული.

— რომელი ხარ? — იკითხეს.

— ?!

— რას დაბორიალობ ამ ღამეში?!

— ვის უცდი, ბიჭო? — მიუახ-
ლოვდა მეორე. მთვრალი იყო, საყელო
შეეხანა.

— არავის!

— რაცხა გლახა ფეხზე ხარ ამღგა-
რი...

— რა გინდა!

თვითონაც გაუფიქრდა ასე თამამად,
დაუბრუნებლად რომ შეუბღვირა ამ
თავგადაპარსულ. დაბალ კაცს, მილი-
ციელის ფორმა რომ ეცვა.

— ააეთი ცხვირმოუხოცავებია, მე-
რე... — დაბოლოება საჭიროდ არ ჩა-
თვალა იმ კაცმა.

ელექტროფარანი მიანათეს. მკლავი
დაუჭირეს გელას.

— სად მიდიხარ? — ეკითხებიან.

უკვე ანკალებდა გელა, მაგრამ არა
შიშითა და რადით, არამედ შინაგანი
მღელეპარებით. ირგვლივ მილიციელები
იდგნენ.

— გუშინწინ... — მიუბრუნდა დაბა-
ლი დანარჩენებს. — უბნის ჩამოვლას
ვამთავრებდი, ოქროფლობის მალაზიის
წინ ბიჭები შეეპაჩნე. ორნი იყვნენ.
არც ისე უდროობა იყო. იქვე ავტობუ-
სის გაჩერებაა, ვიფიქრე, გვიანი მგზავ-
რები, ავტობუსს ელოდებიანთქო, ჩა-
ვუარე უხმოდ. რაცხა არ მომეწონა, კი
არ მახსოვს, რა იყო, გუმანმა მიგრძნო,
რავარც თვალი დავატანე. იმ წუთში სა-
ხე იბრუნეს. აბოლებული სიგარეტიც
ჩააჭრეს, გლახად გაიტრუნენ. არ შე-
სიამოვნა. რა მოხდა კაცო! მილიციელი
ვარ, მგელი ხომ არ ვარ, შეგკამ? ჰოდა.

შენ რომ გლახად გადაგრიხარ, გე-
გული ჩემს დანახვაზე, ვიცი, სუფთა
წყლისა არა ხარ...

— მერე?

— წავაველე ხელი და იკით რა... სათა-
მაშო ვუპოვე? ახალთახალი ტიტე...

— ყოჩაღ!

— მოვუბრუნდი ახლა მეორეს, ამა-
სობაში ის გამექცა.

გელას ისე შემოეხვივნენ ირგვლივ,
თითქოს ის გაქცეული ბიჭი ეპოვათ...

— რა ამბავია? — იკითხა უცებ ნაც-
ნობმა ხმამ, ბონდო იყო — გამარჯობა
გელა! აქ საიდან გაჩნდი?

— საქმე მქონდა შენთან.

მკლავში ხელი წაავლო ბონდომ და
გვერდით მოიყენა.

— აბა, კარგად ბიჭებო! — მიუ-
ბრუნდა ამხანაგებს.

— კარგად... ნახვამდის.

აიძრნენ. კარგა მანძილზე რომ ჩა-
ცილდნენ, რევოლვერი დაცალეს, ერთ-
ხელ. მეორედ. აყუფდნენ ძაღლები, ატყ-
და გნისი.

— თქვი, რა გიჭირს. დაგებმარები, —
მხარზე მკლავი გადახვია ბონდომ, სახლ-
ში შეიყვანა.

ნაირ-ნაირი საქმელებით სავსე მაგი-
დასთან, თავჩაქინდრული, მხრებჩამოყ-
რილი გელა, კარგა ხანს იჯდა მღელეპარედ
ბონდო პირისპირ უქდა. იგი ნალვლიანად
შესსკეროდა ბიჭს.

— აიღე რამე.

— არ მინდა...

— დალიე...

— არა... შენი მოტოციკლეტი მათხო-
ვე!

— გათხოვო?!

— ჰო... საქმე მაქვს გადაუღებელი.

— ხომ მშვიდობაა...

— კი.

— რომ ჩავაბარე, ბიჭო! დღე-დღეზე
ახალს ველოდები.

— რამდენი ხანია?

— მესამე თვეა.

— რაზე შეკითხები?

— ისე...

წამით შეჩერდა გელა. იგრძნო ახლა.

რალაც უხეშს, ძნელად მოსათმენს ეტყოდა ბონდოს. რას?

ჩამოშლილი თმა, შავი, ბუფგურა უღვაშები, ჩაჩრეტელი ნიკაბი... არა! ეკვი ამო იყო: ბონდო არ მიადგებოდა მათ ჭიშკარს უნამუსო საქმისათვის. პატარა ბიჭობაში თხებს მწყემსავდა ბროწეულას ფერდზე, უბით დაათრედა ყველსა და მჭადს, მერე სატკბური გაუჩნდა ფეხზე, სამ თვეს ბალახ-ბულახი აფინა დედამ, შეულოცა: „სატკბურმა უთხრა სატკბურსა, ჩახვალ ყმაწვილის ტანსაო“... არა, ეს შეუძლებელია.

გელა წამოდგა.

— შე წავალ.

— მოიცა, ბიჭო! ნამეტანი გლახა ამბავი დაგემართათ... ცუდი... მაგრამ უნდა გამაგრდეთ, გესმის. შენ არ იცი, მე როგორ მიყვარდა ელო ბიცილა. იგი სხვა ქალი იყო... იმის სახელს ვენაცვალე... იმის ხმა, იმის თვალბა — ტირილდა, არეულ-დარეულად ლაპარაკობდა ბონდო, ცოტა გაუგებრად. წუთის წინ თავმოქმდნენ, უდარდელი კაცი, ახლა სოფლა უბრალო გლეხკაცად იქცა, რომლისთვისაც ალაღბედზე მილიციის კაპიტნის სამხრეები დაეკერებინათ.

— აწი უნდა გამოჩნდეს შენი ბიჭობა, აბა, შენ იცი... ოღონდ აყალ-მაყალს, ჩხუბს შეეშვი... ხომ გესმის!

— კო...

ვერ გაიგო გელამ რას გულისხმობდა ბონდო. გაკდნენ ჭიშკარს, გვერდი-გვერდ მოყვებოდა მასპინძელი, ბორძიკით, ქანაობით მოაბიჯებდა.

— ამ საქმეს ხმაური არ შევლის, არც შეტაკება, ასეთ დროს ან უნდა გაჩუმდე, მწარე ლუქმა გადაყლაპო, ან... — სახე ახლოს მოაქვს მანპინძელს — თავი დაილუპო.

მოსცილდა და წაეიდა. ბონდოს რჩევა-დარიგებამ კელარს გუნება გამოუკეთა გელას და კელარს გზა მისცა სამოქმედოდ. პირიქით, დააბნია. აღარ იცოდა, სად წასულიყო და ვის მიდგომოდა კარს?! კონ გაუძახელდა სიმართლეს. ბონდოს გარდა, მოტოკელური გოგია

მარწველებელს აქვს... მიადგება... რა უთხრას? ჩემი ოჯახის შემარცხვენილი, ჩემი კაცობის ლაფისდამსხმელი ხომ არ ხარო? ეს როგორ ჰკითხოს?!

გაოცებისაგან პირს დააღებს გოგია, ტყეილისაგან გულზე წაივლებს ხელს... არა, იქ მისვლა მარტო სირცხვილი კი არა, უნამუსობაცაა.

მაინც მიდის საითღაც...

ნათურა ჩახჩახებს მალაზიის წინ. რკინის გიოსებიან ფანჯარასთან ძალი ღრინავს. აქ საწყობია. ძალღმა წყმტუნი იწყო. გელას რომ ეგონა, ახლა ატეხავს ყეფა, შესძრავს მთა და ბარს, წამოაგდებს პატრონს და გამოაღვიძებს სოფელსო, შენც არ მომიკვდე, პატრონით ლაქტუა გამოდგა, გაუწვა და ლანჩა გაულოცა.

ცივი, კამკამა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა.

— რუბენა! — იყვირა.

ამობურცული შუბლი და ღორივით წერილი თვალეზი აქვს მალაზიის გამგეს. რა უნდოდა ამ კაცთან, რისთვის მოვიდა? ქალების მუსუსის სახელი აქვს გავარდნილი, ერთი წყება ცოლ-შვილი ქალაქში მიატოვა. მეორე წყება — რაიონში გაჩინა, ბინაც მოაწყო, მორთო და მოკახმა. მერე არ დაუდგა გული, რვეიზიებმა და აქტებმა შეიკლეს ხელში, გაეცალა იქაურობა, სოფელი ამჯობინა, მყუდრო და მშვიდი. გარმონივით თემო-გაშლილი გოგუცა გამყიდველად დაიყენა. დაიწყეს ვაჭრობა, მხოლოდ მარილსა და ასანთს ჰყიდდა თავის ფასში, სხვას ყველას რუბენას ნიხრი ედვა.

— რუბენა!

— რომელი ხარ?

ელოდა, რომ მალაზიის უკან, ფიცრულის კარს აპირიალებს რუბენა და საცაა გამოჩნდებო, შენც არ მომიკვდე. სასოფლო საბჭოს უკანა მხრიდან იპოვდა მისი ბლაგილა ხმა, თოვლის ხრამენი, აქოშინებული სირბილი.

— რომელი ხარ? — იმეორებდა ბლაგილა ხმა.

რუბენა მალაზიის გამგეც იყო და დარაჯიც, ახლა თუ გულამოვარდნილი გამოიბოდა, შიში ჰქლავდა ვერ უყუ-

რადღებოდ მიტოვებული მალაზიის გა-
მო, მერე კიდევ — საეჭვო მხრიდან
მორბოდა, უდროო დროს... „ვისთან
იყო?“ — გაუცვირდა გელას. ბიჭიკო
სვანიძის ეზოდან გადმოვიდა, ყორეზე
გადმობობდა. ბიჭიკო ჭარშია... საბლში
დედამისია, ნაზიკო, ქვირივი...

— ჰეი, რომელი ხარ? — ხმას უმაღ-
ლებს რუბენა.

აჩახაზებული ნათურა უშლიდა ხელს,
თუ შებლზე ქედამოფხატულ ახალ-
გაზრდას სახე ვერ დაუნახა.

გაოცებით, შიშით, შეშფოთებით შეს-
ცქერის:

— რა იყო, ბიჭო? — ძლივს ამოღერ-
ლა.

შხოლოდ ახლა მიხვდა გელა, ჩატომ
ამგობინა აუ უდროო ხეტიალი, კარიკარ
წანწალი, ნახევრადმძინარე ხალხის ფეხ-
ზე წამოყრა. ვინც დამნაშავე იყო, ვი-
საც ბრალი მიუძღოდა მისი ოჯახის, მი-
სი კაცობის წინაშე, უდროო დროს, ჰი-
რისპირ შეყრისას. უეჭველად გაამელავ-
ნებდა შიშსა და ერთობას.

— რა გინდა? — ეკითხება რუბენა.

— მოტოციკლეტი მათხოვე, — აუ-
ცილებელი საქმე მაქვს, — იგრინო გე-
ლამ, რა უბრალო, უსუსურ მიზეზს იშ-
ველიებდა.

— მოტოც...ციკლი, — ენა დაებორკა
რუბენა, შეჩქვიფდა, თითქოს სხვას
ელოდა და სხვა ამცნესო.

— ბიჭო, გელა არ ხარ შენ?

— ჰო, ისა ვარ.

— მერე აუ გვიან...

— მათხოვე?

გელას გაკრთებულმა ხმამ, თუ ბიჭი-
კო სვანიძის ოდა-სახლიდან გამოსულმა
სინათლის შექმა, გადახერხილი ალვის
ხესავით რომ გაწვა ეზოში, ძალა შემა-
ტა რუბენას. მან ხელი აუქნია, ზურგი
შეაქცია ბიჭს.

იქვე ახლოს, ღობესთან, შალში შე-
ფუთხელი ნაზიკოს ჩრდილი გაერთა.
„ბიჭიკო სამხედრო სამსახურშია... —
ვაუელეა გელას, — ესენი კი აქ...“

— გამოიყვანე!

— წადი ბიბია, თუ დათბებ...!

— გამოიყვანე-მეთქი.

— ნუ იჭაჭები, გაეთრიე აქედან.

— უხ, შენი! — აენთო გელა.

პირველად რომ მოარტყა, ეს ბიჭიკო
სვანიძის ნაცვლად იყო. წითური,
თვალჭრელა ყმაწვილია ბიჭიკო, გააბ-
რაზებ და ყაყაოები დაასხდება სახეზე,
ამლამინდელი ღამის ამბავი რომ გაიგოს,
გადაირევა კაცი, შერაცხება სამუდამოდ.
ამიტომ მოუნაცვლა მეორედ...

— რაა მერჩი, ბიჭო? — შიშით შეა-
ჩერებოდა რუბენა მღელვარებისაგან
სახეშეცვლილ ბიჭს. ხელის შებრუნება
არ უფიქრია, ერთი ეს იყო, „შიშველე-
თო“ — იყვრა.

„კაკაა კვლავენ“ — ივიღა ნაზიკო-
მაც.

გაისმა ნაბიჯები, შემახილო... რამდენი
ხალხი ყოფილა ამ მხარეს, ვერცერთი
მათგანი ვერ იცნო, თითქოს სადღაც,
ჭერაც ფეხდატურავ კუთხეში მოხვდა,
უცხო, გარეშე ადამიანებში. ეჩვენება,
რომ ჭრაქის ნაცვლად პროექტორები
უჭირავთ ქალებს ხელში, სინათლის უწ-
ყვეტი ნაკადი ეცემა მხრებზე, უნათება
სიბრაზისაგან შეცვლილ სახეს, თვა-
ლებს.

— ლევანას ბიჭია! — ჩაილაპარაკა
ვილასამ.

იგრინო, ამ სიტყვებმა გაუნელა წყე-
ნა, სიბრაზე. ეს სიტყვები იყო რომ და-
იძრნენ, მოსბლტნენ, მიექანებოდნენ
სულ ქვევით, ქვევით, ადამიანები ერთ-
მანეთს გადასცემდნენ, ერთმანეთს
ეხმიანებოდნენ... „ლევანას ბიჭი“ —
ამბობდა ერთი, „მოეარდნია“ —
დასძენდა მეორე, „რისთვის“ — კითხუ-
ლობდა მესამე, პასუხს არავინ იძლეოდა,
სიტყვები ბედისწერასავით შედგამოდა
გზას. „გალახეა“, „სცემეს“, „მოძკლა-
ვენ“ — დაასვენეს ბოლოს, განკითხვის,
შესჯადების ეამი დამდგარიყო, „მარ-
ტოა... მშველელი არა ჰყავს“, — და
აწორედ ამ ბოლო განაცხადმა მიალწია
იქ, სადაც უნდა მისულიყო, ვის მოსას-
მენადაც იყო გამიზნული.

უკვე მობოდა თოფშემართული კაცი. ეს ლევან იყო.

ერთხანს მამის ბეჭები ფარავდა მეზობლის სახეებს, ცნობისმოყვარე თვალღებ... ფარავდა როგორც კედელი, ყრუ, საიმედო კედელი. უწყინარი ღიმილი დაფენოდა ლევანს, თითქოს უკვირდა, რამ წამოყარა ეს ხალხი ასე უდროოდ დროს, რაზე ყაყანებდნენ, რომელ საქმეს არჩევდნენ?!

ყინავდა. სიცოცხემ შეაწუხა მეზობლები, თუ წუთია წინ დატოვებულმა თბილმა ქვეშაგებმა შეახსენათ თავი, ნელ-ნელა იბრუნეს პირი, მიმოიფანტნენ.

ერთმანეთა შერჩა მამა-შვილი. გამკოლი მზერა ჰქონდა უფროსს. წუთით მოეჩვენა გელა, ტანზე არაფერი ეცვა. შოშველი იყო, სიცოცხისაგან კანკალებდა, კბილს კბილზე აცემინებდა. მამის წინაშე უხმოდ იდგა და თავს ისე გრძობდა, როგორც ბრმა უფსკრულის პირაა, ერთი წინდაუხედავი ნაბიჯი და...

კადევ შეავლო თვალი ლევანამ შეიღს, თავიდან ფეხებამდე, ფრჩხილიდან თმის ბირამდე.

როცა მიაი დაკვირვებული, დაბეჭითებული მზერა იგრძნო, მიხვდა გელა, მთელი ამ ხნის განმელობაში, რაც ოჯახიდან გაიქცა მამა, ყოველ მის ნაბიჯს, ქცევას, მოქმედებას თვალყურს ადევნებდა, თითქოსა სათვალთვალოდ გაშვებული მსხვერპლი იყო, რომლის აჩქარებული სუნთქვა, ფეხქვეშ გამახვრეული ფრჩხის ხმა, გარკვევით ესმოდა.

უხმოდ გაიარეა გზის ნახევარი. გელა ცდილობდა შესაცნობი შეეცნო და გადასაწყვეტი — გადაუწყვიტა, მაგრამ მღელვარებისაგან ვერაფერს ახერხებდა. არადა, შორს, ეზოს სიღრმეში, ფანჯარა მოჩანდა, ობლად აქრატებული პაწაწა შუქი, თითქოს თავისკენ ეძახდა. იქ ანიკო იყო. ჩვილის ტირილიც ისმოდა... გული მოეწურა ბიჭს. სიმწრის ოფლში ცურავდა.

თავდახრილი, სუნთქვაგახშორებული ლევანა ფეხდაფეხ მოყვებოდა, ქელვით

მოსდევდა. წინ შვილი, უკმარისად გაიარეს, კიბეს აყვენენ, კარს რომ მიაღება ლევანა, არ შეუჩერებია გელას — „ნუ შეხვალ, გული გეტკინებოა“, პირიქით. ეამა კიდევ, თითქოს დამნაშავე მიეყვანოს დანაშაულის ადგილას, მხილვების წუთი დამდგარიყო.

აკვანი უკანა ოთახში იდგა, იქ მეტი სითბო იყო, ბუხარში ცეცხლი ენთო, ნაკვერჩხლები გუზგუზებდა. ანიკოს ნაბიჯების ხმაც ისმოდა.

შედგა ლევანა. ცოლისა და ქალიშვილია დაცარიელებულ საწოლებს, სასთუმალში მიფენილ მათ ტანსაცმელს, გადიდებულ სურათებს, ისე გამშრალ-გახევებული შესჩერებოდა, თითქოს უცნობ, უხილველ სამყაროში აღმოჩნდა ერთი წუთით და გონზე მოსვლა უჭირდა.

გავიდა ერთი წუთი, მეორე. თანდათან გონზე მოვიდა ლევანა. თითქოს ახლა მიხვდა თავის დანაშაულს, შეცდომას. საკუთარი ოჯახი, საკუთარ სხეულოვით აქვს კაცს აკიდებული. ვერსად დაემალეები, ვერსად გაექცევი მას. მისი, გალანძღვა — შენი გალანძღვაა. მისი დამცირება — შენი დამცირება. სადაც არ უნდა წახვიდე, გადიარგო, სულერთია, ვერსად დაემალეები, როგორც საკუთარ სხეულს, თვალებს, ხელებს, წვივის ძვალსა და სახსარს ვერ შეეღვევი, ისე ისიც თან მოგყვება, მოგადევს, თავია ბედით და უბედობით, ცრემლით და ვიწით.

რომ გგონია გადარჩი, თურმე მაშინ დაიღუპე...

როგორ მოიქცეს ახლა?!

ერთხელ რომ დაიხვე კაცი უკან, აგვიკანკალებდა მუხლი, მორჩა, მერე წელში გამართვა ინელია. მართალია, პირში არაეინ ჰკიცხავს, სამრახს არაეინ ეუბნება, მაგრამ სოფლის ერთობლივი დუმილი, მეზობლების უნდო გამოხედვა მეტი გაკაცება იყო, კიდრე ხმაძალალი მოთქმა და ეიში.

ამას ახლა ჩაბედა ლევანა. გერ სიცივიანაგან ალანძული ყერომალები შეისრისა, გამომშრალ ყელში ნერწყვი ხმა-

ურით ჩაყლაბა. რაღაც ამოგმინების მაგარი ხმა გამოისცა და ისე დაძმობი, მიმტყევებელი მზერით მოხედა გელას (ეს გამოხედვა დიდხანს დამახსოვრდა ბიჭს), რომ წახდა ბიჭი, ერთბაშად გაუქრა წყენა და ბრაზი. მიხედა, ამ ერთმა წუთმა გადაწყვიტა ყველაფერი.

ფიქრის დაბოლოება ვერ მოასწრო გელამ. უცებ კარი გაიღო და თეთრ ღაზ-ღაზი გახვეული, დედის ნაჭონ თავშალხალათით შეგორჭილი, თვალბაცეცხებული ანიკო ოთახში შემოვიდა. მკერდზე ბაღლი მიეკრა. საბანში გახვეულ ჩვილს მარტო თვალები უჩანდა.

მათმა უეცარმა გამოცხადებამ უარე-აად დაარტყანა ლევანს.

* * *

დილით, ჭერაც მთვლემარე გელა ბუჩანში იგონებდა წინა ღამის თავგადასავალს. სად პირბოდა? რატომ? რა გააკეთა? ვინ ნახა?! ყოველივე ბუნდოვნად ახსოვდა, მომხდარიც და მოსახდენიც. მხოლოდ ეგ იყო, ლოდის სიმძიმე ველარ გრძნობდა, გულზე დაწოლილი ლოდის. იგი თითქოს გამსუბუქებელიყო.

ბაღლი და ანიკო ლევანს მიჰყავდა ეს ყველაფერს ნიშნავდა. თვითონ თავისუფალი იყო. თუ სწავლა სურს, წავიდესო, თუ არა და...

იწვა ახლა გელა, მოძალუბელი ფიქრებით საკვს.

მთელი ღამე უთავბოლო სიზმრებმა არ მოაკეცნეს, იწყებოდნენ და არ მთავრდებოდნენ ისინი. გათენების ხანს კი ლაციის უხილავმა, შეუძმჩვეელმა და ნახვამა თითებმა, სიბნელეში ფანჯრის რაფაზე ანთებული სანთელი შემოდეს. ღამის შეიკნო ქალის ხელები, თითქოს მისი სუნთქვაც ეცნო, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მიაკვლია, ვინ უნდა ყოფილიყო უცხო ატუმარი, ან სანთელს სანამ უნდა ეპარპალა სიბნელისა და სინათლის გასაყარზე. ტრიალებდნენ პეპლები, ალზე იბრუებდნენ ფრთებს, სიხათლე აჭადოებდა, აბრუებდა მათ.

მერე გათენდა და შემოსასვლელში ჩურჩული გაისმა. კითხვები იყო მოყ-

ლე და ძუნწი, პასუხიც ასევე. ბის ჩურჩული იმ უწყინარ მელოდისა ჰგავდა, მოსმენა რომ მოგებურდება. მოგვიანებით, ჩურჩული რომ შეწყდა, წამოდგა გელა.

— გელა, ადექი, შეეხებაურა და.

— რა იყო?

— ნუშია მოვიდა.

— ვინ?

— ნუშია.

ამ სახელის გაგონებამ სასწაული მოახდინა, ამდენხანს რომ ეკვობდა, წაციღე ქალაქში თუ არაო, უკვე გადაწყვიტა.

— რა უნდა?

ნუშია დედის პანაშვიდზე იყო, თანაკლასელებს ახლდა. კეთხეში ატუხული, ჩუმად ტიროდა. გელამ კარგად იცოდა, რომ მოვალე იყო პატივისცემით მოყიდებოდა იმ ადამიანებს, რომლებმაც გასაჭირია დროს არ მიატოვეს, მხარში ამოუდგნენ, მისი ტყვილი და მწუხარება გაიზიარეს. მათში ერთი ნუშიაც, მისი ცრემლიანი თვალბაცეცხვით თვალწინ.

ახლა ქალიშვილის გამოცხადება და ის დილანდელი ჩურჩული აბნეუდა ბიჭს.

— შემოდი, ნუშია! — მიიწვია ანიკომ.

— არა... აგერ დაველოდები.

— შემოდი, რა გეხატობა.

— ბავშუს გავალკიებ.

— უკვე ღვიძავს.

თანაკლასელი დამფრთხალმა მზერამ, კედრებით შემოფეხებულმა ფართო თვალბაცეცხვით, ძველიძველი სიჭიუტე დაუბრუნეს გელას.

— რა იყო, გოგო, არ გიძინია?

— არა...

— ხომ არ დაგსიზმრებია?

თავი ჩალუნა, მზერა დამალა, გოგონს თითებმა ღაზის ბოლო გაწეწეს. იცნო გელამ. სწორედ ეს თითები იყო წუხანდელ სიზმარში, ღია ფანჯარაში, სიბნელისა და სინათლის გასაყარზე. ფანრებივით ანთებულ სანთებელს რომ შემოდგეს, ხელახლა მოუნაცვლა მზერა. დარწმუნდა, ოღონდ არ გააცხადა, მიმალა სათქმელი. თითქოს თუ ბავყა გა-

დებოდა. სიზმრის ანარეკლი პირუანდელ
ჯადო-ბალას დაკარგავდა.

ანიკომ რაღაც მოიმიზეზა და გაეცალა.

— ანიკომ თქვა მიდისო... — სასოწარ-
კეთა იგრძნობოდა გოგოს ხმაში.

— ჰო.

— არ წახვიდე, გეხვეწები...

რატომო, არ უკითხავს გელას, არც
იმით დაინტერესებულა რისთვის ეწე-
ლებოდა მისი წასვლა.

— თორნიკე მასწავლებელმა თქვა,
გაცდენება საბატოოდ ჩაუთვლიო, პასუ-
ხისმგებლობას ჩემს თავზე ავიღებო... —
გაჩუმდა ნუშია, მერე უცებ აღაპარაკ-
და: — სიზმარი ვნახე, თორემ არ მოვი-
დოდო.

— რა სიზმარი? — ოდნავ ავდებით
ჰკითხა.

ამ გოგოს დანახვა მუდამ აღიზიანებ-
და მას. რად, რა მიზეზით, ვერა და ვერ
მიხვდარყო. გადამეტებული სიყვარუ-
ლი თუ ერთგულება, ზოგჯერ აუტანე-
ლი, ცოტა მოსაბეზრებელიც რომ ხდება
ხოლმე, ამგვარი გრძნობა ჰქონდა.

— აიბნელე იყო და ელო ბიცოლას
მახილი მესმოდა, მოგდევდა, მეც დაგე-
დევნე. მოგიახლოვდი და ვერ გიცანი,
შეცვლილი იყავი, — სიზმრია ბოლომდე
გამხელა გაუძნელდა ნუშიას, — უკე-
ლაზე მეტად შენმა ცვლილებამ შემა-
შინა.

— რა ცვლილებამ. მოგცლია ერთი...

— როგორც გინდა...

მეტი არაფერი უთქვამს ნუშიას, შე-
ბრუნდა და ბორძიკით გაედვა თოვლით
გატეკნილ ბილიცს.

თანაცლასელის სიტყვებს, მის სიზ-
მარსა და თხოვნა-მუდარას, დიდად არ
ჩასდევნებია გელა. ისე, ჰაი-ჰარად მო-
ეკიდა. პირიქით, ერთი სული ჰქონდა,
როდის წავიდოდა ამ დაკარგვლებული
სახლიდან, გაეკლებოდა აქაურობას.

ჰოდა, წავიდა კიდევც.

ოღონდ ესაა, ჰიშვრიდან გადმოსვლის
პირველსავე წუთიდან. რაღაც უსიამო
წინათგრძნობა აედევნა და ვერ იქნა და
ვერ მოიცილა. რა იყო ის, საიდან მო-

დიოდა, რას მიანიშნებდა, ბუნებრივად
გარკვევა.

უპირველესად, აოფლია შარა-გზას
უნდა გაერიდოს, ხეე-ხეე მოჭრის, ბი-
ლიე-ბილიე. აცდება ნაცნობ-მოკეთეთა
ყოვლის მხილველ თვალებს, ობლისთვის
დაღვრილ ცრემლებს. ოჰ! როგორ ტან-
ჯავდა ყოველივე...

ის იყო ლელის პირი ჩაათავა, ძველი
საურბე გზა უკან მოიტოვა, რომ თხმე-
ლის ხეების მიღმა რაღაც ხმაური ჩაესმა.
წამით შედგა, შეყვინდა, ლელის პირას,
ორი მანქანა იდგა — ახალთახალი „ლა-
და“ და შედარებით მოძველებული
„ვოლგა“. ხეირიანად არც მიახლოებია
მანქანებს, აღარც შიგ მსხდომთა სახე-
ები დაუნახავს. უცებ „ლადას“ კარი გა-
იღო და დაბალი, მოჭიდავესაკვით მხრებ-
შემართული ახალგაზრდა კაცი გადმო-
ვიდა, ყვითელი ლაბადითა და ვიწრო,
გაცვეთილი ჭინკით. კარი ჩაეკეტა, მეორე
მანქანაში გადაჯდა. „ვოლგა“ აიძრა და
წავიდა. გაუკვირდა გელას. რა ხდება?
რაზედ მიატოვეს ახალთახალი „ლადა“
უპატრონოდ, უმეთველსურვოდ?! მიუ-
ახლოვდა, ახედ-დახედა მანქანას, შემო-
უარა, შეიკვირტა, რატომღაც შეშინდა
და უმალ გაერიდა.

ავტობუსის გაჩერებასთან, გზაშარა-
ზე, კარგა ხანს მოუხდა დგომა. თითო-
ოროლა სატვირთო მანქანა ჩაიქროლებ-
და. ტვირთით დამძიმებულნი, ზღუზუნით
შეუყვებოდნენ აღმართს. მერე კოლმეტურ-
ნეობის თავმჯდომარის კილისი გამოჩნ-
და. გააცეცხლებული ჩანდა ისიდორე, ახ-
ლადგაპარსულ სახეზე წამდაუწუმ ის-
ვაჰდა ზელიაგულს. სკოლის დირექტო-
რი და პარტორგანიზაციის მდივანი ახ-
ლდნენ თან. ჩაიქროლეს და წავიდნენ.

ავტობუსის გამოჩენას არ დაადგა სა-
შველი, ფეხზე ჩამოწვდა ბიჭი. უცებ,
სად იყო და სად არა, ხელახლა გამოჩნდა
ნაცრისფერი „ვოლგა“, სწორედ ის,
ძველ გზაზე რომ იდგა ახლახან. წავიდა,
ცოტაზე ჩაცილდა და გაჩერდა.

— ეი, სად, ბიჭო, — დაუძახეს. მო-
ხედა.

— სად მიდიხარ?



— ქალაქიააქენო, ანიშნა.
ფანჯარაში ნაცნობი მზერა იგრძნო.
მანქანაში კაცია იჯდა, სკოლის დამლა-
გებლის შვილი, ღლაბუცა, ლაქლაქა ბი-
ჭი. რა ხანია, სოფელში არ გამოჩენილა.
„ტელევიზორია ოსტატობა“ სწავლობ-
სო, იხუმებს დედამისი. რვა კლასის მოწ-
მობაც გაიხელებით მისცეს. ერთი ცნობა
გაიმეტეო — ეხვეწებოდა სკოლის დირ-
ექტორს დამლაგებელი და იმანაც
გაიმეტა. მერე წავიდა ბიჭი სოფლიდან
და... დაიკარგა.

— ბარო, გელა! — უცინია. ყველას
ძმააკი, ერეკია და ლაქუცა კაცია გე-
ლაზე სამი წლითაა უფროსი.

კარი შეუღეს. გულლიად მიიპატიყეს.
აიარა მანქანა.

— რომელი გზით წამოხვედი? —
ეკითხება კაცია.

— ძველით... რა იყო?

— ისე...
მოხვდა გელა. ენის წვერზე ადგა კი-
კიას — „ლადა“ თუ დაინახეო“, მაგ-
რამ სიფრთხილე გამოიჩინა და არ ჰკით-
ხა.

მანქანა მთელი სისწრაფით მიჭროდა.
უკან ბიჭები ზურჯულბედნენ. სანამ მო-
ხედვდა და მათი სახეებზე შეთვალეო-
ბას მოაწერებდა, თვალს დაატანა გე-
ლამ. არცე შეატრიალა კაციამ და უკან
მჯდომბა მზერა დაიკირა. რალაცას ანიშ-
ნებდნენ.

— წებულ გიჩხუბია... — ბეჭებ ხელი
დაქრა კაციამ.

— მიჩხუბია?!

— ჰო, რუბენასთან. მთელი სოფელი
ლაპარაკობა.

რამდენ სიტყვას იტყოდა კაცია. იმ-
დენჯერ უკან მიიხედავდა. მოწყინდა გე-
ლას ექვემალულობას თამაში, ერთბა-
შად შემობრუნდა და უკან მსხდომნი
შეათვალეოდა. კაციას მოპირდაპირედ
„ჩინსიანი“ იჯდა, თავი დაეხარა, სიგა-
რეტა ქაჩავდა. შუაში ვიწრონიკაიანი.
კაფანდარა ბიჭი. განაპირას ორმოცი
წლის, წითური, სახენიაოევი მამაკაცი.
არ ეამა გელას მისი ფიცხი შემოხედვა.
რალაც ავკაცური და ბოროტი იგრძნო.

მიჭროდა მანქანა. ხმაურს
— დიდი შებურტული კაცია მამამე-
ნი... — გადმოხედდა კაციამ.

— ვინ? — იკითხეს უკან.

— ამის მამა. შარშან კოლია-წვერა
რომ დადიოდა შელაშაზებული, ხომ გახ-
სოეთ? — მიუბრუნდა უკან მჯდომით.

— კი.

— ჰოდა, ლევანამ შეუღამაზა თავ-
ლრანკი.

— რატომ?

— აეტობუაში ჯიბე შეუტუფთავა
თურმე, გადმოუყვანია და...

— ხა! ხა — ახარხარდა სახე-ნიაოევი
კაცი — მე მაგის... — შეიგინა ბინძუ-
რად...

აიწურა გელა. მთელი ამ ხნის განმე-
ლობაში რალაც უსაშველო წყენა დაუ-
გროვდა გულში, ვერ იქნა, სულ ვერ
მოითქვა. ველარც ჩამოსვლა და გაქცევა
მოახერხა. მიხვდა, ორივე ფეხით რომ
გაება.

— ამ ყმაწვილს ვიცნობ, — ჩაესმა
უცხო, ჩახლწილი ხმა. მოხვდა გელამ...
„ჩინსიანი“ იყო.

— გიზო შებლაეესთან სწავლობ ხომ?

— კი.

— რომელი გიზო! — იკითხა სახე-
ნიაოევი.

— ჩვენი ბიჭია. ყვავიამ ამოიყვანა იმ
დღეს.

— მახსოვს.

უკვე ორთვე ფეხებით კი აოა, თავი-
თაც გაება გელა. არაფერი შეელოდა.
არც გაჩუბება, აღარც ენის მოყენება.
იგრძნო, შიშმა და ავმა წინათგრძნობამ
თანდათან გამოაცალა ძალა, ახლა აღარც
ბრძოლის თავი ჰქონდა. ამ ქვეყნად ყვე-
ლა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, თა-
ვისი ფიქრითა და მიზნით. ერთადერთი
ადამიანი ვისი ცრემლები გულს ტყენ-
და, აღარ არის. ახლა არავის წინაშე არ
არის ვალში. ვინ არის გამკითხავი, გა-
მომრევევი? ანიყო? ფაცოს პაწია ბალ-
ლი? მამა? ნუშია?

ყველა ესენი პატარა ნაპერწკლებია.
სულში შემთხვევით აკიაფებული, აინ-
თებთან და ჩაჭრებთან. ჩამჭრალ, ნაცარ-

წაყრილ ცეცხლს კი, არც ძალა აქვს და...
კიდევ უფრო მიეყრდნო საბურგეს,
გაშალა მუხლები, ახლა აღარც გვერდით
მჯდომი ანტიერესებს და აღარც მისი
მძაკაცების ლაყბობა. ყველაფერი სულ-
ერთია... გამოკეტილი სახლი, დაცარიე-
ლებული საწოლი, უპატრონოდ მიტოვე-
ბული მანქანა - ყოველივე ეს კარგა
ხნის ჩავლილად მოეჩვენა...

დაღამდა, როგორ მოახლოვდა ნათუ-
რების შუქი, ახლოს მოვიდა ქალაქი!

ერთ ადგილას შეჩერდნენ, ბენზინი
ჩაასხნა, ჯიბეები დაიტენეს სიგარეტის
კოლოფებით, მანქანაში ცხელი ლავაში
და შებოლილი თხვი შემოიტანეს. გე-
ლასაც მიაწოდეს, ახლა ეს იყო, პურ-
მარტილი მერე ნახეო...

თითქოს გაუცხადებლად შეიცნეა,
რომ ბიჭი ხელში ჰყავდათ, დამორჩი-
ლებული იყო. საიდანღაც კონიაკის
ბოთლი ამოათრიეს, როცა თლილი ჰი-
ქა ნახევრად შეაქუს და გელას მიაწო-
დეს, მიხვდა ყელზე დამდგარ ლუქმას,
სამშელის მერე არაფერი უშველიდა.
უშველა კიდევ ერთბაშად გადაეკრა...

დიდი დრო არ დაჰკირებია — უკვე
გრძნობს, რომ აქამდე თუ წარსული
წაიშალა, ერთმანეთში აირია ახლობელ-
თა აახეები, ახლა მომავალმაც იწყო
ტორტმანი, ნელ-ნელა გაქრა და გაკამ-
ტერდა ბეჟო ლამბაშიეთსთან მისასვლე-
ლი გზა: უბრალოდ, სურვილი აღარა
ქონდა გაკაჩრებოდა იქაურობა. პროფ-
სააწველებელში სწავლის გაგრძელება?
სპეციალობის მიღება? ყველაფერი ეს
იმზე ადრე ამოიგდო თავიდან, სანამ
მანქანაში ჩაქდებოდა, მართალია, ამდენ-
ხანს არ გაუმხელია, არც სხვათა და
აღარც საყუთარ თავთან, მაგრამ ახლა
მიხვდა, გული არ მიუწევდა იქით.

ხელახლა მიამალეს კონიაკი, სიგარე-
ტიც შეაჩერეს ხელში.

მერე ცუდად გახდა, ბუნდოვნად ახ-
სოვდა, რომ კიკია უვლიდა, ის ედგა
გვერდით, გულალი ბიჭია, კეთილი, სამ-
პო და სამეგობრო, გელა ბავშვობიდან
იკნობს მას, ერთად ბანაობდნენ ლეღე-
ში, ერთად თამაშობდნენ ფეხბურთს...

ჯარიანობაზე დოღის დაკვრის დასრულებული
კიკიას, როდის იყო ეს?! არ იცის, სამა-
გიეროდ კიკია არ უღალატებს, მძაკა-
ცია... ამიტომ ეხვევა ყელზე... კოცნის...
აარგი ბიჭია

გამოეღვიია გელა, თავი სტკიოდა,

XVI

კარგა ხანს ბურანში იყო. მერე ლიფ-
ლიფა ქაფი შეერია სივრცეს. ერთხელაც
არ უფიქრია გაერკვია, რა უნდოდა აქ,
საიდან, მოხვდა, ვინ მოიყვანა. კონიაკის
მწკლარტე სუნით სავსე იყო იქაურობა,
ვერ იქნა და ვერ შეეგუა ამ სუნს.

მერე იგონებდა და ვერ მოეგონებინა
როდის მოვიდა აქ, ვინ მოიყვანა. ვე-
ღარც ის გაერკვია, ცხადში იყო თუ სიზ-
მარში, ქერა, თმაგაწიწილი ქალი ეწვა
გვერდით, ცხელი, ოფლიანი სხეული
ქქონდა. ქერათმიან ქალს თოვლში ჩარ-
ჩენილ ღაბუა ჩიტვიით საცოდავად ეძი-
ნა, წამდაუწუმ ერთოდა, მოხედა გელამ.
მოღავებულ ბეჭია თავზე ჩამავებული
ჭრილობა დამწვარა ჰგავდა, თითქოს
ქალის თეთრ სხეულზე კილაცას ანთე-
ბულ სიგარეტი დაესრისა.

დაიბაბა გელა, სცადა, წარმოედგინა,
როგორ დაასრიადა ქალს აღუზღუბებუ-
ლი სიგარეტი, თითქოს ამოწმებდნენ
რამდენი ტკივილია, შეურაცხყოფია,
დამპირების ატანა შეეძლო.

ახლა, მის გვერდით, პატარა ქალი
მშვიდად იწვა და ისვენებდა. ცოცხა იყო
მისი გაღვივება. არადა მკლავი დაუბ-
უყდა, განბრევა არ შეეძლო გელას.

მიხურულ კარიდან დაგედული ხით-
ხითი ისმოდა, გვერდითა ოთახში კილა-
ცეები ისტდნენ.

უცებ კარი გაიღო, უსიამო ჭრიალმა
თუ მოახლოებულმა ნაბიჯებმა გონზე
მოიყვანეს გელა. წამოდგა, არ გაუგია
როდის წავიდა ქალი, სად გაქრა... სად
მიიძალა... ეგებ მოეჩვენა?!

— პრივეტ! — ილრიკება კიკია, —
გამომუშდი?

— ?!

— ბიჭო, რა გადარევა გცოდნია...
 — მე?
 — ჰო... გააფრინე ოფოფები...
 — ვიჩხუბე?
 — იჩხუბე, არა! რამდენი დალოე!
 — დავლოე!
 — ჰო,.. გადარევაზე... მერე იტირე...
 — ვიტირე?
 — ჰო...
 — რა მატირებდა — ჰკითხა და იმ წამს ინანა.
 — იგინებოდი...
 — ვის ვაგინე?!
 — გიზოს...
 — გიზო?! აქ რა უნდოდა?
 — მამაკაცია... მოვიდა.
 — მერე?
 — სიტყვა არ უთქვამს. რას გაბედავდა, ჩვენ აგერ არ ვართ, — გაიყინა ბიჭი.

„ეტყობა გამოსულა გიზო!“ — გაიფიქრა გელამ.

გელაზე უკეთესად ვინ იცნობდა გიზო შუბლაძეს, ის რომ არ იყადრებდა, რა იყო ისეთი! მაგრამ რატომ მოუთმინა, რატომ აპატია?! ბრაზის გულში ჩადება რომ არ ჩვეოდა გიზოს!

კიკიამ რადიოლა ჩართო, ფირფიტა დაატრიალა, მერე ჭაზის მწიკანა ხმას მანქვა-გრეხით აჰყვა, ხელ-ფეხს იქნევდა, თავს აყანყალებდა, მოდის მიმდევარ ბიჭად აჩვენებდა გელას თავს.

— ვისია ეს ბინა?
 — ჩემი...
 — შენი?!
 — ჰო...

— არ გჯერა?!.. ერთმა მამაკაცმა დამიტოვა. თვითონ აგარაკზეა...

— რომელ აგარაკზე...
 — ხა-ხა- ხა, — ახარხარდა კიკია.

თავი უსკდებოდა გელას, დახუთული პაერი გულს ურევდა. უცებ ნაბიჯები ხმა ჩაესმა, სახე-ნაიარევი კაცი შემოვიდა, შავი სათვალე ეკეთა, თვალები არ უჩანდა.

— არ ყოფილხარ ცელი ბიჭი... — შეაქო გელა.

— ხომ ვითხარით!... — კიამ.

— გვადროვე! — ჩაჩუმდა შემოსულმა, ერთი კი ანიშნა ხელით და კიკია გაქრა. მიხვდა გელა — როგორც ძალს გაწვრთნიან მტკიცე ხელით და წიკვლის ჩვენებით, ასევე მასაც გაწვრთნას უპირებდნენ.

მაგიდას აბრეშუმია საფარი ეფინა, იქვე ამლილი კარტი ეწყო და ბორჯომის ცარიელო ბოთლი იდგა. ფანჯარას სქელი ფარდა ეკიდა, ბინა სასატუმბროს ნომერს წააგავდა.

— თორმეტი წელია საქართველოში არ ვყოფილვარ... — წამოიწყო ახლად შემოსულმა, — შეცვლილი მერვენია ქუჩები, სახლები... ადამიანებიც... ერთმანეთის ნდობა არა აქვთ... შენი კაცობის არ სჯერათ... არ გლალატობ, ერთგული ვარ, გაგიპირდება და თავს განაცვლებ, მეთი რალა გინდა, რატომ უნდა იქნეს ასე ურწმუნო?! გამაგებინე!!

პირდაპირ, ჩიქურ შესცქეროდა იგი, სათვალე მოეხანა და ახლა, წყლიანფერი, უძრავი თვალებით უმზურდა.

— არ ვიცი...

— არც გეცოდინება. განა გძრახვ? ქორი ქორს ჩეკაო, ნათქვამია და ძერა ძერუკასო... — არ დაამთავრა.

ეს კაცი აზრს რომ წამოიწყებდა, არ ამთავრებდა, შუა გზაზე წყვეტდა. ამით მოსაუბრეს ანტერესებდა, თუ თავად უქირდა ფრაზის დაბოლოება, გაურკვეველი იყო.

— სად ბრძანდებოდით? — რიდიო ჰკითხა გელამ.

— შორს... გაგიგონია პოლარული წრე? წელიწადში თორმეტი თვე ზამთარია, დანარჩენი ზაფხული! — თქვა და ჩაიბითხითა. ჩახლეჩილი, უსიამო ხმა ჰქონდა.

— არა...

— ჰო, ჯერ ახლაგზრდა ხარ. ცხოვრების გემო არ იცი... გუშინწინ გაზეთში წაეკითხე ვილაც მწევემამა, მთაში, ორასი წელი იცოცხლავო. მე თუ მკითხავ, კაპიკად არ მიღარს ის ორასი წელი... მათეო სიცოცხლეს, ორი წელი კა...

ცურად ვიცხოვრო მიჩვენია... ფული...
 შარადი... ყოშარი... ქალები... მამ!

უამნდა გელა ამ კაცის უთავბოლო
 ქადაგს. და ყრუ გუმანი თხედებოდა სა-
 ით უხვევდა იგი, რომელ ყურეში აპი-
 რებდა ღუზის ჩაშვებას

ამ დროს იყო, გაიღო კარი და ჩინსი-
 ანმა ბიჭმა შემოყო თავი.

— როგორაა საქმე? — მიუბრუნდა
 სახე-ნაიარვე.

— სამ საათზე სადგურის წინ დაგხ-
 დებით.

— ადგილი ვინ დანიშნა? შენ თუ მან.

— მე.

— ფრთხილად, ბევრი ბაზარი არ და-
 უწყყო...

— გასაგებია.

— ესეუ წაიყვანეთ, — მიათათა გე-
 ლას, — ზენინიანი.

მიხვდა გელა, უკვე მონათლეს.

ოცი წუთის შემდეგ, მანქანის სახურ-
 გზე მიწოლილი გელა რკინიგზის სად-
 გურთან გამგულ-გამომვლელს ათვა-
 ლიერებდა, ვილასს ელოდნენ. ის „ვი-
 ლასა“ მოვიდოდა აქ. გელას არც ჩარე-
 ვის უფლება არა ჰქონდა, იგი დუმილთ
 უნდა შეხვედროდა ყველას და ყველა-
 ფერს.

დიდხანს ლოდინი არ დასკირვებიათ...
 მწვანე „ვოლგადან“ შევსვიტრინი მა-
 მაყაცი ვადმოვიდა, ერთი მიიხედ-მოი-
 ხედა და პირდაპირ მათეენ მოაშურა.
 მოახლოებისას ნახევრად დამწვარი სი-
 გარეტი გვერდზე მოიაროლა, კარი გა-
 მოაღო და ჩაქდა. ტანმოორჩილი იყო,
 დაძარღვეული კისერი უჩანდა. ცივი, შავი
 თვალებით იმზირებოდა. არც გამარჯობა,
 არც „გაგიმარჯოსა, პირდაპირ...

— რამდენს ითხოვთ?

— ოთხს.

— ბევრია. მანქანა სადაა?

— ერთ ადგილას, ფული მოიტანოს
 და ერთ საათში სახლის წინ ეყოლება...

— კო...

— თუ ახტეს, უთხარი დაწვავენთქო...
 მილიცია... კო-პუი, არ იყოს, გესმის?!

— ვიცი.

კარი გამოაღო, გადავიდა.

იგრძო გელამ, შარიან, ზენინიანი
 საქმეში გაეხვია.

* * *

მანქანა შეჩერდა. ვადმოვიდნენ ყვე-
 ლანი, გელამ თავდაპირველად ვერაფერი
 დაინახა. ქუჩაში ხალხმრავლობა იყო.
 ველარც ის შეამჩნია, ჰადრის ქვეშ რამ-
 დენი ბიჭი იდგა, რატომ იცინოდნენ. ან
 რაზე შეეგებნენ ასე პატივისცემითა და
 სიყვარულით. ერთმანეთზე შეჭუმრტ-
 ბულ-შელაზღანდარებულ ბიჭები იყ-
 ვნენ, მათ ამჩნევდა იმ დღიდან ბესოს
 რომ გაქყვა პირველად ქარხანაში. მაშინ-
 ნაც აქ იდგნენ.

ამ გახსენებამ შეაერთო. უცურად მო-
 გონდა ბესოს ნათქვამი — ეგენი ხელი-
 დან წასულელები არიანო, მიხვდა. მათი
 გზა — დაღუპვის გზა იყო. აღარ იცოდა,
 როგორ მოქცეულიყო. მერე ის იყო,
 ერთმანეთში ჩაერთულ-ჩატყმანისონი, რე-
 სტორის კარს მიადგნენ. შევიდნენ
 და შეიყოლეს გელაც. შამპანურის ბოთ-
 ლებით დამძიმებულ მაგიდას კარგა ხანს
 უსხდნენ.

მერე აიშალნენ და ერთმანეთს ფულის
 გადახდას არ აცლიდნენ. ყველას ჭიბის-
 ენ მიქონდა ხელი, თითქოს კაცური
 კაცობის, ვაეკაცობის გამომვლანების
 დრო დადგომოდათ. ერთმანეთს აჩერებ-
 დნენ. ბოლოს, როცა ტარანივით ხმელ-
 ხმელმა ოფიციალტმა ქარქაშიდან ამოწ-
 ვილი ხმალივით, შემართა ჩოთქი, მი-
 უჩნდნენ, ხორბოცი შეწყდა. დანახრჯის
 გაატუმრების უფლება იმ ერთს დაუტო-
 ვეს, რომელიც ვანზე იდგა და გაბზა-
 რული ღიმილით უთვალთვალებდა მათ.
 იგი ანგალო იყო.

ანგალო მართავდა მანქანის საჭეს, ან-
 გალო აწარმოებდა შავსვიტრიან მამა-
 კაცთან მოლაპარაკებას. იგი იხდიდა
 ფულსაც. მაგიდაზე დაყრილი ათმანეთი-
 ანები არც დაუთვლია, ისე გადაუტახა
 ოფიციალტმა ჭიბეში, მოიხარა, მოიკუნა
 და უსიტყვოდ გაიძურწა.

— წავიდეთ ჩვენთან! — მიიწვია ან-
 გალომ — მარტო ვარ...

— შენთან? ვაზ, რა ტობეა! იაპონუ-

რი მაგნიტოფონი... — იუკირა ერთმა, ხეირიანად ვერ გაარჩია რომელმა ყველა ისინი, გელას თვალში ერთმანეთს ჰგავდნენ. ვიწრო სამოსით, ჭრელა-ჭრულა ხალათებით, კევის გამუდმებული ლეჭვით და უთავბოლო გრეხვით.

ახალ ბინაზე უპირველესად ანტიკვარულმა ნივთებმა მიიჭკეს გელას ყურადღება. ლაპლაკებდა პარკეტი... თაროები იზნიჭებოდნენ ძვირფასუდიანი წიგნებით... სახლი ორსართულიანი იყო, ნათენარში, მდინარის პირას იდგა.

ხეირიანად ვერ გაარჩია გელამ, ვინ გაულო კარი. ველარც ის გაარკვია, დია-სახლია ჰყავდა ამ ოჯახს თუ არა.

შევიდა და იქვე, ბროლით გაქმევილ ვიტრინის ახლოს, მწვანე, ფუმფულა სავარძელში ჩაჯდა, ჩაიკარგა, საზურგეს მიეყრდნო. რაკი ქდომა წოლას უფრო დაემგვანა, ინატრა, ნეტაე კერავინ შემამჩნევდესო. დაღლილი იყო.

ახალ მოდის ავეჯსა და ჭრელა-ჭრულა ნივთებს შორის, ძველებური ქართული ბუხარი შეამჩნია, უცხო ხილად ეჩვენა. აღარსად იყო ცეცხლი და ნალევრდალი, არც რცხილის შემას გაუდიოდა ტყავა-ტყუცი. ქართული ოდა-სახლის მშვენიე-ბა, თელოსძველი ბუხარი, ახლა საყო-დავად დაპატარავებული, ზიზილ-პიპი-ლოებით მორთული, მახინჯ დედოფალს წააგავდა მეტი აღარ გაუზღდავს იქით.

ბუხრის თავზე ვეებერთელა სურათი იყო დაიდებული. ფერწერულ ტილოს მოჩუქებულბული და ოქროს ვარაყით აპრიანებული ჩარჩო ამშვენებდა. ჩამავალი მზე და ქონგურებჩამონგრეული ძველი ეკლესია, შეურმე და ჭილის ქუ-დიანი ბიჭი... მტვრიანი შარა... სურათში უცხო სევდა იგრძნობოდა.

მერე ნობზე ნაბიჯები რომ მოხშირდა, გელამ გაოცებით აიხედა — რესტორნი-დან ექსი-შვიდი ბიჭი წამოვიდა ქალი-შვილები საიდან გაჩნდნენ? მათი გამო-ჩენა ყოველთვის აბნეუდა და უბერბუ-ლობაში აგდებდა გელას, ამიტომ იყო, გაიტრუნა და კიდევ უფრო ღრმად ჩაეფ-ლო საუარძელში. ახლა იგი იმ პატარა ბიჭუნას დაემსგავსა, სახეზე ხელებ-

აფარებულს რომ ჰგონია ახლებზე... თვალებს დავემალეო... კარგა ხანს იყო ასე... არადა, მომძლავრდა მუსიკა. ფირ-ფიტას ფირფიტაზე სცვლიდნენ.

ოდნაე შეხსნა თითები, გახედა. ერთ-მანეთზე აკრული სხეულები. კინო კად-რივით, სურათს სურათი სცვლიდა. უცებ ხედვის არე დაიფარა... წითელი ფერი ჩამოდგა და სივრცე ამოავსო. ელაც იდგა მის წინ. შეერთა გელა ვე-ლარც თითები შეხსნა, რომ წინ მდგომის სახე დაენახა. — თანდათან ახლოს მო-იწვედა წითელი ფერი. იმდენად ახლოს, რომ სული შეეხუთა.

ელაც წაუპოტინა, სახეზე აფარებუ-ლი თითები ჩამოაცალა და „ადექიო“, უბრძანა.

პატარა ტანია, წითელკოფთიანი გოგო აღმოჩნდა. ოქროსფერი თმა ეყარა მხრებზე, ვიწრო, ლამის გადასკდომაზე შარვალი სავსე ბარკლებზე გახეოდა. თვალის უკეები ცისფერად ამოულება-თოჯინას ჰგავდა, მის თამამ გამოხედვა-ში, მოთხოვნისა და მომთვინიერებლის მკაცრი ტონი იგრძნობოდა. თითქოს, ელაცის წინაშე დაეტრახახოს — აგერ დევანში გათხლამულ ბიჭს რომ ხედავთ, ფინიასავით, ჩემ ჭკუაზე ვათამაშებო.

გელასათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რას იტყოდნენ დანარჩენე-ბი, ან ეს მეტიჩარა გოგო რას ითვალთ-მაქცებდა მის წინაშე; მთავარი იყო, ამ ახმაურებულ გარემოსათვის, სადაც მი-სი შეყვანა, თუ შერთვა სურდათ, თავი დაელწია.

- იცავეთ! — არ ეშვება გოგო.
- ხანიათზე არა ვარ.
- მე მოგიყვან ხასიათზე.
- არ მინდა!

წითელკოფთიანა, ეტყობა დიდად არ სიამოვნებდა დევანში გათხლამულ ბიჭ-თან ხვეწნა-მედარა, მაგრამ შემოჩერე-ბული თვალბის წინაშე უკანდახევა არ სურდა.

- ადექი, რა?!
- მეზარება...

კიდევ უფრო დაიზანტა გელა, კიდევ უფრო გადაიოხლაშა საუარძელში. თუ

ორიოდე წუთი კიდევ გაუიღებდა გოგოა მუდარას, მერე თავად მობეზრდებოდა და გაეცლებოდა.

— ადე! რა... — არ ეშვება გოგო. რაც უფრო დიდხანს ებლაუტებოდა იგი, მით უფრო გრძნობდა გელა, პატარა ტანის, ბურთოვით გოგო, საგანგებოდ შეერჩიათ მისთვის, მაღალი, აწონილი ბიჭისათვის. შეუფერებელი წყვილი ყოველთვის სიკალს იწვევს. მითუმეტეს ახლა...

გოგო სავარძლის სახელურზე ჩამოყდა. რაკი პეპელასავით მოხატული ეს გოგო ვერ იქნა და ვერ მოაცილა. გადაწყვიტა. ამჟამად აყოლოდა და აჰყვა კიდევ.

— ეს სახლი ვისა? — შეეკითხა.

— როგორ, არ იცი?

— არა.

— ზურაბის...

— ზურაბი რომელია?

უარესად დააცეცა გოგომ თვალები.

— აგერ... — ანგალო დაანახა — მამამაია ტრესტის მმართველია... დედა ექიმი, ახლა სამოგზაუროდ არიან — რომამადრიდი-პარიზი-ლონდონი... როგორია?

— ეარგი.

— სახლში ანგალო დარჩა... ხა, ხა! გაფრინა ბიჭმა. დღეს ნახე რა გოგო-ბიჭები ჰყავს სულ ქალაქის ნალები აგერ თამლა ლაშში, კონსერვატორიის სტუდენტი, არდადეგებზე ჩამოვიდა.

თეთრ როიალს ტანწერწეტა ქალიშვილი უჯდა, გრძელ, შხართალა თითებს ელაციშებზე ათამაშებდა.

— აქ საიდან გაჩნდა?

— როგორ თუ საიდან? ბავშვობის მეგობრები არიან. ზურაბის ერთი დაძახება და გამოიბის...

— ზურაბი სად სწავლობს?

— სწავლობს?! შენ რა, ქურში ზიხარ? ინეინერია, მამამისთან მუშაობს ტრესტში.

ვერაფერი გაიგო გელამ. მართლაც ქურში იქდა და სამყაროს ეიწრო სარჩველოდან უმზერდა...

წამით როიალი აქლერდა, ამდენხანს

თუ ხმებს უსინჯავდა ჰიამნატუნიამტამქან მძლავრი აკორდი აიღო და მსმენელი თავიკენ მიიზიდა.

გელა ჯერ მოლივლივე წყლის ქველს ხედავდა, მერე ტყით დაფარულ ფერდობს... ტბა სადაფეთით პრიაცილებდა და ციდან თოლიების მხიარული ხმები იღერებოდა... ყოველივე ეს მოჰქონდა მუსიკის უკიდუგანო ჰანგებს... ტყებოდა ბიჭი... წამით დააეიწყდა, რომ ამ ქვეყნად არსებობდა კიდევ სხვა, საწყენი თუ გასახარი, ყოველივე მიჩქმალა ჯადოსნურმა ხმებმა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, თვალი არ მოუცილებია მუსიკისათვის, მის გრძელ-გრძელ, შხართალა თითებს მუსიკის შეუცნობელ სამყაროში შეყავდა ქახტყი... თავად ქალიშვილი არ ახსოვდა. არც მისი შეერეკილი, თმა, ეიწრო მკერდი, საესე ტუჩები... იყო მარტო თითები.

იქვე, კედელთან, თვალმდახუტული ანგალო იდგა, გაბრუებული ჩანდა.

წამით მის უდარდელიობას, უზრუნველ ცხოვრებას, გველენიან მშობლებს და რაც მთავარია, ფელსა და დოვლათს შენატრა გელამ. ეს იყო ერთი წამით.

შეწყდა მუსიკა. გამოერეკა, სად მოხვდა, ვინ არის მასპინძელი. სამსახურში — ზურაბი, ქურდებში — ანგალო. უნიკაპო, წელაღვერა ბიჭი, სულ მოდერად აცვია, სულ ნაირ-ნაირი, ფერად-ფერადი, — უცხო წარწერებით. ინეინერიია — ამ გოგომ თქვა, მამამისთან ტრესტში მუშაობდა. სინამდვილეში მანქანებს იპარავს. მიმოიხედა. ფარდის უკან ქალ-ვაეი ერთმანეთს ეხეუდა მერე როკვა წამოიწყეს, ლურჯი და თეთრი ფერი ჰარობდა ირგვლივ. გაოცდა გელა: რამდენჯერაც გაადვენა თვალი გოგო-ბიჭების როკვას, იმდენჯერ ჩინსში გამოერეულ უკანალს წაატანა თვალი. უცხო ფარმის წარწერებით, დაწუნლდაგრებილი ქამრებო, აკვის გაუთავებელი ლეკვით, ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ.

მერე და მერე, როცა ცეკვა-გრუხვა მომძლავრდა, იამონურ სტერეო-მაგნიტოფონის ოთხივე დინამიკა ჩართეს და

ხმის გამძლიერებელმა სოფრე მთანთ-
ქა, სული შეუფუბდა გელას... მუსიკის
კვილა ხმებმა ლამის ჭერი ახადეს...
ზანზარებდა სახლი... იბრბდნენ და იც-
ვამდნენ... „ლედი!“ „ლედი!“ „აბა!“..
„შეიკი“ უცხო სიტყვები საფანტოვით
სკდებოდა ყურში.

როგორც ექნა ჩაწყნარდა ხმები... გა-
ოფლილი, თვალუბაბეცებელი გოგო-
ბიჭები ახლა კონიასს წრუთავდნენ და
ყავას სვამდნენ. ჭგუფ-ჭგუფად იღვნენ.

წამით წითელკოფთიანის შავ თვალებს
წააწყდა გელა. შხერა მოარბდა გოგომ.
ხელში ფინჯანი ეჭირა და თავდაბრილი
წრუთავდა ყავას. მას აღარ მოაწოდეს
არც ყავა, აღარც კონიაცია... არა, კონიაცია
დალევინა სურვილი კი არ კლავდა,
არც ყავის არომატული სურნელი იზი-
დავდა, უბრალოდ თავი შეურაცხყოფი-
ლად იგრძნო, თავის ტოლად არ ჩათვა-
ლეს, ღირსად არ ცნეს.

ზედმეტი იყო... როგორც უსარგებლო
და უმაქნისი ნივთი, არაკეთიარი ღირებუ-
ლება არ გააჩნდა. აქ ფასითა და ღირე-
ბულებით იზომებოდა ყველა საგანი,
ავეჭი, ქსოვილი, ადამიანიც კი: როგორც
მის გახუნებულ პიჯაკს, ფასდაკლებულ
საქონლის მალაზიაში ნაყიდ ძველ პიჯაკს
არა აქვს ფასი, ასევე მასაც... იგი ზედმე-
ტი იყო.

თავი უსკდებოდა, ფიჭვი აღიზიანებ-
და. ისინი ვერ ამჩნევდნენ, მაგრამ სამა-
გიუროდ თავად ჩანდნენ გაღივებულ
ლონჯაში.

იმასაც მიხვდა: მის აქ ყოფნას თუ ით-
მენენ, იმიტომ, რომ მომგებიანი კარტი
უჭირავს ხელში. მედალიონის მეორე
მხარე იცინა.

ქანდაკად ქცეული, სახეგაქცევებული
გელა, უმოძრაოდ იჯდა საეპიქელში.

XVII

ჭერაც მოუთავებელ სახლის კედლებ-
ში ერთი კი გახშირდა ბაღლის ტირილი
და თითქმის მთელი სოფლის ქალთა
ჯილაგი ერთად წამოიშალა — ბებერი
თუ ახალგაზრდა, დედები თუ ქალიშვი-

ლები... ერთად შეუწრიად...
ერთად ჩაემდურათ ძუძუ-
ზე მოადგნენ... ქალებით ავსებულ სახლს
ერთხანს გააევბით უმზურდა ლევანა. მე-
რე ბაღლი რომ ჩაწყნარდა და თითო-
ოროლად გაილაღნენ. ერთ უცნაურო-
ბას ჩახვდა: ქალებმა უბე-კალთით ღე-
დობის მაღლი მოუტანეს ბაღს, გაუთ-
ბეს პაწია სული და უხმაუროდ გაეცა-
ნენ. მათი აუგად მოხსენიება არ შეეძ-
ლო ლევანას, სხვა ცოდო-მაღლი ტრიპ-
ლებდა მის ოქაზში, ზვილის აკვანთან
სხვა სანთელი ენთო.

იმ ღამის შემდეგ, ბაღლის გაზრდა
აღარ უდარდია ლევანას — თავად რომ
მოეხეტა თვალი. თავად რომ დაეძლია
მამაკაცურ მოუქნელობასა და სიზანტეს,
ისინი არ მოაკემდნენ მის უფლებას.
ისინი — ქალთა ჯილაგი, მოდგმა, არ შე-
ეპუებოდნენ. არ ამატებდნენ... ერთი
მწარედ რომ წამოეტირა ბაღსა, ზარის
ვლირალად გადუველიდა ჩათვლებილ
სოფელს. წამოყრიდა დიდსა და პატა-
რას — ანთიოზა ეფრემიძის გადამძე-
ბულ სიდერს — მეღანოს და მის
ახალგაზრდა რაღას. სამი ბიჭის დე-
და — მყუელაა. ყველანი უმაღ აქ
გაჩნდებოდნენ...

მხოლოდ ეგ იყო, რაც ბაღლი შეიფა-
რა ლევანამ. ყოველი ღამე სატანჯველად
ექცა. აქაოდა, ინიონს ვერ ევენდობიო,
თავად მოიჩოხა აკვანი, ურწყეს ნელა,
„ნანაა...“ ჩადუდუნებს ჩახლეჩილი ხმით
და ცდილობა მამაკაცურ, მოუქნელ მარ-
ჯენას სითბო და სილბილე გაეყოლოს...
მერე მოგვიანებით, ზვილის მიწელებულ
ტირილს თანდათან რომ შემოაქვს ოდეს-
ღაც განცდილი, შორეული დღეები, ეჩ-
ვენება, ქალარით შეთრთვილული წვერ-
ულვამის ნაცკლად წაბლისფერი კოკობ-
ულვამი უმშვენებს ეშხიან სახეს, ხალა-
თის ლილელოები შესხნია, აღანძული
ყელკისერი უჩანს. ალერსით მთურალი
ბალახებში წევს... როდის იყო ეს? არ
ახსოვს... არადა...

— ლილი! — ისმის ძაბილი.

ყოველთვის გაურბის ამ წუთებს

ეკლინაველს, გაუხუნარს და მარად ცოცხალს...

— ლილი!

მათი უღბლო სიყვარულის დასამარხად მოვიდა სოფელში ლევანას დაღუპვის ცნობა.

არც სიხარული იმალება ამ ქვეყნად და არც დარდი. მოთქმით დაიტორეს უდროოდ დაღუპული უმარწვილკაცი... ხმა-მალა... შეცხადებით ამცნეს სოფელს.

მეორე დილით, ცხენისწყლის პირას, მერანგისამარა ქალიშვილი იპოვეს დამხრჩვალს. ერთხანს ვერ იცნეს. გაღმა სოფლელი დაუხჩვია აღიდებულ მდინარესო, უმწეოდ და საცოდავად იწეა. ორსულად ყოფილაო, გაიოცა ვიღაცამ, შიშველ სხეულზე ხალათი წააფარეს. შემოსეს ქალი.

რისი დაფარვაც ერთეულებს არ შეუძლიათ, იმას სოფელი ფარავს, საერთო სატივრად აქცევს და სდუმს... დიდხანს სდუმს.

ამიტომ იყო თვალი დაიბრმავეს და ყური დაიყრუება. მიცვალებული გააპატრონეს და ოჯახს მიგვარეს... არ უტორია ამბერკი მეტუეკს. არც გამოჩენილა იმ დღეებში, უკანა ოთახში, სიბნელეში იჯდა და ხმას არ იღებდა. დასაფლავების ღამეს სახლს ცეცხლი გაუჩინა, ძლივს გამოაპარეს. ნახევრადშიშველი, წითური ქალი, ამბერკის ცოლი, ხალხს შეჩიოდა: „გამაგებინეთ, რა დავაშავეთ ასეთი, რა ცოდვა ადევს ჩემს ოჯახსო“.

მერე ამბერკი საგიეთში დაამწყვდის, მნახველები ჰყვებოდნენ, დგას კუთხეში და ჩურჩულებს: „სახლი რომ დავწვი... შენი გულისთვის დავწვი, გამოდი ახლა, ნუ იმალები, არავინ დაგინახავს, მე ჩამომეფარეო...“ კუთხე-კუთხე დამჩრჩის და უმცროსს ქალიშვილს გულისპირით მაღაურო.

ამ ამბავს ბოლომდე არ ჩასდევნებია ლევანა. თუ მოქმელს არ უფიქრია გაგრაძელება, დღესაც არ იცის, სად მოკვდა ამბერკი ან მისი ცოლი.

ნახანძრალზე არავინ ინდობა ფუძის გაღვივება, ახლაც შორიდან უელის მგზავრო, მხოლოდ ჰადარი დარჩენილა

გვერდშემწვარი და იმასაც ცეცხლში მოქცეული უშუშებია წლებით მაყენებელი კრილობა.

ისიც იცის ლევანამ... ყველა კრილობა შეუღდება, გულის კრილობის გარდა.

მერე წყნარდება ბაღლი და აყენის სახელურს ჩაბლუჯული თითებს ძალა და გამძლეობა ეცლება.

• • • • •

სამი დღის წინ სასოფლო საბჭოს მდივანმა, ვანიკო ტურაბელიძემ ჩამოიარა და გააფრთხილა: „ლევანა, საბუთები გამზადდეთ და საბჭოში ჩამობრძანდით, ბავშვი უნდა ჩაეწერათო“... იმდენი იზოდიშა ვანიკომ, ყიამურალად რომ ამირებდა ლევანა შეხვედრას, თავი შეიკავა — „კი ბატონოო“ — დაეთანხმა.

გაისტუმრა საბჭოს მდივანი და ხელახლა ჩაფიქრდა ლევანა. პატრონი არ აკლდა ბაღს, მომსვლელი და მნახველიც არ ელეოდა, მაგრამ, ნათქვამია „ორ ბიძას შორის ბავშვი დაიბრჩოო“, ისე დაემართა მასაც. ვინ იყო ნამდვილი პატრონი? ანიკო?! თავად ბაღლი და უსუსური?! ცოდო იყო ამ ტვირთისათვის... თხუთმეტი წლის გოგოს ქრაც აუყვავებელი გაზაფხული ედგა წინ, თავისი წილი ყორივარდაც უნდა მოეკრიფა და კატანაკარაც. ჩვილის აკიდება და ხელში შეჩერება, დანაშაული და შეცდომა იყო.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ბოლო დროს, გოგო ჰყუაზე მყოფს არ ჰგავს. გუშინწინ ზოოლოგიის მასწავლებელი გადაეყარა ლევანას: „სკოლაში დაბარება ვერ გავბედეო, შესაფერის წუთს ვეებდიო“, და ჰა, იპოვა კიდევ წისქვილიდან, ფეკელიანი ტომრით ბრუნდებოდა ნინუცა მასწავლებელი. ტომარა. მელანოს უფროს შვილიშვილს — აეთოს მოჰქონდა, მეათე კლასის მოსწავლეს, საჭიდაოდ და საბულრაოდ გამზადებულ ბიჭს.

ფეხი რომ ათორია ნინუცამ და ლევანასთან მოლაპარაკება გადაწყვიტა, აეთოს არ უფიქრია წინ წასვლა, პირიქით.



უფრო შეანელა ნაბიჯი, გადმოაწყო ყურები.

ბიჭი რომ ვერ გაიცილა ნინუცამ, საიდუმლოს და საძრახს არაფერს ვამბობო და მოხსნა გუდას თავი: „ბატონო ლევანა, ცხოვრებაში ნაკადი კაცი ბრძანდებით, ჩემგან არ გესწავლებათ მაგრამ... ნამეტანი შეიცვალა თქვენი გოგო. კერძოდ, ჩემს საგანში, ბიოლოგიაში არაფერის გამკეთებელი არ გახლავთ, ამას თავი დაეანებოთ, რალაც დაბნეული, გამოშტერებული დაიარება. კი, ბატონო, მესმის თქვენი მდგომარეობა, შეილებს ცვიცავარ, მეც და მთელი პედაგოგიური კოლექტივი, საცოდაობით ვიწევებით. ბევრ რაიმეზე ვხუჭავთ თვალს, მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს... რომ აცდენს, გასაგებია... მიზეზიც აქვს, მაგრამ, გაკვეთილზე რალა ემართება?! ისე გამოშტერებული ზის! მოკლეთ, გამიგეთ!“

მერე ნინუცას სახლ-კარს მიუახლოვდნენ და უხმოდ გაეცალა ქალი.

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ყურგამახვილებული ბიჭი მასწავლებლის ქაქანს უსმენდა, მხიარული, ანცი სხივი უელავდა თვალეზში. ყოვლის მცოდნე და მიმხვედრი იყო მისი მზერა. მიხვდა ლევანა, რალაც ისეთი იცოდა ბიჭმა, რაც მათთვის — ბიოლოგიის მასწავლებლისათვის, ქალბატონ ნინუცასათვის და ლევანასათვის, ძნელი მისახვედრი იყო. რაც არ უნდა ეჩხუბა, ელანძლა ბიჭი, სულერთია, სიტყვას ვერ წამოაცდენინებდნენ, რადგან იგი, მათი, ახალგაზრდობის საიდუმლო იყო და გამხელა თუ გაცხადება, აგრე იოლად არ ეწერა.

გული დაუმძიმდა ლევანას, ვერ იქნა და შეილზე ფიჭრი ვერ ამოვადო გულიდან. რა საიდუმლო გასჩენოდა ანიკოს?

მერე ასე გაბრუებული, ტვინარეული გამოდგებოდა ჩვილის მომვლელად, თუ პატრონად?! მეტი არაა ჩემი მტერი?

მაშინ ვინ?! თენგო?!

ჩაეცინა ლევანას. ძმისწულის გახსენებაზე ყოველთვის მხიარულ ხასიათზე დგება, როგორ შეიცვალა და გადასხვა-

ფერდა ეს ბიჭი? ნეტავ დედა...
 დურგალი კაცის ოჯახში...
 რა გამოლევს... წაბლი და თელა, მუხა და სოჭი. ხუთგულიანი კარი ჰქონდა ლევანას შეკვეთილი კულტურის სასახლისათვის. რახანია აშუადებდა მასალას. შეგირდით ედგა თენგო გვერდით. ყველას კაკოს, წაბლის და თელის მერქანი სჭობიათ, ასწავლიდა ბიძა-ოსტატი, ბზა — მძიმეაო, ფიჭვი და სოჭი — უგულო და ულახათოო. ჩუქურთმებს — კაკალი, წაბლის მერქანი იმშვენებსო. აფოფინებული ბიჭის გამოხედვა რომ იგრძნო, გაიფიქრა თონე სანამ ცხელია, ლავაში მამინ უნდა ჩააყრაო. ანთიმოზა ეფერემიძე მოყვარისას მიდიოდა რაქაში- თენგოც გააყოლა. სთხოვა: მოყვრებს რომ მოივლი, ამ ბიჭს ნიკორწმინდის ტაძარი აჩვენეო, დაე, ქვაში ნაკვეთ ჩუქურთმებს თვალი შეავლოსო.

თვითონ გონებაგაღვიძებული კაცი იყო ანთიმოზა, წაიყვანა თენგო, მაგრამ რათ გინდა?! ბიჭი თურმე პირდაღებული მისჩერებოდა ტაძრის კედლებს, „რავალიაო?!“ — უკითხავს ანთიმოზას. „ძნელიაო“, და მორჩა, ჩაუჩუმებოდა ენა. არც ფანქრით ჩაუნიშნავს, არც ხელით მოუზომავს. იდგა ისე, ოჩან ხარივით. არ იძვროდა ადგილიდან. მერე იმდენი იხრივინა ავტობუსმა, იჩქიჩქა, დაღლილ-დამტვერიანებულებმა ძლივს მოაღწიეს შინ. თენგოს გასავათებულა სახის დანახვისას, ლევანამ გაიფიქრა: „მეტი არაა ჩემი მტერი, როგორც მე ვერ ვისწავლი ცხენზე უკულმა ჯდომას, ისე ვერ ისწავლის ეგი ამ მადლიან, კურთხეულ საქმეს“.

ერთი კვირა უბრად იყვნენ ბიძა-ძმისწული.

იმ დღეს ახალგამოღვიძებულმა ლევანამ ბურბუშელაში მუხლებამდე ჩამდგარი თავწახრილი და წარბშეზიდული ძმისწული რომ დაინახა, მიხვდა, ღამით არ ძინებია თენგოს. ჩუქურთმები... ჭრილები... ერთხანს ეუცხოვა ლევანას. მერე იცნო, ნიკორწმინდის წინა ფასადის ჩუქურთმა იყო. ქვაში ნაკვეთი ვრეხილები, ერთმანეთში გადაბმულ-გადა-

ხუმუკებულო ფიგურები... ჩაწულ-ჩა-
გრებილი რგოლები, ფრინველის ფრთე-
ბი, ვაზის მტევნები, სვეტის ქრილები,
რიკულებიანი თუ მრგვლოვანი თალები...
ყველაფერი ერთად და ცალ-ცალკე...
რთულზე-რთულესი ნაოსტატარი. „ხომ
არ შეჩვენებო“, გაუელვა ფიქრმა.

ერთი ეს იყო — ნახატ-ნაცოდვილარს
უზუსტობა ემჩნეოდა.

მაგრამ თუ უფროსი გვერდით გიდგას,
მის გამოცდილებას ხომ თავისი ფასი
აქვს, მითუმეტეს თუ შენი ერთგული
და მოკეთეა იგი. მარჯვენა მარჯვენას
შეეშველა და აცა-ბაცა მკრთალი ხაზები,
მკვეთრ, ძლიერ ორნამენტად იქცა.

ასე მზადდებოდა კულტურის სასახ-
ლის ხუთგულიანი კარი. ენადაბრვენი-
ლი, სიცილად დაღვრილი თენგო, თავი-
სი კაცობის საუნჯეს ეზიარა. ხვალინ-
დელი ღლის გათენება იმედსა და რწმე-
ნას უქადდა. მართალია, წინასწარ არა-
ვინ არაფერს პირდებოდა, საკუთარ თავ-
ში შეეპყვებულს, საოცნებო იმედის გა-
ცხადებაც კი რცხვენოდა, მაგრამ იცო-
და ლევანამ, ვისი სიტყვაც ბარაქიანია,
მისი საქმეც ტალახიანია. რაკი საკუთა-
რი თავი იპოვნა თენგომ, ვინ ჰყავდა ხე-
ლისშემშლელი?!

შეიყოლა და შეიყოლა თენგო. ერთ-
ხანს ქედრაუხრელად მუშაობდა შეგირ-
დი. საქმე შეიყვარა. ლევანას რომ ეგო-
ნა, საჩემოდ გამოვზარდეო, უეცრად გუ-
ლი აიკრუა ბიჭმა. წუთით რომ გაცლოდა
ბიძა, თვალი აერიდებია, მორჩა, შუა
გზაზე მიატოვებდა საქმეს. ამოიდებდა
თავქვეშ მკლავებს, გაწვებოდა ახლად
გაშალაშინებულ ფიცრებზე და მიეცე-
მოდა ფიქრს.

შორიდან ადევნებდა თვალს ლევანა,
უჭირდა გაგება, რომელმა ბუზნაკალმა
უბინა ამ უენო კაციშვილს. მერე ერთი-
ორჯერ ახლად ჩაძინებულ ბიძას ფეხაჯ-
რფით გაეპარა და მიხვდა ლევანა ყვე-
ლაფერს. ოცდაორი წლის ყმაწვილკაც-
მა ღიაციხის უბის მადლი და გემო უნდა
იცოდესო, ასე სწამდა ლევანას, თორემ
ცოდნაო, ამას ისე თვლიდა, როგორც
ლეთის ნება-სურვილს, ამიტომ იყო გა-

უმხელელად ემადლიერებოდნენ მის
ლამეულ მასპინძელს. ბიჭუნა

ფიქრი შეუწყდა. გამოერკვა. საიდან
წამოიწყო და სად გადავიდა. მაინც რა
ჩათრევა-ჩაყოლება იცის ამ დალოცვილ-
მა... ბაღს სახელსა და გვარს თხოვენ...
საბჭოში ჩაწერას, გაფორმებას. თვითონ
კი აღმა-დაღმა ედებდა საფიქრალს.. ანი-
ყო და თენგო?! რომელი მათგანი გამოდ-
გება პაწიას პატრონად! არცერთი, დასვა
წერტილი.

— მაშ ვინ?

— გელა?!

თითქოს გზის გასაყარზე შედგა ლევა-
ნა. სამ გზას სამი შვილი მიყვებოდა,
რომელი გამოადგებოდა დამხმარედ?!
რომელ მათგანს გააჩნდა სათანადო ძალა
და ენერჯია?!

— გელა? — ხელახლა ჩაეძია ფიქრს,
ამდენი ხნის განმავლობაში პირველად
მისდია შვილის კვალს.

გუშინწინ გოგია მასწავლებელი ეს-
ტუმრა. ერთხანს სდუმდა, მერე უადგი-
ლოდ წამოიწყო: „სკოლაში წერილი
მოვიდა, ვოლხოვეციდან, წილეთკვალმა-
ძიებლები იწერებთან“. „რა უნდათ?“
„ეძებენ...“ „ვის?“ არ აცალა ლევანამ:
„ბორია კლიმჩუკის ბატალიონს, ვინც
სოფელი გაანთავისუფლა. შენ, მე, ბე-
სოს. ვინ გინდა კიდევ. ბორია არაა ცოც-
ხალი... ვინც გადავრჩით... ვინც ცოცხ-
ლები ვართ!“ — რალაცნაირი დარწმუ-
ნებით ლაპარაკობდა გოგია, თითქოს
ჯერ საკუთარ თავს აჯერებდა, მერე
მამენელს. „მოცილილი ხარ, — შეუღრი-
ნა ლევანამ, — აყოლილხარ ბაღნების
თამაშს...“ „რას ქვია ბაღნების, — აღშ-
ფოთდა გოგია, — მთელ საბჭოთა კავ-
შირში არიან მოდებული, სასწაულებს
ახდენენ... შვილებმა და შვილიშვილებ-
მა უნდა მოგვიგონონ, აბა! „ჰო, კარგი,
გავიგე“. ცოტა ადროვა გოგიამ და... „ქა-
ლაქში ვიყავი და, ბესო ენახეთქვა, ხომ
გითხარი?!“ — ჰკითხა... „ჰოდა... პენ-
სიაში გასვლას აპირებს. თქვენსკენ მი-
ნდა წამოსვლაო, ძველ ნაფუძარზე ქობი
უნდა ჩადგაო, ვინ დაუშლის, არ ეკუთ-
ვნის თუ?! დაუჩემებია კაცი სადაც დაი-

ბადება, იქ უნდა დასაფლავდესო..“ მიჩუმდა გოგია. ამოდენა მანძილი ბესოს პენსიისთვის გამოიძარო, გაიფიქრა ლევანამ. „აქეთ საით იყავი?“ — დაადევნა კითხვა. „შენთან მოვედი“; უსიამო წინათგრძნობამ თმის ღერები შეუთრთოლა ლევანას, მიხვდა, ვისი მიზეზითაც მოჭირდა ამოდენა გზას გოგია — გელას ნიქის დამფასებელი იყო მუდამ, დამხმარე და გზის გამკვალავი.

ჰოდა, გაუკვალა კიდევ. მამისაგან ხელაქნეული თვითონ შეიცოდა, გზა და საშუალება მისცა, სასწავლებლებშიც თვითონ მოაწყო. ერთი-ორჯერ ჩააკითხა, მერე?!

— ასეა, ჩემო ლევანა! — გადმოაწეა გოგია ლობეს, — ჰველებს უთქვამთ, „ლხინში ნაბიჯით წადი, კირში სირბილითო“. ერთი გაქცევა კიდევ მოგვიწევს მე და შენ.

— რა იყო?

— გოგუცას ბიჭი ხომ იცი? — სკოლის დამლაგებლის... კიკია.

— ჰო, კიცი, თორმეტი წლის იყო, თხა მოპარა პილასის, ბაზარზე გაყიდა.

— ჰო, ასეა, ჯერ თხას იპარავენ, მერე...

— რა გინდა მაგით რომ თქვა?!

— არაფერი. კიკიასთან ათენებს და აღამებს თურმე შენი გულა.

ცუდად ჩაესმა ლევანას „შენი გულა“.

— კიკიასთან რა უნდა?

— არ ვიცი. სასწავლებელში არ გამოცხადებულა.

— რატომ?

— ხომ გითხარი, არ ვიცი-თქო.

მოწყდა და წაყიდა გოგია.

სატანჯველის მოთმენა და მოზომეა ძნელად შეუძლია ვინმეს, მოთმეტეს ლევანას, ათას დაეიდარაბაში გამოყოლილ კაცს. არადა, იგრძნო, გოგიას უდროო სტუმრობაში, შოლტეით გადმოკრულმა ორიოდ სიტყვამ, რაღაც გამოაღვიძეს მასში, შიშის რეგორს? სატყუარი ერთბაშად დაეტყაშვებდაში. მიხვდა, ამ ქვეყნად შხოლოდ გელა იყო მისი არსებობის გამართლება, მისი კაცობის სინდისი და ნამუსი. მაინც რატომ მოიცილა,

რატომ? თევზის ფხა რომ ყველაფერზე უკმაყოფილოა, ისე გაერქო გულში გოგია მასწავლებლის წამოსროლილი მწარე სიტყვა. გაერქო და სამი დღეა ხანჯლის წვერივით თანდათან ჰრის ხორცს... სიღრმეში შედის... ჰელ-რბილი ატანს.

მიხვდა ლევანა, — დროზე უნდა ეშველა ბიჭისათვის, მაგრამ ბაღლი? პატარა ია-გოგო?! ეინ იყო მისი პატრონი და გადამძლოლი?!

ბედის გამჩენმა რაეი უღედობა არგუნა პაწიას, უმამობას რაღას ერჩოდა?

შედგა ლევანა, ჩაფიქრდა, — ხომ არსებობს კაცი, პიროვნება, რომელსაც ყველაზე მეტად ევალება, თუ მოეთხოვება ჩვილის მოვლა-პატრონობა?! ჰო, თქვი ლევანა! ბავშვს მამა ჰყავს, ეს შენ კი არა, მთელმა სოფელმა იცის. მერე რად არ იცვლევ მის გზა-კვალს, ასაველ-დასაველს? პასუხს რად არ სთხოვ? რომელი ლეთიშობელი გყავდა ფაცო, აგრე უბიწოდ ეშობა შეილი?

ადამიანი მთელი სიცოცხლე რაღაცას კარგავს და პოულობს, ისევე კარგავს და ასე, გრძელდება დღეები. შენი წუთისოფელიც ხომ დაკარგავსა და პოენას შორის მიილია ლევანა! რად იხეც უკან?!

ველარ გაიხსენა, როდღიდან დაიწყო ასე საცოდავად, საყუთარ თავთან ლამარაეი. არადა, უჭირდა პასუხის გაცემა.

ლევანა ის კაცი არ იყო, ენატანია ქალივით სოფლის შეუკებში ეწანწალა და გარდაცვლილი ქალიშვილის შემცდენელი ეპოვა, დაეყნოსა, გაეგო და გაერკვია. ამას თავი დაეხანებოთ. ფაცოს სიკვდილმა ყველა ჰორი ჩააჩუმა, მიჩქმალა და მიკარგა.

მერე იყო და, ერთხელ, სასადილოში ნახევრად მთერალმა, მამაკაცებმა გაუთავებელ ყუყანში, აღაღბედად რაღაცას წაქრა ყური. გაეძია, გამოიკითხა, რაც უფრო მიჰყვა, ფეხდაფეხ მისდია, მით უფრო მეტად მოეწურა გული. თითქოს რაღაც უხილავ მავთულხლართებში გაეხეია. სიმართლის გარკვევა გაუძნელდა. ეგებ მართლაც ასე იყო, ბაღლის მამას თავისუფლება არ ეწერა ბედის განაჩენში. იგი სასჯელს იხდიდა თუმცა,

ლევანამ ხეირიანად არც ძველი იყო და არც ახალი. თვალი სურთ ამიხვიონო, გაიფიქრა, რომ ნამდვილ შემცოდებელს ამაყდინონო. ამიტომ გამოიგონეს კოლონია და პატიმრებიო. უცხო კუთხის კაციც იმითომ შემოახეტეს ჩემს ეზო-გარემოშიო. მოტოციკლეტის გაპარებისთვის, კოლონიის უფროსმა, წუთი-წუთზე გასათავისუფლებელ კაცს, ხელახალი სასჯელი მიაგო. საშიშ დამნაშავეებთან ერთად მათეულზარათებში ჩაამწყვდია.

ეს გაიგო ლევანამ გაიგო და ნეტავ არ გაუგო...

XVIII

თითქოს განგებამ განსაზღვრული ვადა მისცა გელას, დაგაციო, დაგელოდები, გასარკვევი — გარკვევი, შესაცნობი შეიცანი, თუ არა და...

მანქანით აღმა-დაღმა ხეტიალი, შემთხვევითი ნაცნობები — მხიარული გოგობიკები აბრუებდნენ და გზა-კვალს უბნეოდნენ მას. გრძობდა, რაც უფრო დობხანს დარჩებოდა მათთან, მით უფრო გაუძნელდებოდა ხლართისაგან თავის გამოხსნა.

გაგრძელდა და გაიწვლა ეს სამი დღე. ეძინა ხან აქ, ხან იქ, სადაც მოუწევდა, უცნობებთან თუ ნაცნობებთან, კიკიასთან თუ მის ძმაცაცებთან. როგორც ნაფოტს აიტაცებს ჩქერი, აათამაშებს, ჭერ სიღრმისაკენ გააქანებს, მერე ნაპირთან გამორიყავს, ასევე ისიც. გაჰქონდა და გამოჰქონდა მღვრავ ტალღას.

ახლაც, გვერდით ოთახში მღეროდნენ. მიხვდა, დღევანდელი დღის გათენება ახალ შეხვედრებს, ახალ ფათურაყებს უქადდა.

ხმა ჩაიწმინდეს და ახალი სიმღერა დაიწყო.

სიტყვების უმრავლესობა გაუგებარი იყო, ისინი თითქოს პაერშე ეყიდნენ. «თუ სოფათი არ გაქვს მიზნედილი» — აგრძელებდა ხმა. მიმოიხედა გელამ. თანჯ-

რებზე მძიმე ფარდა ეკიდა. მწვენივან მწვენივანი იდუმალსა და მყუდობელს... მწვენივან მწვენივან ოთახს, შემოსეული ხმები უღიზიანებდნენ სურვილს, წამომდგარიყო და ხელი გაეკრა ფარდისათვის, ოთახი ჩახახა შექით ავესო. გვერდით ოთახში, წამოიწყებდნენ რამეზე მსჯელობას. ატეხდნენ ხმაურს, მერე შეანელებდნენ ასე დაუმთავრებლად ტოვებდნენ... ერთხელ... მეორედ. სიმღერებიც ასევე იწყებოდა და შუა გზაზე წყდებოდა. მიხვდა გელა — ფირფიტებს ატრიალებდნენ, ხმებს უსინჯავდნენ. გამალიზიანებული იყო ნემსის გაუთავებელი ფხაქუნნი.

წამოდგა. გუმანით გრძნობდა. საცა იყო, ნაცნობ-უცნობ სახეებს შორის, კიკიას გარდა, გიზო შებლაძის ვიწრო შებლსა და ბრტყელ ნიკაბს წააწყდებოდა. ამას კარგა ხანია ელოდა, მაგრამ როგორი იქნებოდა მათი შეხედრა, არ იცოდა. სად შეეყრებოდნენ ერთმანეთს?! რას ეტყოდნენ?! ეს კითხვები აწვალბდა გელას. ამიტომ შეხედრას, როგორც გარდუეალ შეჩახებას, ისე მოელოდა. ახლა კი, კარიდან გამომსხლტარ ხმებს შორის თითქოს მიაკვლია ოდესღაც მოსმენილ ხმას... იცნო, ის იყო. კარი შეაღო. მართლაც, ფეხზე წამომდგარი გიზო, მონატრებულ მეგობარეით უწვდის მარჯვენა ხელს. მხიარულ სახეს აჩვენებს.

— მეგობრებო! იცნობდეთ ჩემი ძმაცაცია, ერთი სასწაელებლიდან ვართ.

ენად გაიკრიფა გიზო, სახეზე ღიმილი გადიფინა, ყალბი ღიმილი.

მაგდასთან ქალებიც ისხდნენ. ერთი მასპინძელი — შუა ტანის, წითლად თმაშეღებილი ქალი. მეორე, ახალგაზრდა თმაშეკრეკილი, ბიჭური მიხერა-მოხერის გოგო.

აბოლებდნენ. ხითხითებდნენ, ფირფიტებს ატრიალებდნენ.

კედელზე სურათი ეკიდა, მხარი-მხარი მიყრდნობილი ორი ყაჩაღანა ბიჭი, ისეთი თვალებით იცქირებოდნენ, ლამის ჩარჩო დაეღეწათ და გამომსხლტარიყვნენ მხერა ძლიეს მოწყობა გელამ.

მასპინძელი ქალი შიშ-რიდით მიმო-
დიოდა. სტუმართაგან, ხან ერთს დაელა-
პარაკებოდა ხან მეორეს. სამაგიეროდ,
მეორე, უფრო ახალგაზრდა, წამდაუწუმ
კისკისებდა, სიგარეტს აბოლებდა, პო-
მადით გათხუნილ ტუჩებს მანჭავდა,
იგი ცხვირწინ წამოუსკუბდა გელას.
თვალების გაუთავებელი პარპალით, ლა-
მის მონუსხა ბიჭი.

რაკი ქალის მზერა ვერ მოიცილა გე-
ლამ, უხერხულობის დასაფარავად,
აქეთ-იქით დაიწყო თვალების ცეცება-
ოთახში მსხდომნი შეათვალიერა, სახე-
ნაჭრილობევი ფულს ითვლიდა, გვერ-
დით ანგალო უჭდა, კვლავ ისევ პეწენი-
კი, მოდურად ჩაცმული.

მაგიდაზე გროვად ეწყო წითელი ათ-
მანეთიანები და ლურჯ-ლურჯი ოცდა-
ხუთმანეთიანები. ფულს ნესტის თუ
ობის სუნი ასდიოდა. ეს სუნი იყო რომ
ედებოდა ოთახს, კედლებს, ტანსაც-
მელს. გულის ამრევი სუნი ჰქონდა ამ
ფულს.

ლაპარაკობდნენ მშვიდად, ხმადაბლა.
ავტონისპექტორის იარაღი ამოართვეს.
პოლიტექნიკური ინსტიტუტის სეიფი
გატეხეს. ავარია ქალაქ გარეთ. მეზობ-
ლის ჭორიკანა ქალები რომ დასხდებიან
მზის ყურეში და ყველა თავისას წამო-
იწყებენ, ისე სხვათა შორის ჰყვებოდნენ
ამ ამბებს.

მერე სუფთა ქალადლი მოძებნეს და
კიკიას ცხვირწინ დაუგდეს — ჩაწერეო.
მიღებული ფანქრის წვერით სახელები
წამოაწიწიწიკა კიკიამ... აქ იყო ანგალო,
მუსუსა... გელაც ერია შიგ, დიასახლისიც.
მერე შეაჯამეს, დაღლის ნიშნად, წი-
თურმა დაამთქნარა, შეორთქლილი სა-
თვალე მოიხსნა და ცხვირსაბოციტ გა-
წმინდა. ცხვირსაბოციტ სუფთა ჰქონდა,
ქათათა..

ჩოფურა საავადმყოფოშია, დახმარე-
ბაა საჭირო, — ჩაილაპარაკა მან.

— გააავებია... — დაეთანხმნენ.

— კოლონიამი ფულის გადაგზავნა არ
ჩაიშალს.

მეთაური და წარმმართველი ყოველ
წვრილმანს არკვევდა, აზუსტებდა, და-

ვალეებს იძლეოდა. მისი ვადამდობი
ლება კანონი იყო. მერე ათმანეთიანები
მოკეცეს და გელას გადმოაწოდეს.

კარგა ხანს უაზროდ ეჭირა ფული
ხელში გელას, ბოლოს მიხვდა — ეს
თანხა დემილისათვის მისცეს მოწმეს.
მოწმე თვითონ იყო.

ცოტა ხნის შემდეგ, მაგიდა რომ მოა-
სუფთავეს და კარტი აშალეს, ითამაშე-
ბო — ჰკითხეს. თავი გააქნია, არც კი
თქვა და არც არა. მის პასუხს დიდი მნი-
შენელობა არ მისცეს, უბრალოდ მიიწი-
ვიეს, თუ არ ისურვებდა, არც იმისთვის
დააგლეჯდნენ კალთას. წამოდგა გელა-
მაგიდასთან თვემოყრილ, ერთმანეთში
შეხორხლილ ბიჭებს გაეცალა, ფანჯა-
რასთან მივიდა. ფარდა იფარა, მალუ-
ლად ჭიბეში ხელი ჩაიყო.

— ფული!

ვერაფრით ვერ მიხვდა, რა უნდა ექნა
ამ ფულისათვის, სად შეენახა, რაზედ
გამოუყენებინა, ვისთვის მიეცა?!
ეს ფული ხომ მანქანის მეპატრონეს
გამოძალეს, დემილისათვის, გელას გა-
სამარჯლო აეთვინეს. მეტი რაღა უნდა?!
ახლა თავისუფალია, შეუძლია წავიდეს,
შეუძლია დარჩეს. მისი ნებაა.

კარს მიუახლოვდა.

— სად მიდის?! — იკითხა ვილაყამ.
მიხვდა ვინც იყო — სახენაჭრილობევი.
— გეძახის... — დაედევნა დიასახლი-
სი.

— რა უნდა? — იწყინა გელამ, — წა-
ვალ, სიგარეტს ვიყიდი.
„ლუქსის“ გაუხსნელი კოლოფი გად-
მოაწოდეს. უმწეოდ მოიხვდა გელამ.
მოეჩვენა თუ რა იყო — დიასახლისის
დაღლილი, აფორიაქებული პირისაზე
რაღაცას მიანიშნებდა, უცნაურად წრია-
ლებდა ქალი.

უცებ შემოსასვლელში ზარი ახმაურ-
და. ჩქარა-ჩქარა, ლამის შემოლუწეს,
შემომტერიეს კარი. შიშმა აუფართხალა
გელას გული, ჭიბეში მოკმუტკნილ ფუ-
ლისთვის რა ექნა?! სად დამალა?!...
ვისთვის მიეცა?! დიასახლისმა კარი გა-
აღო. ერთი-მეორის მიმდევრობით შემო-
ცვივდნენ ბიჭები. ჩანთები მოისროლეს,

• • •

უხმოდ მიიღო ჭგუფმა, ამხანაგებმა, მასწავლებლებმა. ცხოვრება-ნანახი და გამოცდილი კაცივით დაუბრუნდა სასწავლებელს. თითქოს გრძობდნენ მის გასაჭირს, ზედმეტს არაფერს ეციობებოდნენ.

გზო შუბლაძე ერთხელაც არ გამოჩენილა სასწავლებელში, კაცმა არ იცოდა მისი ასავალ-დასავალი.

ბოლო დღეები ქარხანაში მუშაობდნენ. სახარატო დაზგებზე, მალე გამოცდები დაიწყებოდა.

ერთი-ორჯერ ბესომ მოაკითხა სასწავლებელში, დირექტორიც ნახა, ჭგუფის ხელმძღვანელიც. კაცმა არ იცის, რა ეთათობრა, რით შეიპირა, ან შეინამუსა ისინი. წასვლის წინ სახარატო ფული მისცა გელას. გოგამ დატოვაო. არც ის უთქვამს, როდის იყო გოგია, რა უთხრა, რა დაიბარა. შეთქმულებივით მოქმედებდნენ. ხეირიანად ვერ გაარკვია გელამ, გახარებოდა თუ წყენოდა მათი ფარული მისვლა-მოსვლა. ოღონდ ეს იყო, რაც დრო გადიოდა, ძველი ტყვიულები ხომ დაუყურდა, გაუნელებელი შიში თუ ფეთება, მაინც ვერ მოიცილა. გულის ეუნქულში ჩასაფრებოდა და მაღლივ ახსენებდა თავს. ეჩვენებოდა „ისინი“ უადგილო ადგილას დაუდებდნენ კვანტს, პირისპირ შეეყრებოდნენ და ძმრად ამოადენდნენ ცხვირში ძალისძალად მოპოვებულ თავისუფლებას. არც გასამჯელოს შეარგებდნენ... თუმცა, ის ფული, დღესაც ხელმოუცილებლად ედო ჩემოდნის ძირში, დახარჯვა არ უფიქრია.

ზოგჯერ ქალაქის ხმაურა ქუჩები მონატრებდა გელას თავს. სანამდე უნდა ყოფილიყო ასე მიმალული, დამფრთხალი და კურდღელივით ყურდაკვეტილი? როცა იქნებოდა, ხომ უნდა აეწია თავი, წელში გამართულიყო, ერთხელ მაინც აეარულებინა კობა ზარნაძის და ვაჟა იაშვილის თხოვნა — „წამო, ახალი კინოფილმი ენახოთო...“

ერთხელ თხოვეს, მეორედ, მესამედ

უარის თქმა ველარ შეძლო, გაჯეჯეჯეჯეჯეჯე ახალი კინოფილმი ნახეს. ხაქნაქნაქნაქნაქნა ქუჩებში გაიარეს და გამოიარეს.

ახალგაზრდობის კაფეს ჩაუარეს, გაორთქლილ მინის იქეთ, მზიარული სახეები მოჩანდა, მუსიკა უკრავდა. წამით, გელას მოეჩვენა, შიგნიდან თითქოს ვიღაც უმზერდა. გაუძნელდა გარჩევა ვინ იყო, ან რა უნდოდა. აჩქარდა, წავიდეთო, სთხოვა ამხანაგებს... აეტობუსს მოეფარა, მგზავრთა ზურგებიც ყრუ კედლად აღიმართა, მაგრამ გამჭოლი მზერა, ფეხდაფეხ რომ მოსდევდა, ვერ მოიცილა.

კვირის თავზე, შუადღისას, სასწავლებლის პირველ სართულზე, სასადილოში წენიანი მოითხოვა. ის იყო დადგა თეფში და კოვზი ტურთან მიიტანა, რომ ვილაცამ მხარზე ხელი დაჰკრა. წენიანი დაიღვარა, ლუკმა ყელში გაეჩხირა. ზევით აიხედა, ქუდჩამოფხატული, მაღალი და წოწილა ბიჭი თავზე დადგომოდა. ელამი მზერა ჰქონდა, უტეხი გამოხედვა.

— სად დაიკარგე? გეტებენ... — თითქოს შეწყვეტილი საუბარი წამოიწყოო, ისე, იანჭრად უთხრა ბიჭმა.

— ვინ მეტებს? — ჰკითხა გელამ.

— მთელი ქალაქი ფეხზე დააყენეს, ეგონათ დაგჭირეს ან...

— გავიქეცი ხომ? ... — სიმწრის ღიმილი დაეფინა გელას სახეზე.

— წამოდი!

უარის თქმა, გაქაჩვა და გამოქაჩვა აქ არ შეიძლებოდა, ისედაც ყველა მისჩერებოდა. ხელახლა ახედა, ეს ბიჭი ნამდვილად არსად არ ენახა.

მერე უცნობი რომ დაწინაურდა, თავად უკან გაჰყვა.

ერთი ფიქრით, ესამოგნა კიდევ ამ ბიჭის გამოჩენა, გაუთავებელ შიშსა და ცახცახს ბოლო მოეღებოდა, ბოლოს-დაბოლოს, გასარკვევი — გაირკვეოდა.

მხოლოდ ეგ იყო, სასადილოდან რომ გამოვიდნენ, ტანსაცმელზე დაიხედა გელამ და „გამოვიცვლიო“, უთხრა. სინამდვილეში ფულისთვის გაიქცა. ჩემოდნიდან ათმანეთიანების დასტა ამოი-

ლო და ბლაგვი იარაღით ჩაიდო ჭიბეში; გუმანით გრძნობდა, ამ იარაღით უნდა მოეგერიებინა ისინი.

წამით ინატრა, ნეტავ ზარნაძე და იაშვილი გამეფრთხილებინა — ცოტა დამაგვიანდებოო; მერე გაახსენდა, დღეს პარასკევი იყო და სოფლისკენ გასწვდნენ ისინი (შაბათ — კვირას ხომ შშობლებთან ატარებდნენ).

უხმოდ მიჰყვა უცნობს — „მთავარია შიში დაავთრგუნო საკუთარ თავში, სხვას ყველაფერს ეშველება“, გაუელვა კიბეზე ჩასვლისას.

სასწავლებლის წინ მანქანა ელოდათ, ნაცრისფერი „ვიგელი“. გაიარეს ერთი ქუჩა, მეორე, ახალი სახლი... და ახალი ბინა.

ყველანი აქ იყვნენ: კიკია და გიზო შუბლაძე, წითური, ანგალო.

— დაჯექი!

სკამი შესთავაზეს, თითქოს ახლა ამ წუთში, მხოლოდ დაჯდომა იყო მთავარი, თორემ, ამდენხანს სად იყო, რისთვის გაიქცა, მიიშალა, ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

მიიხედ-მოიხედა. აბუზული იჭდა კიკია, მზერას უმაღავდა. მიხვდა, გელას ყოველი ნაბიჯი, მას დატყდომია თავზე. შეეცოდა.

ჩამოჭდა, თავდაპირველად გაუძნელდა გარკვევა რა ხდებოდა ირგვლივ. რატომ სდუმდნენ.

მერე თანდათან იმატა ხმებმა. ერთიორჯერ გელაც მოიხსენიეს... დავალეზაც მისცეს. ახლა მოწმის როლს კი არ სთავაზობდნენ, არამედ მუშა ფუტკრის მძიმე სამუშაოს.

ყოველი სიტყვა კოლოს ბზულიად ესმოდა ყურში. ცუდ დღეში იყო.

XIX

მოუხშირა გოგიამ ლევანასთან სიარული, პირველ სტუმრობაზე შვილის ამბავი მოუტანა — სასწავლებელში გამოცხადდა გელა, გაცდენა საპატიოდ ჩაუთვალესო. მეორე დღეს, ვოლზოვეციელი გოგო-ბიჭების წერილები, მილოცვება, დეპეშები აუფრიალა თვალწინ —

„სოფელში შენ შეხვედი პირველად...“ დაუჩემა, „ჩამოხრჩობილენი“ შემოსემა მოხსენიო, „არ მახსოვსო“, უარობდა ლევანა, — გვერდზე აჩოჩებდა წერილებს.

გააცილა ლევანამ ძველი მეგობარი და ოცდაათი წლის წინანდელი ხილული თუ განცდილი ერთბაშად გადაეშალა თვალწინ. თენგო და ანიკო იყვნენ მისი მსმენელები და კიდევ აკვანში გაყოკილი პაწია გოგო... ჰყვება და ჰყვება, ტყვეობის გრძელ, მწუხარე ამბავს. აი ავტომატის ლულამ ყოველი კუთხიდან ამოიღო სამიზნედ... რომელიღაც სოფელში (სახელი არ ახსოვს), ეკლესიაში შერეკეს... პირუტყვივით, კონდახის ცემით შერეკეს, კარები ჩაყეტეს... სამ დღეს ამყოფეს ასე... სამასი კაცი..., წყალი ხომ არ მისცეს... თითქოს ჰაერიც გამოილია... სული ეხუთებოდათ... გული მისდიოდათ, მაშინ იყო ყველა ღმერთი, ეკლესია თუ ხატი შეიძულა ლევანამ მარტო ხატი და ეკლესია კი არა, საკუთარი თავიც შეზიზღდა... გესმით!.. ქრისტე-ღმერთიც, მშვიდად რომ უმზერდა კედლიდან...

ნელ-ნელა მიყვებოდა ლევანა მტანჯველ მოგონებებს და გრძნობდა ყოველი წუთი ძველ სატკივარივით უხსენებდა თავს, ლოდევით აწევებოდა მკერდზე. ცხელ საკირეს ჰკავდა ყოველი წუთი, ნელ-ნელა რომ წვაფს... შემდეგ ხილვებს გაპარტახებული სოფლები და გადამწვარი პურის ყანები ახლდა, მომაკვდავი დედის მკერდზე ჩაბყირებული ბაღლის უსასოო ღნავილი...

ცრემლით ენამებოდა ანიკოს თვალეში, საცა იყო ტირილით ამოუჭდებოდა გული...

— გოგია შენთან ერთად იბრძოდა? — ეკითხება თენგო.

— პო, ერთად, ერთ ნაწილში მოვხედით სამთავე... მე, გოგია და ბესო. მე სმოლენსკთან დაიჭერი... კაციშვილი ჩემს გადარჩენას არ ფიქრობდა, მაგრამ რა მოკლავს ძალს... გადავიჩი... წამოვდექი, და, ბიჭების ასავალ-დასავალი ველარ გავიგე... გოჭოხეთი ტრიალებდა

ქვეყნად: საიდან მოვაწვდენდი ხმას. მერე ტყვედ ჩავვარდი და... — მიჩუმდა ლევანა. არც ის გააცხადა, ცხრა მაისს, კოლხოვეცში რომ იწვევდნენ, როგორც საპატრო სტუმარს. „კულტურის სასახლის გახანაზე საზეიმო ლენტი თქვენ უნდა გაქრათო“. იწერებოდნენ ჰიონერები. მიწვეულ სტუმრებში პირველად მას ასახელებდნენ. სურათს თხოვდნენ. მაგრამ, — როგორც ყოველთვის, სდუმდა ლევანა.

* * *

იმ დღით, ანიკო სკოლის გზას რომ დაადგა, მელანოს რძალი — მაცვალა, სამუშობლო ღობეს მოადგა. შავი, ნიგუზალა ბიჭი მკერდზე მიეკრა. ლევანასათვის არც უკითხავს, არც მოუბოდიშებია, ისე შეაღო წინა ოთახის კარი და ბლონდგადაფარებულ აკვანს ჩაჭრიტა, ეძინა ბალს. ია-გოგოს მოვლა-პატრონობა, ანიკოს დაბრუნებამდე, მას ევალეობდა. ასე იყვნენ შეთანხმებული.

ცარიელი ძვალა და ტყავი იყო მაცვალა, სიგამბდრიაგან ლანდა დამსგავსებოდა. ერთი-მეორის მიმდევრობით სამი ბიჭი, ერთმანეთს ფეხზე ძლივს აყენებდნენ. ქმარიც, პურ-მარლის მოყვარული, თავქეიფა კაცი, ავტობუსის მძღოლი იყო. ჯიბე მუდამ ცარიელი ჰქონდა, მანეთი რომ ეშოვა, ხიდგაღმა, სასადილოს ოფიციატს ჩააბარებდა.

ფაცოს ობოლ გოგოს საკუთარ შვილივით უვლოდა მაცვალა. თავს დაკანკალებდა, ხან „გოგოცუნას“ ეძახდა, ხანაც „ცუნცულას“. უსმენდა ლევანა ქალის მოჩლიქილ ენას, ჩვილის გაუთავებელ „ააღუს“ და უხილავი განგება ერევა კაცის ბედ-იღბალშიო, — ფიქრობდა.

არ გაუგია როდის წავიდა მაცვალა. არადა, დათბა და დაწყნარდა სამყარო. აღარც სოფლის შორეული ხმები ისმის: ძაღლის ყეფა, პირუტყვის ბღეილი, ხომ არ ვკვდებიო — გაიფიქრა წამით, გააზრიალა.

...გოგია ნახულობდა გელას: უყიდა პალტო, დაუტოვა სახარჯო ფული. გოგია ზრუნავდა მის შვილზე, მაგრამ აფო-

რიაქებული ჩანდა ბოლო წამს. ცას უშალავდა ლევანას, არ უმხელდა, ხანდახან სიტყვას გადაუტრავდა მწარედ და მორჩა...

წასვლა იყო საჭირო, ქალაქში წასვლა ბიჭის მონახულება, როდის?

ორჯერ მოუტზავნა კაცი ვარდიკომ, ფულააც პირდებოდა, პატრონიც მამაკაცი, ოღონდაც ბავშვი მომამშვილეო, გაფუქდა ხალხი, ფულით უველაფერი იყავდა ჰგონიათ. პაი, დედაა...

— ლევანა ბიბია! — ჩაესმა ძახილი. გახედა. ინდიკო ბრიგადირის ქალიშვილი იყო, ცილა, ანიკოს თანაკლასელი.

— მე ვარ, ცილა! რაშია საქმე?

— ანიკოს ცოტა შეაგვიანდება, მანამდე მე მივხედავ ბავშვს.

— რატომ შეაგვიანდება?

— ქალაქიდან სტუმრები ჩამოვიდნენ. სკოლის გუნდა ამოწმებენ.

— რა სჭირს შესამოწმებელი?

— არ ვიცი...

ოთახში ფეხაკრებით შევიდა ცილა.

— უი, ამას ვენაცვალე, რაღა პრაწავს თვალებს, ვის უყურებ ჭირიმე? ვის? მე? — დაითაფლა გოგო.

აკვნიდან ბავშვი ამოიყვანა ცილამ, გაატარ-გამოატარა, მიუმღერა.

მოსაღამოვდა. მზე ჩასასვლელად მოემზადა. ოთახში აქოშინებული შემოვარდა ანიკო.

— არ გამომიშვეს... დაღლილი ხმა ჰქონდა გოგოს.

— ნახე ის კაცი? — ჩაეძია ცილა.

— ეი.

— რაო? რა მინდაო.

— ხმებს ვეძებო.

— მერე იპოვა?

პასუხი ვერ გაიგონა. ვერაფერს ჩახვდა ლევანა, რაღაცას უშალავდნენ გოგონები.

ჩურჩული განაგრძეს. ფანჯარაც მიხურეს.

უცებ ცისფერი „უიგული“ მოადგა ჭიშკარს. სკოლის დირექტორი გადმოვიდა, მერე ნინუცა — კლასის დამრიგებელი. უცხო მამაკაციც გადმოყვათ. აკაც, შავი პალტო ეცვა. ორმოცი წლის

იქნებოდა. მოვლილ, მზედაუკრავ სახეზე დაშაქრული ღიმილი გადაფენოდა... ასე გეგონებოდა. ერთხელ რომ მიეკრა ეს ღიმილი, შემდეგ აღარ მოუცილებია სახიდანო.

— მობრძანდით, ბატონო! — მოიპატრეა სტუმრები ლევანამ.

— მოკუსმინე თქვენს ქალიშვილს... რომ იცოდეთ რამდენი სოფელი, ეთხე-გარემო შემოვიარე. სად არ ვიყავი! საბედნიეროდ ჰვენი ხალხი მდიდარია ტალანტებით. მართალია, ზოგჯერ მოუვლულობით იყარგებიან, მაგრამ ახლა სხვა დროა... გოგონას მშვენიერი ხმა აქვს. ოღონდ ხშირ მოვლავა საჭირო. რა ხავერდი... სილბილე... ალტაცებული ვარს...

იმდენი ილაპარაკა უცნობმა კაცმა, ისე გატაცებით, ისე აღფრთოვანებით, რომ თავდაპირველად ვერაფერი გაიგო ლევანამ, ვერ იქნა თვალი ვერ მოაცილა უცნობის ნაპატივებ, სათუთ, უნაოჭო პირისაზე, ქათქათა ხალათს, თეთრ, ფუმფულა თითებს, უთავებლო ღიმილს და გრინობდა — სწორედ ეს ღიმილი იყო ყველაფერს იაფფასიანს და დაუჭერებელს რომ ხდიდა: ამიტომ თავიდანვე ამრეზით შეხვდა მას, ვერც იმას მიხვდა ლევანა, რას ნიშნავდა „ხმის მოვლა“; როცა კაცი ღვინოს სვამს, პაპიროს ეწევა, კიდევ პო... მაგრამ ანიკოს, ამ რქენაწყენ ბალღივით აბუზულ გოგოს, რაღა გაფრთხილება სჭირდებოდა!

— მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი გახლავართ. თუ თქვენი თანხმობა იქნება, გოგონას მე წაიყვან... — დაამთავრა უცნობმა.

— წაიყვან? სად?

— ჯერ მუსიკალურ სასწავლებელში ისწავლის, შემდეგ კონსერვატორიაში და ასე შემდეგ... დამიჯერეთ...

— თუ ასე ადვილად ხდება ყველაფერი, — ჩაეღიმა ლევანას, — სასწავლებელი, კონსერვატორია. კი ბატონო...

ყველაზე ადრე ნინუცა მიხვდა, ცუდად იბრძავებდა ლევანა თვალს, ასე ადვილად არ მოიცილებდა შვილს.

— ბატონო გენო, — მიხვდა იმდენი მარს, — თქვენ რას ითხოვთ შობლი-საგან?

— რა თქმა უნდა, თანხმობას.

— რის თანხმობას? — იკითხა ლევანამ.

— თანხმობას, რომ გოგონა წაიყვანო.

— წაიყვანოთ?! სად?

— ქალაქში... — ისე გაოცებით უპასუხა სტუმარმა. თითქოს უკერდა ამდენი გელაპარაკე და ველარ გაიგო!

— ამან იცის ჩემი მდგომარეობა? — მიუბრუნდა ლევანა ნინუცას, თან ისე უხეშად და გამომწვევად ჰკითხა, თითქოს ეუბნებოდა, მან თუ არ იცის. შენ სად ხარო.

თავი არ აუწევია ნინუცას, აბუზა. სწრაფად. დირექტორს მიხვდა, დირექტორმა მხრები აიჩჩა, მისმა ორკოფმა მხერამ სტუმარი კიდევ უფრო გააფიცა.

— რა არის აქ გაუგებარი... ვამბობ, გოგონას აქვს ხმა, ესაჭიროება მუსიკალური განათლების მიღება. ასეთ რამეს შობლები ნატრობენ.

რამდენადაც გასაგებად ლაპარაკობდა დირექტორი, იმდენად გაუგებელი გამხდარიყო მასპინძლიათვის. მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ დაუნახავს ლევანას სად იდგა, ან რას აკეთებდა ანიკო, უსმენდა თუ არა სტუმრის შეგონებას, ან რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, ეგებ სიხარულისაგან აფოფინებული გოგო მზადაა, ახლავე დაუფიქრებლად გაედევნოს უცნობ მამაკაცს.

შემობრუნდა, იქვე, ფანჯარასთან თავჩაქინდრული გოგო დაინახა. გაღიზიანება წყრომად ექცა. როგორც მის დას არ დააყალღეს ქალობა, ასე ამას, ახალი გზა გამოუთებნეს... ქალაქი... სასწავლებელი... სიმღერა. ეყო რაც იმღერეს მის ოჯახზე, ახლა დასვენება სურს, ახლა სხვები შეარჩიონ გასართობად, გასახალისებლად. მორჩა და გათავდა!

— ცილა! — იყვირა.

— ბატონო!

— მოიყვანე ბავშვი!
 — ბავშვი? — გაოცებით იკითხა სტუმარმა. — ბავშვი ვისია?

— ეისი იქნება, — მიახალა ლევანამ.
 — ვერაფერი გავიგე, — გაოცდა სტუმარი. პირველი შემთხვევა იყო, რომელი როგორც ნილაბი მოიხსნა სახიდან.

— ეინა ამ ბავშვის მომვლელი... პატრონი... ვინ? — მიუბრუნდა შვილს.

— გასაგებია, მამა... — საცოდავი ხმით ამოიღუღღღა ანიკომ. თავი დახარა.

ერთბაშად იბრუნა სტუმარმა პირი, თითქოს გასწრებაზე იყენენ, დანარჩენებიც მიჰყვნენ. ის იყო მანქანის კარი გამოალეს, სტუმარი შეჩერდა. უკან მიიხედა. ანიკო მოიხშო. ნაბიჯის გადადგმა გაუძნელდა გოგოს. სტუმარმა ჭიბოდან ბლოკნოტი ამოიღო, ფურცელი ამოხია და სწრაფად დაწერა.

— მომომინე, გენაცვალე!.. რვაწლედს რომ დაამთავრებ, უეჭველად ჩამოდი ქალაქში. მომხებნე. აგერ მისამართი.

მანქანა აიძრა და წავიდა.

XX

ჩამოდგა თბილი მაისი, ბოლო დღეები მაინც აულ სამოთხედ იქცა.

გვიან ადგა ლევანა. შეუძლოდ გრძობდა თავს, მენჯის ძვალი ზრავდა და გულის ფრიალი აწუხებდა, ხელფეხის ზიდვა უჭირდა.

არადა, ზეიმობდა სოფელი, სასახლის მშენებლობა დამთავრდა. მსუბუქი მანქანებით ამოვიდნენ რაიონის თავკაცები, პირველი მდივანი... მეორე... კორესპონდენტები. ციბრუტყვიით ტრიალებდა ისიდორე თავმჯდომარე. ორჯერ გამოგზავნა კაცი, ლევანა მოვიდესო. არ წავიდა, შეუძლოდ ვარო, შეუთვალა.

იქდა ახლა ლევანა აიკანზე, ხელები მუხლებზე დაეწყო და ეზოში მოფარფატე პეპლებს აყოლებდა მზერას.

სოფლის ზეიმი არც გოგია ესწრებოდა. ბესო და გოგია კიევი გაფრინდნენ. კიევადღე თვითმფრინავით, შემდეგ მატარებლით ბოგუსლავსკის ზარბაზნაშენი იქ კოლხოვეცის მკვიდრნი დახვდებოდნენ.

უკვე ჩასული იქნებიან. ახლა გულისწყვეტას კი არ გრძობდა ლევანა, უბრალოდ უხასიათობა მოეძალა და ვერაფერი მოუხერხა, ამასაც თავი დაეანებოთ, ბოლო დღეებში ზანტი თელემა დასჩემდა და სიკვდილის შიშმა შეიპყრო. მართალია, ამას სიცხადით ვერ წარმოიდგენდა, მაგრამ რატომღაც ახლადდაბადებულებით, დაფეთებით შესიკეროდა სამყაროს და გულს იწყვეტდა. თვითონ წაეიდოდა ამ ქვეყნიდან, სამაგეროდ დარჩებოდნენ მინდორი, ვაშლის ხე, სახლი, აგერ, დეეყული ბაწარს რომ ქაჩავს მინდვრის ბოლოს, ისიც მხოლოდ თვითონ გამოაკლდება. დაცარიელდება სკამი... საწოლი... ტანსაცმელი... მისი კუთვნილი.

მიხვდა, აღსარული მოახლოებოდა. ახლაც თენგო კლუბშია, ანიკო სკოლის გუნდში მღერის, საზეიმო საღამოზე გამოდის. გუშინ ელოს მამიდა პილასი ესტუმრა. ბავშვს იგი ანანავეებს, დარჩა გელა და... სწორედ მისი მიზეზით არ წავიდა ზეიმზე. გულს არ ეხალისება. სული არ უთბება. აღარც ის ახსოვს, ვინ უთხრა, მგონი, გოგია, წასვლის წინ — მიხედე იმ ბიჭს, კიდევ გაუცდენია გაკვეთილები, ორშაბათს სასწავლებელში არ ყოფილაო.

წელან ბაღს შეაკითხა. ეძინა დედაბერს. იქდა მოხუცი აკვანთან, კუთხეში და დიდ მძინარე ფრინველს ჰგავდა. დაღლილობის პირველი ნიშანი — ძილიაო, გაიფიქრა ლევანამ. ამდენი წელია დაფუსფუსებს, შრომობს, წვალობს, დაიღალა პილასი, დაღლილობა ძილში გადადის, ძილი — სიკვდილში და...

გაოცდა, ისე მშვიდი და უხმაურო ეჩვენა სიკვდილის მოახლოება, ლამის შემოესმა კიდევ მისი მშვიდი ნაბიჯები.

მოხუცი ქალის დამკნარმა, განაცრისფერებულმა სახემ, ძველი გაახსენა — ცოცხალი, მოძრავი ქალი იყო პილასი. ქორწილი, ნათლობა, დაკრძალვა თუ საუფლო. მის ჩაურევლად არ მოხდებოდა.

ყველგან პირველი იყო, ყველა საქმის დამწყები და მოთავე. ელოც მან გაურბა.

ეძინა ახლა, ძილში ტუჩებს აცმაკუნებდა. სიბერეს რა ვუთხრაო, გაიფიქრა ლევანამ. ნაბიჯი არ გადაედგა, გამოელვია ქალს; ისე დაფეთებით, შიშითა და დაქვეებით მიაპყრო ლევანას თვალები, თითქოს სხვაგან დაეძინოს და გამოღვიძებულს სხვა გარემოში ეპოვოს თავი.

შინნაქსოვი ქვედატანი ეცვა პილასის, შავი შარფი და შავი ხალათი, ყველაფერი სუფთა და კეწეკეწა. სოფელში ამბობდნენ, მის გარეცხილ თეთრეულში გლახა ვინმე არ დაიწოლებო, ისეთი სუფთა და ქათქათაო. პილასის, თავის ქელეხისთვის ფულიც კქონდა გადაახული და საფლავის ქვაც გამზადებული: ქვაზე ანგელოზები ეხატა, ქვევით ახლად ჯვარდაწერილი სიძე-პატარძალიც მოჩანდა. ტანწერწეტა სიძე, პილასს ქმარი, თეოფილე იყო. თოთხმეტში რომ გაიწვიეს, აღარ დაბრუნებულა. იგლოვა პილასიმ, იდარდა, ობლები ზარდა, მერე ქვა გამზადა და უსაფლავო ქმარიც გვერდით მოიწვინა..

პილასის ნათელ-მირონის შადლი არ ავიწყდებოდა. კვირა არ გაელოდა, სამოყვრო გზა არ მოეკეცა და ლევანას სახლამდე არ მოელწია. ხან ახლად შედედებული მაწონი მოქონდა, ხან თბილი რძე, მთელი დღე ობოლს დასტრიალებდა, უვლიდა. მოგვიანებით ჩრდილი რომ გაწვეებოდა გზაზე, შვილიშვილი მოაკითხავდა — ნაზია, წაიყვანდა მოხუცს.

ახლა პილასი პირდაპირ უჯდა ლევანას.

— საკურთხეს უკეთებ?

— ?!

— ორი კვირაა ზედიზედ მესიზმრება! ვინ. გესიზმრებო, არ უკითხავს ლევანას. ისედაც იცოდა, ელოს მისტიროდა მოხუცი.

თეოფილეს სულის მოსა' სენებლად ორმოცი წელია სანთელს ვანთებ. თუ რაზეა ქვეყანაზე, უეჭველად მიუვიდოდა ცხონებულს. ცოდოა უსაკურთხო

მიცვალებული. ელო და მისი გულგულად მაიწყებდა, თითო სანთელს მათთვისაც ვიმეტებ, მაგრამ საკუთარი ოჯახი რომ მოგიგონებს, მაინც სხვა შადლი აქვს.

— მერე ვინაა გამკეთებელი? მე თუ ეს გოგო?!

— ორივე...

მიზუმდნენ.

— ბავშვს რა დაარქვით?

— არაფერი...

— არ მოგიჩინათ?

— არა!

წამოვარდა მოხუცი, ზურგი შეაქცია, კუთხეში მიდგა და სამჯერ პირჯვარი გადაიწერა. მერე აკვნის სახელურს გადაეფარა და ლოცვა-კურთხევით აავსო ბაღლი.. ბოდიშობდა— „მე მაპატიეო, ჩემი ბრალიაო, ამათ არაფერი არ იცინო“, წუხდა, — ვიშვიშებდა.

წამდაუნუმ გახედავდა ლევანა სტუმარს. თალხი სამოსი უშვივდებდა მზერას. რაც ახსოვს, სულ ასე შავოსანი იყო პილასი... მარადი ქვრივი, თალხიანი დედაკაცი. მთელი სიცოცხლე იგლოვა და იდარდა. ნეტავ სხვა ერის, სხვა ზნეჩეულების დედაკაცი თუ დაიმარხავდა ასე ცოცხლად თავს? გაუზზარავი ერთგულების სამსხვერპლოზე მიიტანდა საკუთარ სულს, სხეულს.

ინატრა, ნეტავ მე მოემკვდარიყავ და მძულარე კრემლებს დაენამა ჩემი სხეულიო.

მზე ჩადიოდა, მოწითალო შუქი იღვრებოდა ირგვლივ.

„მკედრის მზე“ — გაუელვა წამით.

* * *

ანიკო რომ დაბრუნდა, ლევანას უკვირებოდა. ესმოდა ქალების ხმები.

— მთელი დღე აკვანში წევს, ცოდვაა. ხელ-ფეხი კი ამოვუსვი, ზურგიც დავუზილე, მაგრამ... ქამე, დედა, ორი ლუკმა და გაატარ-გამოატარე, ჰაერი ასუნთქე, მე მინდოდა, მაგრამ ჩემს თავს ვერ ვენდე, ძალა არა მაქვს. მარჯვენა მომისუსტდა. ეს კაცია და რალაც მხარნაცვლი მიჩვენა. ავადაა მგონი, მიხედვა უნდა.

მერე კარგახანს იჩურჩულეს ქალებმა. მის გაღვიძებას ეკრძალებოდნენ.

ერთხანს კიკა-საინმა იწყარუნა, ლობიოანი პურები მოგატანეო, ეუბნებოდა პილასი გოგოს, ჭამე, გემარელოაო.

შეფუთნული ბაღლი ვაშლის ძირისკენ რომ წაიყვანა ანიკომ, ფანჯარაში გაჭვრიტა ლევანამ. მარტომმარტო იჭდა გოგო, თავდახრილი, სასკოლო ფორმა გაეძრო, უსახელო, მკერდმოღვლილი ჩითის კაბა ეცვა და ჩრდილში ამოსულ ენძელას ჰგავდა, სუსტსა და უფერულს, ჭერაც სითბო შეუგუებელს. მოწყენილი ჩანდა, ბავშვი ხომ ანანავებდა, უმღეროდა, იყო და არც იყო იქ. ცელქი და ჭიბჭიბა არასდროს ყოფილა, მაგრამ ახლა, სადღაც, უხილავ სამყაროში გაჭყვოდდა ფიქრი და ძნელი იყო მისი შემობრუნება.

არწევდა პატარას. მალიმალ რძიან ბოთლს მოუძვარებდა. პირთან მიუტანდა, მოუპირქვავებდა.

ფრესკაზე გამოსახულ ანგელოზებს ჰგავდნენ ორივენი.

ნაბიჯები გახმაურდა შუკაში. თენგო დაბრუნდა, აღაყდაებულო სახე უხურდა ბიჭს, ყველაზე ადრე ბიბა მოიკითხა. საყვედურით უთხრა: „რატომ არ წამოხვედი, ბიბა. რამდენი ხალხი იყო, რაიკომის პირველმა მდივანმა გიკითხაო“. გაეცინა ლევანას — ჩემთან რა უნდოდაო... „რავა რა უნდოდაო“, იწყინა თენგომ, „დურგალი იკითხა, ხელობა მოიწონა. ისიდორე თავმჯდომარემ დაგასახელა, მერე მე წამომავადეს წინ — აგერ მისი ძმისწულიო, ამის ხელიც ურევიაო. მას შენს მარჯვენას გაუმარჯოსო და ჩამომართვა რაიკომის მდივანმა ხელო. კარგი კაცი იყო, კი სიტყვა-პასუხის. მომეწონა“.

— მეტი არაფერი უნდა, — გაეცინა ლევანას, — რადგან შენ მოგეწონა.

რაღაც გაახსენდა თენგოს.

— პო, მართლა, ანიკოა ფშვვვ, ბიბა?

— სად?

— ექსკურსიაზე მიდიან მამის ამხანაგები. შემომესიუნ დღეს, გამოაფიქვი და გამოუშვიო. — შევპირდი.

— სად მიდიან? — იკითხა თენგომ.

— ზღვაზე... ბათუმში.

— როდის?

— ხვალ დილით — ექვს საათზე.

ზურგმუცქეცვით იჭდა ანიკო, მარტო მის მხრებს ხედავდა მამა. წინ წახრილ ბეჭებს, შეაეცილ მუხლებს და დაძაბულ მზერას.

ამხანაგებთან თავშეყრას, ექსკურსიას და მხიარულობას ანცი ღიმილით უნდა შეხედროდა თხუთმეტი წლის გოგო, ეს კი...

ჭიუტი კაცი იყო ლევანა, ასე ადვილად არ დამორჩილდებოდა ბედს. თუ გოგოს არ სურდა, თავად უნდა ეძალა, გაეგდო და გაეყოლებინა თანატოლებსათვის. ამას სხვა დროს არ ჩაიდენდა. ანიკოსაგან შემოტევა, თხოვნა-მუდარა რომ ეგრძნო, დაუშლიდა შორ გზაზე, გოგო-ბიჭებთან, აღმა-დაღმა ხეტიალს, მაგრამ ახლა...

— ფულს მე მოეცემ, — თავი გამოიღო თენგომ.

ვინ უშლის, ფული მისცეს და აეტობუქამდეც მიაცილოს. ოღონდ გოგო მოეშვას ობლის რწევას, წელში გაიმართოს და ერთი ღიმილი მაინც წაიციდნოს საზიდან.

— წადი შეილო, წადი. შენც გადი ხალხში. თვალს წყალი დააღვირე — ეს პილასი იყო, მისი სტუმრობა ლამის დავიწყებოდა ლევანას. ახლა, უცებ რომ გამოეცხადა, ეამა.

— მერე ბავშვი?! — იკითხა ანიკომ.

— რაა ბავშვი, აგერ არა ვარ.. მავუალას დავუძახებ, მამაშენი, თენგო და ამდენი ხალხი ერთ ბაღს ვერ მოვუვლოთ?!

შეკრული კოპები ნელ-ნელა შეხსნა ლევანამ. კუდიანია ეს დედაბერიო, — გაიფიქრა, თითქოს მის გულში იჭდა, საფიქრალს მიუხედა.

ერთი კვირა მოუსვენარი წრიალია სკოლაში. საექსკურსიოდ ემზადებიან. დღე ერთია და ცხრაჯერ შეადგენენ სიას, ზოგს ამოშლიან, ზოგსაც ჩამატე-

ბენ. გოგონების ჭგუფი დაეხვია ანიკოს, წამოდიო, თხოვდნენ.

ყველ შემოტყვეს მხრების აჩეჩით პასუხობდა იგი, მიუხედავად გაუთავებელი თხოვნა-მუდარისა, ძალას ვერ ატანდნენ, ვერც სიაში შეყვანას ბედავდნენ. გრძობდნენ გოგონები, მათი მხიარული, უდარდელი ყმაწვილჭალობა წყენის კვალს ტოვებდა თანაკლასელის სულში. ეცოდებოდათ ის. ახლა მისი გამოჩენა ენატრებოდა ყველას.

ავტობუსის შესასვლელთან ბიჭები ხორხოცობდნენ.

მონატრებულვით აუჩქარა ნაბიჯს ანიკომ. წინასწარ უხაროდა.

— ანიკო! — იკვლა ვიღაცამ.

— მოდიხარ?

ხელი სტაცეს, აიტაცეს. ლაპარაკობდა ყველა ერთად. ახსენებდნენ ზღვასა და გემებს, აკვარიუმს და ზვიგენებს. ნამეტნავად ალტაცებულ-აღფრთოვანებულნი იყვნენ. უხაროდათ, რომ ერთად იყვნენ, რომ შორეულ გზებზე მოუწყვდათ მგზავრობა, ხეტიალი.

ფანჯარასთან თავისუფალი სკამი შემჩნია ანიკომ, იქ მოკალათდა. ერთხანს ვერ გაარჩია წავიდა, თუ იქვე დარჩა თენგო. შემოსვლისას, ფული ჩაუღო ჭიბეში, გამოგადგებაო, ჩასჩურჩულა.

კარგა ხანს თუხთუხებდა მანქანა, მერე ერთბაშად აიძრა და წავიდა. ვიღაცა დაჭდა ანიკოს გვერდით. არ მიუხედავს გოგოს. უკანა რიგში ბიჭები ხორხოცებდნენ, გოგონებს, ქალაღლის თუ პურის გორგალს ესროდნენ.

წამდაუწუმ აუწყვდა ხმას ნინუცა მასწავლებელი, სიმშვიდეს მოითხოვდა. გუგუნებდა ძრავა. ლილინებდა მძლოელი, ტყარცალებდნენ ქალიშვილები.

მერე სიმღერა მოიგუნებეს და მსურველიც საკმაოდ აღმოჩნდა... სკოლის პირველი მომღერალი მოიძიეს—ანიკო! რაკი ქალაქელმა სტუმარმა ყველაზე ძლიერ მაინცდამაინც ანიკოს ხმა მოწონა, მამ ეტყობა ხალასი ნიჭი და ტულანტი აქვს გოგოს.

— ანიკო, დაიწყე!

— იმღერე, ანიკო! — ჩასჩურჩულა გვერდით მჭდომმა.

ღმერთო, რა ადვილად და ჩვეულებრივად ხდება ყველაფერი. თითქოს სიზმარში იყო... როცა სიმღერა შეწყდა და გვერდით მჭდომს მოხედა ანიკომ, რატომღაც არ ეუხერხულა მისი სიახლოვე, პირიქით, ეამა, ამ სიახლოვემ თითქოს დაამშვიდა კიდევ. იმდენხანს რომ თრთოდა და ცახცახებდა, ახლა გულისცემა დაუამდა. მღეროდნენ, მხიარულობდნენ გოგო-ბიჭები. ყველას თავისი გასართობი ეპოვა, უბრადა, ლამის დამუნჯებული ისხდნენ, მაგრამ ხომ იყვნენ ერთად; გვერდიგვერდ, ის და თორნიკე. მათთვის არავის ეცალა.

სიამით დახუჭა თვალები.

* * *

ზღვა ისე მოულოდნელად გამოჩნდა, არც ელოდნენ. უსასრულო სილურჯე თვალუწყდენელ სანახაობად იქცა. მზე ჩადიოდა. სხივები ეთხოვებოდნენ სივრცეს.

ავტობუსი ჩქარობდა, მოსახვევში სწრაფად უხვევდა, ხოლო სწორ გზაზე ისე ასკინკილით გარბოდა, იფიქრებდი მართონულ გადაარბენაში ლებულობს მონაწილეობასო.

რაც უფრო შედიოდნენ ქალაქის სიღრმეში, მით უფრო ჩუმდებოდნენ გოგო-ბიჭები. შრომა გზამ დაღალა და გაასავათა ისინი.

ერთხანს აციმციმებულ ქუჩებში იარეს. პალმების მწკრივი და ზღვის სურნელი მოსდებოდა სიფრცეს. მერე სასტუმროს წინ შეგკუფდნენ და ფართო შენობას კრძალვით დაუწყეს კტერა.

ახალგაზრდები სასტუმროში შეიყვანეს. სამინებელი ოთახები რომ დაინაწილეს, ანიკოსთან ოთახში ცილა და ნუშია მოხვდნენ. ნუშია გაურბოდა ანიკოს, იმ დღის შემდეგ, გელას სახლში რომ მოაკითხა, რატომღაც დაიმორცხვა და დაიკარგა. ავტობუსშიც ისე, უხმოდ და უხმაუროდ იჭდა, თავდაპირველად ვერც შეამჩნია ანიკომ. მერე მანქანიდან რომ გადმოფართქალდნენ, შემთხ-

ვევით დაადგა თვალი და აღარც მოეშვა — „ერთ ოთახში დაქვევით, „შესთავაზა ნუშისას. აქეთ ცილა აეტმანსათ „რომელ თითსაც მოვიჭირი ყველა მეტკინებაო“, იაზრა ანიკომ, ამიტომ იყო სამთავემ ერთად ყოფნა ირჩიეს. ოთახიც სამსაწოლიანი შეარჩიეს, — კაბები გამოიკვალეს და ხელბირი დაიბანეს. სარკეში ნუშისას მზერას წააწყდა ანიკო და შეთქმულებივით შეღიმეს ერთმანეთს... „არგი გოგო ხარო“ — გაუღიმა ნუშამ. იგრანო ბევრი რამ ჰქონდა საერთო ამ ფართოთვალემა, უწყინარ გოგოსთან, ამ საერთომ გვერდი-გვერდ საწოლებზე დააწვინა ისინი.

სასტუმროში დაგუბებული ჰაერი იდგა და ყველას გულმა გარეთ გაუწიათ. სასტუმროს ყოველი კუთხე, პრიალა პარკეტი თუ ძვირფასი ნივთები, ციმციმა ტალღები და პირისპირ შემოხვედრილი უცნობი მამაკაცები, აფრთხობდათ სოფელ გოგონებს.

რესტორანში მუსიკა უკრავდა, წყვილები ცეკვავდნენ, წყარუნობდა ბროლი, ყურის წამლებად იცინოდა ვიღაც.

ქვევით რომ ჩამოვიდნენ, დანაშაულზე დაჭერილ ბაღლებს ჰგავდნენ, არცერთი ხმას არ იღებდა.

— სადა ხართ? — შემოვსმით, მოიხედეს. თორნიკეს ნინუცა მასწავლებელი ედგა გვერდით.

— სად იყავით?

ტანსაცმელი გამოეცვალა თორნიკეს. თეთრ ქათქათა ხალათში შეეცვლილი ჩანდა. რაღაც უცხო შერეოდა. იგი გაზეთს კითხულობდა და სიგარეტს აბოლებდა. აბუზული გოგონების დანახვაზე ჩაეციონდა.

წამით რესტორნიდან ახალგაზრდა, ოქროსფერთმიანი ქალი გამოვიდა, მაღალ-მაღალი, ღიმილით მოიწევდა. პირისპირ გაუჩერდა თორნიკეს.

— გამარჯობა! — მიესალმა.

— გაგიმარჯოს... — გაოცებული სახე ჰქონდა თორნიკეს.

— თქვენთან გამოგზავნეს.

— ჩემთან? კინ?

რესტორნის კუთხეში, კისფერ ნათუ-

რასთან ორი ქალი იჭდა, შარტლებით, სიგარეტებით. ჩანს, ძველი ნაცნობები იყვნენ. თორნიკეს ხელს უქნევდნენ, უღიმიოდნენ.

— მოდიხარ? — მკლავში ხელი ჩასჭიდა ქერამ. ამსუბუქებული სხეული ქარსაყოლილს მიუგავდა, გაღებილი წარბ-წამწამი, სქელი პომადა, ამღვრეული ქრელი თვალები... რაღაც ურცხვი ჩანდა მასში.

მღელვარებისაგან სხეული ზამბარასავით დაეტიმა ანიკოს, არც თორნიკე იყო კარგ დღეში, მკლავზე ჩამოკიდებულ ქალს ღიმილით იცილებდა, დამთმობი, მიმტვევებელი ღიმილით... იცილებდა და ვერც იცილებდა.

როგორც მშვილდიდან ნასროლი ისარი, როგორც ქვა დაღმართში დაგორებული, ერთბაშად მოწყდა ადგილიდან ანიკო. გარეთ გაეარდა.

— სად წაიდა?!

— ანიკო!

აღარსად ჩანდა.

ერთხანს კედელ-კედელ გაჰყვა სასტუმროს. მერე ბუჩქებში გაძვრა და ქუჩაში გავიდა. მაგნოლიის ტოტებში ნათურა მწვანე ჭაღივით ჩახჩახებდა. ქალვაი ჩრდილში ერთმანეთს ჩაყვროდნენ.

ვერ გაარკვია, საით წასულიყო, არადა, სულ ახლოს ზღვის ქმული ისმოდა. ბუჩქებში ძრომა და გაზონებში ხეტიალი ვერაფერი მოსაწონი იყო. უკან დაბრუნება არ სურდა. ჯერ ნადვისა და სოჭის ჩრდილებს გასდია, მერე დაცარიელებულ სკამებს უქცია მხარი. ერთგან მოხუცებული ცოლ-ქმარი შეეფეთა, გვერდიგვერდ მოაბიჯებდნენ, ხელ-მკლავით, უძალო და უთვისტომონი ჩანდნენ. მერე სათვალისანი, მაღალი, ზმელ-ზმელი კაცი შეეფეთა, ძაღლს ასერინებდა. სათვალის ოქროსფერი ჩარჩო სინათლის შუქზე უბრწყინავდა. კაცმა ყურადღებით მოხედა ანიკოს, თვალიც გააყოლა. გაიოცა კიდევ, საით გარბოდა ასე უდროო დროს ეს თვალებაცეკებული გოგო.

კენჭი და სილა ეფშვნებოდა ფეხქვეშ. გულდაჩერებით მიიწევდა. ორთქლი-

ვით მსუბუქი და ლიცლიცა ეჩვენა ზღვის წვეთები. გრილია. შორს რადიო მღეროდა და მუსიკა ავსებდა სივრცეს. კიდევ უფრო წინ მიიწევდა. და როცა პირთამდე ავსებულ წყლის უსასრულობას წააწყდა, შედგა. აბობოქრებული, მჭუხარე და დაუნდობელი ჩანდა ზღვა. რაღაც საშიში იმზირებოდა მისი სიღრმიდან. შორს უსასრულო წყვიდიადში. ერთიანად აფერადებული, სინათლეში გახვეული და მკერდალამპრული გემი მიიწევდა. ყოველივე ეს, კიდევ ენახა და არც ენახა ანიკოს: რამდენადაც უცხო და შეაზარა იყო ტალღების დაუნდობელი ტყალაშენი და ზვირთთა ცემა. იმდენად თავისკენ უხმობდა იგი, მყუდროებასა პირდებოდა, ხოლო გემი... სიბნელისა და სინათლის შუქში გაკვალთული როგორც მკურავი შუქი, სიზმრის ახდენა-აღსრულებას ჰგავდა. იგი თავისკენ ემახდა მას.

კიდევ წადგა ნაბიჯი და რამაც ერთბაშად გამოათხოზლა, ფეხქვეშ გამსხლტარი კენჭებისა და სილის ნახავი იყო. წამოსული ტალღა უეცრად ეცა... ქაფი შემოავლო გარს.

ერთხანს ვერ გაერკვია უხაროდა თუ სწყინდა, ასე მარტოდ-მარტო ზღვის უნაპირო სივრცესთან ყოფნა: არადა, უკან დაბრუნების სურვილი ერთხელაც არ უგრძვნია.

ფეხზე გაიძრო, სველი კენჭების მიკარებამ ააძვამა, მოინაცვლა ნაბიჯი... კიდევ... და როცა მუხლებამდე მიწვდა წყალი, იგრძნო ალერსითა და დაპირებით თავისკენ ეწეოდა იგი, ფეხქვეშ გაბნეული ჩხრიალა ზვირთი. როგორც არაყიან ბოთლს, ყელში ჩაქვად გაესკვნება ბუშტები, ასე ჩამორიგდნენ მის მუხლებთან წყლის ბუშტულები. კანკალუბდა.

ხმაურობდნენ ტალღები. მათი ქშენა, ხანზარი ყოველგვარ ხმას, ძახილს ანულებდა, აყრუებდა მერე პროექტორმა გაჰქვეთა სივრცე, ნელი რონინით გადაუარა ზღვას. გადაუარა და გადმოუარა... კიდევ ერთხელ და ლამის გაიყინა ერთ წერტილში... მრუმე სივრცეში, თეთრ

ზოლად გაწოლილ სინათლეში თუ აქაფებულ ტალღებში, ქალიშვილის თხელი, სიფრიფანა სხეული გაიკვალთა. მოინაცვლა შუქი. ისევ შედგა... თითქოს კითხულობდა. ვინ არის? რა უნდაო!

სინათლის სხივმა ზღვის მდუმარება დაარღვია. კითხვის ნიშანივით გაწვა ნაპირზე და პასუხი მოითხოვა.

თავად არაფერი გაუგია ანიკოს, ერთი ფიქრით უხაროდა კიდევ, შუქთა ნაკადი უფრო ლამაზსა და თვალისმიმტანს რომ ხდიდა ფერად კენჭებს, უჩენდა თეთრ მუხლებს, წამოწეულ კაბის კალთას.

ეს მოხდა ერთ წამში. მერე ძახილი გაისმა, მორბოდნენ, იფოფრებოდა ნინუცა. ტიროდნენ ნუშია და ცილა. მკერდზე მიეკრა თორნიკე მასწავლებელს ანიკო და უხმოდ მოაბიჯებდა. თავად სდუმდა ანიკო, არც ტიროდა, აღარც თავს იმართლებდა. მხოლოდ ერთი დარდი აწუხებდა: ფეხსაცმელები დარჩა იქ, თეთრ ლოდზე და თუ გაამხელდა, ძირს ჩამოსვამდა თორნიკე. არადა, ისე სანეტარო იყო ყოველი წამი. შიშველი ფეხები შეამჩნიეს.

— ფეხსაცმელი სად დარჩა? — იკითხა ცილამ.

ერთი ხომ გაიოცეს გოგონებმა, ხოლო როდის მოიტანეს, ჩააცვეს თუ არა, უკვე აღარ იცის.

ახლა კი სასთუმალთან ნინუცა უზის და ეს მერამდენედ ეკითხება:

— რა გინდოდა, გოგო? ზღვაზე რა გინდოდა, თქვი.

— ვნახე...

— რა ნახე, ნუ გადამრიე... ხვალ ვერ მოასწრებდი?! — წიოკობდა ნინუცა, — ყველამ ასე თქვენს ჰკუთხე თუ ირბინეთ, მომხედა ღმერთმა...

სდუმდა ანიკო, თავის მართლება არ უცდია. მერე თვლემამ მოეძალა, სიამოვნებდა რომ ოთახში მიდი-მოდიოდნენ, მსჯელობდნენ, ბაასობდნენ, იძიებდნენ, ირკვევდნენ, მაგრამ მისი საქციელის აზრს ვერავინ ვერ ხედებოდა.

თვალუბდახუჭული ანიკო, ისევ იმ სამყაროს ხედავდა, რაც წუთის წინ ნახა-

ბობოქარი ტალღები და სინათლის უწყვეტი ნაკადი. მერე სხვა, უფრო შორეულ ზმანებებს გაჰყვა, მაგრამ გარჩევის თავი აღარ ჰქონდა, თელემას, როგორც მდინარის თბილ დინებას, ისე მიენდოდა შეჰყვა.

XXI

ქალაქში წასვლა გადაწყვეტა ლევანამ, გელა უნდა ენახა. ჩქარობდა. ძალის მოსაყვანად, თუ გუნების გადასახალი-სებლად ორი ჭიქა არაყი გადაჰკრა და ცეცხლი შეინთო ტანში. ლუკმა არ ჩაუდევს ხემსად, ნაჩვევი არ იყო დილაადრიან დანაყრებას. სხეული რომ აუთახთახა სითბომ, ფელებიც აუტყაცუნდა, ჭიშკარი გაიხურა და გზას დაადგა. კარგა მანძილზე რომ ჩასცილდა თავის ეზოს, წამით შედგა, მოიხედა. უკანა ოთახში სინათლე ენთო მეზობელს. ბუხრიდან თეთრი ბოლო ამოდიოდა.

— მაყვალა!

გამოხედეს.

— თუ ქალი ხარ შეაკითხე პილასის, ბავშვთან დარჩა მარტო. ქალის შემცბარი სახე და გაოცებული მზერა თან გაიყოლა ლევანამ.

— საით გავიწევი, ლევანა ბიძია? — დაადევნა კითხვა. არ უპასუხა, თითქოს არც გაეგონოს...

შაქარო მძლოლმა კაბინაში ჩაისვა და გზაშარამდე გაიყვანა.

— გელას სანახავად მიდიხარ?! — დაინტერესდა იგი.

არც ჰო უთხრა, არც არა.

— დამლაგებლის ბიჭი ახსენებდა წუხელ... — წამოიწყო შაქარომ.

— ვან?! — ეცა ლევანა.

— კიკია.

— სადაა?

— ჩამოვიდა... წუხელ მივიყვანე შინ.

— მოაბრუნე მანქანა!

ერთბაშად აფორიაქდა ლევანა.

ეძინა კიკიას, დაბუა ქოჩორი აჩეჩოდა, ძალღუმადურ ცხოვრებას თავისი დალი დაესვა ლევანას დანახვა არ ეამა. ერთბაშად იტახა — არ მინახავს გელას. მერე მხარზე მუჭი რომ ჩამოადგა ლევა-

ნამ, ხმა დაურბილდა კიკიას, მისი მხარე მოხედა უფროსს, მუჭი მძიმე უროსავით ელო მხარზე.

— მისამართო მომეცი!

— არ ვიცი... — თავი შეაცოდა ბიჭმა.

— იცი!

მხრებჩამოყრილი, გასაცოდავებულ ჩანდა კიკია. გაიმეტა მისამართი. საკმარისი იყო და, აიღეს მუჭი.

— აბა, წავედით! — შესძახა შაქაროს

და პირველი აბობლდა მანქანაზე ლევანა. შიშით გული უკვდებოდა შაქაროს, ვაი თუ ქალაქამდე ჩაყვანა მომთხოვოს ამ ეამმა კაცმა, ცხრა საათზე კანტორაში თუ არ ვიქენი, ისიდორე თავმჯდომარე მომხსნის, პლანტაციებში სასუქია შესატანიო. აქეთ ლევანასი ეხათრებოდა, იქეთ თავმჯდომარის წყრომის ეშინოდა და ახლა, ორ ცეცხლ შუა მომწყვეტელი შაქარო თავდაღმართში უხმოდ მიაჭუნებდა თვითმცელეს.

შარაზე გავიდნენ და ავტობუსიც გამოჩნდა. გააჩერეს, ბრძანა ლევანამ და მძლოლმა თავისუფლად ამოიხუნტა.

ლევანას მოეჩვენა, რომ ქალაქის ხმაურს დაეფარა მთელი სივრცე. მიჭროდნენ მანქანები, გოგო-ბიჭები მოდებოდნენ ქუჩებს. მზერა აარიდა ლევანამ. შვილზე ფიქრობდა, წუხდა, სად იყო და რას აკეთებდა? ცუდად ენიშნა კიკიას შიში და დაფეთება. მისი მოცემული მისამართი ახსოვდა, ქუჩაც და სახელიც, გვარიც, მაგრამ რალაცაში ატყუებდა კიკია და ამის შეცნობა გაუძნელდა. „ბრმა საქონელს, ბრმა მუშტარი არ ელევა“ — ნათქვამია. ბრმა იყო თვითონაც.

კიკიას სახელი ავბედითად დაუკავშირეს მის შვილს, ეს სახელი არა მარტო ჩრდილს აყენებდა, არამედ მარბავდა და ასამარებდა გელას, ამას გრძნობდა ლევანა.

ამიტომ იყო დასაბრჩობად გამზადებული კაცივით ხაცს უნდა მოკიდებოდა და ეს ხაცსი — შემოჩენებული მისამართი იყო.

ფულზე არ უტუნწია, ტაქსი გააჩერა და მისამართი მისცა, თითქოს ანიშნა მძღოლს, აწი შენ იცი და შენმა კაცობამო.

ორი მანეთი რომ მოთხოვეს, სამი მისცა, ლიფტში ჩაჯდომა არ უფიქრია, მთაბარში ნახეტიანებ კაცს, კიბეზე ასვლა არ გაუძნელდებოდა. კიბეს შეჰყვია, რაც უფრო მაღლა მიიწევდა, მით უფრო წყრომა ემატებოდა, ასე სახეტიანო და საძებნელი რაზე უნდა გამხდომოდა საქმეო.

ზარის წყრიალზე ბიჭები გამოცივდნენ. ათი-თორმეტი წლისანი, ტყუპები, მურაბით მოეთხვარათ სახე, ხელები.

— ვინ გნებავთ?

— მამას დაუძახე.

— მამას?! — შედგა ორთავე. თვალეზი დააცეცეს, — არ არის.

— სადაა?

— ციხეში...

ემწარა ლევანას.

— მაშინ დედას დაუძახეთ...

— არც დედა!

— სადაა?

— ყვავიას გაყვა.

— ვის?

— ყვავიას.

ვერაფერი გაიგო. მისამართი შემეშალო-გაიფიქრა.

— გელას იცნობთ?

— გელას? — იკითხა ერთმა — არა!

— მოიცა, ბიჭო! — ეცა მეორე, — იცი ეგ რომელია?

— რომელი? — ერთმა მეორეს რაღაც გადუწურწულა.

ძველბიჭურად ხელი ხელს შემოარტყეს, გაიხარეს.

— ვიცნობთ.

— სადაა.

— არ ვიცი.

— შენ რა ხარ მისი? — დაინტერესდა ერთი.

— მამა...

— აჲ! — დაატყინა მეორემ — აბა, მიდი ჭოჭო!

ბრაზი იპყრობდა ლევანას, ერთიმეორე, ეს ცინგლიანი ბიჭები ამასხარა-

ვებდნენ, მეორე მხრივ, შეტყობას დასავალი ვერ გაეგო. რა გზას სწეოდა.

ციხირობის მიუხედავად კარი. „აბა ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“, დააბოლავა ლევანამ ფიქრი. კიბეზე დაეშვა. ჩამოდიოდა მძიმედ და წელმოწყვეტით.

ერთხანს სკვერში იჯდა, გრძელ სკამზე. გამეღულ-გამომვლელი ათვლიერა, მერე ცხრა სართულიანი სახლის ფანჯრებში, ბიჭების ბინა ეძებდა. ვერ გამოიციწო.

თვალი დაეღალა. ილაჯწასული ერთხანს თვლემდა, პირველსავე წარუმატებლობამ იმედაყრილო გახადა. მაგრამ იარაღის დაყრა მაინც არ უფიქრია, რადგან ბრძოლა — არსებობას ნიშნავდა, თებნა—პოვნას. ასე სწამდა მას.

მეორე სართულზე, ღია ფანჯარაში. წიგნში თავჩარგული გოგონა მოჩანდა, ლექსს ზეპირობდა. მისი წყრილა ხმა მთელ ეზოს ესმოდა.

შესასვლელთან მანქანა გაჩერდა. ძველი „მოსკვიჩი“ იყო, ფაფხურა და საცოდავი. საქვს ვიწრობეჭებიანი, მელოტი კაცი უჭდა.

მანქანიდან გადმოვიდა იგი. ლევანას გვერდით ჩამოჯდა. გააბოლა.

მალიმალ თვალებს ისრესდა, ამოქნარებდა, ეტყობა, უძინარი იყო.

უცებ შავი „ვოლგა“ შემოვარდა ეზოში, ქალი გადმოვიდა, საშუალო ტანის, წითლად თმაშეღებილი.

მანქანის გამოჩენა და — მესამე სართულზე ფანჯარა გაიღო.

— დედა!

— დედიკო! — დაიძახა ფანჯარაში თავგამოყოფილმა ბიჭმა.

— ვაი, თქვენს პატრონს, — ჩაილაპარაკა მელოტმა.

— რა იყო?

— არაფერი... აგვაწრიალეს ამ ნადირებმა.

— რას გერჩიან?

— ჰკითხეთ. ხმაური... წივილ-კივილი... ფანჯრების მტვრევა. წყლის ჩამოსხმა... მოკლედ არ ღირს აქ ცხოვრება, ნეტავი ბინა გადაამცვლევინა!

— ვერ გააფრთხილებთ?

— რამდენჯერ... ჩხუბსა და აყალ-
მაყალს ვერიდები, ისეთ ხალხთან აქვს
საქმე, სადმე უადგილო ადგილას დამხ-
ვდებიან და ყელს გამომლაძრავენ, —
შემინებული მზერა ჰქონდა უცნობს.

— მერე მილიცია?

— კარგი თუ კაცი ხარ... მილიცია
თან ხომ არ გამოძყეება!

— აბა აუღებელი ქვეყანა ყოფი-
ლა!

— ასეა...

უხმოდ გაეცალა მელოტი. მანქანა
აამუშავა და ეზოდან გადავიდა. მელო-
ტის ფაფხურა მანქანამ და თავად კაცმა,
მშვიშარამ და ფეთიანმა, ლევანას გულ-
ში რალაც გაამაგრა, გამბედაობა შემატა.
იგი ამ თამაშში არც იგებდა არც აგებდა.
შუუბლალავი კაცის სახელი არც თავში
უძებნია და აღარც ბოლოში, ჩხუბი იქ-
ნებოდა საჭირო, უნდა ეჩხუბა, მოთმი-
ნება და, მოეთმინა.

უხმოდ აპყვა კიბეს. ერთხანს კართან
იდგა, ელოდა როდის მიწყნარდებოდა
ხმები ბინაში. ბიჭები მოასვენებდნენ
დედას, თუ დედა მოასვენებდა მათ. ამ
ქალს უნდა მოეცალა მისთვის, მოეცა-
ლა როგორც კონდექტორი იცლის
ხოლმე მგზავრისათვის, ბილეთს მოუ-
ხეეს და გზას მიასწავლის. ხეირიანად
ვერ ჩახვდა, რამ გაახსენა კონდექტორი,
ან ამ ქალს რა საერთო ჰქონდა მასთან.
ქვედა სართულიდან გოგონას წყრილა
ხმა ისმოდა, „კაკო ყაჩაღს“ ზეპირობ-
და.

თითი დააჭირა ღილაკს.

— მოვდივარ! — მოესმა ქალის ხმა.
გააღო. ჭრელი ხალათი აახალგაზრდა-
ვებდა ქალს.

— ბოდიში, ქალბატონო...

ხმელ-ხმელი, მზით გარუქული, ქა-
ლარა კაცის დანახვამ გააოცა მასპინძე-
ლი.

— შეიძლება?

— მობრძანდით, ბატონო!

ზეშეებმა იცნეს, გაუღიმეს.

პირველი, რაც ოთახში შესვლისას
დაინახა, ეს იყო გალია. ნაირნაირი ჩი-
ტები, ფერად-ფერადი, ლურჯ-მწვანე,

ყვითელ-ყვითელი... ფათქუნა...
ფრთებს შლიდნენ. დააცქერდა ლევანა.
ისე ყურადღებითა და მონდომებით,
თითქოს ზღაპრის გმირი იყო, რომელ-
საც თავსატეხი ამოცანის ამოხსნა ევა-
ლებოდა. ბიჭები აქეთ-იქით ამოუდგნენ.

— ამას რა ჰქვია? — ჰკითხა ერთმა.

— ეს ნარჩიტაა. აგერ მოლაღური,
ესეც სტვენია ჩიტი...

— რა ჰქვია? — გაიხარა ბიჭმა

— სტვენია ჩიტი.

— მართლაც, იცით როგორ უსტ-
ვენს? — თვალები გაუბრწყინდა ბიჭს.

— ჰო... ასე იცის.

— ამას რა ჰქვია? — დაინტერესდა
მეორე — შეხე როგორ იფუყება, ვახ,
ამის!

— ჩხიციია...

— ჩხიციია?! დედა, გესმის?

— არ იხოცებიან? — იკითხა ლევა-
ნამ.

— კი... როგორ არა... იცით რამდენი
გვეყავდა!

— თავისუფლება უყვართ... ეელ-მინ-
დვრები... — წამით იგრძნო ლევანამ ამ
სიტყვებით არა მარტო ბიჭების გული
მოიგო, არამედ ქალისაც.

— თქვენ ჭინჭრაქა გინახავთ? პატარა
ჩიტია... აი, ამოდენა, — უჩვენა მუჭით.

— არა.

— არც ცისფერგულა?

— არა...

— მომკლა ამათმა საცოდაობამ, —
გამოჩნდა ქალი, — ყოველ ჩიტს მისტი-
რიან... რომ იცოდეთ როგორ დარდო-
ბენ... განიცდიან.

— ასეა... უნდა იღარდონ,

— აქეთ მობრძანდით... — მიიპატი-
ეა ქალმა, რატომღაც დაბნეული ჩანდა.
— ბოდიში ბატონო! ჩვენი მისამართი
ვინ მოგცათ? — ჰკითხა რიდიო.

— მეზობლის ვაჟმა... კიკიამ.

— კიკიამ? — გაოცდა ქალი, — თვი-
თონ სადაა?

— სოფელში...

— სოფელში?! — წყრომა ვერ დამა-
ლა ქალმა, ჩანს კიკიას სახელის გაგო-
ნება აღაშფოთებდა მას.

სდუმდა ლევანა, რა უნდა ეთქვა ქალისათვის. გაემზილა რომ გელა იყო მისი კაცობის ღიბო და ბურჭი?! რომ ცუდსა და ავს უგრძობდა გული?! რომ ეშინოდა?! მერე ამით რას უშველიდა?! მიხვდა ამ ოჯახში სინამდვილის შეცნობა გაუძნელდებოდა, ამიტომ იყო კარის ზღურბლზე ფეხი გადმოდგა თუ არა, ჩიტბატონები და გულყვითელები ირჩია მეკვლედ. ისინი წამოიძვლვარა და ისე შემოაღწია. გელა მხოლოდ ამის შემდეგ იკითხა.

შემოთავაზებულ სკაშზე მიიმედა, მოწყვეტით დაეშვა.

დიასახლისი მიმოდირდა, ხან ფანჯარაში გადიხედავდა, ხან ლევანას შემოკერტდა. აფორიაქებული ჩანდა. სახე ანთებოდა მერე ბიჭი გაიხმო, ეჩურჩულა.

კარში გასხლტა ბავშვი, კისრისტეხით დაეშვა კიბეზე.

„აღმათ ლენისთვის გაგზავნა ბავშვიო“, გაიფიქრა ლევანამ „ან გელას მოსაყვანად გაიქცაო“, — გაუთბა გული. გულდამშვიდებით იწყო ბინის დათვალიერება, ყოველი კუთხე, ყველა ნივთი შეათვალიერა, სიმდიდრე და ფუფუნება არ იგრძნობოდა. ოთახში მიმოფანტული ნივთები, ნაჩქარევად, ნაუცბათევედ შეძენილ ჰგავდა. რაც ეშოვნათ, ის მოეტანათ. საძინებელში ორი საწოლი იდგა. დივანზე — პაპროსის ნაშვკავი და აშლილი კარტი, მიმოფანტული ფირფიტები და თამბაქოს სუნი.

წუხდა და წრიალებდა ლევანა. დრო რომ გაეყვანა, საფიქრალს უძებნიდა თავს, ვერ ახერხებდა... ამ ბოლო დროს საუთარი თავი ხშირად გამოუტყვრია ფიქრში, რომ სულ სხვა ადამიანად იქცა. ზოგჯერ შუა ღამისას. გამოეღვიძებოდა და დიდხანს იწვა თვალთა. ყურს უგდებდა სიჩუმეს. ეჩვენებოდა, რომ ბნელ ოთახში, ვიღაც გამოციებული თვალებით უმზურდა, უთვალთვალებდა. ვინ იყო, ან რა უნდოდა ვერ გამოეცნო, არადა, მისი დაუნდობელი მზურა გულს უხრავდა, ნერვებს უწყენდა.

უცებ კარი გაიღო. ბიჭი შემოვიდა:

ველგადაგდებულა, ფრთხილად შევიდა ნილი ლაბუა ჩიტი უსიციოცხლოდ ესვენა პატარა თითებზე.

— აღმათ გული გაუსკდა.

— რატომ?

— დარდი მოკლავდა.

— რისი დარდი?

— მწვანე ბალახის... ნორჩი ტყის... გაშლილი ქალების... — პასუხობდა ლევანა.

— დანარჩენებს რა ეშველება?! — იკითხა ერთმა ტირილით.

— უნდა გაუშვათ.

— გავუშვათ?!

ჭერ ერთმანეთს გადახედეს, მერე სკაში მოიტანეს, ფანჯარა გამოაღეს, ოთახის თბილი დამდგარი ჰაერი შეინძრა, გაგრილდა.

ბიჭის თითებმა ჭერ ერთი ჩიტუნა გააფრინა, მერე მეორე, მესამე. დახუთულ მზრებს ისწორებდნენ ნარჩიტები და მოლალურები, ერთხანს იქვე ტრიალებდნენ ფანჯრის ახლოს, მერე კამარას კრავდნენ და ცის უსაჩრულო სილაქვარდში იკარგებოდნენ. ერთი-ორჯერ, წასვლის წინ დასტივნა სტვენია ჩიტმა, ბიჭებს გამოემშვიდობა.

დაცარიელდა გალია. ღია ფანჯარასთან დიდხანს შერჩა ლევანა, აქეთ-იქით ბიჭები ედგნენ.

— ხედავთ? — ეკითხებოდა ბიჭებს.

ბავშვები ვერაფერს ხედავდნენ, მაგრამ კოლოფებივით ჩამომწკრივებულ ნაცრისფერი სახლების მიღმა, ლურჯ სიმწვანეში ცხენების ჯოგი მიჰყვებოდა სივრცეს — ნიშა და ლურჯა, ნისლა და ქედანა, შვინდა და წაბლა. ბედაურების რემა მწვანე ბილიკს სცილდებოდა და მალე ცისკენ მიიწვედნენ ქენებით, გულწითელების. მოლალურების და სტვენების კვალს მიჰყვებოდნენ... ეს დინახეს ბიჭებმა.

დიასახლისის თეთრი ცახოკით გაეკრა თავი და თითებზე შემორჩენილ ცომის გუნდას იცილებდა. იგი თავის ძველისძველ ხელობას დაბრუნებოდა. დედა იყო და შეილებზე ფიქრობდა. რალაკით იგი ელოს წააგავდა, მაყვალასაც, პილა-



სისაც — სინდის-ნამუსის ქალებს. ასეთ ქალებს ყველაფერი შეენით... ჩიომერ-დინიც, დიბაატლასიც... შინნაქსოვი, ჭვალაც.

ქალი არაფერს ამბობდა. სდუმდა. მაგრამ მიხვდა ლევანს, კიდევ რომ არაფერი ჰკითხოს, ისედაც გაუმხელდა შვილის აავეალ-დასავეალს, სულ წერილ-წერილად ჩაუკაცავდა. არც დაანამუ-სებდა — არ გაამზილოთ, არ დამლუ-პოთოთ. იტყოდა გულში... დაუბრუნებ-ლად.

ჭრჭერთობით უნდა ეცლია, ეცლია, რადგან ქალს პირველად პურის ცხობა და შვილების დაპურება ევალება.

XXII

სალამო იყო. სადგურში ავტობუსს ელოდა ლევანს. მთელი დღის ნახეტი-ა-ლებს, მოგონებებით აესილს, უჭირდა ფეხზე დგომა. ბოლოს, როგორც იქნა, ჩამოდგა ავტობუსი და შორეულ გზის-კენ აიღო გეზი. მართალია, ნაგვიანებ მგზავრებში ნაცნობი და ახლობელი არავინ ერია, მაგრამ ყველაზე ბოლოს, უკან ადგილებში მიმალვა ამჯობინა. კი არ დაჭდა, ჩაიკეცა, მუხლები ამტვრე-და, სახსრები უბეუოდა, ერთხანს თავი-სი გაჩენის დღე იწყებდა, მეგრე — წამო-სვლის წუთი და საათი.

ცუდ დღეში იყო. უღიმღამოდ ხეჭა-და თვალებს და ხელახლა უბრუნდებო-და იმას, რისგანაც თავის დახანა და გაქცევა სურდა.

აიძრა ავტობუსი. გაეცდნენ საგარეუბ-ნო სადგურს, წითელქუდიან მორიგეს. შარაზე გაბაწრული მანქანების მწყრივს მიჰყვებოდნენ, ერთხანს ასე იჩიქჩიქა ავტო-ბუსმა, მეგრე უკან რომ დარჩა ქალაქი და წინ მწვანე ჭალები გაიშალა, გაუ-კვირდა ლევანს... ჩამოთვლა არ შეუძ-ლია იმდენჯერ უვლია ამ გზაზე — მან-ქანით, ავტობუსით, ფეხით. ურმით, ცხენით, მაგრამ ასე ყურადღებით, და-ხარბებით, არასდროს ემზერია ჩაქრო-ბილ ველ-მინდვრებისთვის.

სალამოს მწუხრი ნიღბს უცვლიდა გა-რემოს. ხეები მწვანე და დაბურული

ჩანდნენ, სახლები განაცრავდნენ, უღელ-ნი და დაძვლებულნი, ადამიანები — დაღლილი და გასავეათებულნი.

ბიჭების ჭკუფი, ველოსიპედების წყა-რუნით დაღმართში ეშვებოდნენ. მეგრე თანდათან ამოიბურცნენ ნისლოვდებუ-ლი მთები, ევრცხლისფერი მდინარე-ღრუბლები მწყრივი მოსდებოდა ტატ-ნობა, ხელახლა აფრთხილებდა ფიქრი რომ უკანასკნელად ხედავდა მათ, თით-ქოს უცხო ქვეყანას სამოგზაუროდ ეს-ტუმრა და ახლა დამშვიდობება უბე-ბოდა.

ორიოდე მგზავრი მძლოლთან ახლოს ჩამოსხდარიყო და მასლათით ირთობ-დნენ თავს.

ყრუდ ისმოდა სიტყვები.

ერთხანს უკან დარჩენილ კლდე-ღრუ-ს, აღმართსა და დაღმართს ადევნა თვალი...

ამ ქვეყნად ყველას თავი დარდი აწუხებს, ვინ იცის ახლა მისი გასაჭირო, მგზავრებმა? მძლოლმა? არავინ. არცაა საჭირო. თენგომ... ან ანოიომ?... მეტი არაა ჩემი მტერი! თავისი ტოლ-ამხანა-გები ნახა და ჰაიდა! იმ წუთშივე დაივიწყ-და ბავშვი. სხვებს რომ საყვედურობ, შენ თვითონ თუ ხვდები შვილების გა-საჭიროს, საფიქრალს, თუნდაც ეს გოგო, რატომაა ასე დამუნჭებელი, ერთხელ მაინც თუ გიფიქრია... რა უჭირთ და რა უხარიათ. გელოთ, ამბობ... პო, გელო... გაახსენდა, ჩველილი წუთები გაახსენ-და.

...ფანჯარა ღია იყო. ქარი დანავარ-დობდა, კედელზე რუკას ხედა, ფარ-დებს წეწდა და ჭაღს არხედა. სამზარე-ულოში რაღაც იწყებოდა, ლუქმის ჩამ-დები არ იყო. იჭდა და დიასახლისისა გა-მოჩენას ელოდა. ბიჭები თავს დასტრია-ლებდნენ.

გამოჩნდა დიასახლისი. ჭიქა-თეფში და სასმელ-საჭმელი მიამალა მავიდას, ბი-ჭები ეხმარებოდნენ, დამყურენი ჩანდ-ნენ. ცალ თვალს ლევანსაკენ აპარებდ-ნენ. ჩქარობდა ქალი ფაცი-ფუცოვდა, ბოღმობდა.

მაგრამ არა შარტო ლევანსა და ქალი. ბიჭებიც კი გრძნობდნენ, ლუქმის პირში

ჩამდები არ იყო სტუმარი. მისი აგიზგიზებული თვალები, აღუწილი ყვრიან-ლები და გამომშრალი ხორხი, ჩრდილ მღელვარებაზე და წახდენილ განწყობილებაზე მეტყველებდა.

მაგრამ მასპინძელი რაღა მასპინძელი იყო, ძალისძალათ რომ არ დაესვა სკამზე.

წყურვილი აღრჩობდა ლევანას. ცივი, შხაპუნა ლიმონათი ააჩქეფა ბიჭმა, დალიე და დალიეო, მიუტანა პირთან ჭიჭა.

ხელი წაავლო ლევანამ, თითები უცახცახებდა.

— გელა სადაა? — იკითხა.

— გაიქცა... — მხერა მოარიდა ქალმა. მხოლოდ ახლა შეამჩნია ლევანამ ფართო, თაფლისფერი თვალები ჰქონდა ქალს და შიგ უსახლერო სევდა თუ მორჩილება ეხატა. შეწუხდა კაცი.

— სად გაიქცა?

— არ ვიცი.

— როდის?

— იმ ღამით...

— რომელ ღამით!

სდუმდა ქალი, ნერვიული თითებით საფარის ფოჩებს აწვალებდა, მიხვდა ლევანა, ძალისძალად მისი აღაპარაკება გააცულებდა საქმეს, უნდა მოეთმინა.

— დალუპულია ჩემი ოჯახი... — ჩაილაპარაკა ქალმა. რატომო, არ უკითხავს ლევანას.

— თუთხმეტი წლის ვიყავი და ჰქუა არ მქონდა. მიყვარდა და გავყვევი, ადამიანების გამოცნობა მაშინ კი არა, ახლაც მიჭირს. არა, კი ვიციოდი ცუდ ხალხში რომ ტრიალებდა, მაგრამ...

ეს ქალი თავის გასაჭირს ჰყვებოდა, — გაუჩრებული ისხდნენ ბიჭები, — გაოცება აღბეჭდოდათ თვალებში.

— ყოველ დღე ახალ-ახალი მძაცკი გვაკითხავდა ოჯახში. შევეჩვიე სტუმრიანობას... მეხალისებოდა დიასახლისობა, — ჩაჩუმდა ქალი, — ჩემი შვილები ისე დაიზარდნენ, ორჯერ მეტად არ უნახავთ მამა. ექვს დღეს სახლშია. ექვს წელიწადს ციხეში... მეც ვმდუმვარ... რა ექნა, ცეცხლზე ნავთის დასხმის შემინია.

არ უკითხავს ლევანას, რომელ ნავთზე ლაპარაკობდა. უკრდაცქვეტილი ისხდნენ ბავშვები.

— გელა რატომ გაიქცა? — იკითხა.

— არ ინდომა...

— რა არ ინდომა?

— წვეთ-წვეთობით ნავთის დასხმა. ცეცხლზე.

ვერაფერი გაიგო.

— დიახ! — წამოიწია ქალი, სახე ანთებოდა... — ერთბაშად გადისხა ნავთი, აიბრიალა ალი.

თვალები გაუფართოვდა ლევანას, სუნთქვა შეეკრა.

— სადაა ბიჭი? — იკითხა ცახცახით.

— გაიქცა... მშვიდად უკასუხა ქალმა.

წამოდგა კაცი, საესე ჭიჭა დადგა და წამოდგა, კარს რომ გაცილდა, უკვე იცოდა რომელ ცეცხლზე ლაპარაკობდა ქალი. გაიქცა, თავს უშველა ბიჭმა... თვითონ გამონახა გზა! თვითონ, გუსით!

გული მღელვარების ტალღამ შეუნგრა... ღამის ჩაიკეცა. თავი შეიმაგრა, უკან არ მოუხედავს, ისე დაეშვა კიბეზე. ღია კარში ქარი დანავარდობდა, შოთა და ფართალა ჰაერით ავსებდა ოთახს.

XXIII

ბესო ღამბაშიძის ბინაში სინათლე ენთო. არ ეძინათ. დაკაცუნება ვერ გაბუდა გელამ. მისი დამტვერილი ხალათის, მოთელილი სამოსისა და დასისხლიანებული ცხვირპირის დანახვა გადარევედა მასპინძელს. მთელი ღლის ნათრევს შიოდა. დიასახლისი მიმოდიოდა ოთახში, ხმავე ისმოდა, სითბო და სიმყუდროვეც ატანდა კარის ჭრილიდან, მაგრამ ბიჭმა შეხმაურება, ვერა და ვერ გაბედა. მერე ქალი მიუახლოვდა ფანჯარას, ფარდა გასწია, გამოიჭვრიტა, თითქოს გრძნობდა უდროო სტუმრის სიხალოვეს, მის გასაჭირს. კარიც გამოაღო და გამოიხედა. გელა სიბნელეში მიიმალა. ერთხანს იბორიალა დიასახლისმა, გავიდა და გამოვიდა, ბოლოს სინათლე გამორთო და დაწვა, ეძინათ ბალებს.

დარჩა გელა, ცივ კედელს აკრული, ძაგბაგებდა: რომ მოგეკლათ, ამ ჭიშკარს არ გასცდებოდა, არც ქუჩა-ქუჩა იწაწა-ლებდა. აქ, ამ კართან უნდა ამოხდომოდა სული, თუ სასიკვდილოდ იყო განწირული. თუ არა და, მაინც აქ უნდა გაეთია ამღამინდელი ღამე.

ერთიანად მოიყუნტა, დაბატარავდა, სახე მკლავებში ჩამალა. ფეხის გასაწმენდი თუქურა, კიბესთან რომ დაეგო დიასახლისს, ქვეშ დაიფინა, კართან მიწვა და... იმ წამს ჩაეძინა. ძილში ჩაყოლილი. შიში თუ სიცივე ერთხანს აწუხებდა, ეკლებივით ჩხვლეტდა, მერე ჩაწყნარდა.

პირველ ცელაში მუშაობდა ბესო, დილაბნელზე უწევდა შინიდან გასვლა, ჭერაც ნისლი იწვა ქუჩებში. აქა-იქ მანქანა ჩაიჭროლებდა და აღვიძებდა მითვლემილ ქალაქს. — აღრიანად იჭერდა ბესო თადარიგს, წლებით გამოძევაებულ ჩვევას არ ღალატობდა, ცოლის გამოლოცვებთან გაურბოდა, თვითონ აიძულებდა ჩაის, პურის ნაჭერს მიატანდა და დაეჩქარებოდა გზას.

იმ ღამით უძილობამ გააწამა კაცი. რაც ვოლხოვეციდან დაბრუნდა, თავის გონზე აღარ იყო. ფიჭრაწეწილი ღობე-უორეს ედებოდა, შფოთავდა, წუხდა, დაღუბულ თანამებრძოლებს იგონებდა. „ჩემს სატანჯველად მიგიწვიესო, — წუხდა ქალი, — შენი ამბავი რომ ვიცოდი, რაე გაგიშვიო“, ქოთქოთებდა.

არ ეძინა ბესოს, ვერ იქნა და ვერ მოისვენა, ვიღაც უხილავი არსება სასთუმალთან ჩამოშდარიყო და ყოველ ჩათვლელზე ხელს გაკრავდა, გამოიღვიძებ, რა დროს ძილია. მერე ცოლს მიაყურებდა. ძილში ევენსოდა ქალი.

როგორც კი სხივი გაკრთა ოთახში, იმ წამსვე წამოდგა. წასასვლელად მოემზადა. ის იყო კარი გამოღო, ღამის ბრაგენა მოადინა, ზედ კართან ვიღაც იწვა... მოყუნტული, ვალურკებული. შედგა ბესო. გული ეტკინა. თვალის პირველსავე გადავლებზე იცნო. შემობრუნდა. ცოლი შეაღვიძა.

მოგეკვდა ჩემი თავი. — აცრემლ-

და ქსენია, ღია კარს ეცა, ციმციმ აიყვანეს გელა, ფრთხილად, შეაძვრეს სისხლიანი, მტვერით გაქეცილი სამოსი. გაწმინდეს, გაასუფთავეს.

ბესომ საათს დახვდა.

— ბიჭს მიხედე! — დაუბარა და წავიდა.

• • •

თვლემდა გელა, ძილ-ღვიძილში გრძნობდა როგორ აიყვანეს, გააძვრეს სამოსი, თბილ საწოლში ჩააწვინეს, ნაბიჯიც, ჩურჩულიც — მშვიდ მუსიკასავით ჩაესმოდა ყურში. მერე მუხლებიდან დაპრულმა სითბომ ყელამდე მოაღწია და როგორც ქაღაჩა ტალღამ, ჩაითრია და ჩააყურყურებულა. ეძინა უკვე. დიღვეში ნაგდებ, სხეულ-გამაჯრულ-გამოსაგათებულ კაცივით ეძინა.

...ბორია კლიმჩუკს ძმად გაეფიცა ბესოც, გოგიაც, — მამაშენიცო — კარგა ხნის წინათ უამბო ქსენიამ. ომის ქარცეცხლი ერთად გადიტანესო. დანგრეული სახლ-კარი, უპატრონო ბავშვთა სახლში თავშეფარებული, ხუთი წლის გოგონა ელოდა ბორიას. ცოლი შიმშილით მომკვდარიყო. გული არ მიუვიდა გაპარტახებული ეზო-გარემოს აღსადგენად. ბავშვი წამოიყვანა და საქართველოს მოაშურა. ბევრ მზეს და ჰაერს დაგახვედრებო, სწერდა ბესო. თავისკენ იწვევდა. ჩამოვიდნენ. გამოკეთდა გოგონა. ვარდისფერი მოეძალა. დიდხანს არ უუცოცხლია ბორიას, გაუხსენა ძველმა ქრილობებმა. მამა-პაპურ სასაფლაოზე. თავისი მშობლების გვერდით დასაფლავა ბესომ, გოგონა თვითონ დაიტოვა, მამის გვარი შეუნარჩუნა — ტანია კლიმჩუკი... გაზარდა... ასწავლა. გაათხოვა. ახლა ციმბირში გზა გაჰყავთ, ორივე ცოლქმარი ინეინრები არიან. ბავშვები ქსენიამ დაიტოვა, არ ენდო — ყინვაში მომიყვავითო. ახლა, გელა ტანიას ქალიშვილობის დროინდელ საწოლში წევს და მის სურათს შესცქერის. ინიც კედლიდან მზერას არ აცილებს ბიჭს.

— ადექი გელა? — ესმის ქსენიას ხმა.

— დაახ.

მაგიდას შლის და საალაპო სუფრასაკით, თუ რამ გააჩნია, ყველაფერი გამოაქვს: ნადული, ბრინჯის ფაფა, ხაჭაპური, ცხელი კერძი.

წამოდგა გელა, სარკეში ჩაიხედა, შეკრთა, სახე ერთიანად შესიებოდა, ჩაღურჩებოდა. მიხვდა რატომ ემალებოდა დედასაკით სათნო ქალი, რატომ გააწვალა და ააწროლა იგი. ეს მიმალვა საყვედური იყო... მაგრამ ახლა, განაწყენება და ერთბაშად ქუჩაში გაქრა არ შეეძლო. ეს ეზო, სახლი, მისი თავშესაფარი იყო; სადაც არ უნდა წასულიყო, ვინაც არ უნდა მიდგომოდნენ, სულერთია, ასე მშვიდად და უზრუნველად კერასად იგრძნობდა თავს.

ველავ გააპარა მზერა სარკისკენ. სარკის წინ ატუხული მაღალი ბიჭი. ჩარჩოში ჩასმული სურათით მოჩანდა, ხოლო უკან, ბნელეთში ხელახლა აღდგა წინა ღამის თავგადასავალი... აღდგა ხილულად, თვალდასატანად. ხედავდა, როგორ გაედნენ ჭიშკარს, ფარვით, ძრწოლით, შიშითა და ცახცახით.

ავ საქმეზე აბეტებულ კაცს, ყოველთვის მუხლები უცახცახებს, ასე ჭირდა მასაც. აი, ახლა როგორც კი ფანჯრის მინას ჩამოხსნიან და ღია ჩარჩოში ღამდევით გადაცოცდება მისი თანმხლები, უპირველესად, მუსიკას ჩააჩუმებს (პატრონს რადიო დარჩენია ჩართული), მერე ბნელი ღამე ქურდისააო და ისინიც წინ წადგამენ ნაბიჯს.

მოშორებით, ჩიხის თავში მანქანა იდგა, ჭიშკართან მოთვალთვალე იცდიდა, ის მოთვალთვალე კივია იყო. არ გაუგია როდის ჩამოხსნეს მინა, გადაცოცდა თანმხლები, მხოლოდ ხედავს ჩარჩო მოღებულს და გზა გახსნილია, შეუძლია გადავიდეს, ასეც მოიქცა.

მუსიკა კი უკრავდა და უკრავდა. „სევსტოპოლის ვალსი“ „ქველებურმა ტანგო“ შეცვალა. ჭერ ლეიბები აყარა თანმხლებმა, ააქოთა იქაურობა, მერე სარკიანი კარადის კარი გამოაღო. თეთრი ყვავილებით მორთული კაბა გამოჩნდა. წაატანა ხელი, დაიძაბა გელა, თითქოს იგრძნობდა თავბოტორამ მისი აფორია-

ქება, შედგა. ხელი უშვა ციმციმა კაბა. გადაიფიქრა. კარი მიხურა, ახლა თეთრეულის უჭრა გამოაღო, ერთი მეორის მოყვლებით გადმოყარა შალითები, ზეწრები, უთოში გამოყვანილი, სახამებელმომძალებული. — ფეხით გადათელა ისინი.

სული აემღვრა გელას. მაგრამ ეს არ იყო მთავარი, მთავარი შემდეგ მოხდა. თავბოტორა მაგიდის უჭრას მიეჭრა, პუდრიანი კოლოფი გადმოაგდო, ამბტვერა, ჭიბუში ჩაუძახა საათს, ბუქდებსა და საყურეს, ჩაუძახა და თან ისე შემოხედა გელას, თითქოს უსიტყვოდ აფრთხილებდა, ზედმეტ ლაილას მოეშვიო, დანაშაულს რომ ფლიდობა დაემატა, არ აღუშფოთებია გელა, უარესს მოელოდა, მაგრამ მთელი სხეული ერთ რიტმად ქცეოდა და ვერაფერი მოეხერხებინა, ხელებზე რომ დაეხედა, მუხლისთავეები შეემოწმებინა, დანახავდა როგორ ცახცახებდა. არეული ფიქრები ტვინს უბურღავდნენ. იცოდა, განა არ იცოდა, ვის ოჯახში მოხვდა... ბავშვთა საავადმყოფოს ექიმი... გაუთხოვარი... ასაკში შესული ქალი.

წამებში მოასწრეს ყველაფერი—ჩემოდნის ავსება, თეთრეულის ანგრევა, ძვირფასი თვლებს მიმალვა. იგინებოდა თანმხლები, თავბოტორა და ბრტყელშუბლა, კაცის მკვლელის სახე რომ ჰქონდა. იგინებოდა ბილწად, განაწყენებით; რასაც ელოდნენ, იმის შეათედიც არ დახვდათ. პატრონი ფულებს არ ინახავდა, არც ძვირფას თვლებს. იგი წიგნებს ყიდულობდა, ფრანგულ ენაზე კითხულობდა. საიდან იცის?! დაინახა, შეამჩნია, სანამ თანმხლები ბინას ძარცვავდა, თვითონ თავისუფალი იყო. შეეძლო დაეთვალაფერებინა. ხელი არაფირსთვის უხლია, არ წაუყარებია, მაგრამ თვალი და ყური თავისას შებოდა, დასანახს ამჩნევდა, გასაგონს — ისმენდა. გონება კი, ეს ყოველის მომცველი და დამტევი, განურჩევლად იმახსოვრებდა. კარგსაც და ავსაც. მუსიკაც ესმოდა... უნებურად ჩააჩუმა იგი და დაბნეულობა სულთამხუთავით ჩაუწვა სულში. ყველაფერი



შეზარდა გელას. უპირველესად, საყუთარი თავი შეზარდა, ასე უმწეო და ლოპრი რომ გამოდგა, მერე ბედად სურათს წაატანა მზერა. ორმოციოდე წლის, შეეგვრემანი, გამზდარი ქალი აველი ნაცნობივით შეჰყურებდა... შეცბა. ნოქრენა, რომ ამ ქალს იცნობდა... სადღაც ენახა. აად?

თანმზლებლის ფაცა-ფუცი ხელა უშლიდა.

მოგვიანებით იმასაც ჩახედა, რომ არასოდეს, არსად არ ენახა ეს ქალი. არც მისი ღიმილი, ასე უწყალოდ რომ იღვრებოდა კედლიდან... არაფერი, უბრალოდ, წუთი წუთს გადაება, სახე სახეს დაემსგავსა და დაუშთავრებელ-დაუსრულებელ წუთისოფელში მიაღწია იმ წერტილს, როცა კვესი აბედთან ერთად, დარტყმით ფუთქდება. ნაპერწყლებად იქცევა, მერე ნაპერწყლები ცეცხლს გააჩენს და... უკვე იწეის. იწეის იმით, რომ აუ სიტყმეა ამ გადაჭევილ, აწეწილ ბინაში, რომ ასე გაუაჟლისად ატვენენ ქუჩაში. მანქანა გუგუნებს და თანმზლებლიც აისინით გესლავს:

— წაივით!... გამოდი, შენი... გამოდი, რას უცდი.

უგინებდა დედას. გამჩენს. — ამასაც არ დაჯერდნენ. ხელი ჰკრეს, როგორც უსარგებლოაა და უმაქნისს. სცადეს მოეცილებინათ, ვერ შეძლეს, იგი თითქოს მიეკრა და მიეწება ამ ოთახს, წიგნება, ჩემოდანსა და ქალის სურათს.

მთელი გამეტებით დაარტყა სახეში თავხოტორამ. შემოეარდა კიცა, თვალუბი შებლზე ასხდა. ცახცახებდა.

— ნუ სცემ! — გადაეღობა თავხოტორას.

— გელა! წამოდი... წამოდი თუ მზა ხარ... — ღირიალა კიცამ, — გელა, ხომ ხარ ჩემი ძმა... გელა! წამოდი, რა მოგივიდა ბიჭო!

ტიროდა, იგრინებოდა კიცა, იფარავდა, საყუთარი სხეულით იფარავდა.

— გაიქეცი... გაიქეცი ბიჭო! არ დაარტყა! არ დაარტყა! — ღრიალებდა უგი. დარტყმას დარტყმით იგერებდა. წიხლს — წიხლით.

უცებ ჯიბეში ხელი იტყუარცხმული ამიანეთიანები... მოიქნია და შეტყუარცხმული მიაცარა თავხოტორას,

— გაიქეცი! — მიწვდა კიცას ხმა. გარბოდნენ უკვე... ჭერ ერთად, მერე ცალ-ცალკე.

მოგვიანებით, გაუნპრველად იწევა მდინარია მღვრიე ტალღებთან და სიახლითა და ტალახით გაითიხნილ ხელებს, და სახეს იბანდა. ოღონდ ეს იყო. პირის-ღებინების უსიამო შეგრძნება ყელში მომჭენოდა და ვერაფრით იკავებდა დამახჩრობელ ლორწოს.

არ გაუგია როდის დაუწენარდა სხეული, ახლა სიცოვე მოეძალა. იწევა ასე. მდინარე ჩემი რუდუნებით აშხევებდა ტალღებს. შორს, სიბნელეში, კამკამა სხივად გაწოლილიყო ახალი ხიდი შექცინულად აღწევდა იმ მყუდრო ნაპირამდე, სადაც გელა მიმალვოდა დადევნებულ ნაბიჯებს, კიცას, ყველას მთელ ამ აუწერელ საშინელებას, ამ ჯოჯობეთს. მერე იმედთან ერთად, თითქოს ძალა უწინამაღვრა განათებულმა ხიდმა, კანტი-კუნტად გადაქროლილმა მანქანებმა, თითო-ოროლა დაგვიანებულმა მგზავრმა, აჩქარებით რომ გადირბენდნენ ხიდა. მიჰყვა ამ ხმებს, ნაბიჯებს, სინათლეს, თანდთან აითრია წელი. ააყოლა სხეული.

მოგვიანებით, ბესოს კიშკარს რომ მიადგა, მიხედა, უკვე სამშვიდობოს იყო, თავი გადაარჩენილად ჩათვალა.

XXIV

ავტობუსში სინათლე ჩაქრა. ლევანასთან ერთად ორიოდე მგზავრი მოუკვებოდა მანქანას და ისინიც მძღოლს უსხდნენ ახლოს, მშვიდი მასლაათით იქცეოდნენ თავს.

სიბნელემ თანდათან მოიკოდა ფეხი, მანქანის შექ-ფარებს ძალა მიეცათ, გაანათა, გაკამკამდა გზა. ცოტაც და... ხილზე შედგა მანქანა.

— ეჭვი, ბიჭო! — დაიძახა მძღოლმა, — სად მიდიხარ?

— წამიყვან? — წამო...

პრელხალათიანი, მალალი ბიჭი ამოვიდა და იქვე შედგა. უხმოდ, უსიტყვოდ აეტრუხა კარს.

როგორც ჭიკა-გოლეული ისე ჩაუტება და ჩაეთენთა ლევანას გული, ის ბიჭი გელა იყო.

— ფეხით მოდიოდი? — ეკითხებოდა მძლოლი.

— ჰო...

— ყოჩაღ შენ!

— რა გიკვირს?! ჭეელი კაცია, — ალაპარაკდა ერთი მგზავრთაგანი. ყაბალახიანი, ხანშიშესული კაცი, — წინათ სად იყო ამდენი მანქანა, ავტობუსი, ტაქტი. ჩანიანი მუხლი და ჰიდა! ხეთ საათში ქალაქში ვიყავით. ახლა ელოდე, გამოივლის თუ არა, გაგიჩურებს თუ არა...

ამდენხანს თუ ყურადღებას არ აქცევდა ლევანა, გაანათებდა თუ არა მძლოლი ავტობუსს, ახლა ავტობუსის კართან ატუხულ ყმაწვილში გელა რომ შეიყნო, ლამის ელოცა, ნეტა მძლოლმა ნათურა არ აანთოსო, კიდევ უფრო მოიხარა, დაპატარავდა ლევანა. ჩრდილსა და სიბნელეს შეაფარა თავი. მალულად უთვალთვალებდა შვილს და მის ყოველ სიტყვას ხარბად იჭურდა.

— ვისი შვილი ხარ? — ეკითხებოდა ყაბალახიანი.

თრთოლვით შეენძრა ლევანას გული. გვარიც დაუსახელა, სახელიც.

— სწავლობ? — ეკითხება მეორე, დაბალი, შლაპიანი კაცი, სოფლის მასწავლებელს რომ წააგავდა.

— კი.

— სად? —

პასუხი არ აცალა ყაბალახიანმა.

— მოიცა, შენ ლევანას ბიჭი ხარ?

— ჰო.

— დიდი ძალღატაკი მამაშენი!

— იცნობ? — ჩაეკითხა შლაპიანმა.

— კი... ერთ დროს ყმაწვილკაცობაში, გვიჩხუბია კიდევ.

— გეტყობა დაგამახსოვრა... — ჩაიხითხითა მძლოლმა.

— ხომ გითხარით, ავგულაა. ძალღატაკი.

ვერსფრით ვერ იცნო. ვერც ლევანამ, ვინ იყო ეს გოდელუღვამა. ყაბალახიანი კაცი. სად ენახა, სად გადაყროდა. არადა, ჩველად წყენა ცოცხლად შეენახა გულში.

ველი ცოდვა-დანაშაულის ხელახლა ჩხრეკის თავი აღარ ჰქონდა ლევანას. ბიჭის უდროო გამოჩენამ, გული ჩაუთუთქა, ხიდზე ნეტავ რას უცდიდაო. გაიფიქრა. ზაფხულის თქემმა აამღვრია წყალი, ნაპირზე გადმოდის, წაიოცა ბიჭს კი არა, ლომგულ ვაჟკაცს დაახრჩობს; წინაყვირას ფეკილიანი ტომრები მოქონდა მდინარეს, ჩამორეცხა სოფლები.

— მოიცა...

— გააჩერეთ. — ეუბნება გელა მძლოლს. მასწავლებელმა რომ ჰკითხა ბიჭს, ასე ვინ შეგიღამაზა ცხვირპირიო, არ უპასუხა, კარი გააღო და ჩავიდა. მძლოლისთვის ფული არც შეუძლეკია. მადლობით, უთხრა და ჩავიდა.

— სად მიდის?!

ეგებ მამამისი რომ ცუდად ახსენეს, ის იწყინა. უფროსს კაცს აუფი ვერ აკადრა და გაცლა ამჭობინა, ჩანს გულგრილობა ლევანასი გამოყვა... ერთი-ორჯერ უკან მოხედა სიბნელეში გამკრთალ ბიჭს, ეგებ თვალი მივადევნოო. ვერ შეძლო... არადა იგრძნო, როგორ მონატრებოდა იგი, მისი ხმა, ლაპარაკი, მისი ცინფერი თვალები... ელოს თვალები... გაასავლელისკენ დაიძრა.

— ჩადიხარ? — ჰკითხა გაოცებულმა მძლოლმა. დიდად არ დაინტერესებულა ლევანა. იცნო ყაბალახიანმა თუ არა, აღარც თავად გაუდევნებია მზერა. არ ეცალა. ფული შეაჩერა მძლოლს. ჩავიდა.

სიბნელეში, ქვიან-გორმანიან ადგილას უჭირდა გზის გაკვლევა. კარგახანს იხენეშა და ივაგლახა. მიხედა, შხარი ეცვალა. ერთხანს ასე იწვალა და იჯახიკა, მერე საურმე გზის ნაცვლად, ნახნენათესში რომ გადაეშვა, მიხედა, მარტო გზის გაკვლევა რომ გაუჭირდა, ის კი არ იყო უბედურება, თვალშიც დაბნელებოდა, სინათლის ჩინი წართმეოდა.

ქართული
ლიტერატურა

იაზრა, როდის ჩამოვიდა გელა და სად იქნებოდა, თუ მოინდომებდა ხმასაც მიაწვდენდა.

— გელა! — ეუცხოვა საკუთარი ხმა.

— გელა! — მოუმატა.

არაფინ უპასუხა. ხელახლა დააყურა მიწას. პირში მომწარო გემოს გრძობდა მუცლის არეში. მკვეთრ შემაწუხებელ ტკივილს.

— გელა! — გასაბა წინწასულს.

მხრებზე დაწოლილი აუტანელი ტკივილი. მძიმე როგორც ანჯამა, სულს ეხუთავდა. მიწია სიკვდილშაო, გაიფიქრა. რატომღაც, აქ სიკვდილი თუ უპატრონოდ გდებდა, ნამდვილად არ სურდა. უნდა ეხალა, თავს მორეოდა. დაწოლა არჩია. ცივი იყო მიწა. ნესტისა და ობის სუნნი დაკრავდა. კარგა ხანს იწეა... ზაფხვამ გაუარბა.

წამოიწია. ცას ახედა, აქა-იქ ნაერისფერი მოხალეოდა უკუნს. შორს ვიღაც სტყენდა. აულ ახლოს, მანქანა მოყვებოდა შარას. ყრუ გუგუნით მოიწევდა. გამოუკეთდა ხასიათი, ფეხზე წამოდგა და მუხლი გამართა: იავე გელა გაახსენდა ვინ აკემა ბიჭს! — გაუელვა წამით. მიხვდა, ახლა ამაზე ფიქრი უაზრო იყო.

ჩქარობდა. ლამის გარბოდა, ბიჭისთვის უნდა მიესწრო, რომ გამოციებული სახლის კარი, მარტოდმარტოს არ შეელო. გალიგვებულ კერას არ მიფიცებოდა და ისედაც აფორიაქებული გუნება არ მოშხამებოდა... ცოდო იყო ბიჭი! ლევანა ასე ჰკუადაფანტულივით იყო, ამოდენა გზა ფეხით გამოიარა, გაწამდა და გაწვალდა. საიდანაც იწყება კაცის ბედი, იქვე მთავრდება... სადაც დაიბადე, იქ უნდა მოკვდე, მაშინ ძელებიც უფრო მშვიდად განისვენებენ მამა-პაპურ სავანეში და სულაც მიეცემა ღებნა. ნოსრევიანა სვანითის სული უტრიალუმს გარს, მალი-მალ ახსენებს თავს. ენატრება იგი...

რამ გაახსენა?! უბრაოდ ჩათარა მის ეზო-გარემოს. ერთი-ორ მოსახლეს გამოტოვებს და გოგის ვენახი იწყება, ვენახის თავში ნალია უდგას, ნალიას — ბოკელი და ოდა სახლი მოსდევს. გო-

გის ნახვას ნამდვილად ეშურება, მერღვეოცის ამბებს ჩამოიტანდა. როგორ შეხვდნენ? რა უთხრეს?

შედა. ფიქრმა შორს წაიყვანა.

„თავად რატომ არ წახვედი? — ჩაეკითხა საკუთარ თავს, — რამ შეგიშალა ხელი?“ მიზეზს ათას გამოძებნის კაცი, მთავარის გამხელაა ცოტა ძნელი. ჭერ სმოლენსკთან აფეთქებული ყუმბარა ჩათვალა მიზეზად, იმ ყუმბარამ ჩამოაცალა ამხანაგებს, იმ ყუმბარამ გამოგზავნა დეპეშა სოფელში. ლილი იმან იმსხვერპლა... სული მოითქვა. ყოველივე სიკრუე იყო, მის მიერ შეთხზული და შეითიხნილი. იმ ყუმბარის გამო არ უთქვამს უარი წასვლაზე. ზარ-ზეიმს, ტაშს გაურბის... ეს მისი თანდაყოლილი თვისება, ვერასდროს ვერ მოიშლის.

ჩასცილდა ლობეს, მიუახლოვდა თავის ეზოს...

არსად სინათლე, არსად ჩამიხუმი, გელა ხომ არ ჩანდა და არა, ჩაბნელებული ოდა-სახლიც მიტოვებული, გამოცარიელებული სიცოცხლით ცხოვრობდა, კაცის ჭაქანება არ ჩანდა; სულიერსა თუ უსულოს, როგორც დაწყველილ, ცოდვილიან ეზო-კარიდან, ფეხი აეკეთა. აქ კი მისი ძირი და ფუძე იყო.

დაცარიელებული სახლი, მიტოვებული კარ-მიდამო, ჭადრების მწკრივი, გულაბი მსხალი, ყველაფერი სიზმარს ჰგავდა... ჩატეხილი ფანჯარაც... ქარი რომ აფრიალებს ფარდას, წიწვეს, თავისკენ ეწევა. როდის ჩატყდა?

თვალეზი დახუჭა. თავდაბრილი იდგა კარგახანს. უცებ, შეკრთა, თავშალ-მოხვეული ქალი მოადგა ლობეს. იცნო, ელო იყო. როდი ეწყინა, პირიქით. სათქმელი რომ დაგიგროვდება და მეგობრის ხილვა გაგახარებს, ისე მიეხალისა. არ დასცალდათ. შვილები გამოიშალნენ. ფაცო ატუხოდა დედას, იქვე გელა იდგა, ხათრით და რილით. სიცილად იღვრებოდა პატარა გოგო ანიკო... (რამდენი ხანია მის სახეზე ღიმილი არ უნახავს), მთელი ოჯახი მქ იყო... ეხვეოდნენ მამას. გულში იკრავდნენ.

კავით ჩახერგილი ჭიშკარი შეაღო, საშხადს მიაშურა. კარის სახელურზე ბუბლიკების გალა დაკიდა, საყურთხი მიუტანა სულელებს.

მობრუნდა და წამოვიდა.

* * *

ზიდს რომ გადაადგა, უკვე აღარაფერზე არ ფიქრობდა გელა: ამობოქრებული მდინარე და მღვრიე ტალღები უშლიდნენ ხელს, ისე ხმაურობდა წყალი, ისე მონდომებით ასკდებოდა ტინის კლდესა და პირმოღებულ ღრანტეებს, რომ არც გაუგია როდის წამოადგა მანქანა. მიიხედა, ფარები ანათებდნენ. დიდი ნაცრისფერი ავტობუსი იყო. ორიოდ მგზავრი იყვალთებოდა შიგ.

— მოდიხარ? — ეკითხებოდა.

უარის თქმა ვერ გაბედა. პირიქით, როცა მანქანა აიძრა და ხანშიშესულმა კაცმა, ცოტა გამკენწლავი საუბარი გაუბა, ეამა კიდევ. თავადაც აპყვა. ჰკითხეს და უპასუხა, მისი ვინაობით დაინტერესდნენ, არ დამალა. მიდიოდა ავტობუსი. არ ეშვებოდა ყაბალახიანი, ხან ამას ჰკითხავდა, ხან იმას... აუგად მოიხსენია ლევანა. აიშვრა ბიჭი. ხმა ვერ დაძრა. მთელი ამ ხნის განმავლობაში განუწყვეტლივ ეჩვენებოდა, რომ მის ყოველ ხმას, მოქმედებას, სიტყვა-პასუხს განუწყვეტლივ უსმენდა ვიღაც... საიდან, რომელი კუთხიდან ვერა და ვერ ჩახვდა. რაც უფრო ჩამობნელდა და გაგრძელდა, თუ გაიწეა გზა. განუწყვეტლივ ეს კითხვა უტრიალებდა თავში: სად მივიდეს? ვის მიადგეს? ვინ ელოდება? დაცარიელებული კარმიდამოს შეხსენება არ სურდა. არც ანიკოს და ჩვილის... სხვას დაკანკალებდა მისი ფიქრი... კიკია!... სად, სად წავიდა? ვის შეაფარა თავი? მან ხომ საკუთარ სხეულთ დაიცვა. გადაეფარა გელას. ახლა?

იგრძნო როგორ დაენამა შუბლი, ყელი. მეტის მოთმენა ველარ შეძლო, გახედა ფანჯარას. თვალდათვალ მოზომა

სივრცე, ავტობუსის მძღოლს, მისი თხოვა და უადგილო ადგილზე, პირ ნახნაეში გადაეშვა. ვენახ-ვენახ გადივავა, ჯიუტად მიიწევდა წინ.

საკალფებო გზა აღრიანად ჩაიყვანდა ცაცხვებთან, მერე კიკიას სახლის უკანა კარიც გამოჩნდებოდა.

კრიატი ღამე იყო, ცოტა სული რომ ჩაითქვა, მოეჩვენა, სისინა ქარს შორეული ძახილი მოქონდა.

— გელა, გელა!

— გელა! — პასუხობდა გაღმა ტყიპირი და ღობე ტყუშური. თითქოს ცივი წყალი გადაასხეს. იცნო, მამის ხმა იყო.

— ეჭვი! — დაუსტვინა კიდევ. არ უპასუხეს. მომეჩვენაო, — გაიფიქრა.

ჩახანია ავტობუსის თუხთუხი შეწყდა. ჩაწყნარდა შარა, ახლა მსუბუქი მანქანის შორეული გუგუნე ისმის... და არც ისმის... ცოტაც და მამაკაცის მხრები უცნაურად აფარფატდა მალ-ლომზე, მიხვდა, მოჩვენება იყო... ხმაც, ძახილიც, კაციც. ღამის თილისმას შეეკრა და მოეჯადოებინა იგი. სად იყო და სად არა, თეთრი თიკანი გამოძვრა ბუჩქებიდან, ხელისგული გაულოკა. თბილ, პაწაწა ენას აცმაკუნებდა. პეტელობდა, თავის კანტურით აქეთ-იქით იხედებოდა. შიში აეწინამძღვარა გელას — ოჩოპინტრე ჩასაფრებოდა მის გზა-კვალს. ფებდაფებ მოსდევდა, სახესა და გარეგნობას იცვლიდა.

უმატა ნაბიჯს, გარბოდა. ერთი სული ჰქონდა სანამ განათებულ ეზო-კარამდე მიადწევდა. იქ მისი სოფელი იყო, მისი ხალხი ცხოვრობდა. აგერ ცოტაც და, ვენახის მწკრივს ჩაათავებს, ღობეს გადაეცლება, და...

ააღწია აღმართს. გამოჩნდა სოფელი, გაქრა ბეკეა. მინელდა ძახილი, ძალზე ყრუდ მოისმოდა მანქანის შორეული გუგუნე.

კოლმეურნეობის კანტორის წინ სინათლე ენთო. დარაჯს კაცონი დაენთო და, ბრეზენტის მოსასხამში გამოხვეუ-

ლი. გუზგუზა ნაკვერჩხლებზე ითბობდა თითებს.

სირბილით ჩაუარა. ახლა ღობეს გადაახტება, უკანა კარს გაცდება და გამოჩნდება კიკიას ვიწრობანიანი, ჩაფხუტა სახლი. მიაყურა. სიჩუმე იყო. სადღაც უღროოდ აქოთქოთებული დედალი კრიახობდა. ღორის ღრუტუნისკ ესმოდა. გაცდა უკანა კარს. როცა მიჩუმებული ეზო-გარემო და მითვლემილი ოდა-სახლი დაიგულა. იეკვა, ხომ არ შემეშალაო. მიმოიხედა, არა, აგერ ლეღვის ძირი და სამოთხის ვაშლის მობრეცილი ტოტები. სიბნელეში ხმლიან კაცივით შემართული ოწინარი. კიკიას ეზო იყო.

— კიკია! — არაეინ უპასუხა.

— კიკია!

— რომელი ხარ! — იცნო ქალის ხმა. მოსწავლეების წყველა-ქოქოლა ეხერხებოდა ამ ქალს, დერეფანში, ცოცხით დასდევს ბავშვებს. სისუფთავესა და წესრიგს მოითხოვდა.

— რომელი ხარ? — გაუმეორეს ხელახლა.

— მე ვარ.

ქალმა ფანჯარა გამოაღო.

— ვინ ხარ შენ?

— გელა ვარ.

— გელა? — გაიოცა ქალმა. — რა გინდა?

— საჭმე მაქვს.

— რა საჭმე?

ვერ გაარკვია გელამ. მისმა უღროოდ გამოჩენამ რატომ შეაცბუნა ქალი? კი არ შეამინა, შეაცბუნა, თითქოს ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო ამ ღამეს და გელას გამოჩენა კი არა.

სწორედ ამ დროს, რალა ბედათ, თუ უბედობით, მსუბუქმა მანქანამ, ყრუ გუგუნით რომ მოიწვედა ამდენხანს, ჩიხში ჩამოუხვია და კიკიას კიშკრისკენ აიღო გეზი. შედგა. ფარები ენთო და ძრავა გუგუნებდა. არაეინ არ გადმოდიოდა. თითქოს გამოურთველი ძრავით და აჩირალდნებულნი შუქ-ფარე-

ბით აიძულებდნენ მასპინძელს, მისი ხელად ხლებოდა მათ.

მიხვდა გელა, „ისინი“ იყვნენ...

სიბნელეში მიმალულ გელა, ყველა წვრილმანს ხედავდა და იმახსოვრებდა. რატომღაც ავსა და საშინელს უგრძნობდა გული.

კედელს აკრულ გელას დედა-შვილის ხმები ესმის.

— ვინაა, დია? — კითხულობს კიკია.

— გელა ვარო.

— გელა? მანქანით მოვიდა?

— არ ვიცი.

— „ახლა გააღებს კარს და გამოვა კიკია“, — გაიფიქრა გელამ. ნახრვევის განჭკვრეტა ვერ მოასწრო, კრიალით გაიღო კარი.

— რომელი ხარ?

— კიკია! — ჩაიხურჩულა გელამ.

შედგა კიკია. წინწადგმული ფეხი პაერში გაუშვინდა. ძახილი სადღაც, უკანა მხრიდან ესმოდა, სიბნელიდან. ამ ხმაში შიში და ერთობა ერია, შეშფოთებაც, ამიტომ შეუოვნდა კიკია.

— რას იმალები? — გაიკვირვა კიკიამ, მოხედა. ხელახლა აფარფალდნენ ფარები. ჩაქრნენ და აინთნენ. როგორც პაწია ბალლი წამოიწყებებს ცრუ თამაშს, მანქანაში მსხდომნი, წამდაუწუმ ჩაქრობითა და განათებით ანიშნებდნენ, ყველაფერს ეხედავთ. ხოლო თუ არ ეხმაურობთ და გამოვრბივართ, ამასაც წინასწარი განზრახვით ჩაედივართო.

ისევ ჩაქრა შუქი, ჩაბნელდა. ამდენხანს განზე გამდგარი გელა, ახლა დედაშვილისაკენ დაიძრა, ის იყო რომ მიუახლოვდა, და მანქანაც განათდა.

— ვახ! ამათ უყურე, — გაიხარეს მანქანაში — ნახე რა გვრიტებია. ორივენი ერთად არიან, — ჩაქრა შუქი, გაიღო კარი.

— ვინ არიან, დედა? — შიშით იკითხა ქალმა.

— შედი, დია სახლში.

— რა უნდათ, ბიჭო?

- გვაცალე დედა... შედი სახლში.
— მიშველეთ! — იყოლა ქალმა.

X XV

ლევანას სიცოცხლე მაშინ გათავდა, სასაფლაოს აღმართს რომ შეჰყვია და თხმელის ბუჩქების შრიალი, ელოს ტირილს რომ მიამსგავსა, ოდესღაც მოსმენილს. მასს მისტიროდა ელო, ნოშრევანას, ლევანას ჭეღვინის ფიკვერცხლს. სწორედ მაშინ იყო, ცალკერძო ქალის მოთქმა-ვაებად ჩაუწერა გული, ცალკერძო მარტოხელობად და გამოცარიელებულმა ოჯახმა. უსიტყვოდ აეტუზა უორეს, უსდიდა როდის ჩაათავებდა ქალი სულისშემძვრელ ვაებას, როდის მოიცილიდა მისთვის.

მოიცალა... ქალური სითბო და სიკეთე უწილადა და უსაგზლა. შეუბღალავი ნამუსიკ გადაუფინა ჩიქილ-მერდინად, მეტი რალა უნდოდა, მაგრამ ცოლ-ქმრობის უღელში მარტო შებმა არ შეელოდა ქალს, სხვა სითბოსა და სიღბილეს მოითხოვდა იგი. რა მიეცა, რაც არ გააჩნდა.

ახლა კი, თხმელის ფოთლების შრიალი, იმ შორეული მოთქმის გაგრძელებას ჰგავდა და... მუხლში — სისუსტეს და ჭანში ბზარს გრძნობს ლევანა, წინ წასვლის ნაცვლად, უკან რჩება ფეხი.

არადა, დაიწყო დაღმართი. მთვარემ პირი იბრუნა, განათდებოდა სივრცე, გამოჩნდებოდა გზა, ჩაბნელებოდა ისევ. წამიერმა შექარდილებმა მხედველობა დაუბინდეს ლევანას. ავტობუსიდან რომ ჩამოვიდა, იმ წუთიდან, ერთი სურვილი მოარბენინებს — ჩქარა ნახოს გელა, დაეწიოს.

მაინც სად უნდა წასულიყო ბიჭი, ვის უნდა მისდგომოდა კარს?!

ეგებ დედის ბოლო სამყოფელს მიამურა?!

პო... ასე იქნება.

სიჩუმე იყო სასაფლაოზე. შრიალებდნენ მუხისა და ცაცხვის ფოთლები.

ჩამოშლილი ეკლესია, დათბრილი

თვალებითა და ჩამოქცეული კერძობით, უიმედო განსასვენებელით აღმართულიყო პატარაობიდან ახსოვდა ლევანას ეს ტაძარი... საგლობლები და დიდებით დასვენებული სალოცავი ხატო... სანთლისა და საკმეველის სურნელი... გუგუნებდნენ კედლები. ირხეოდა ძველი ზარი.

წამით მოეჩვენა, ჩამოფშვნილმა ეკლესიის ბურჯმა მეკრდი შეიკრა. საყრდენი გაიმავრა, მოძალებული ლოცვა-ლადისი მოეფინა. შემოსეულ ბუბუნა ხმებში, ნაცნობი ხმაც ურია. წერილა ხმა... იმდენად ახლობელი, რომ მიხვედრა გაუქირდა, ვინ იყო და ან სად მღეროდა.

სადაც მოუხელთდა, იქვე ჩამოქცა. აქედან ზუთა-ექვსი ნაბიჯის დაშორებით, ელოს და ფაცოს საფლავებია. ლევანას მშობლების ძვლების განსასვენებელიც აქვეა—სულ ახლოს, გვერდიგვერდ მოეყარათ თავი; ჭერო დაბლა, ეკლესიის სამხრეთით. მზისუკრში ამბერკი მებუეის საფლავია. მამის გვერდით ლილი წევს... არც ქვა ადევთ, აღარც წარწერა მოჩანს. ერთადერთი ბზის ბუჩქი დგას მის თავსასთუმალთან. ისიც შემთხვევით ამოსული, თუ საიადლოდ დარგული. შრიალებდნენ ფოთლები, ქარის ქროლეზე ტაკუნობდნენ და ხვევრდოვან ზედაპირს აჩენენ. არც უფიქრია ცოლის საფლავს მიახლოვებოდა, მის წინაშე ჩადენილი. ეკელა წყენა და ნაღველი დაფერფლორ და ნაიარწყარილი ჩანდა. ეკელაფერი სულერთი იყო. ნიავი დაქროდა. გამჭოლი სიცივე უსერავდა სხეულს. რაღაც სწყინდა, აწუხებდა, რა იყო, ხეირობა და ვერ ჩაბედა.

კარგა მანძილზე რომ მოიტოვა სასაფლაო, შედგა. მიმოიხედა, მიაუტრა. გელას ეგებ არც უფიქრია აქეთ წამოსვლაო, შეეცდი და მოეტყუედიო, აფორიაქებული გონებით სისულელე შევთხზე და დაევიკერო.

გაუტეხავი, კლდე კაცი, ახლა უსუსურად და ოდნავ მოჩოლფოთებულა-

დაც გრძნობდა თავს, საფლავების მონახულებას, ოდესღაც, ეპის მიღმა მოსმენილი საგალობლების გახსენებას, იმ საშინელ წინათგრძნობასთან მიყავდა, რომელსაც ახლობლებს შორის განსასვენებელი ადგილის შერჩევა ჰქვია. ჰო, თვალდათვალ მოხაზა, გონებით ინიშნა ის მიწა, მის შიშველ ძვლებს რომ ჩაფარავდა და ჩაყარავდა თავის წიაღში. „მიწანიმც დაილოცებიან, შიშველნი დაგიმალნეს ხორცი“...

გზის გასაყარზე შედგა. ხელმარჯვნივ გასწევდა და საკუთარ სახლ-კარს მიღწევდა, კერიასთან მიფიცებულ პილასის და ტკბილ, უშფოთველი ძილით გათანგულ ბაღს წაადგებოდა თავზე, თენგოსაც შეუძახებდა, მაგრამ ვისაც ეძებდა, იგი იქ არ დახვდებოდა, ამას გუჟინით გრძნობდა, რამდენ ვინმეს უნდა გამოშვებოდა... ჰოდა, სანამ გაქრებოდეს, მანამ უნდა მოასწროს ყველასთან დამშვიდობება, გამოთხოვება... შვილი იწინამძღვარა და მის კვალს გაეძია, ახლა თუ ფეხდაფეხ მისდევს, უკვე ეჩვენება, რომ შვილს კი არ მიყვება, მის ნაფეხურებს კი არ იცვლევს, არამედ საკუთარ გზა-კვალს შედგომია, უკანასკნელად, გამოსათხოვრად.

ნახევარი ევროპა ფეხით შემოუვლია, შეუწყდა ფიქრი: ერთი უცნაურობა სჭირს, ეჩვენება თითქოს ხის კენწეროზე მოექცა და ქვევით ველარ ჩამოდის — ყოველი ტოტი, ყოველი ნაბიჯის მონაცვლება, წარსულის შეხსენებას წაგავს და ამიტომ არის, უძნელდება თავის დაღწევა, ძირს დაშვება. პირველ ტოტზე ადგილიც იყო და სიხალათეც იგრძნობოდა, შეგველო ჩამოგვევენა... მეორე ტოტზე... აერია ერთმანეთში... შემზარავი სიცივე ჰქონდა გვამებს... სახე მოგრეხილი, დაკრუნხული ხელფეხი... როგორმე უნდა გადაეტანა მწვალბეღური წუთები. მოეთმინა და გაეძლო... დასამარხად გაქონდათ მკვდრები. მათ შორის წოლა

მიუსაჯა გამჩენმა... ექიმმა ცაქცა მანამდე მოხდა, სანამ წიფლნაშენი ტოტებზე რეტად გაიყვანდნენ ექიმს. მკვდრებს შორის ჩააწვინა ლევანაც — ეგებ გადარჩესო. მერე გარბოდა... ეგონა დასაყარავში მოიტოვა ტყვეთა ბანაკი, მიწვდნენ, დაეწიენ. მეორედ გაქცევა უფრო იღბლიანი გამოდგა... სამ თვეს იმალებოდა ცალფეხა ბერიკაცის სარდაფში.

ჩამოინაცვლა ნაბიჯი. არე უფრო ვრცელი და მშვიდი ეჩვენა. შეუძლია ერთხანს შერჩეს ამ ტოტს, სანამ ქარბორბალა ამოვარდება და ერთი მოქნევით დაანარცხებს ძირს. აქ უკვე პარტიზანები მოჩანან და ბოლო ლეკმასაც უყოფენ.

გამოერკვა. კარგა ხანია ძირს დანარცხებულად გრძნობს თავს, ამიტომ არ წავიდა ვოლხოვეცში.

არ ეძინათ მეზობლებს, სამზადის კარს ჰრიალი გაქონდა, ამ არემარეში, არავინ ეგულება ისეთი, კარს მიადგეს და არ გაულოს, არ შეიპატიოს, თუ ასეა, რაღას უცდის, შეეხმიანოს გამოცვივა დიდი და პატარა.

პალატის უკანა ფანჯარა განათებული იყო. შედგა, იცნო სახლი, ეზო და პატრონიც. ამ ქალის ხსენებას ყოველთვის გაურბის. არადა, ეჩვენება, ჭიშკარს მოდგომაა გულო, თაღხი სამოსის ნაცვლად, წითელ-ყვითელი ყვავილებით აბრღვიალებული კაბა აცვია, შვენის ქალს. კოპწია ტუჩ-კბილიც შვენის.

ცოდეა-მადლის საკითხავად არ სცალია ლევანას. განათებული ფანჯარა მოკიაფე თვალისით იმზირება ეზოში. ლანდიც ირბევა, თმაგაშლილი ქალის ლანდი. შეუყოყმანდა ლევანა. ხის კენწეროები ეხლებოდნენ ერთმანეთს. ქარი სისინებდა. მერე მამაკაცის ჩრდილი ჩამოეთვარა განათებულ ფანჯარას.

— თენგო! — გაუელვა ლევანას და იგრძნო, როგორ გასცა საკუთარი თავი, ამდენხანს რომ თვალს იბრმავებდა და ყურს იყრუებდა. მისახვედრს —

მიუხედავად ხდიდა. ვერც იმას არ-
კვევდა, ღამ-ღამობით საით ეპარებო-
და მოწიფული ძმისწული, ახლა, ხე-
ლისგულზე გადაშლილ წიგნივით ეც-
ნობოდა სინამდვილეს.

არადა, იღება კარი... ჭიშკრისკენ
მოიწევენ. წამოდგეს და წავიდეს?! არ
შეუძლია; ტყვილმა, ამდენ ხანს ძუ-
ძუს თავს რომ კაწრავდა, ახლა მუცლის
არეში გადაინაცვლა. შიგნეული ეწვის,
თვალთ უბნელდება.

— ლევანა ბიძია როდის ჩამოვა? —
ესმის ქალის ხმა.

— ყოველ წუთს ველი...

— ბავშვთან ვინ არის?!

— პილასი.

— თუ იტიროს, დამიძახე...

— კი.

როგორც ფალია, საპირისწამლე,
ერთბაშად აფეთქდა ლევანას გული.
დედობას დანატრებული ქალი! ბალ-
ლი! უპატრონო ბალი!

ერთბაშად გაიხარა კაცმა, წამოიწია,
ჩაახველა.

თვითონ არ დაუნახავს, მაგრამ იგრ-
ძნო, როგორ გაშეშდნენ, დაიძახნენ
ისინი. ლევანას გამოჩენა მეხის გავარ-
დნას ჰგავდა მათთვის.

— ბიძია... — ყრუ ხმით ჩაილაპარა-
კა თენგომ. მიუახლოვდა.

— რა მოგივიდა, ბიძია? აქ რატომ
ზიხარ?

— არ ვარ კარგად...

ახლა ქალმა ჩაიმუხლა. შიში, სასო-
წარკვეთა ერთად იმზირებოდა ქვრივის
თვალებიდან. ქვრივი სულ არ ეთქმის,
ქორწინებიდან კვირის თავზე ავად გა-
უხდა ქმარი. ექიმმა ცოლთან სიახლოვე
აუკრძალა. საცოლშვილო წელი თუ
არ ჰქონდა, სხვის ცოდვაში ფეხს რა-
ზედ იდგამდაო, — აუტუტუნდნენ მე-
ზობლები... ჩამოიწურა და ჩამოიღვენ-
თა კაცი. თავად ხომ გახმა და დაილია,
ცოლი შეიძულა, ამონათებულ მზესა-
ვით აბრიალებული ქალი. ძილსა და
მოსვენებას არ აძლევდა. ღანძლავდა,
თათხავდა. დათვლილი წუთები აქვსო

და მოუთმენელს უთმენდა ქვეყნის
რულებელს — უსრულებლად მტკიცე იმე-
იტანჯა, ექვს წელს შავი ატარა გულმ,
ქმრის დანატოვარ ოჯახს მოუარა, მო-
უსათუთა. მეტი რა ექნა?! ახლა მახლი
ჩამოუდის, ჯუმბერა-ყოჩი, ჩხუბისთა-
ვი, ავგულა, შვიდი წლის გადასახლე-
ბიდან ბრუნდება. ცოლიც კოლონიიდან
მოჰყავს. შინისკენ ეშურებია. უცხო
ზნე-ჩვეულების ქალი გადააქოთებს
აქაურობას... იქ აღარ დაედგომა გუ-
ლოს.

— გულის წვეთებს მოგიტან, ლევანა
ბიძია! — ეჩურჩულება იგი.

— წვეთები არ მიშველის, გულო!

— აბა რა ექნა, ლევანა ბიძია?!

— ბალის მოვლა თუ გეხერხება?!

— რავა არა, ლევანა ბიძია, — თენ-
გოს ახედა ქალმა. თითქოს საფიქრალს
მიმიხედნენო, ცრემლი გარეოდა ხმა-
ში.

— ობოლ გოგოს თუ გაზრდი...

— რავა არ გავზრდი, ბიძია! — კი-
დევე უფრო დიზაფრა ქალი.

— წამომაყენეთ ახლა.

აქეთ-იქით ამოუდგნენ, მხრები შეა-
შველეს...

— დედაშენი თუ გენატრება, ბიჭო?
— მოხედა თენგოს.

— სამჭერ ჩამოაკითხა, — გააცხადა

ქალმა, — თქვენთან მოსვლა ვერ გა-
ბედა. მშენებლობაზე ნახა თენგო.

— დასამალი რა იყო, შე კაცო, —
გახედა ძმისწულს. კიდევ რალაც უნდა
ეთქვა. მაგრამ ვერ შეძლო. ვერ მოა-
ხერხა. უფრო სწორად, სოფლის შუა
გულში ხმაურმა იმატა და იქეთ გაეჭ-
ცა სმენა. მინელებული მაჯისცემა აუჩ-
ქარდა, ხმაური შორეულ ექოს ჰგავდა
და თანდათან მატულობდა. ისმოდა ძა-
ღლების ყეფა წვეწკავი, მანქანის გუ-
გუნი და ადამიანების გაუთავებელი ყა-
ყანი. ქალების ხმა ქარბობდა.

შედგა ლევანა. როგორც მხეცი მო-
ყნოსავს სივრცეს, მონადირის ნაბიჯს,
ღენთის სუნს, მოახლოებულ ფათე-
რაკს. ისე იყნოსა თუ იგრძნო. შორი-



ახლო დატრიალებული ცოდვა-მადლი.

— რა ამბავია? — იკითხა.

კოტი კიოდა ხევში, მერე ნაბიჯები ჩაესმა. „მიშველეთ!“ — იძახდა ქალის ხმა: სანამ ახალგაზრდები გავრკვეოდნენ. აზრსა და უნარს მოიკრებდნენ. მოსაყვამბული. ტკივილისაგან მოჩოლოფოთებული სხეული ერთბაშად შეუმავგრდა კაცს. ერთ ეუნთად იქცა.

— გელა! — ამოიხავლა.

— ბიძია! — იღრიალა თენგომ. — სად მიდიხარ?

— ჩხუბია... იქ... იქ... გელა...

უცვე გარბოდა ლევანა: ადამიანის ცხოვრებაში ზოგჯერ წუთიც დიდი მანილია. გაიწელება, გაფართოვდება იგი და ვერაფრით ვერ მიწვდები, ვერ შეაჩერებ, ვერც დაასრულებ. ის უსიამო წუთი გაწოლილიყო ახლა. სოფლის ბოლოს ატეხილ ხმაურსა და ლევანას შორის. ის წუთი იყო ხელ-ფეხს რომ უბორკავდა, ხუთავდა: არადა. მთელი ძალით გარბოდა, თითქოს წამმზომით მოსდევდა ვიღაც... ფეხდაფეხ მოჰყვებოდა. მიასწრებდა, თუ ვერ მიასწრებდა. ის ერთი წუთი იყო ყოველის გადამწყვეტი. ყველაზე საჭირო მანძილი ახლა უნდა გაერბინა. ფეხაწყობილად მოყვებოდნენ თენგო და გულო. არც წინ უსწრებენ, არც ჩამორჩებიან. მათი სიახლოვე ძალას მატებს ლევანას. გულსაც ეხსნება ტკივილი... სადღაა ის ბლუ, ენადამბრველი ბიჭო, ჩიქვანის კარზე რომ ეგდო. ახლა მხრებში გამართული, მკერდაზიდული მოსდევს ფეხდაფეხ... ქალის ჩრდილიც ასდევნებია. ის ჩრდილი გულოსია და იმ სამოყვრო ნაკვერჩხლებზე უნდა დაიწვას, რომელიც მათ საჯიშე კერიას აღვივებს.

მთვარის შუქი ანათებს სიერცეს, წვდება მარნის ბოლოს, ლედვის ფოთლებს, ოწინარის წვერზე დაკიდებულ ვედროს.

იენო სახლი... ეზო... პატრონი... ერთხელაც არ შეპარვია ეჭვი — აქ რა მინდოდა, რაზედ მოვედიო: პირიქით,

შეუწყრა თავს — პირდაპირ შეხვედნოდა უნდა მივსულიყავ და გელას ასავალდასავალს იქ გავიგებდიო.

ამასობაში მიალწია კიშკარს.

— რა ამბავია? — ეი არ იკითხა. ამოიხრიალა.

— მიშველეთ! — ჩაესმა პასუხად. — ეკია, შვილო გელა გელა. — ავიღე და ქალი. ყველანი აქ იყვნენ. უკლებლივ. იყო გაწვე-გამოწვევა. ორომტრიალი, ყვირილი და წიკილი. ერთმანეთში დაგრებილი სხეულები...

რამდენჯერ სცადა ლევანამ შვილი ეპოვა და თავისკენ დაეთრია, ვერ მოახერხა. ვერ იცნო, ველარც იპოვა, ერთმანეთს ურტყამდნენ მომსვლელნი თუ დამხვდურნი. ურტყამდნენ გამეტებით. ლევანასაც უჩხუბია ერთ დროს, უჩხუბია დაუდგომლობა. მაშინ ყმაწვილკაცობის დაუდგომლობა უმტვრევდა ძვლებს, უდუღებდა სისხლს. ეს იყო მაშინ... დიდი ხნის წინათ, ახლა ჩანალებული ლადარია. ძლივს რომ ბეუტავს... ამიტომ უელის ზედახორას გარშემო.

— მიდი, მისცხე, მაგის...

— აგერ ვარ, ბიჭო! — ეს ეკიას ხმაა.

— მიშველეთ! — ეიოდა დედა.

— რა ამბავია! — შორს, ძლიერ შორს იკითხა მამაკაცის ხმამ. იცნო გელამ — მამა იყო. მორბოდა.

უცებ დანამ გაიელვა. ლევანა შვილს გადაეფარა და მწვევე ტკივილმა დაურბინა სხეულში.

არე ჩამობნელდა. ვიღაც ჩამოეფარა. მთასავით ჩამოწვა. ჭერ ყრუ კვნესა გაისმა... მერე თანდათან გაგრძელდა... გაიწელა... უკიდევანო იყო ეს კენესა.

— მამა! — იღრიალა გელამ.

ტკივილი არ გაუგია ლევანას. ძველმა და ახალმა ტკივილმა ერთმანეთი გადაფარეს. მთელი სხეული, გულ-მუცელი ერთიან კოცონად უქციეს. სანამ გონზე იყო, შვილის გაუთავებელი

ღრიალი ესმოდა და ის იყო ყველაზე მეტად რომ ტანჯავდა.

— გამიშვით, მოკვლავ, — ღრიალეზდა ის, — მამა! მამა!

აჩერებდნენ. აწყნარებდნენ. ბორკავდნენ.

ნელ-ნელა დახუტა თვალები, სმენას შეეძლო მოეტანა ყველა ხმა, ძახილი, ქვითინიც... გულო რომ დასტიროდა, ისიც ესმოდა. შეჩვეულია ქალი მწუხარებას, ტირილსაც მოხერხება უნდა.

კვლავ ესმის ხმები. სულ ცალ-ცალკე, სულ გამორჩევით.

— ხელი არ გაანძრო, გესვრი! — იცნო ბონდოს ხმა, თითქოს მილიციელის სამხრებზემაც გაიელვეს სულ ახლოს.

— სად მიხვალ, შენი...

— მესამე გაქცა... დაიჭირეთ, ჩქარა!

— შექპარით! მანქანაში ჩაყარეთ. მე მაგათი... — ბრძანებდა, ქუხდა, ტრიალებდა ბონდო.

— მე მოვეუვლი მაგათ... მე მაცალეთ. კვლავ მიხელდა ხმები, ლამის მიწყდა. ისევ...

— მოდი, ბიჭო, აქ... შენ მოდი, ეკია? ამათი ძმაკაცი ხარ!

— ჩემთან რა გინდა, ბონდო ბიძია!

— რაც მინდა, იქ გაჩვენებ... აბა, ჩქარა!

ქშენა, ჩოჩქოლი.

— ეკია, შვილო! ბონდო, სად მიგყავს ბალანე... გაუშვი.

— ბალანე ხომ?! ეკის მოკვლა ხომ შეუძლია.

— ვაიმე, შვილო...

მეტი აღარ გაუგია ლევანას, ერთმანეთში აირია ხმები, აიწეწა. მოსმენა ჭირდა. თანდათან დაიძრა ტკივილი, სიმწრით ამოიგმინა. მერე ამოყვა ზევით... სულ ზევით... გულისკენ მოიწევდა. ოდნავ მაინც რომ ჩაეთქვა სული, ოდნავ მაინც რომ მოეთმინა... რაღაცას ეწეოდა, რაიმე საშველს გამოიხავდა... ამიტომ იყო, ნელ-ნელა ააფოთალა თითები. თავდაპირველად თი-

თქოს ამოწმებდა — ისევ მსგავსედა ბურად იმორჩილებდა სხეულს. ცალკეულ ნაწილს თუ... მკლავი რომ შეანძრია და თითები აამოძრავა, ეამა.

— არ გაანძროთ.

— ნელა... საკაცე.

— აქეთ... სინათლე მოანათე!

— ბამბა მომეცი. ასე... ახლა სპირტი, დაწყნარდით. საშიში არაფერია. — ნუშიყო ექიმის მკვეთრი, ფოლადიანი ხმა იცნო.

— მანქანის კარი გააღეთ, ნელა!

— სად მიგყავთ!

— სასწრაფოდ საავადმყოფოში უნდა გადავიყვანოთ. არ გაანძროთ, ასე.

— მეც მოვდივარ! — გელას ხმა იცნო.

— დარჩი, გელა... საშიში არაფერია.

— არა! მოვდივარ!

ციმციმ ასწიეს, ფრთხილობდნენ. კანკალებდნენ. ოფლიან შუბლზე, დასისხლულ თითებზე, დახუტულ თვალებზე კოცნიდა ვილაც. თან ზღუქუნებდა — „მამა... მამა...“

— მოსცილდი, შვილო, მოსცილდი, გელა!

— ლევანა ბიძია, ლევანა ბიძია! — ეს თენგოს ხმაა. ყველანი აქ ყოფილან. თან მოყვებიან.

არ გაუგია, როგორ აიძრა მანქანა, კვლავ მოავლო თვალი გარშემომყოფთ. ყველანი აქ იყვნენ... მთელი სოფელი. უსიტყვო წრე შეეკრათ და ამ წრეში მოექციათ ის. მალა მთვარის შექით გადასარკული და ვერცხლისფერში გაფოფინებული ცა მოჩანდა. ნელა მიიწევდა მანქანა. უძრავად გაშოტილ ლევანას თანდათან ეწრიტებოდა ფერი, მისდიოდა გული... გრძობდა, როგორ გაეიყინდა სამოსი სისხლით...

მერე ბინდბუნდში, მდინარის შხული ჩაესმა და რაღაც გაახსენდა, მაგრამ კერძოდ რა, გაუძნელდა გარკვევა. მდინარის დგაფუნი ახსენებდა ძალზე ახლობელს, ძნელად დასაეწიყებელს... მისი სახელი ადგა ენის წვერ-



ზე. მისი სახე განფენოდა თვალის უკე-
ზე. შეხმინება ვერ გაებედა... სდუმდა
და დემილით იწურავდა ცრემლის
ობოლ წვეთს.

ხელი ასწია და მოუხმო...

— რა იყო, მამა?

— გააჩერეთ...

ხმა ჰქონდა დაბალი და სადღაც სი-
ღრმიდან მოდიოდა.

— რატომ, მამა?

— გაა... — ვერ დაამთავრა, საწყ-
ლად ამოხედა.

— რაშია საქმე? — იყვირა გელამ.
შაქაროს მივარდა, — არ ვესმის, გა-
აჩერე.

დაფეთებულმა და შიშატანილმა შა-
ქარომ საჭე შეხარა, ლობეში თავშერგუ-
ლი მანქანა ჩადუმდა. სულ ახლოს მდი-
ნარე ხმაურობდა, შეხეფებს ისროდა...
გრილი, მაკოცხლებელი ჰაერი უბერა-
ვდა. სიწყნარე იყო.

— მღერიან... — ჩაილაპარაკა ვილა-
ცამ, — ჩვენი ბავშვები ბრუნდებიან...
განათებული, ერთიანად ახმაურებუ-
ლი ავტობუსი შემოდგა ხილზე.

XXVI

დიდი ხნის წინათ ნახულ სიზმარს
ჰგავდა ამაღამდელი ღამე. გაურკვევე-
ლი და უჩვეულო იყო იგი. ასეთი წუ-
თები სამუდამოდ ამახსოვრდება ადა-
მიანს. როცა მთვარემ სივრცე გააფო-
ფინა, სიამით აუფართხალდა ანიკოს
გული, ვერცხლისფერი სხივები იმ სიზ-
მარეული ბედნიერებეს გაგრძელებას
ჰგავდა, წამეული განათებით რომ ახ-
სენებდა თავს.

მერე ხელახლა უბრუნდებოდა ფიქრს,
რომ ეს ღამე განუმეორებელი იყო მის
ცხოვრებაში... რომ ასეთ წუთებს ერ-
თხელ გიბოძებს წუთისოფელი და გა-
ფრთხილება სჭირდება... დამახსოვრე-
ბაღ.

ორგვლოვ ატორტმანებული ხმაური
არც ბოჭავდა და არც ათამამებდა მას.
არაფერი ესმოდა. იყო მარტო ღია

ფანჯრიდან მოფარფალე კაპიტანის
ცოცხლებელი ჰაერი, ცისფერი სხივებით
მოსირბული დედამიწა. უსასრულობი-
დან ახლობელივით მზირალი ვერცხ-
ლისფერი ბურთი და... თორნიკე. იგი
მის გვერდით იჭდა. სხვას დანარჩენს,
ხმაურს, გოგო-ბიჭების სიცილს, სიმ-
ღერას, დოლის ბუხუნს მასთან არაფე-
რი ჰქონდა საერთო...

უცებ ერთბაშად შედგა. შეზავდა
ავტობუსი. მძიმედ ამოიქმინა და დად-
გა.

— რა მოხდა? — იყითხა თორნიკემ.

კარი გააღეს.

— ავარია?

— შაქაროს მანქანა! — იკვილა ვი-
ლაცამ.

— ვისი?

— ჩვენი კოლმეურნეობის...

— გამიშვი!

ერთმანეთს მიაწყდნენ აკივლდნენ,
აწივლდნენ, ფეხებში ედებოდნენ, ჭი-
კაობდნენ, გასწრებაზე იყვნენ.

— რა მოხდა?

— კვდება...

— ვინ კვდება?

გარბოდნენ აფორიაქებულები, გა-
ფითრებულები. ყველას ენაზე ეყიდა
— „რა მოხდა?“ „რა იყო?“ არავის
წესიერი პასუხის გაცემა არ შეეძლო.
არც არაფერი ესმოდათ, რადგან ადა-
მიანებს ყველაზე მეტად უკვირთ და
არ სჭერათ სიკვდილის.

შაქარო-შოფერი ხან ერთს მივარდე-
ბოდა, ხან მეორეს, ტიროდა, ზღუქუ-
ნებდა, ერთ გოგონას გული შეუწუხ-
და, იგი ყველაზე ადრე მივარდა მან-
ქანას. მეორეს ტირილი წასკდა, ყურს
არავის უგდებდნენ, ვერც ვერაფერს
არჩევდნენ. წიოდნენ.

— დაწყნარდით, ბავშვებო, რა ამბა-
ვია!

— მოცილდით მანქანას!

— აღით ავტობუსში... ჩქარა! — ეს
თორნიკეს ხმა იყო.

ფანჯარაში თავწარგულ ანიკოს,

ძირს ჩამოსვლა არ უფიქრია. შეუცნობელი ძალა უბორკავდა ხელ-ფეხს.

— რა მოხდა?! — კითხულობდა მალიმალ. რაკი პასუხს ვერ ეღიბა, დაელოდა, დაბრუნდებიან და... გავიგებო.

— ანიკო სად არის? ანიკო? — იკითხა ვილაყამ. ნინუცა მასწავლებელი იყო, შემფოთებული, ცრემლნარევი ხმა ჰქონდა.

— აგერ ვარ... მასწავლებლო... — ვერ გააგონა.

წამოვარდა გოგო, ერთნაირად ათახთახებული მივარდა:

— აგერ ვარ, აგერ...

მოხედა ქალმა. როცა ანიკოს შიშისაგან გაფითრებული თვალები დაინახა, შედგა.

— არაფერი... — კიდევ უფრო დაწყნარდა... — არაფერი.

მასწავლებლის მიჩუმება იმდენად საშიში არ ეჩვენა ანიკოს, ამხანაგების სახეებმა შეაძრწუნეს...

— რა იყო... მითხარით!

გოგო-ბიჭები რალაცნაირი დაფეთებით შესცქეროდნენ ანიკოს. მოახლოებას ვერ ბედავდნენ, წრეს კრავდნენ, ირგვლივ უვლიდნენ.

— რა მოხდა? — იწივლა ანიკომ.

— მამაშენი, — წაიზმუვლა ცილაძე.

— მამაჩემი?! სადაა?

გაჩუმდნენ. ერთბაშად გამოერყვა გოგო, ერთი მოქნევით გაუსხლტა ამხანაგებს, მიაშურა. მივარდა. პირველად ვერაფერი გაარჩია. ვინ იყვნენ ან რა უნდოდათ ჩაბნელებულ მანქანაში. რატომ იყო ასე სიჩუმე. რაზედ

გუგუნებდა ასე საწყლად მანქანისკენ ვალ ძრავა... რად უმალავდა უფიქრეს ისიდორე თავმჯდომარე, ან ბონდო მილიციელი. მათ ზურგს უკან ვინ იდგა ასე მოკუჭული და მოსრესილი? გელა! მისი მამა! იგრძნო, როგორ შეუთრთოლდა გული. გაუარა შიშმა და უსიამოწინათგრძნობამ, გელას გვერდით თენგო იდგა... თავდახრილი და ნიკაპაქანკალებული.

არადა, გადაირია მთვარე, აფინა და აფინა სხივები. ხელისგულზე გაიფინა ყველა ბუჩქი და რიყის ქვა. ნათელი სხივი კონებად შეკრა და თავსასთუმლად დაუდო უძრავად გამოტილკაცს.

— მამა!

ნელ-ნელა შეაყოლა თითები, ჭერ მუხლებს მიწვდა. მერე შეკრდსა და თვალის უპეებს. ბალღივით დამყოლი ჩანდა.

— მამიკო! — გაიმეორა ჩურჩულით.

გულწასული კაცის სახე ჰქონდა მომაცვდავს, ფერჩათეთქვილი და ბაგეშეკრული, თვინიერი გახდომოდა სხეული, თითები მოშვებული და ძალაგამოცლილი.

— რას გერჩოდნენ, მამიკო? — ჩასჩურჩულა.

ქალიშვილის თითების შეხება, მისი ჩურჩული და მითრთოლვარე ხმა, სადღაც, უსასრულო, გაურკვეველ ბურანში ჩაესმა მომაცვდავს. ჩაწვდა როგორც ძაბილი... აღერსი... სითბო... სხეულის უკანასკნელმა თრთოლვამ იგრძნო იგი...

სდუმდნენ ყველანი. გშვიდი, დაღლილი კაცის ძალით ეძინა ლევანას.

• • •

წვიმს და...
 ვით ნიჟარას ლოკოკინა,
 ჩემს თავს
 მერამდენედ ვუბრუნდები...
 ცივია წუთებივით ფანჯრის შინა,
 წვიმა ჩემს გზებს ადევს,
 ვით ხუნდები...
 წვიმს და...
 ცამ ტირილი ვერ დალია,
 მიწა, ვით დედის რძეს,
 ცრემლებს ირგებს...
 დარდი დაღუპული მერცხალია
 გზად რომ გამოაყლდა ფრთოსანთ
 რიგებს...
 წვიმს და...
 ყველა სადღაც მიიჩქარის, —
 ხალხი ათას ჭურის და გაგების...

ლიაა ჩემი სახლის კარი
 და წვიმის წვეთივით ვიკარგები...
 წვიმს და...
 მზე ღრუბლებში მემალება,
 მინდა შენს მზე სულთან ვაქორწინო
 სული და დარდს დარდი ენაცვლება, —
 გული რამდენ რამეს ვამყოფინო...
 წვიმს და...
 შეერია ღრუბლებს ქარი...
 ვტოვებ,
 ვით ნიჟარას ლოკოკინა,
 ოთახს,
 მარტოობას მივიჩქარი
 მისკენ, ვინც სიცოცხლე მაგრძნობინა...
 წვიმს...
 გარეთ წვიმს...

• • •

ცა ლურჯად ბოლავს, ტორტმანებს
 ნისლი
 და თითქოს ფეხქვეშ მიწა მეცლება...
 ვერ გამიგია მოვედი რისთვის,
 რა მიუიკვირეს დილით მერცხლებმა...
 ვერ გამიგია, გული ამხელა
 ვინ მომცა...
 ასე რატომ ვმუნჯდები...
 რად მეშინია მისი გამხელის,

რითაც სავსეა ტვინის უჯრედიც...
 და შენ იზრდები ნათელ სვეტივით
 მწველ სინანულის ოკეანეში...
 ფიქრით გიმზერ გულდაწყვეტილი
 და წუთი არ მშამს თრობის გარეშე...
 ჩემზე გამწყრალი მუზები ვიხმე
 გულმოსაკლავად მოვლენ ახლავე...
 შენა ხარ ჩემი სურამის ციხე
 და ჩემს სიყვარულს შენში მარხავენ...

იმ დღეს ზამთარში გასაფხულდა

გერმანელ ანტიფაშისტ ზარლოტა შტოლს.
 დღეს ზარლოტამ მაცნობა:
 „საბჭოთა ჭარები აღმოსავლეთ პრუსიაში შემოვიდნენ, მამაჩემმა
 მოისმინა სარდაფში, რადიოთი...“
 ლმერთო ჩემო! ამას რას მოვესწარი? გული მაგაბუგით მეზღება
 მკერდზე. გავიდა სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დადგა ზამ-
 თარი.

ჩემი დღიურიდან
 1944 წელი.

თოვლი მოსულა, თეთრად გათენდა,
 (შენ, შენი ქვეყნის ზამთარს აქებდი),
 თოვს, თეთრმა თოვლმა ვერ გაათეთროს
 ამდენ ცოდვილთა შავი საქმენი.

დამპირდი:

— პურთან გულსაც გაგიყოფ,
 მეფიცებოდი, ფიცით მალხენდი,
 ჰქრის ქარიშხალი, უფსკრულს წაიღოს
 მტარვალთა დროშის ყველა ნაფლეთი,
 სვასტიკიანი დროშის ნაფლეთი.

ერთად შევხედოთ, როს ქარიშხალი
 უფსკრულში ჩაპყრის დროშათ
 ნაფლეთებს,
 სვასტიკებიან დროშათ ნაფლეთებს,
 ველარ გვაშინებს ეპი სისხამი,
 აღექ. თავდახსნალ დიდ მზეს გახედე!

გამოდი გარეთ,
 ნუ დაახანებ,

გახედე, მთებზე მოუთოვია,
 მორბის ჩანჩქერი და მოხარხარებს,
 ჩამოიქროლე თოვლში თოლია.

თოვს, თეთრი თოვლით შეიმოსება
 ნაძვები მწვანე ნაბღიანები,
 ცამდის ასულან კვიპაროსები,
 ავ ზამთარს თვალებს უბრიალებენ.

შეხედე მუხას — ზამთრის მასპინძელს,
 მუხას სიცივის არ ეშინია,
 გაულელია ზვიადს საკინძე,
 არარად აგდებს ავდარს ქინიანს.

ფოთლებგაცლილი ვიყავ ჰადარი,
 თოვლ-ყინეას შიშით აღარ გავეყურებ,
 შენ მომეც სულის თავშესაფარი,
 შენ, თბილი კალთა გადამახურე.

აუწყვეტიათ ქარებს აშარებს,
 ფრთების ლაწანით ბარს დასცემიან,
 ლელე ჩუხჩუხით მიეშურება,
 ლელე თოვლიან მთას გაქცევია.

ჩამოიქროლე, ჩემო თოლია,
 ერთად დავუხვდეთ ზამთარს თოვლიანს.

თოვდა...
 ჯალათი-ყამი გვიხმოზდა,
 განშორებისას რეკდა, გვეძახდა,

შენ გაზაფხულის მახაროტელად...
 თოვლ ქვეშ ფხიზლობდი თეთრი
 ენძელა.

1944 წელი,
 ვაიბურგი

• • •

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მინაწერი

სამშობლოში ვარ, ამ დღეს ველოდი,
 წაშედნენ წლები უამინდობის,
 გიგზავნი სალამს საქართველოდან:
 „აწ და მარადის,
 მარად მშვიდობის!“

1945 წელი,
 თბილისი.



მ ს ე თ ს

ჩემო ოსეთო, ჩემო მიწავ, ჩემო მამულო,
სიკეთევე დედის, სითბოვე დედის, დედის ალერსო,
ათიათასჯერ უბედობით სისხლდანამულო,
მოყვრისთვის ტყბილო, მომხდურისთვის ხმალო ნალესო!
ჩემს გულში შენი სანდისია, შენი იმედი,
ჩემო სააქენევე, შენ ხარ ჩემი ძვალთშესალაგიც,
რამდენსაც გიმღერ, რომ გიმღერო ათასჯერ მეტი,
ვინ გადიხადა ქვეყანაზე მშობლის ამაგი!
შენ რომ მცირე ხარ, მე იმის თქმას როგორ გაეხედავ,
როცა სამყაროდ დაგისაბა გულმა პოეტის,
მზე ხარ შენ ჩემთვის, მზეზე მეტიც, მშობელო დედავ,
უკუნ ლამეშიც შენი შუქით მასაზრდოვებდი.
დრო გარდასული, ვით ნახმლევი ვაეკაცის სახეს,
გაჩნია ისე — და მოწამე არის ყოველი,
რომ მომხედურებმა დაჩოქალი ვერასდროს ვნახეს,
რომ მუდამ გენთო სახლში ცეცხლი გაუქრობელი.
მეგობრებისთვის რაც იყავი, — თვითონ იციან
მშობის ადათის, მშობის წესის მუდამ ერთგული,
ათასჯერ მითქვამს და ათასჯერ დამიფიცია,
რომ მტლად ედები, მუდამ, მომმედ ვინაც გეგულეის...
ქველი რომივით შენ შენს ცეცხლში როდი დაიწვი,
შენ აღსდექ მკვდრეთით, გადიყარე მხრებიდან ფერფლი,
მიტომ სხეული აკრილი გაქვს ათასი ხიწვით,
მაინც ვერ გამოვებს ქამთალმწერი დროისგან შეცვლილს:
შენ ისევე შეგრჩა შენი სახე, შენი იერი,
შენი მინდერები და ხევები მადლოთ აივსო,
შენ ერთდროულად ახალგაზრდაც ხარ და ხნიერიც,
ლამეც მზე გადგას და ზამთარში ისევე მაისობ:
შენ როგორც ბრძოლა, შრომაც იცი მუხლჩაუხრელი,
ხორცი ხორცითან და სული სულთან მტყიცედ შერთული—
ჩამდგარხარ წრეში, ჩაგივლია მშობისთვის ხელი,
მთებს შეშურდებათ მოზეიმე თქვენი ფერბული,
შენი სიმღერა ჩანჩქერებად მთიდან ღვარად დის,

ვით ახდენილი წინაპრისგან თქმული არაკი,
დე, გაზაფხული იყოს შენა მუდამ მარადი,
დე, შემოდგომა მუდამ საესე გქონდეს ბარაქით.

ჩემი ბავშვობა

ჩემო ბავშვობავ, როს გახსენებ, მეწვის ლაწვები,
თუმც დროისაგან მოგონება თითქოს გახუნდა,
მთვარიან ღამით, თბილ ლოგინში როცა დავწვები,
ჩემი ფიქრების შუაგულში შენა ხარ მუდამ.
ჩემი ლექსების შუაგულშიც შენა ტრიალებ,
იმ მღელვარ დღეთა თამადა ხარ შენ შეუცვლელი,
სადა ხარ ახლა, ჭალის ჩრდილს სად მიაშრიალებ,
გამო ბნელიდან, გადიქროლუ ჭენებით ველი.

რაც წლები ვადის, მოგონებით გული მეცვება,
უფრო შაქრდება, უფრო ტბება შენზე ფიქრები,
სევდის ნარღვევი შენი სხივით დაიკემსება,
ჰა მეც მოგახი, თუმცა ვიცი რომ გამიქრები.
სულში გინახავ უწმინდეს და უქრობელ სანთლად,
თავს დავტრიალებ შენს მშვენებას, ჩვილავით ვუვლი,
განა ვიგონებ, გაზაფხულის დღე ხარ შენ მართლა,
მართლა ნერგი ხარ, სიხარულით ცისკენ წასული.

განა ვწუწუნებ, განა ვამბობ — ვახ, დრონი, დრონი! —
ყოველი სიტყვა ნაღდი არის და მართალია,
შენ ხარ ქორწილში გაწელილი ჭრელი გარმონი,
რომელსაც ახლა საწუწუნოდ არა სცალია.
შენ ხარ ეყვანი, მოელარუნე დილის შუკებში,
ფრთოსნის ყელი ხარ, სამღერლად რომ მოიღერება,
ნათელი შენი, შორი გზიდან მონაშუქები,
ყელზე მეხვევა, ლაწვზე მკოცნის და მეფერება.
ჩემო ბავშვობავ, მწვანე ფიჭვო, წელგამართლო,
შენ ჩემო ფესვო, მადლით ჩემი ლექსის მკვებავო,
შენითა ვშრომობ, შენითა ვწერ, შენით ვფათურობ
და მომავალსაც შენი ძალით უნდა ვედავო.
შენ, მწვანე ფიჭვო, ცული შენ ვერ მოგეკარება,
ვერც ქარიშხალი მოგინელებს, ხმალამოწვდილო,
შენა ხარ იგი, სიკვდილამდე რომ შეყვარება,
და თუკი გამყრის შენთან რამე, მხოლოდ სიკვდილი-

გურამ გვირგვინი

დიდი გზის ერთი მონაკვეთი

(„მნათობი“ 1981 წელს)

1981 წელს „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მხატვრული პროზა (ლიტერატურულ ნარკვევებთან ერთად) მრავალფეროვანია ეპრობორი-ვადაც, თემატურადაც, სტილურადაც. სამი რომანი, რამდენიმე ვრცელი მოთხრობა და ორ ათეულზე მეტი მოთხრობა, ნოველა, პინიატურა, ნარკვევი ერთი წლის მანძილზე ეურნალისათვის ცოტა არ გახლავთ. მთავარი მაინც ისაა, რომ ამათგან ზოგიერთი ნაწარმოები თავისი მხატვრული ღირსებებით და პრობლემატიკის სიღრმით აშკარად მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ მწერლობაში. პროზაზე საუბარს რომანებით დავიწყებ, რომანებიდან კი პირველად გურამ გეგეშიძის „ხმა მლაღადებლისაზე“ მოვხსენებთ.

თავიდანვე უნდა განვაცხადო, რომ „ხმა მლაღადებლისა“ არა მარტო ერთი ეურნალისა და ერთი წლის, ან ერთი მწერლის შემოქმედების მასშტაბით, არამედ საერთოდ თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ დიდად მნიშვნელოვან რომანად მიმაჩნია. ჩემთვის, ეგონებ სხვებისთვისაც, მოულოდნელი იყო მისი გამოჩენა. გურამ გეგეშიძის პროზის ინტერესების სფერო, რაც მთავარია მისი თავისებურებები თითქოს უკვე გარკვეული, მკითხველისათვისაც ნაცნობი იყო. ამ ახალი რომანით კი მწერალი სხვა კუთხით, ნიჟის სხვა, აქამდე გაუ-

მელანებელი თვისებებით წარმოგვიდგა.

გურამ გეგეშიძის სახელი და ავტორობა უკვე გულისხმობდა იმას, რომ მხატვრული ნაწარმოები მთლიანად თუ არა, მეტწილად მაინც ანალიტიკური ხასიათისა იქნებოდა, ფართო და ვრცელი ფილოსოფიური თუ ფსიქოლოგიური მსჯელობებით, დაკვირვებებით, დაპირისპირებებით. ერთგვარად დამძიმებული სტილით, ზოგს მეტად მოსწონდა ეს, ზოგს იქნებ ნაკლებადაც, მაგრამ გურამ გეგეშიძის რომანს ყველა ერთნაირად შეუმცდარად სცნობდა და არჩევდა. „ხმა მლაღადებლისა“ მწერლის შემოქმედებით ბიოგრაფიაში თანდათან და შესამჩნევად, ნელა და ჰიუტად აღებული სიმაღლე არ არის, იგი ერთობაში მოვლენაა, კლასიკური რეალისტური რომანის, შეიძლება ითქვას რომან-ეპოპეის შესანიშნავი თანამედროვე ნიმუშია.

აქ მოქმედება სწორედ კლასიკური რეალისტური მწერლობის ეპოქაში ვითარდება და იქნებ ვინმემ ამითაც ახსნას ამგვარი ეპრობორიული სიახლე გურამ გეგეშიძესთან. არა მგონია ეს სწორი იყოს. ნაწარმოების თავისებურებას, უპირველესად, მწერლის მხატვრული აზროვნების მიდრეკილება განაპირობებს და მხოლოდ მერე სხვა ყველაფერი. აქამდე გურამ გეგეშიძე ერთი გარკვეული თავისებურებით იყო წარმოდგენილი, თანაც იმდენად

დიდი ხნის მანძილზე და ისე საფუძვლიანად, რომ ეს მისი ნიჭის ერთადერთ გამოხატულებად ჩანდა. ახლა მწერალმა სულ სხვა, შეიძლება ითქვას, საპირისპირო საშუალებასა და ხერხს მიმართა თავის ახალ ნაწარმოებში და პირველსავე შემთხვევაში ისეთი განსაკვირვებელი ოსტატობა გაამჟღავნა, უთუოდ გაუყვირდება კაცს. ძალაუნებურად წამოიჭრება კითხვა, რომელი გზა და საშუალება უფრო ორგანული ჩანს მწერლისათვის, რომელი შეიძლება ერჩიოს მას მწერლისათვის ჭერჭერობით ორგანული (აღბათ მაინც ხანგრძლივი და მყარი გამოცდილების გამო) ფსიქოლოგიური პროზა და ფილოსოფიური რომანი ჩანს, თუმცა ამ სიღრმისეულ ძიებებთან ერთად, მხატვრულად საინტერესო სწორედ ფართო, მასშტაბური ხედვით დახატული სამყარო გამოუვიდა, თავისი ჩვეულებითა და ყოფით, სოციალური და პოლიტიკური ასპექტებით, ხალხის ცხოვრებისა და სულისკვეთების გამოხატულებით. მე არ მეყოფა საიმისო თავდაჭერება, გურამ გეგეშიძეს ამ ორი გზიდან ერთ-ერთი დაბეჭითებით ვურჩიო. თავს მხოლოდ საერთო შთაბეჭდილების გამოვლენის უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ ამ ახალ რომანში უკეთ დავინახე მხატვარი.

გურამ გეგეშიძე ჩემთვის თანაბრად საინტერესო მოაზროვნეა — მაშინაც, როცა პიროვნების სულის სიღრმეებს იკვლევს და მაშინაც, როცა ხალხისა და ეპოქის სულისკვეთებას ხსნის, რადგან მწერალი არცერთ შემთხვევაში არ არის ორდინალური, იგი ყველგან და ყოველთვის განუმეორებელია. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, ეს ახალი რომანი წინათაგან იმითაც განსხვავდება, რომ აქ არამცთუ ნაკლებ, სულაც არ შევხვდებით „არაპროზაულ“, არამხატვრულ, მსჯელობებით გადატვირთულ ადგილებს, რომლებიც საკმაოდ ხშირად ვრცელ პერიოდშია გადაზრდილი და მხატვრული სამყაროს შეგრძნებას გიყარავთ. თუმცა ისიც ცხადია, რომ ამგვარი ბასიათის სირთულე (თუ ნაკლი) მეტნაკლებად საერთოდ ახასიათებს ანალიტიკურ რომანს და მეტი სიფრთხილე სწორედ აქა მართებს მწერალს.

თომას მანმა სოციალური რომან-

ეპოპეით დაიწყო და ფილოსოფიური პროზით დაასრულა (თუმცა, ბოლო, დაუმთავრებელ რომანში თითქოს დაეტყო ძველისაკენ მიბრუნება). გურამ გეგეშიძე პირიქით იქცევა. მონაცვლეობის სხვა ვარიანტებიც არსებობს. მწერლობა იმითაც არის მშვენიერი, რომ ერთი მეორეს არც უარყოფს და არც უპირისპირდება. ენახოთ, საით გაუწევს გული გურამ გეგეშიძეს, საით წაიყვანს მას მისი ნიჭი. ჩვენ ერთი რამ შეგვიძლია მხოლოდ: გავამხნევოთ იგი ამ ახალ გზაზე და გულწრფელად ვუთხარა, რომ ეს მისთვის უჩვეულო და ჩვენთვის მოულოდნელი რომანი „ხმა მალაღდებისა“ ნამდვილად კარგი, მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებია.

ამ რომანით კიდევ ერთხელ ისიც შეიქმნა აშკარა, რომ ჩვენი გატაცება „თანამედროვე რომანით“ ზედმეტად აღტკინებული იყო, ძველისადმი დაპირისპირება კი — ცალმხრივი და უმართებულო. თურმე, ტყუილად ვფიქრობდით, რომ რეალისტური რომან-ეპოპეების დრო წარსულში დარჩა.

გურამ გეგეშიძის ახალ რომანში ქართული ცხოვრება დროისა და სივრცის თვალსაზრისითაც უაღრესად ფართოდ, პანორამულად არის დანახული და გახსნილი. მოქმედება იწყება ბატონყმობის გაუქმების პირველ დღეებში და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოდის. მოქმედება იწყება ერთ უბრალო, ჩვეულებრივ ქართულ სოფელში და ნელნელა, თანდათანობით იშლება და სწვდება არა მარტო ფოთს, ბათუმს, თბილისს თუ რუსეთს, არამედ ევროპის და კიდევ უფრო შორეულ ქვეყნებსაც. ამხელა ვარემოს და ამსიგრძემ დროს, ათეულობით გმირებს (პერსონაჟებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) მართლაც დიდი მოვლა უნდოდა და უნდა ითქვას, მწერალმა კარგად გაართვა თავი ძნელ საქმეს.

რომანში ისე იქსაქსება ყველაფერი, სიუჟეტი იქნება თუ ოჯახები, რომ ამის კვლავ თავმოყრა და შეკერა აშკარად რთული ამოცანის წინაშე აყენებდა ავტორს. ჩემი აზრით, მან დაძლია ეს სირთულე, კომპოზიციის შესამუშარი უნარი გვიჩვენა აქ არამცთუ სიუჟეტური ხაზები იყვანებოდა კვლავ.

არამედ მხატვრული დეტალებიც კი თამაშდება მოულოდნელად და შესაყავშირებელ მასალადაა გამოყენებული. მწერალს ისედაც ბევრი სიბრძნე ედო წინ და ამგვარი დეტალების არდავარყება თუ ოსტატური გამოყენება თითქმის მოულოდნელიცაა და მართლაც საქებარიცაა.

რამედ დეტალს ერთგვარი სიმბოლური მნიშვნელობა თუ ენიჭება და მხატვრული ფუნქციაც აშკარად შესამჩნევია, მაშინ ისერიგად აღარ უნდა გაგვივირდეს მისი კვლავ და კვლავ გათამაშება რომანის მანძილზე. როცა მომავლადვი გოგიელა თავის თოხს შეიღს უტოვებს და შესთხოვს, მან თავის მხრივ საკუთარ შეიღს, მაშინ ჯერ სულ პატარა მიხაკოს შეუწახოს, ჩვენთვის აშკარაა, რომ ეს დეტალი კვლავ შემოგვხვდება წინ, რადგან მნიშვნელოვანი აზრობრივი მუხტის მქონეა. მართლაც, რომანში ვრცელი მანძილის გავლის შემდეგ მოწიფულ შეიღს მამა თოხსაც გამოუტანს და ბაბუამისის ანდერძსაც გადმაცემს, მაგრამ მიხაკო სხვას ირჩევს, ჭალაქის გზას დაადგება ბედის საწევად. კიდევ უფრო გვიან, რომანის დამასრულს მიხაკო მაინც უბრუნდება სოფელს, გლეხურ ცხოვრებას და თუმცა მწერალი აღარ ახსენებს ნაანდერძვე თოხს (იქნებ იმ მიზეზითაც, რომ მიხაკო მაინც ვერ ელევა რკინიგზას და ამდენად იგი „ერთდროულად გლეხიც იყო და მოსამსახურეც“), ჩვენ მაინც გვახსოვს, იგი, მისი ფუნქციაც. ეს კი მათეორიკონებს, რომ აჯობებდა ფინალში მისი კვლავ მოხმობა.

უფრო გასაკვირი ისეთი დეტალების არდავარყება და გათამაშებაა, რომელთაც ამგვარი დიდი ფუნქციური დატვირთვა არ გააჩნიათ. თავად გურიელის მიერ თავში გაჩუქებული ოქროს სამაჯური მერვეც რამდენჯერმე გამოჩნდება რომანში და თუმცა თავისი დანიშნულება მასაც აქვს, მაინც იმას უფრო გვაფიქრებინებს, რომ მწერალმა ნიჭთან ერთად გულმოდგინებად ვამბელავნა, როცა ასე დეტალურად დაამუშავა ამხელა რომანი და ყველაფერს დიდსაც და მცირესაც თავისი ადგილი და კავშირებში მოუქმებნა მთლიან სიუჟეტში.

გურამ გეგეშიძის ამ ახალ რომანს

უკვე მოასწრო და წერილი უღვსა ანაიდა ბესტავეაშვილმა („ლიტერატურული საქართველო“, 15 იანვარი, 1982). მართალია, მთარგმნელმა ქალმა კრიტიკოსებში „გაგვანაწყენა“ იმით, რომ ლუქმა წაგვართვა და დაგვასწრო გამოხმაურება, მაგრამ მაინც სამართლიანობა მოითხოვს იმის თქმას, რომ მისი წერილი მთლიანად ძალზე საქმიანი, კარგი, მართებულია. ანაიდა ბესტავეაშვილი მთელ რიგ სიუჟეტურ ხაზებს ჩართულ ნოველებს უწოდებს. შეიძლება ამაში სულ ზუსტი არც იყოს, რადგან ეს პერსონაჟებიც და ეპიზოდებიც, რომელთაც იგი ჩამოთვლის, დამოუკიდებლად, თავისთავად, დასრულებულად არ არიან რომანში. ისინი მოქმედების განვითარებაშიც მონაწილეობენ და სხვადასხვა სიტუაციებშიც გვხვდებიან. ის უკვე სხვა საქმეა რა შთაბეჭდილებას სტოვებენ ამგვარი „ჩართული ნოველების“ გმირები, რამდენად მნიშვნელოვანი ამბავია აქ მოტანილი და როგორი ოსტატობითაა მოთხრობილი.

პასიკოსა და კონსტანტინეს უნუგეშო სიყვარული და მისი ტრაგიკული დასასრული სოციალურადაც მოტივირებულია და თავისთავადაც სენტიმენტალურია, მაგრამ მაინც ბევრწილად ნაცნობია. უფრო მოულოდნელი და ორიგინალურია მშვენიერი, მაგრამ თავნება თავადის ასული ცაცა ციციშვილის ხედვანი. ესეც არანაკლებ ტრაგიკულია და გულისამაჩუყებელი. მართლაც ჭეშმარიტ თანაგრძნობას იწვევს ილიასა შარაშიძის სახე და მისი სიყვარულის ისტორია, მწერლის მიერ დიდი ემოციური ძალით მოთხრობილი. ანაიდა ბესტავეაშვილის დაკვირვებულ თვალი ამ გმირის გამო მასზე მიგვიანიშნებს ილია ჭავჭავაძის მოთხრობაზე „სარჩობელაზე“, მაგრამ მისთვისაც და ჩვენთვისაც ცხადია, რომ ეს მხოლოდ ლიტერატურული პარალელია და არა მწერლის შთამავონებელი პირველწყარო. ესა თუ სხვა ეპიზოდები შეიძლება მეტად მოგვწონდეს და გვალელებდეს, ან ნაკლებად, მაგრამ მათი ორგანული კავშირი რომანის მთლიან სიუჟეტთან ექვს არ იწვევს. მაგრამ ამგვარი ეჭვისაგან ალბათ სულ თავისუფალი არ დარჩება ამ რომანის მკითხველი.

მე მაინც მგონია, რომ „ხმა მლალადებლისაში“ არის ეპიზოდები, სიტუაციები, პერსონაჟები, რომელთა არსებობა მხატვრული ლოგიკის ძალით მეტ-ნაკლებად გაუმართლებელია და მათგან განტვირთვა არგებდა რომანს. გაჭინაურებულია და ბევრწილად ზედმეტია ნესტორ ვარდანის ბიოგრაფიის ევროპული პერიოდი მისი პიკანტური მომენტებითაც და სერბია-თურქეთის ომში მონაწილეობითაც. არაფრისმაქნისად მეჩვენება ის ეპიზოდი, როცა ბეგლარი მარსელში დახვედრილ ნესტორს მსოფლიოს ირგვლივ თავის საზღვაო მოგზაურობაზე, თავგადასავლებსა და ფათურაჟებზე, სხვადასხვა კუთხეთა საოცარ ეგზოტიკასა და მომხიბლობაზე ისე უყვება, თითქოს საყმაწვილო გულუბრყვილო მოთხრობას ვისმენდეთ. არც მადლენის ქალოშვილობის დროის ბიოგრაფია გამოირჩევა საიმპოს ორიგინალურობით და დანიშნულებით, რომ რომანში მაინცდამაინც გამხელილი იქნას. მწერალი საინტერესოდ გვიყვება საინოს ბარათელის თავგადასავალს, ვისაც ინდოეთი და ტიბეტი მოუვლია, ახლა კი იოგების წესებისა და ჩვევების მიმდევარი, მათი მკურნალობის მეთოდების და საშუალებების მკოდნე თანაოფლელებს ანციფერებს. ამისდა მიუხედავად, მაინც უცხო სხეულად, მხოლოდ ორიგინალურობისათვის მოხმობილად ჩანს მისი ამგვარი ბიოგრაფია. ბიბლიის შეგონებების წარმოსათქმელად და გულში ტყვიადახლილი ამბაკოს გადასარჩენად მაინცდამაინც არაფერი საქორია საჩინო ყირაზე მდგომი ისვენებდეს, ან კიდევ ტექსტს ბრმად, მხოლოდ ხელის შეხებით კითხულობდეს. თუ სხვა ამგვარი სასწაულებს ახდენდეს.

ერთი სიტყვით, გურამ გეგეშიძის რომანში „ხმა მლალადებლისა“ ზოგირამ შეიძლება მეტ-ნაკლებად შეუფერებელი და გაჭინაურებული, ან სულა ზედმეტი გვიჩვენოს, მაგრამ ის მაინც ცხადზე ცხადია, რომ მწერალმა კომპოზიციის საოცარი უნარი გამოიჩინა და მკვირვად ნაგები, შეკრული, მშვენიერი, შეიძლება ითქვას უხინჯო ეპიური ნაწარმოები მოგვცა.

რომანს „ხმა მლალადებლისა“ სხვა ლირსებებიც გააჩნია, მრავლადაც გაა-

ჩნია. ყველას აქ ვერ გავწყვედით, ეს აშკარაა, მაგრამ ზოგიერთს მივანიშნებ მაინც.

გურამ გეგეშიძის რომანებიცა და მოთხრობებიც ჩემში ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა, ყოველთვის მიმაჩნდა თანამედროვე ქართული პროზის ერთ-ერთ უაღრესად თავისებურ, განსაკუთრებულ, ღრმა ნაწარმოებებად. მაგრამ თუ ადრე მწერლის მხატვრული აზროვნება იყო მიშვიდვლობის მთავარი ფაქტორი, ახლა ამას სხვაც დაუმატა. კერძოდ, მე ვფიქრობ, მოთხრობელის ნიჭი გურამ გეგეშიძემ სწორედ ამ რომანში გამოაჩინა მთელი სისავსით. უბრალოდ გვიყვება იგი ამა თუ იმ ამბავს, მაგრამ ყოველთვის მნიშვნელოვანია მისი მონათხრობი თავად მამში ჩადებული სათქმელის წყალობით, ან სხვათა ახსნის თვალსაზრისით. ზემოთ მე ნაცნობი და სენტიმენტალური ვუწოდებ კონსტანტინეს და პასიოს სასიყვარულო ისტორიას, რომელსაც თავისთავად დიდი არაფერი მნიშვნელობა აქვს არც რომანისთვის და არც მისი მკითხველისათვის, მაგრამ ამ ისტორიასთან და პერსონაჟებთან დაკავშირებით უფრო მეტად და ღრმად იხსენებთან — სწორედ ამ მნიშვნელოვანი გმირები — მიხაკო, სიმონა, პაპუნა, ბეგლარი თუ სხვები — და მათი განსხვავებული დამოკიდებულება აშკარად ბევრისმთქმელია. მწერალი მართლაც შეუდარებელი ოსტატობით გვიყვება ილიასასა და პაშას ჩუმბი და ნათელი, ტრაგიკული და ამბულბული სიყვარულის ისტორიას. ძნელი გადასაწყვეტია, ვინ ვინა სჯაბნის აქ, გურამ გეგეშიძე-უსიქოლოგი გურამ გეგეშიძე-მოთხრობელს თუ პირიქით. ორთავ როლში შესანიშნავა მწერალი. თანდილასა და მამოს თავგადასავალი, საქართველოს თურქეთთან ომის ამსახველი ადგილები, სიმონასა და დათვის შეხება, მესხეთ-ჭავჭავთის ყოფის სურათები, თუ რომელი ერთი ამბავი და ეპიზოდი გავიხსენო აქ. ყველგან, მთელი რომანის მანძილზე ჩვენ წინ გვიდგას შესანიშნავი მოთხრობელი — ავტორი.

მართალია, გურამ გეგეშიძის „ხმა მლალადებლისა“ ტრადიციული სახისაა, მაგრამ იგი მაინც განირჩევა იმ კლასიკური რომანებიდან, მითუმეტეს

რომან-ეპოპეებიდან, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ და ღიღადაც ვაფასებთ. აქ ვერსად ნახავთ ნებივრად მიშვებულ თბრობას. ეპოქის რიტმი ყველაფერს ასევეს თავის დაღს და ეს ახალი რომან-ეპოპეაც ძველისაგან უფრო ენერგიული, მე ვიტყვოდი ხერვიული თბრობითაც განსხვავდება.

ახლა მხატვარს აღარ იკითხავენ?! გურამ გეგეშიძემ აქაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. იგი თუ აქამდე გმირის სულს უფრო იყო მიჩერებული, ფსიქოლოგიური წვდომის სიღრმითა და ორიგინალურობით ჭკაკირებდა, ახლა მისი თვალის გარე სამყაროსაც ასევე ინტერესითა და ფართოდ აღიქვამს. ეს კონტრასტი განსაკუთრებით საჩინოა სიკვდილ-სიცოცხლის და ბედისწერის საკითხების გახსნისას, რასაც გურამ გეგეშიძის შემოქმედებაში ყველგან და ყოველთვის არსებითი მნიშვნელობაც ეკისრება და დიდი ყურადღებაც ეთმობა.

აქაც, ამ ახალ რომანშიც წინა პლანზე ეს პრობლემები წამოწეული. არაერთხელ დავფიქრდებით ამ მარადიულ საფიქრალზე. მაგრამ აქ უკვე რომანში ვადმოღვრილი ფიქრის, განსჯის, ანალიზის დინებას არ მისდევს მკითხველი, მას არ უთანხმებს ან უპირობპირებს საკუთარ აზრსა და გრძნობას. მწერალი მკითხველს მხატვრულ სურათებს სთავაზობს, ამბავს მოუთბრობს და დასკვნებსაც მასვე გამოატანინებს, თუმცა შეუძინებლად, ძალდაუტანებლად, ოსტატურად აქცევს მის აზრის დინებას თავისთვის სასურველ კალაპოტში. რომანის მანძილზე არაერთხელ ვხვდებით სიკვდილის შემსწრენი. მეტიც შეიძლება ითქვას, სიკვდილის ეპიზოდები აქ პირდაპირ დახვავებულა, მაგრამ ყოველი მათგანი მანაც განუმეორებელია, საოცრად ამადლევებელი და შთამბეჭდავია, მრავლისმთქმელია. გავიხსენოთ ჯაშინიკას სიკვდილის სცენა:

„მან თვალი გაახილა, დააღწია წყვედრად თავი, წამოწია სასთუმლიდან და იცნო საკუთარი ქოხი, სადაც დაიბადა და სადაც ახლა სულს ლევდა. გონება საოცრად ფიზიკური გაუხდა. მიმჭარალი კერიიდან გამომსხლტარი ობოლი სხივის ციმციმა შუქზე დაინახა თავისი

ცოლი მამო, რომელიც ოდესღაც უწევარდა, და თავისი ამხანაგი თანდილა, რომელსაც ოდესღაც ენდობოდა და პატივს ცემდა — ერთმანეთს ჩახვეულნი, აფუსფუსებულნი, აკვნესებულნი. არც ეწყინა, არც გაუკვირდა, ისე გულგრილად შეხედა მათ, ისე უაზროდ მოეჩვენა მათი ფუსფუსი, რომ ვულში გაეცინა, რადგან იცოდა: ამოიყო ის, რაც ახლა მათ ჰპოვეს... არაფერს არ ჰქონდა ახლა აზრი და მნიშვნელობა, გარდა შემდგომი წამისა, რომლის დადგომას დაძაბულად ელოდა გაურკვეველ სიერცეს მიშტერებული“...

შემზარავია მამოსა და თანდილას საბოლოო ხედრი. მამოს თანდილა გამოჭრის ყელს ლალატისათვის, ხოლო თავად თანდილა გლახუნას ტყვიის მსხვერპლი შეიქნება. ორთავე ეპიზოდი დიდი ოსტატობათაა დაწერილი. პირდაპირ შეუდარებელია, კლასიკური სიძლიერასა თანდილას მოკვლის ეპიზოდი. მწერალი ერთი ფრაზითაც კი არაფერს გვიხსნის და არაფერს აანალიზებს, უბრალოდ მხოლოდ აგვიწერს, ცოცხლად გვიხატავს და ამას ისეთი ძალით აკეთებს, რომ თვალწინ ცხადად გვიდგება ეს ყველაფერი.

მამოს ლალატი ჯაშინიკასათვის სასაცილოდ როდი იჩვენა თანდილას, რადგან იგი მამინ სხვა, ჯანსაღი კაცის თვალით უყურებდა ამას და თავადაც სხვა, ჯაშინიკასაგან განსხვავებული ფსიქიკისა იყო. მაგრამ უკვე, მეკვლელობის მერე მისი სამზადისიც შურისგებას შესახებდრად, როცა ღამით სახლ-კარსა და ეზო-გარემოს უქანანებლად უვლის, მისი მოჩვენებაც ანაფორიანი მითიდავისა, რომელიც ხელს დაუქნევს მცველებშიჩინელი თანდილას და ანიშნებს გამომყვივო, ისევე ამადლებს მას ამქვეყნიურ ყოფაზე, როგორც ეს ჯაშინიკას დაემართა.

„...თანდილას ამათი ხმა აღარ ესმოდა, მთელი არსებით სურდა მთიბავს დასწეოდა. საკითხაუი ჰქონდა რაღაც. პასუხს მის გარდა არავისგან ელოდა...“

— გაჩერდი, თანდილა, თორემ გესროლე! ღრიალებდა გლახუნა, რომელსაც თოფი ვადმოეღო და გაქცეულისთვის დაემიზნებინა, მაგრამ მთიბავმა უკან მოიხედა, კიდევ ერთხელ

დაუქნია ხელი და ბუჩქებს მიეფარა, და თანდღილამაც უმატა სირბილს და იმავე წამს იქუხა თოფმა, და უცბად, წელში შეიხნიჭა თანდღლა, შედგა, შეტორტმანდა. ვადადგა ნაბიჯი, ერთი, მეორე, სისხლმა ზურგი შეუღება. ხოლო მთიბავი უსამველოდ გაზრდილიყო, აღარც კი ჩანდა, გრანდიოზული შავი ანაფორა გადაეხსნა, გაეშალა, დაეფარა ცის კაბადონი, და ამავე დროს ანაფორის შავი კალთები ელვის სისწრაფით მოჰქონდა მისკენ, თითქოს თანდღლასთან ერთად, მთელი ქვეყნის ერების შთანთქმას ლამობდა.

მწვანე მინდორზე გულადმა დაეცა ხელმბდაბორკილი თანდღლა.

„ხმა მლაღადებლისაში“ გმირებს მარტო ბედისწერა კი აღარ სდევნის, არამედ სოციალური ყოფაც, მათი ბედობალი ძირითადად ამ უკანასკნელით არის შეპირობებული. იმ ეპოქის რეალურ ვითარებას ჰემმარიტი მხატვრის ნიროთა და ოსტატობით გვიხატავს მწერალი. ბედისწერის მსხვერპლნი არიან ცაცა ციცოშვილიც, მაშოც და თანდღლაც, პაშაცა და ილიასაც, გლაზუნაცა და მრავალნი სხვანიც, მაგრამ ეს ბედისწერა თავად სოციალური და ზნეობრივი უკულმართობით არის დატრიალებული და თავს დატეხილი. მხოლოდ ერთეულებს ყოფნით ამ ძალს წინაღვობა, სულიერი წონასწორობის დაცვა, ზნეობრივი სისპეტაკის შენარჩუნება და სწორედ ამისი შეგრძნების გამოა ასე მშვიდად რომ გაყვება საბა საკუთარ იღბალს, როცა იგი მოაკითხავს.

რომანში უამრავი გმირი და პერსონაჟია. მწერალი ყოველ სახეს დასამახსოვრებელსა ხდის. ამდენი განსხვავებული პორტრეტის და ხასიათის შექმნის ნიჭი გურამ გეგეშიძემ სწორედ „ხმა მლაღადებლისაში“ გაამჟღავნა. რომანში მთავარი მანც სამი შტოა, რომელთა შთამომავლობასაც მწერალი განსაკუთრებით მიგვაქცევინებს ყურადღებას: ვარდანძიძეების, ნიკურიაძეების და უნდღლაძეების. ისინი მთელ ქვეყანასაც მოსდებიან და საზოგადოებას ყოველ ფენასაც კვებავენ. მათ შობილიყო სოფლის გარდა ეხედავთ პარიზის სალონებშიც და მარსელის საროსკიპოებშიც, ბათუმის რკინიგზაზეც და საზღვაო ფლოტშიც, თბილისის რედაქციებშიც და სახელოსნოებშიც, სა-

ომარ ვითარებაშიც და ახსნა მსხვერპლად გილას. მათი გზები მარტო გეოგრაფიული თვალსაზრისით კი არა, არსებითადაც არის გაყარული: ზოგი ძველის უღრეკი ქომავია, ზოგიც დემოკრატიული, გარდაქმნების მომხრე და ლიბერალი, ერთნი თუ უდრტვინველად შრომობენ, მეორენი ცხოვრების აზრს მხოლოდ რევოლუციურ ბრძოლებში ხედავენ, არც იმ დროისათვის ისეთი იშვიათი პროფესიის ადამიანი აკლიათ, როგორც ავიატორია და არც ვავრცელეზულის — მძარცველი და ავაზაკი.

ცხოვრება ამ რომანში მთელი თავისი სირთულით შემოჰკრილა, თავისი სიკეთითაც და ბოროტებითაც, კეთილშობილებითაც და ღვარძლითაც, სიმშვიდითაც და ფორიაქითაც, ფეხათრეულობითაც და წინსწრაფვითაც.

საინტერესოა თავად ყაფლან ვარდანძის სახე, მისი ტრადიციული ჩვევებითა და ახალი ლიბერალური შეხედულებებით, ჰემმარიტების ძიების სურვილითა და სამართლიანობის მოყვარულობით, მამულიშვილური გრძნობითა და მწიგნობრული გატაცებით. იგი ბევრწილად ახალი სახეა ქართულ მწერლობაში, ახალი კუთხით გვიხსნის თავადიშვილთა ერთი, ლოიალურად განწყობილი ფრთის სულისკვეთებას.

გლაზუნა უნდღლაძის და მისი პირმშოს ამბაკოს სახეები ადამიანური გულბრძოლის, ბოროტების, უმადურობის ძლიერად შთამბეჭდავი განსახიერებაა. გლაზუნას ფათეარკებიანი მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, სადაც ეს ბოროტების მთესველი თავისზე უარესებს გადაეყრება, დიდად საგულისხმო სათქმელს იტევს. ნიშანდობლივია, რომ შემთხვევით მორევში ჩავარდნილი გლაზუნა უკანასკნელი ამოსუნთქვით სწორედ რკონელ ბერს უგზავნის ლანძღვა-გინებას, ვინც დაიხსნა რე ჯავახეთიდან და სამშვიდობოს გამოიყვანა. უმადურობაა გლაზუნასა და მისი შვილის ამბაკოს ბოროტების წყარო, თუ პირიქით, ეს ძნელი გასარკვევია, მაგრამ მწერალმა რომ ამ გმირებით დიდი მხატვრული სიძლიერის სახეები შექმნა, ეს გარკვეული და უეჭველია.

ყოველი გმირი თუ პერსონაჟი ამ რომანში ისეთი განსხვავებული ბიოგრაფიის მქონეა, იმდენად თავისებური და საგულისხმო ფსიქიკის პატრონია,



რომ თითოეული მათგანის შესახებ საინტერესო საუბრის გაბმა შეიძლება, მაგრამ ამჯერად ეს შორს წაგვიყვანს. ისიც კი ძნელი სათქმელია, თუ ვინ გამოირჩევა მათ შორის თავისი მნიშვნელოვანებით, ალბათ, მინც ნესტორ ვარდანიძეს, მიხაყო და იასე ნიგურია-ნებს ენიჭებათ ამ მხრივ უპირატესობა.

სამთავე ბურჯივითა დგას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ოღონდ გათიშულ, გაცალკევებულ ბურჯებად დგანან და ამიტომაც უჭირთ ცალკალებ დაწოლილი სიმძიმის ვაძლება.

ნესტორი განათლებული, თავის ხალხსა და ქვეყანაზე თავგადაცული მოღვაწეა, ვისთვისაც სოფელში საკულთარი სახსრებით სკოლის გახსნა ან დასაწიოებლად მოვარდნილი დამსჯელი რაზმის წინ გადადგომა არისტოკრატიული პოზიციობა კი არ არის, არამედ გულის წადილია, ცხოვრების მიზნით ხეკარნახევი მოქმედება.

იასე და მისი თანამზრახველი კლასობრივი პოზიციებიდან ებრძვიან ნესტორს, მეკავშირედ კი არა, სწორედაც მტრად ნათლავენ და თუმცა ნესტორის უშუალო მკვლელები არა ჩანან, ამჟამად, რომ ამაში მათი ხელი ურევია.

ერთადერთი მიხაყოა, ვინც შრომაში ხედავს ხსნა და კიდევ ურთიერთსიყვარულში. მან ბევრი არაფერი იცის, განათლებისთვის არ ეცაბა, უბრალოდ გრძნობს. გულითა ხედვითა, რომ ეს არის გადარჩენის გზა და მთელი ცხოვრება სწორედ მას ადგას. ამიტომაცა აქვს თავისი მოუკლელი და გამრჩე მარჯვენა ყოველთვის გაწვდილი სხვათა დასახმარებლად. შინაური იქნება ვინმე, თუ უცხო.

რომანში განაჩენად ისმის ნესტორის მეუღლის ფრანგი ქალის მადლენის სიტყვები: „უცეთესი ცხოვრების ღირსი არა ხართ თქვენ. მას შემდეგ, რაც ნესტორზე ხელი მოვიბრუნდათ, დავრწმუნდი, რომ იმ ტოტს შრით, რომელზედაც ზიხართ, არც შეკავშირება შეგიძლიათ და არც შეგნება გაგაჩინათ, თქვენი აღარაფერი მწამს...“

ჩემი აზრით, სწორედ ეს არის ამ რომანის მთავარი სათქმელი, საითყენაც მიყვარათ ყველა სიუჟეტურ ხაზს, მთლიან პანორამულ სურათს ცხოვრებისას, აღამიანებს ერთმანეთის არ ესმით, მძა მძას ველარას უტევენ, თანამებრძოლები მტრად მოკიდებიან ერთმან-

ნეთს, ირგვლივ გათიშულად მდგომარეობა დასადგურებულა.

ანაიდა ბესტავეაშვილი წერს, რომ დრო და მოძრაობა არის ამ რომანის მთავარი გმირები. უნდა დავეთანხმოთ მას. მაგრამ ამ პირობითობას თუ გავყვებით, მაშინ კიდევ ერთი მთავარი და უმთავრესი გმირი გამოიკვეთება — ხმა მლაღადებლისა...

გლაზუნას გადამრჩენი საზღაურად იმას სთხოვს, რომ სიკეთეს ემსახუროს იგი, მაგრამ „ეს სიტყვები მისი იყო ვითა ხმა მლაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

ხმა მლაღადებლისა მარტო გლაზუნასათვის, ამ სულმდაბალი გარეწარი-სათვის როდი ისმის ფუტად, სამწუხაროდ იგი არც სხვათა, თუნდაც სიკეთისათვის მოწადინებულ გულებს ხედება იმ ძალითა და რწმენით, როგორადაც და რისთვისაც არის მოწოდებული.

გურამ გეგეშიძის ამ ახალ რომანზე „ხმა მლაღადებლისა“ კი ვამიგრძელდა საუბარი, მაგრამ იმდენად მრავალ და დიდ პირობებებს წამოჭრის იგი. ისეთი მნიშვნელოვანი მხატვრული თავისებურებებით გამოირჩევა, რომ ესეც ძალიან ცოტა და მხოლოდ მიახლოებით ნათქვამია. მიმოხალვით წერილში ამ რომანის ღრმა და ყოველმხრივი ანალიზი უბრალოდ შეუძლებელია. ამას ცალკე განხილვა სჭირდება და იმედია ქართული კრიტიკა მთლიანად წარმოაჩენს მის ღირსებებს.

ოთარ ჩხეიძის რომანი „ვენეციური ქალი“ (№ 7-10) თანამედროვე ცხოვრებას წარმოსახავს და აქაც, როგორც ეს მწერალს საერთოდ სჩვევია, მწვავედ არის წამოჭრილი ზნეობრივი პრობლემები. ერთი ოჯახის თითქოს არაფრით გამორჩეულ ბიოგრაფიაში, სადაც ყველაფერი ჩვეულებრივი ყოფის შესაბამისად ხდება, მწერლის მახვლი თვალს ათას საძრახის რამეს ხედავს და ჩვენც მიგვაქცევინებს მასზე ყურადღებას.

ლეონ ბადრიაშვილის გარდაცვალება იქცევა იმის მიზეზად, რომ ნათესაობა კვლავ ერთად მოიყრის თავს და მისი ასაკოვანი გაუთხოვარი ქალიშვილი ციციხოც ინებებს ჩამოსვლას მშობლიურ ქალაქში. ყველაფერი თავისი წესით და რიგით მიედინება — დაკრძალვის ცერემონიალიც, ქელებიც, ორმოციც და წლისთავიც.

ნათესაობისათვის ამ ყველაზე მნიშვნელოვან თარიღებს შორის სხვა საზღვრავიც გამოჩნდება: კიდევ ერთი ნათესაის, მამისიველ სამშობლოში დაბრუნებული დავითის ინსტიტუტში მოწყობისათვის ზრუნვა, ციკინოს სამსახურის თუ საქმროს ძებნა და კიდევ ამგვარები. ამ ყოფით ფაქტ-ფაქტში უამრავი მახინჯი და უკეთური რამ გამოხეურობება — დაწყებული ქალებების რიტუალიდან უპატრონოთა თვეშესაფრიდან ბავშვების ვასამარჯვლოთი გაშვილების ფაქტებამდე. ცხადია, ამგვარი სიტუეტის რომანში, სადაც უმაღლესი სასწავლებლის და ექიმი ქალის სამსახურის პრობლემაც დგება, თავისთავად წამოიწევა ის სიძნელეებიც, რომლებიც მას ახლავს თან და ის არცთუ წესიერი საშუალებებიც, რითაც უნდა იქნას ეს სიძნელეები დამლუღი.

ოთარ ჩხეიძეს ამგვარი სიტუაციების თხრობა და მეშინაური სულის მხილება კარგად ეხერხება, აქაც ოსტატურად არის ეს ყველაფერი გადმოცემული. მწერლის ბასრი ირონია სიტუეტის განვითარებას სათანადო მიმართულებას აძლევს და რომანის პათოსსაც აშკარას ხდის. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ აქ წამოჭრილი პრობლემები არაბალია, ძველია, ბევრწილად ნაცნობია და ამდენად შეიძლება ვინმეს დიდად საინტერესოდ აღარც მიეჩვენოს. ფინალიც თითქმის თავიდანვეა დაპროგრამებული. ცხადია, ის ცხოვრება, რომლის კეთილდღეობის სიმბოლოდაც აქ ვენეციური ჭალია მოხმობილი, უნდა დაინგრეს. მოულოდნელი მხოლოდ კრახის ის კონკრეტული გამობატულებაა, რასაც ფინალში ვხვდებით: ახალდაქორწინებულ ციკინოს თავის არცთუ სანატრელ ქმართან ძალით რომ გამგზავრებენ, იგი უბედური შემთხვევით იღუპება და სწორედ ამავ დროს ვენეციური ჭალიც ვარდება და იმსხვრევა. ამ რომანში ზოგი რამ თუ კიდევაც ნაცნობი გვეჩვენება, ეს დიდად არ ვნებს მის მამხილებელ პათოსს.

გიორგი ზედგინიძეს თავის ახალ რომანში „გატეხილი ხიდი“ (№ 11-12) კვლავ ისტორიულ წარსულში გადაყავართ. ამჟამად მოქმედება ძირითადად ქართლში ხდება. მკითხველმა ვიმედოვნებ, იცის, რომ გიორგი ზედგი-

ნიძე თავად მესხეთის მეფის მცვენი ლეაწლი მიუძღვის მას საქართველოს ამ კუთხის ისტორიული წარსულის შესწავლაშიც და მის მხატვრულ წარმოსახვაშიც. მისი წინა რომანი „დედის ტაძარი“ ძირითადად სწორედ მესხეთის ისტორიულ ყოფაზეა დაწერილი. თუმცა, ამ კუთხის ბედ-იღბალი მუდამ განუყოფელი იყო მთლიანად საქართველოს ხვედრისაგან და ამდენად წარსული ეპოქა იქაც ფართოდ იყო დანახული. ახალ რომანში, კინემატოგრაფიულ ტერმინოლოგიას თუ დავესახებნით, მსხვილი პლანი შეიცვალა. ახლა წინაა წამოწეული ქართლის ცხოვრება, თუმცა არც სხვა მხარეები, კერძოდ მესხეთ-ჯავახეთთა დავიწყებული ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, იმ ეპოქაში, რომელსაც გიორგი ზედგინიძე „გატეხილი ხიდი“ აგვიწერს, თბილისის მმართველად და ფაქტიურად მთლიანი ძალაუფლების პატრონად სწორედ ახალციხის ფაშა ისაყ ჩაყელი იყო დანიშნული ოსმალთა მიერ. ეს იყო მეთვრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედი. მწერალი მოგვითხრობს იმდროინდელ საქართველოს სვე-ბედზე, მძიმე ყოფაზე, მაგრამ გაუტეხელ სულზე, აჯანყების მზადებაზე და მის გამარჯვებულ დასაწყისზე, მოგვითხრობს ამ აჯანყების მოთავეზე, ანტიოსმალური მოძრაობის ინიციატორზე, ზემო ქართლის დიდგვაროვანზე და გორის მოურავზე — გივი ამილახვარზე.

„გატეხილი ხიდი“ ინტერესით იკითხება. მწერალი მისთვის ჩვეული ეთილსინდისიერებით და ობიექტურობით გვიხსნის წარმოსახული ეპოქის სულს, არ ღალატობს ისტორიულ სინამდვილეს, მისი ინფორმაციაც და ინტერპრეტაციაც სანდოა. რომანის წარმატებას ბევრწილად განაპირობებს ის გარემოება, რომ ავტორი კარგი მთხრობელია. იგი უბრალოდ, სადად, შთამბეჭდავად გვიყვება ამბავს და ნაწარმოები მთლიანად, თუ მისი ყოველი თავი და ფრაზაც კი ქვეშაირიტი პატრიოტული სულითაა გაჟღენთილი და შთაგონებული.

ჯერჯერობით რომანის მხოლოდ პირველი წიგნია გამოქვეყნებული და არაფერი ვიციტ იმის შესახებ, თუ როგორია მწერლის მთლიანი ჩანაფიქრი, როდის და რით დასრულდება იგი. მაგრამ ერთი რამ ამთავითვე ცხადია.



აშკარად ჩანს პირველსავე წიგნში — „გატეხილი ხილით“ კიდევ ერთი საჭირო, სასარგებლო, საინტერესო ნაწარმოები შეემატება ქართულ ისტორიულ რომანისტიკას.

შარშან დიდი სამამულო ომის დაწყებიდან ორმოცი წელი შესრულდა. საბჭოთა ხალხის ხსოვნაში არასოდეს წაიშლება არც ის უბედურება, რაც ფაშისტურმა გერმანიამ ჩვენს ქვეყანას და საერთოდ კაცობრიობას დაატეხა თავს, არც ის გმარობა და თავდადება, საშობლოს უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება, რაც ჩვენმა მებრძოლებმა და მშრომელებმა, დიდმა და პატარამ, კაცმა თუ ქალმა გამოიჩინეს. ამ თარიღთან დაკავშირებით ჩვეულებრივზე უფრო ფართოდ იქნა გამოქვეყნებული ომის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. „მნათობიც“ არავის ჩამორჩა. მე მგონი, ამ ეტრნალის ფურცლებზე, ქართული ლიტერატურული პრესის მასშტაბით, ყველაზე წარსულად და მრავალმხრივად იქნა წარმოდგენილი დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი მასალა. დიბეჭდა ბონდო კემელავას, გიორგი ქაეთარაძის, მედეა კახიძის, ნაზი ხაბრიძის და სხვათა ლექსები. გამოქვეყნდა მამუკა შულეგიას წერილი კონსტანტინე ლორთქიფანიძის ომის თემაზე დაწერილ მოთხრობებზე, ვალაკიონ პაიჭაძის ნარკვევი „კატუშა“ და ქართველი მეომრები“. თუ სხვა მასალა. განსაკუთრებით საინტერესოა ის მხატვრული და დოკუმენტური პროზის ნიმუშები, რომლებიც ამ თემას ეძღვნება და მეც სწორედ მათზე შევაჩერებ ყურადღებას.

დიდ შთაბეჭდილებას ახდენს დავით ჩხიკვიშვილის დოკუმენტური მოთხრობები „თილისმა“, „დედის ხელით შეკერული პერანგი“ (4), „ახლოდან ნანახ გერმანელები“ და „მარინა მასწავლებელი“ (№ 9). დავით ჩხიკვიშვილი სამამულო ომის მონაწილეა, სახელოვანი მონაწილეც, და ახლა იმას გვიყვება, რაც თავად გარდახდენია თავს. ამ თვალსაზრისით ეს მართლაც დოკუმენტური მასალაა. იმდენად საინტერესო შემთხვევებია აქ განხილული, მართლაც ესეც საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ მკითხველის ყურადღება მიუბრუნებოდა, მაგრამ ავტორმა ნანახი და ვა-

ნცილილი კეშმარიტი ბელაშვილი და დონეზე გადმოგვცა. ასე შეერწყა ერთმანეთს დოკუმენტური უტყუარობა და მხატვრული თხრობა. ამიტომაც ეს მოთხრობები აშკარად დოკუმენტურ მხატვრულ პროზას განეკუთვნება და მეტიც შეიძლება ითქვას, ქართულ მწერლობაში სამამულო ომის თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოცაა. ფრონტული ცხოვრების ამსახველი მხატვრული ნაწარმოებები ქართულ ენაზე მედარეობს მკირთა. ეს კიდევ უფრო ზრდის დავით ჩხიკვიშვილის მოთხრობების მნიშვნელობას. ავტორი პროფესიონალი მწერალი არ ვახლავთ და ამდენად ძნელი სათქმელია გააგრძელებს თუ არა მოგონებების მხატვრულ თხრობას. ამგვარად მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მისი პირველი ნაწარმოებები არა მარტო უაღრესად საინტერესო ცხოვრებისეული მასალით (ზოგჯერ იმდენად მოულოდნელი სიტუაციები იქმნება, რომ მწერლის მდიდარი ფანტაზიით შეთხზულსა ჰგავს), არამედ თხრობის სისადავით და ეფექტურობითაც, უშუალოდისა და გულწრფელობითაც გვხიზლავს. ცხადია, ყარგი, ძალზე სასურველიც იქნება, რომ დავით ჩხიკვიშვილმა კვლავაც შემოგვთავაზოს ახალი მოთხრობები. ან, ვინ იცის, ეგებ უფრო მასშტაბური პროზაული ნაწარმოებიც კი.

ელადიმერ ჯანჭღავას „ერთგულება“ (რომლის ბეჭდვა 1980 წელს დაიწყო და გასული წლის მე-5 ნომერში დამთავრდა), როგორც ქვესათაური —

„დივიზიის მეთაურის ჩანაწერები“ — გავმცნობს. დოკუმენტური ნარკვევია და მხატვრული პროზის პრეტენზია არცა აქვს. ავტორი, ვადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი, მოგვითხრობს 354-ე დივიზიის საბრძოლო გზაზე, რომლის მეთაურიც თავად იყო. იგი ვულვარად გვესაუბრება იმაზე, რაც თვითონ უნახავს და განუცდია — საბჭოთა ქარისკაცთა საბრძოლო პეროიკაზე, მათ სულელებს სიმტკიცესა და მღელვარებაზე. იმ დიდ სიბნელებსა და განსაცდელზე, რომლის ვაჟკაციც ვადატანაც მოუხდათ. მართლაც გმირულია ის გზა, რომელიც გაიარა ამ დივიზიამ. შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს ის ვარაუდება, რომ ავტორი არსად არაფრით არ უსევამს ხაზს მის განსაკუთრე-

ბულობას, ჩვენს თვალწინ გაივლის ერთი ჩვეულებრივი დივიზიის საბრძოლო ცხოვრება. ამრიგად, საერთოდ გვექმნება წარმოდგენა საბჭოთა არმიასზე, მის ფრონტულ პეროიკულ ყოფასზე, იმ წმინდა მსხვერპლისა და თავდადების ფასად განვლილ გზაზე, რამაც მიგვიყვანა ისტორიულ გამარჯვებამდე.

ვრცელი დოკუმენტური მოთხრობაა თენგიზ გოგოლაძის „ცისფერი ცეცხლი“ (დამთავრდა № 3-ში). მის ავტორს კარგად იცნობს ქართველი მკითხველი. იცნობს იმ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ნაწარმოებებითაც, რომლებიც ომის თემას უძღვნა. ამჯერად ამ ახალ დოკუმენტურ მოთხრობაში თენგიზ გოგოლაძე მერკულიანად გამოიყენა ოჯახს გვაქვს: მფრინავ შოთა მერკულიაძის ოჯახიდან ხუთნი იბრძოდნენ ფრონტის წინა ხაზებზე. — მამა, დედა და სამი ძმა. მათი საბრძოლო გზები, სავესტ განსაცდელითა და გამოიბოძა, ომის წლებში რამდენჯერმე გადაიკვეთა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია შოთა მერკულიაძისა და დაჭრილი დედის შეხვედრა სამხედრო ჰოსპიტალში. მწერალი არც სხვაგან აკლებს გულს სიტბოს მისი მოთხრობის რეალურ გმირებს და მძაფრად განგვაკლავინებს მათ ბედ-იღბალს.

ომის თემას ეძღვნება თენგიზ გოგოლაძის კიდევ ერთი ახალი მოთხრობა „იყო ერთი კაცი“ (№ 7). მას მიწერილი აქვს „ნამდვილი ამბავი“. როგორც ჩანს, მოთხრობას რეალური ამბავი უღვევს საფუძვლად, თუმცა მისი გმირები ადვილი შესაძლებელია ნამდვილი სახელებით არც არიან მოხსენებულნი. მწერალი გვიყვება ერთ უბრალო, მაგრამ დიდად საველისხმო ისტორიას, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რამდენად მძიმე და მოუწყუშებელია ომის ჭრილობები, განსაკუთრებით კი ის, ადამიანების სულს რომ დასწნევიან. ფრონტული მეგობრობის, მითუფრო ინტიმური ვრძობის ერთგულება წმინდაა და მას ვერაფერი შეღაზავს. ასეა ეს ახლა უკვე პროფესორ ვალენტინა კოვალენკოსთვისაც. ვინც ფრონტული მეგობრობის გიორგი ხუნდაძის სიყვარულით ბოლომდე სათუთად შეინახა. ეს მოთხრობა ამ სიყვარულის მშვენიერებაზეა დაწერილი.

აკაკი გეწაძის მოთხრობა „ხსოვნის ტყე“ (№ 6) შინაომისკვლეულთა პატარა

პროზაული ძეგლია. სათბოში დატოვილი შვიდი ცელის, შვიდი უკან ვერ მობრუნებული ძმის და ომში დაღუპულთა ხსოვნის ტყის ისტორია უთუოდ ამაღლევებულია.

გასულ წელს „მნათობის“ ფურცლებზე მოთხრობები მრავლად დაიბეჭდა და მათგან მხოლოდ ზოგიერთზე თუ მოვახერხებ ორიოდ სიტყვის თქმას.

რევაზ ჯაფარიძე კოტე ხიმშიაშვილის მოთხრობებს მიწერილ ბოლოსიტყვაში ამბობს: „დღეს, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, ჩვენგან ნაადრევად წასული მწერლის გამოუქვეყნებელ მოთხრობებს ვთავაზობთ საუკუნის ოთხმოციანი წლების მკითხველს“. კოტე ხიმშიაშვილის მოთხრობები და ერთიც რომანი — „გონჯა ხორნაული“, ომამდე დაბეჭდილია, მაგრამ მათ არ იცნობს ფართო მკითხველი. ეს ორი ახლადგამოქვეყნებული მოთხრობაც იმდროინდელ, ოცდაათიანი წლების ყოფას წარმოსახავს, როცა საქართველოში კოლმეურნეობები ყალიბდებოდა. ცხადია, დღეს ეს მოთხრობები ისეთ ძლიერ შთაბეჭდილებას ვეღარ ახდენს, მაგრამ ერთში კი გვარწმუნებს, რომ უდაოდ ნიჭიერი მწერალი დაგვიყარავს ნაადრევად, ვისაც ამჟამად კარგი მომავალი ელოდა. „მნათობის“ რედაქციამ კარგი საქმე მოიმოქმედა თანამედროვე მკითხველს კოტე ხიმშიაშვილის სახელი რომ გააცნო და შეახსენა.

ჩვენი გამოჩენილი მსოფლიო პროზაიკოსის სერგო კლდიაშვილის ყოველი ახალი მოთხრობა თავისთავადაც დადი სიხარულის მომტანია, თუნდაც სულ პატარა და ესკიზური ხასიათისა იყოს. ახლა წარმოვიდგინოთ ის გარძობა, რომელიც „მნათობის“ მერვე ნომერში დაბეჭდილი მოთხრობის „საკრალური განდგეგის“ მკითხველს ეუფლება. მოთხრობა მისი ავტორის შემოქმედებით მწვერვალის ხანას გვაგონებს და იმიტაც გვანაცუფრებს, რომ აქ თანამედროვე ახლავაზრდა ქალ-ვაყის ურთიერთობა ისეთი ნახევარტონებით და ნიუანსებით არის გადმოცემული, რომ მათ ტოლ მწერალსაც გაუჭირდებოდა. ამ მოთხრობაში ლიტერატურაში საკმაოდ მოძალეებული თემა დამუშავებული, მაგრამ ჯერ ერთი იგი თავად ცხოვრებიდან მოდის და გვეძალედა, მეორეც ისეთი ორიგინალურობით არის

დამუშავებული და შეუდარებელი ოსტატობით შესრულებული, რომ „საკრალული განდევნილი“ შესანიშნავი ქართული მოთხრობების რიგს განეკუთვნება. ქალაქს ვარიდებული, სოფლის სიმუდროვეში ჩაძირული განდევნილი მხოლოდ დროებით ვაცილებია მფოთიან სამყაროს მოღლილი ნერვების დასაწყნარებლად. სამაგიეროდ საყრატულას ერთ-ერთი მკვიდრი იმის მოლოდინშია, რომ აქ მალე ავლენდება გარემო ველოვების მიერ მიგზებული მადნის წყალობით. მაგრამ აქ მთავარი ერთ-ერთი სიმართლის დადგენა არ გახლავთ. ჩვეულებრივ, ქალაქის გნისით გათანგულ ხალხს სოფლის იდილია იტაცებს, ხოლო ბუნების წიაღში გამოყვრილები ქალაქის მშფოთვარე ცხოვრებას ელტვიან. მაგრამ როგორც კი მათთვის საოცნებო გარემოში მოხვდებიან, მალევე ბურღდებათ და ჩვეულ ყოფაში დაბრუნებას ჩქარობენ. ასე რომ, სერგო კლდიაშვილის ამ მოთხრობაში მთავარი რისივე უაჩუფა და შეჩვენება სულაც არ არის. მოთხრობის გმირი, ერთი მხრივ, მართლაც უწოდებს სატანისეულს იმ რეფორმებს, რომლებიც კაცობრიობამ გამოიარა და რამაც ბევრი უკეთურება მოამრავლა, მაგრამ, ამასთანავე ერთად, იგი დიდი ვატაცებით და სიამაყითაჲ ჩამოუთელის საკუთარ თანტაზიაში გადაყრილ უხსოვარი საუკუნეებიდან შემონახული დროის ხალხს ცივილიზაციის მიერ მოწყულ ნაყოფს. მწერალი დიდი ოსტატობით წარმოგვისახავს ბუნების იმ მშვენიერებას, ურომლისოდაც ადამიანის ცხოვრება არამეტუღარობი, განმარტული, არამედ უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა. ასეთნაირად გვიქმნის იგი სულიერი სიმშვიდისა და სისუფთავის შეგრძნებას, ნათელი ოცნებისა და წმინდა სიყვარულის განწყობილებას.

რევაზ მიშველაძის მოთხრობების გარეშე უკვე ძნელი წარმოსადგენია თანამედროვე ქართული პროზა. მწერალი სისტემატურად აქვეყნებს მათ და ყოველთვის საინტერესო ნაწარმოებებს გვთავაზობს. მწერლის შემოქმედებითმა სამყარომ თანდათან სულ უფრო გამოკეთილი სახე მიიღო. ტკივილიანი ღიმილი, მოსიყვარულე გულს ფეჭკვა, მოყვასისადმი წრფელი თანაგრძნობა,

ადამიანური ურთიერთობების ნათელი — აი რითაა სავსე რევაზ მიშველაძის მოთხრობები. ეს ყველაფერი ხშირად დრამატულ სიტუაციებში მელანდება. ზოგჯერ კომიკურშიც, მაგრამ არასოდესაა აღბეჭდილი ან გულგრილობით. ან კიდევ ღვარძლიანი დაკინებით. მწერალი ყოველთვის გულმხურვალედ განიცდის მის მიერვე შეთხზულ სიტუაციებს, საკუთარი გმირების ვასაქირს თუ ლენას და ჩვენც ასევე განგვატდევენებს.

გასულ წელს „მნათობში“ რევაზ მიშველაძის სამი ნოველა დაიბეჭდა (№ 5). ამათგან ერთი, „მეშუშე“, უფრო ხალისიანი განწყობილებისაა და იმაზე მოგვითხრობს, თუ როგორ იპოვა ახალგაზრდა კაცმა თავისი აღგილი ცხოვრებაში. მეშუშობა მისთვის მარტო საარსებო საშუალება კი არ არის, ხალხის სამსახურის ასპარეზიცაა, საკუთარი ღირსების შეგრძნების წყაროცაა. და თუმცა რომინზონს შემთხვევის წყალობით შერჩენილი პროფესიის გამო თავისი ოცნება — მხატვრობა განუხორციელებელი დარჩა, იგი ამით სულაც არ არის დადარღიანებული. თავს ეინს იმით კლავს, რომ შუშის ქრაში აღებული ფულის ნახევარს საღებავებში ხარჯავს და სარდაფი საესე აქვეს საკუთარი ნახატებით, რომელთაც, ცხადია, გამომზეურება არ უწერიათ. რომინზონს თავისი ცხოვრების გამართლების დამარწმუნებელი საბუთი აქვს: „სოფელმა მაქცია მეშუშედ და სოფელი მაქმევეს ჰურს, სოფელს მხატვარზე უფრო მეშუშე სჭირდება, არ იცი შენ?“

სხვა ნოველაც, „მამა“, ღიმილისმომგვრელია, თუნდაც იმიტომ, რომ სწორედ სოფლის რაიონის მილიციის უფროსს გაუბედავენ და მიუღლებენ ჩვილ ბავშვს. თუმცა თავისთავად სულის დამამძიმებელია ამგვარი სიტუაცია, როცა მშობელი დედა თავისი უსაქციელობის გამო საკუთარ შვილსაც იმეტებს, მაგრამ ღიმილიანი განწყობილება მაინც არა სცილდება მკითხველს, რადგან ამგვარად საქმე კარგადაა. უპატრონი ჩვილი ბავშვი დიდი და კეთილი გულისმილიციელის, კტა მიქელთაძის ხელში მოხვდება და თუმცა ამის გამო მამობილი რთულ და ზოგჯერ კომიკურ სიტუაციებში ვარდება, ბოლო მაინც კეთილია. დასანანია, რომ ნოვე-

ლის დამამთავრებელ ფრაზაში გაპარული კორექტურული შეცდომა აზრს უხეშად ამახინჯებს, მაგრამ იმედია დაკვირვებული მოთხველი შეამჩნევს ამას: „სიამაპრი როგორ შეგვხვდომო? კიტას გაეცინა, მეტი რა გზა ჰქონდა. მობრუნებული სიძე ვიყავი, რაც მე იმ დამეს შიში ვჭამე (უნდა იყოს „უკა-მე“, გ. ვ.), ბავშვით კი არა, ნიანგით რომ მოვსულიყავი, არ მიმიღებდა?“

კიდევ ერთი ნოველაა დაბეჭდილი რევაზ მიშველაძის — „ცრემლი სად არის“. აქ უკვე საღიმილო არაფერია და მწერალი დიდი გულსიტყვილით გვიხსნის ადამიანური გულცივობის შედეგს. მოხუც მგზავრს თავს ნამდვილი უბედურება დასტუდომია, მძიმედ დაავადებული შვილი შორეულ ქალაქში უწევს სამკურნალოდ, მაგრამ მისი ადამიანური გული სხვათაღმე მტრ თანაგრძობასა და ყურადღებას იჩენს, ვიდრე ავტობუსის გულარხეინი და უდიერი მძღოლისა. მოხუცის უბრალო შეგონებაც და ადამიანური ჩივილიც მკითხველის გულს ღრმად სწვდება:

„ჩვენ თუ არ ვივარგეთ ერთმანეთისათვის, უფრო გამწარდება ეს წუთისოფელი. რაღაც შეღავათი უნდა გამოვძებნოთ. ტბილ სიტყვას მაინც რა უდვას წინ... თუ რამე გადაგვარჩენს, მეტი სიყვარული და კაცის თავყანისცემა გადაგვარჩენს... ჩემი ხნის კაცი რომ გზაზე აღოღებული, ამხელა ჩემოდანს რომ მიათრევს და სახე ჩამოსტირის, ამან რაღაც არ უნდა გითხრას? შენით ვერ უნდა მიხვდე ცოტას მაინც?“ მოხუცის პირით ხომ კაცთმოყვარეობისაკენ მოგვიწოდებს მწერალი, თავის მხრივ კი იმაზე მიგვაქცევინებს ყურადღებას, რომ „რამდენი აშნაირი კაცი მიისაწყლება, ღმერთო, ახლა, ამ წუთში, თავის გამრუდებულ გზაზე!“ ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, თუ გვინდა ადამიანები გვერქვას.

ხეობის საკითხს ოთარ დემეტრაშვილიც მძაფრად სვამს მოთხრობაში „ვალი“ (№ 9). სამგლოვიარო პროცესიას მიდევნებელი გმირი თავისი ფიქრებით წარსულში იძირება და იხსენებს იმ ადამიანურ ამავს, რომელიც მიცვალებულებს მიუძღვის სხეებზეც და პირადად მასზეც. ანიკო ჭორჭაძე ღირსი იყო იმისა, რომ საფლავამდე მიეცილებია მოთხრობის გმირს და ერ-

თი მუჟა მიწაც მიეყარა, რეჟისორმა კინე მოეხადა თავისი ვალი, მაგრამ ივრნაცვლად ამისა სადგურისაკენ მიიქპარის მატარებლის დასახვედრად და მთელი ფიქრები იქით წასვლია, რომ სასწრაფოდ იშოვოს წითელი მიხაკები. მოთხრობა საკმაოდ სადა სიუჟეტისა და ასე გამოკვეთილი სათქმელიც და განწყობილებაც იქნებ უფრო მეტადაც კი ახდენს მკითხველზე ზემოქმედებას. ვიდრე ზოგიერთი სხვა „ფსიქოლოგიზმებით“ გათულელებული ნაწარმოები.

ქალაქის გაუხეშებული სულის წინააღმდეგ გამოთქმულ ხმამაღალ პროტესტად ისმის თეზიზ ჩალაურის მოთხრობა „ნაცრისფერპალტოიანი კაცი“ (№ 11). მშვენიერად დაწერილი მოთხრობაა უცნაურ ნაცრისფერპალტოიან კაცზე, რომელსაც ვერავენ ვერაფერი მოუხერხა, მილიციაც კი ვერ მოერია და ვერ ააღებინა ხელი ქალაქის ერთ-ერთ მთავარ მაგისტრალზე შუა ქუჩაში დემონსტრაციული ხეტიალი. მწერალი ხან იუმორით, სადაც საჭიროა აშკარა ირონიით და სარკაზმითაც კი აგვიწერს ამ პროტესტანტული სულის კაცის მარტოღმარტო ჭიუტ ბრძოლას რკინისცხვირიანი კენტავრების — მანქანების მთელ ლაშქართან. ამ უთანასწორო ბრძოლაში ბოლოსდაბოლოს იღუპება ის, ვინც განწირული იყო კიდევ დასაღუპად. კაცი გულაღმა ეგდო ასფალტზე და უკვე სიცივეშეპარული, ბინდგადაკრული თვლებით „უმზერდა ნაცრისფერ ქალაქებს, უსასრულობას შერწყმულ თამისფერ შენობებს, ასფალტისა და ბეტონის გარსში ჩამჭდარ პატივყარულ მიწას, სადაც არათუ სულდგმული, ერთი მუჟა ბალახიც ვერა ხარობდა, ციციქა ყვავილიც არ ჰყვავოდა და ყველაფერ ამას ტყვიის გუმბათად შეკრული, სმოგიტა და რადიაციითი გატენილი, მოქუფრული ცა ეხურა, რომელსაც ვარსკვლავთა და მნათობთა სხივიც ვერ ჰკრავდა და სადაც ფრინველები ფრთისგაქნევისა და ჩასუნთქვისთანავე იგუდებოდნენ და დასეტყვილებივით ცვიოდნენ თირს... იქ აღარ არსებობდა არც მზე, არც ჰაერი, აღარც წყალი და იყო მხოლოდ მანქანები... მანქანები... და კიდევ მანქანები...“

ამავ პრობლემატის რკალში ექცევა მამუკა დლიძის ახალი მოთხრობებიც (№ 1). რა თქმა უნდა, ზოგადი თვალსა-

ზრისით, თორემ გადაწყვეტა აქ სრულად განსხვავებული და ორიგინალურია. ქალაქი და მისი დამორღვეველი ძალა კვლავ მთელი სიციხადით და მხატვრული შთამბეჭდაობით იგრძნობა - უსახელო ნაცნობში“, რომელსაც მახვილგონივრული სიუჟეტი გააჩნია. ქალაქში ისეა ხიველირებული ყველა და ყველაფერი. იმდენად უსულგულოა კონტაქტები, რომ ადამიანი და მანუკენი ჩვეულებრივ საუბრობენ ერთმანეთში. ამ დროს მოთხრობის გმირს იმდენა და ის არ აწუხებს, რომ ვერაფრით გაიხსენა მოსაუბრე, რამდენადაც იმის შიში. უადგილო შეკითხვა არაფერი მიუცევო. „თავშენახული კაცი“ უფრო უშუალოდ ეხმაურება იმ საერთო საწყობს, რომელზეც ჩალაურის მოთხრობასთან დაკავშირებით უკვე ვილაპარაკე და ამიტომ აღარ გავიმეორებ. მაშუკა დოლიძის მოთხრობებში, მე მგონი, მეტი სტილური სისადავე და სილაღე შეიძინეს, რამაც აშკარად არგო მათ და სრული იმედი შეგვიძლია ვიქონიოთ, რომ ეს ახალგაზრდა მწერალი მომავალში კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მიაღწევს.

ყურადღებას იქცევს ჯემალ მებრიშვილის მოთხრობები მარტივი სიუჟეტით. უშუალო თხრობით, გულწრფელობით და გულითადობით, იმითაც, რომ პრეტენზიულობის დაღი არ ატყვიათ. მწერალი გვიყვება უბრალო და საინტერესო ამბებს უბრალო და საინტერესო ადამიანებზე. „ქუდი“ და „უიღბლო დარაჯი“ (№ 10), „ბენტერა“ და „ქეთვანი“ (№ 4), ყოველი მოთხრობა ცალკე და ყველა ერთად საესეა თითქოს უშუალოდ ყოფიდან აღებული სურათებით. ეგრეთწოდებული პატარა ადამიანების სულიერი სილაპაზის გამომხატულებით, მათდამი დიდი ადამიანური თანაგრძნობით. ეს განსაკუთრებით ითქმის მოთხრობა „ქუდის“ მოხუცზე, ვინც საყუთარ კერას მოსწყვეტა შვილმა და ახლა ქალაქიდან თავისიანის მიერ გაძევებული იმედინად და სიხარულთაც კი მიეშურება მშობლიური ადგილებისაკენ. ამავე თემაზე და თითქმის ანალოგიურ სიუჟეტურ ჭარგაზეა აგებული დავით გოგოჭურის „მამულას მამალი“ (№ 11), ოღონდ აქ სატირული ნაკადი ჭარბობს. მოთხრო-

ბა რიგიანად არის დაწერილი. ადგილი აშკარად მოსაწონად არის შესრულებული, თუმცა მაინც შეიმჩნევა, რომ ავტორი ბოლომდე გააფუფული არ არის და ზოგჯერ ღალატობს ოსტატობა. მე თუ მკითხავთ, ეს უფრო მისატყვევებლად მიმაჩნია, ვიდრე მანერულობა. მითუმეტეს ახალგაზრდებისათვის არის ეს უკანასკნელი საშიში. დროზე უნდა ამ სენს დაძლევა. მე მეჩვენება, რომ აშკარად ნიჭიერი ახალბედა მწერლების ნაირა გელაშვილისა და მარინე წოწკოლაურის მოთხრობებს (№ 3, 4, 9) სწორედ ამგვარი საშიშროების კვალი ემჩნევა.

სხვაც დაიბეჭდა „მნათობის“ ფურცლებზე მოთხრობები, კარგა გვარიანად დამრჩა ისეთები, რომლებზეც არაფერი ეთქვი. სიმართლე გითხრათ, ყველა არც იწვევს საუბრის სურვილს. ზოგი აშკარად სუსტია. ზოგიერთებზე კი შეიძლება რაიმეს თქმა, მაგრამ, ვთქვათ, აუცილებელი არაა. ყოველი რომანის, მოთხრობის, ნოველისა თუ ნარკვევის ანალიზი არცა მჭონდა მუხნად დასახული, გასული წლის „მნათობის“ პროზაზე კი წარმოდგენა ასე თუ ისე მაინც იქმნება.

ერთი მინდა დავამატო მხოლოდ სურათის სისრულისათვის. „მნათობში“ მართლაც კარგი, შეიძლება ითქვას საინტერესო ლიტერატურული ნარკვევებიც დაიბეჭდა გასულ წელს, მწვავეც, პრობლემურიც, ოსტატურად დაწერილიც. ეს პირველ რიგში ითქმის მირონ ხერგიანის ვრცელ ნარკვევზე „ხუთასი კოშკის მხარეში“ (№ 10, 11), რომელიც ქეშმარიტად დიდ ეროვნულ საკითხს, კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობას ეხება. მწერალი ღრმად არის ჩახედული ამ საქმეებში და საინტერესოდ, ამოღელებლად მოგვიხიბრობს სვანეთის შესწავლის ისტორიასაც და მის სადღეისო სატკივარსაც.

დაბოლოს შეგვიძლია დავასვენათ, რომ გასული წლის „მნათობი“ არამართო პოეზიის, მხატვრული პროზის თვალსაზრისითაც მრავალფეროვანი და საინტერესოა. ასეთია ზოგადი, მთლიანი შეფასება. რაც შეეხება ცალკეული ნაწარმოებების ღრმა და ყოველმხრივ ანალიზს, ჩვენს სალიტერატურო კრიტიკას ბურთიცა და მოედანიც წინა აქვს.



ივანე ლოლაშვილი

მე-11 საუკუნის უცნობი კოატური თხზულება

ათონის ივარიის მონასტრის ხელნაერთა კოლექციიდან

თეოფილე თარგმანი (ანუ მთარგმნელი) ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილი ავტორია: მას ბერძნულიდან ქართულად გადმოუღია მრავალი აგიოგრაფიულ-მეტაფრასული, ასკეტურ-მისტიკური და დოგმატიკურ-პოლემიკური თხზულება (მათი ხელნაწერები დაცულია საზღვარგარეთისა და საქართველოს სიძველეთსაცავებში, გამოქვეყნებულია მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი). მაგრამ ჩვენს დრომდე ამ მწერლის შესახებ ისე ცოტა ბიოგრაფიული ცნობაა მოღწეული, რომ 1918 წელს კ. კეკელიძე წერდა: „ეინ იყო ეს თეოფილე, დანამდვილებით არ ვიცით“ (კიმენი, I, გვ. XXI). მართალია, მას უნდა-თიხებით იხსენიებდნენ ანტონ ბაგრატიონი („წყობილისტიყვაობა“, 749-750) და იოანე ბაგრატიონი („კალმასობა“, II, გვ. 175), „აღორძინების ხანის“ ლიტერატურული ტრადიცია კი რაცხს ეფერებ მცირის, არსენ ივალთოელისა და იოანე ფილოსოფოსის თანამედროვედ, მაგრამ ჩვენ მაინც ვარგა ხანს დაზუსტებით არ ვიცოდით, თუ ეს მწერალი როდის და სად მოღვაწეობდა. ამიტომაც მის ვინაობაზე XIX საუკუნეშივე შეიქმნა სხვადასხვა მცდარი მოსაზრება, რომელთაგან ზოგიერთს დღესაც აქვს ფართო გასაქანი.

თეოფილეს ბიოგრაფიისა და სამწერლო მოღვაწეობის შესწავლას დიდი ამაგი დასდეს კ. კეკელიძემ და რ. ბლეიკმა: 1931-

1934 წლებში რ. ბლეიკმა ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა „ათონის ივარიის მონასტრის ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაერთა კატალოგი“. რომელშიც მოთავსებულია თეოფილეს მიერ თარგმნილი და გადაწერილი მეტაფრასული კრებულების (№№ 20, 36, 37) აღწერილობა, სექტემბრის თვის საკითხავთა (№ 20) შესავალი და ანდერძის ბოლო ნაწილი (გვ. 78-90), ხოლო კ. კეკელიძემ ამ მასალის საფუძველზე განსაზღვრა არა მარტო თეოფილეს ლიტერატურული საქმიანობა, არამედ მისი მოღვაწეობის დროც (ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 243-246; ეტიუდები, V, გვ. 143-158). „თეოფილე, — წერს იგი მეორე ნაკვეთში, — რომელიც, თანახმად მისი განცხადებისა, ყოფილა მოწაფე გიორგი ათონელისა, არის მოღვაწე მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრისა. ლიტერატურული საქმიანობა, თანახმად „ანდერძისა“, მას დაუნაყია გიორგი მეფის ბრძანებით, მაშასადამე — არაუადრეს 1073 წლისა“. მართლაც, № 20 კრებულის შესავალში (გვ. 78-81) თეოფილე ორგზის ამბობს, რომ გიორგი მთანმიდელი იყო მისი „მოძღვარი და გამზრდელი“, თვითონ კი — ამ გიორგის „უღირსი მოწაფე“. ეს აღნიშნულია A 1105 ხელნაწერის ანდერძშიც, რომელიც იმავე თეოფილეს ეკუთვნის: „საუკუნომცა არს სახსენებელი და კურთხევა ნეტარისა და წმიდისა მამისა, მზრდელისა და მოძღვრისა ჩვენისა გიორგი მთანმიდელისა, ახლისა ოქროპირისა“ (ფ. 333). მნი-



შენლოვანია აგრეთვე იმავე № 20 ხელნაწერის ანდერძის დღემდე უცნობი ნაწილი: „მოიხსენენ, ღმერთო, მოიხსენენ პირველ დაძინებულნი მონანი შენნი მშობელნი სანატრელისა და წმიდისა მამისა გიორგი მთაწმიდელისანი — მარიამ და იაკობ, რომლისა მადლითა და ლოცვითა იქმნა, რა ესე იქმნა, და კვლად — უნდონიცა იგი მშობელნი უღირსებისა ჩემისანი — მარიამ და თედორე ცოდვილსა თანა სულსა ჩემსა, რომელმან აღწერე ესე“. ასევე საყურადღებოა იმავე ანდერძის დასასრულად, რომელიც გამოქვეყნებული აქვთ ა. ცაგარელს (სვედენია, I, 1886, გვ. 79-80), თ. ფორდანიას (ქრონიკები, I, გვ. 228-229) და რ. ბლუცა (გვ. 89-90): „ითარგმნა წიგნი ესე მეტაფრასი ქალაქსა შინა სამეფოსა კონსტანტინოპოლს, მონასტერსა შინა ყოვლად-შენიერსა ტრიანდაფელის დედისა ღმერთისასა, უღირსისა მიერ თოფილეს რეცა ხუცესმონაზონისა და მათვე ხელთა მიერ დაიწესა დასაბამითგანთა წელთა ექვსათას ხუთას ოთხოვცდა მეცხრესა (6589-5508 = 1081), ინდუქტიონსა ოთხსა ბერძნულად, მეფობასა აღმოსავლეთს (იგულისხმება საქართველო, ი. ლ.) გიორგი კესაროსისა, ბაგრატის ძისასა, რომლისა ბრძანებითა და მოღვაწეობითა ეწილე თარგმნად წიგნთა საღმრთოთა ელენურისა ქართულად“. ხოლო გულათურ № 5 ხელნაწერში მოთავსებული თოფილეს მონაწერი მის მიერ მეორეჯერ თარგმნილ თხზულებებზე („პატაპის ცხოვრება“, ფ. 118-123): „შეისწავეთ, რამეთუ სიტაბუქსაცა მეთარგმნა და მარიამს დედოფალსა პქონდა, ხოლო ან სიბერესაცა ვიძულე თარგმნად, ლოცვა ყავთ თოფილესთვის“. ყველა ეს პირველხარისხოვანი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობაა, რომელთაგან ირვევეა თოფილეს ვინაობა, მისი მოღვაწეობის ადგილი, დრო და ზოგიერთი სხვა ბიოგრაფიული ფაქტიც. აქედან შეიძლება დაეადგინოს შემდეგი:

თოფილეს მშობლები ყოფილან მარიამ და თედორე, აღუზრდია იგი გიორგი მთაწმიდელს („მზრდელსა და მოძღვარს“), საქართველოს მეფის გიორგი II-ის (1073-1089) „ბრძანებითა და მოღვაწეობით“ დაუნყია ქაბუკობიდან საღმრთო წიგნების თარგმნა ელიზბილან ქართულად. 1081 წელს უცხოვრია კონსტანტინოპოლში, „მონასტერსა შინა ყოვლად-შენიერსა ტრიანდაფელის“, და პქონია მაშინ ხუცესმონაზონის ხარისხი. იქ უთარგმნია და გადაუნერია №№ 20 და 36-37 ხელნაწერებში მოთავსებული მეტაფრასული საკითხავები, რომელთაც მან ნაუზმძღვარა ვრცელი შესავალი და დაურთო პოეტური ჰიმნები, ასევე ვრცელ ანდერძი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ უცხოვრობდა ჯერ კიდევ ქაბუკი, 1073-1080 წლებში, მაშინ დგა სამთარგმნელო საქმიანობას. როგორც სამართლიანად ფიქრობს კ. კვეცილე თანახმად მისი ანდერძისა, უნდა ვიფიქროთ, რომ ის მაშინ 25-30 წლისა მაინც იქნებოდა, ხოლო რაკი იგი აღუზრდია გიორგი მთაწმიდელს, უნებლიედ ჩნდება მოსაზრებანი — შეიძლება ეს თოფილე ახლდა საქართველოში 1060-1065 წლებში მეფე გიორგის, „ვითარცა მხილველი და ხელთი მახაზრი“ (გიორგი მცირის მსგავსად), ან იმყოფებოდა იმ უმანველთა შორის, რომლებიც იმავე გიორგიმ აიყვანა მონადეგებად და კონსტანტინოპოლში გამგზავრებისას თან გაიყოლა. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ თოფილე თარგმანი იყო ის „თოფილე, ნათესავით ქართველი“, რომელიც 1057 წელს ანტიოქიის საპატრიარქოში იმყოფებოდა და ესწრებოდა პატრიარქთან გიორგი მთაწმიდელის სიტყვის-გებას, მაგრამ ეს იდენტიფიკაცია მცდარია. „თოფილე, ნათესავით ქართველი“ 1066-1072 წლებში, როდესაც „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“ იწერებოდა, იყო ტარსუს მიტროპოლიტი, როგორც ამას იუწყება გიორგი მცირე, ხოლო თოფილე თარგმანი 1081 წელსაც კი ხუცესმონაზონია. ასე რომ, XI საუკუნის II ნახევარში ჩვენ გვაყავს ორი თოფილე: „რეცა თარგმანი“ [ანუ „რეცა ხუცესმონაზონი“], რომელმაც დაგვიტოვა დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა, და ტარსუს მიტროპოლიტი, რომლის ცხოვრება და საქმიანობა ჩვენთვის უცნობია.

უკანასკნელ ხანს გარდა ცდა ამ ორი თოფილეს გაიგივებისა და „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების“ დაწერის თარიღის შეცვლისა: გამოითქვა მოსაზრება, თითქოს გიორგი მცირის ეს თხზულება „მხოლოდ 1089 წლის შემდეგ შეიძლება დაწერილიყო“, რადგანაც თურმე 1098 წლის ახლო ხანში, როდესაც ჯვაროსნებმა თურქებს ნაართვეს ანტიოქია და იერუსალიმი, „თოფილე ქართველმა კათოლიკობა მიიღო. ბუნებრივია, რომ ამ აქტთან დაკავშირებით უნდა მომხდარიყო გაკათოლიკებული თოფილეს ტარსუს მიტროპოლიტად დანიშნვა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაწერილიყო საკვლევი „ცხოვრებაც“ (ჯ. აფციაური, გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“, 1980, გვ. 36-41). მაგრამ ეს მოსაზრება ეწინააღმდეგება პირველხარისხოვან ისტორიულ-ბიბლიოგრაფიულ ცნობებს, რომელთაც გვანდევან თოფილე თარგმანი და გიორგი მცირე.

როგორც ცნობილია, გიორგი მცირეს „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების“ დაწერა დაავალა გიორგი შეყენებულმა, შავი-მთის

მონასტრის მოღვაწე და გიორგი მთაწმიდელის მოძღვარმა. ეს თხზულება აღწერილი ამ გიორგის მიიღო კიდეც. მაშასადამე, ძველი მის სიკაცებში დაინერა. პ. იოსელიანი წერს, რომ გიორგი შუენებული გარდაიცვალა 1066 წელს, მაგრამ საიდან არის ეს ცნობა ამოღებული, არ ვიცით, ვერც მის სანდოობაზე ვიტყვიტო ჩაიშვს, ოღონდ გიორგი შუენებული რომ 1083 წელს გარდაცვლილია, ამაზე ცნობა მოგპოვება თვით გიორგი მცირეს. იგი აღნიშნულ წელს გადაწერილ ხელნაწერში იუწყება: „მოიხსენენ წმიდანნი და ჩვენნი მამანი — გიორგი მთაწმიდელი, ამისი (სამოციქულოს, ო, ლ) მთარგმნელი, და გიორგი, მისი მოძღვარი, წმიდისა სვიმეონის ლავრისა დაყოფებულნი“ (ქრკ., I, გვ. 230). ჯ. აფციაური არ იმონებებს ამ ციტატას და უსაბუთოდ ირწმუნება, რომ 1083 წელს გიორგი შუენებული ცოცხალია (გვ. 43). შეცდომაა ეს რწმუნება: გიორგი მოძღვარი 1083 წელზე ადრეა გარდაცვლილი და, მაშასადამე, „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“ 1066-1072 წლებს შორისაა დაწერილი, როგორც ეს გარკვეული აქვს კ. კეკელიძის და ტექსტში ივალყო ისტორიული რეალიები ადისტურებენ (უპირველესად მე მხედველობაში მაქვს სტეფანე მღვდლის ეპიზოდი და ის გარემოება, რომ მეფე ბაგრატ მეოთხე თხზულებაში ცოცხლად იყარაუდება). რაც შეეხება თოფილე ქართველის გაკათოლიკებას, ეს ყოველად შუენებულზელი მოსახრებაა არა მარტო იმიტომ, რომ ამგვარი ცნობა საერთოდ არ არსებობს, არამედ იმიტაც, რომ თოფილე თარგმანი იყო ქართული ეკლესიის დიდი წარმომადგენელი და მისი ერთადერთი გაკათოლიკება არ შეესაბამება მისსავე სარწმუნოებრივ აღმსარებელსა. საერთოდ იმ პერიოდში, როდესაც ქართველებს მჭიდრო კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ ბიზანტიასთან და თავიანთი წვლილიც კი შექონდათ ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში, ქართველი საეკლესიო მოღვაწის გაკათოლიკების არც ერთი შემთხვევა არაა ცნობილი.

ერთ-ერთი ზემოთდამოწმებული მიზანწერიდან ჩანს, რომ თოფილე თარგმანს სიჭაბუკიდან სიბერემდე უწარმოებია მთარგმნელობითი საქმიანობა. ისიც ჩანს, რომ სიბერის ხანს მას კონსტანტინოპოლში აღარ უცხოვრია, თორემ მის მიერ სიტაბუკში თარგმნილ „პატაპის ცხოვრებას“, რომელიც მარიამ დედოფალს ჰქონია, სიბერეში ხელახლა აღარ თარგმნიდა, არამედ მას მარიამ დედოფალს გამოართმევდა და გადასწერდა. მაგრამ რაკი თოფილეს სიტაბუკის შრომა ვერ მიუღია, უნდა ვივარაუდოთ, რომ მას

სიბერის ჯამს კონსტანტინოპოლშივე რეზიდირებოთ უცხოვრია.

არსებობს გვიანდელი ტრადიციული უწყება (რომელიც დაუცავს „ქართლის ცხოვრების“ წუსხას), თითქოს ეფრემ მცირე, თოფილე, არსენ იყალთოელი და იოანე ტარქისძე საქართველოში მოსულან (აღბათ, საზღვარგარეთიდან) „ჩრდილ“ წელსა. ეს ცნობა პირველად გამოაქვეყნა თ. ჯორჯანიამ და იქვე აღნიშნა, რომ აქ თარიღში დაშვებულია შეცდომა: უნდა იყოს არა „ჩრდილ“ (1174), არამედ „ჩრდილ“ (1114) წელი (ქრკონიკები, I, გვ. 241). იგივე გაიმეორა კ. კეკელიძემ (ქართული ლიტ. ისტორია, I, გვ. 243), მაგრამ ეს გასწორებული თარიღიც არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგანაც 1114 წლისათვის ეფრემ მცირე უკვე კარგა ხნის გარდაცვლილია, არსენ იყალთოელი საქართველოში იმყოფება, ხოლო თოფილესა და იოანეს ადგილსამყოფელის შესახებ არაფერი არ ვიცით. ასე რომ, ჯერჯერობით დანმდვილებით ვერ ვიტყვიტო, რომ თოფილემ სიბერის წლები საქართველოში გაატარა, და ვერც იმას ვიტყვიტო, მან როდის და სად განისვენა საუკუნოდ. სამაგიეროდ ჩვენ ბევრი შეგვიძლია ვთქვათ მის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე, რომელსაც ეწეოდა კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს.

თოფილე თარგმანი ეფრემ მცირისა და გიორგი მცირის უმცროსი თანამედროვეა, არსენ იყალთოელისა და იოანე პეტრიწის თანატოლი, ხოლო სამწერლო საქმიანობით — XI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XII საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი დირსული წარმომადგენელი. 1080-იან წლებში ეფრემ მცირისგან დამოუკიდებლად მან, ერთ-ერთმა პირველმა, გააცნო ქართველებს ბიზანტიური მეტაფრასული მიმდინარეობის არსი და სვიმეონ ლოლოთეგის მიერ გარდაკაზმული აგიოგრაფიული საკითხავების წინმეტყლოვანი ნაწილი, რომელიც შეამკო საინტერესო ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობებით. მართალია, ჩვენში მეტაფრასული თხზულებების თარგმნა ადრინამდე დაიწყეს (ცნობილია დავით ტბელის, სტეფანე სანანოსძის, ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელეების მიერ გადმოქართულებული საკითხავები), მაგრამ, ჩანს, თოფილემდე არავის უცდია სვიმეონ ლოლოთეგის წიგნთა მთელი კორპუსის თარგმნა. XI საუკუნის 80-იან წლებში კი ეს საქმე წამოიწყო მან, ოღონდ იგი ბოლომდე მიიყვანა თუ არა, არ ირკვევა. სვიმეონ ლოლოთეგმა, — წერს თოფილე, — „აღუწერა ქრისტიანეთა ათორმეტნი ესე წიგნნი მეტაფრასანი და მიანიჭა უკლესიათა

საბერძნეთისათა უსასყიდლოჲ ესე მარგალიტი, რომლისათვისაც უოველნი ეკლესიანი მას იკითხვენ და მითა განათლებიან და სწორად სახარებისა პატიეს ცემენ". მაგრამ „ათორმეტნი ესე წიგნი მეტაფრასნი“ ეფთვიმესა და გიორგი მთაწმიდელის არ გადმოუთარგმნიათ ქართულად. ამისი მიზეზი იყო ის, რომ ქართულ ენაზე ბევრი პირველხარისხოვანი საღმრთო წიგნი არ მოგვეპოვევოდა და ხსენებული მწერლები მათი თარგმნით იყვნენ დატვირთულნი. თეოფილე ამას ასეთი შედარებით აღნიშნავს: „რამეთუ კაცი რაჟამს სიყმილითა პურისაჲთა მომყმარ იყოს, მას ძიებად ხილთა და სანოვაგეთა არა სცალს“. ამის მსგავსად ეფთვიმესა და გიორგის „უფროჲს საქორთოაგან არა სცალდა და ამისთვის დაშთეს უთარგმნოდ“. ხოლო „მე, უღირსა ამას თეოფილეს, რცეა ზუჲმცონაზოსს, მოწაფესა გიორგი მთაწმიდელისასა, რომელი არა ღირს ვარ მონაფენოდებად მისა, ათორმეტთა ამათგან ერთი ესე (სექტემბრის თვის წიგნი, ი. ლ.) გამოშიდა. უკეთუ გამიმარჯვოს ღმერთმან სხვათათვისაც. კეთილ და, უკეთუ არა, ამისთვისცა ლოცვა ყუთ“ (ათონ. № 20).

ჩვენს მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს ამით თეოფილე მეტაფრასული საკითხავების გადმოქართულებაში პრიორიტეტობას იჩემებდეს (კ. კეკელიძე). ამას დაზუსტება სჭირდება: № 20 ხელნაწერის გადანერის თარიღი (1081 წ.) ადასტურებს, რომ თეოფილემ პირველმა დაიწყო სვიმეონ ლოლოთეტის წიგნთა თარგმნა, რასაც საფუძველი დაუდო სექტემბრის თვის საკითხავთა სრულად გადმოქართულებით. ამაში მას პრიორიტეტობას ვერ ნაფართმევთ. ამიტომ სწავს ნერს იგი: „ამის წიგნსა შინა ქართულთაგან ანუ პირველთა თარგმანთა თარგმანებულისა ყოვლადვე არარაჲ წერილ არს. თვინიერთ ჯვარის საკითხავისა სხვაჲ ყოველივე ახალი არს“. და მართლაც, ეს „ჯვარის საკითხავი“ არის ბასილი დიდის „ამაღლებისათვის პატრიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისა“, რომელსაც სათაურშივე მიწერილი აქვს თეოფილეს ხელით -- „თარგმანებაჲ წმიდისა მამისა ეფთვიმესი“, ხოლო დანარჩენი თხზულებანი, რომელთა რაოდენობა ორ ათეულს სცილდება, თარგმნილია თეოფილეს მიერ. ირკვევა ისიც, რომ მას ეს საქმიანობა გაუტარებელია, რასაც ადასტურებს № 36 და 37 ხელნაწერების შედგენილობა და ნოემბრის თვის მეტაფრასულ საკითხავთა წიგნის ზანდუკი, თვით თეოფილეს მიერვე დაწერილი (უძლიეს № 37 კრებულს). იგი იწყება ამგვარად: „მადლითა წმიდისა და ცხოველსმყოფელისა სამწმიდაარს სულისა ჩვენისათა, წიგნი შესამეტუე ნოემბერი, ცხორებანი და ნამებანი. მო-

სვე ნეტარისა მიერ სვიმეონ ლოლოთეტისა აღწერილ(ნი) შრომანი და მისგან ცხორებანი ვილისა მიერ თეოფილეს თარგმნილ(ნი) ქართულად“. ამის შემდეგ ზანდუკი ჩამოწერილია ნოემბრის 1, 2, 5, 6, 7, 9, 10, 11, 12 და 13 დღეთა საკითხავების სათაურები, რომლებიც დასახელებული აქვს კ. კეკელიძეს „ეტიუდებში“ (V, გვ. 152-153), და წყდება ასე: „თვესა ნოემბერსა იდ“. მათი ტექსტების ნაწილი მოთავსებულია № 36-37 ხელნაწერებში, ნაწილიც დაკარგულია. რაკი თეოფილეს უთარგმნია სვიმეონ ლოლოთეტის მეტაფრასთა შესამე (ნოემბრის თვის) წიგნი, მაშასადამე, მას უნდა გადმოელო ქართულად მეორე (ოქტომბრის თვის საკითხავთა) წიგნიც, რომელიც ჯერჯერობით არ ჩანს. გელათურ № 5 ხელნაწერს დაუცავს 7, 8, 9 და 19 დეკემბრის საკითხავები, რომლებიც თეოფილეს უთარგმნია. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ შეიძლება მან საერთოდ დეკემბრის თვის წიგნიც გადმოქართულა. ამგვარი შრომა 1081 წლამდე არც ერთ ქართულ მთარგმნელს არ შეუსრულებია. ცხადია, სვიმეონ ლოლოთეტის წიგნთა სრული კორპუსის გადმოქართულების პირველობა თეოფილეს უნდა მიეკუთვნოთ.

ჩვენს მეცნიერებაში გამოითქვა სხვა მოსაზრებაც, თითქოს თეოფილეს „ზუსტი წარმოდგენა არა ჰქონდეს ექვთიმე და გიორგი ათონელების ლიტერატურულ საქმიანობაზე, კერძოდ გიორგი ათონელის ღვაწლზე მეტაფრასული ლიტერატურის ბერძნულიდან ქართულად გადმოღების სფეროში“ (ჯ. აფციანური), მაგრამ ეს არის მხოლოდ ლიტონი განცხადება და არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან. შეუძლებელია, გიორგი მთაწმიდელის მოწაფეს, მის თაყვანისმცემელ თეოფილეს, რომელიც მოღვაწეობდა კონსტანტინოპოლში, ვერ განესაზღვრა, თუ ათონელმა მწერლებმა ბერძნულიდან რა მეტაფრასული აგოგრაფიული თხზულებები გადმოქართულეს, ან საერთოდ არა სცოდნოდა ზუსტად, თუ ისინი რა ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდნენ. თეოფილეს ამგვარ უცოდინარობას ვერ დაენამებთ ნურც შეეცდებით, რომ წინასწარშემუშავებული მცდარი მოსაზრება გვაეზრცელოთ XI საუკუნის მწერალზე, რომელიც გიორგი მთაწმიდელის მთარგმნელობით მეთოდის მოზიარე და მისი საქმიანობის გამგრძელებელი იყო.

ერთი რამ კი აუცილებლად უნდა ითქვას: XI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში მეტაფრასულ ძეგლთა თარგმნაში შემჩნევა პარალელიზმი, რომელსაც ყურადღება მიაქცია კ. კეკელიძემ (ეტიუდები, V, გვ. 154-157): თეოფილეს შემდეგ ზედახელა ითარგმნა

სვიმეონ ლოლოთეტის თხზულებები და დიონურა „მოსახსენებელი მცირე სვიმეონისთვის ლოლოთეტისა და თხრობაა მიხეზთა ამათ საკითხავთა თარგმანისათა“, რომელიც ეფრემ მცირეს ეკუთვნის. ამ „მოსახსენებელში“ ნათქვამია, რომ ახალ საკითხავთაგან ქართულად თარგმნი „მცირედნი“ დავით ტბელმა, სტეფანე სანანოისძემ, გიორგი მთაწმიდელმა. „ბოლო მოძღვარსა მას და ჩვენ ყოველთა მამასა ეფთვიმის ლოლოთეტის შუახმულთაგან კლემენტისი ოდენ უთარგმნია და წმიდისა პროკოპისი, რამეთუ სხვათა წინათაგან უცალო იყო, რომელთა მიერ ფრიად განამდიდრა ნათესავი ჩვენი“. აქ ეფრემი არაფერს ამბობს თეოფილეს შესახებ, რომელმაც დიდად იღვანა მეტაფრასული ნიგნების გადმოქართულებაში. მეტიც: მეტაფრასულ კრებულებში ჩვენ ვხვდებით სვიმეონ ლოლოთეტის იმ თხზულებათა ხელახალ თარგმანებსაც, რომელთა პირველი თარგმანები დატულია თეოფილეს ავტოგრაფულ ხელნაწერებში. რით ახსნათ ეს პარადოქსი? ეფრემ მცირე ძლიერ პუნქტუალური მწერალი იყო და თავის წინამორბედთა ლიტერატურულ ღვაწლს ჯეროვნად აფასებდა. მაგრამ რაკი ის „მოსახსენებელში“ არაფერს არ ამბობს თეოფილეს ღვაწლზე და მის თარგმანებსაც არ ახსენებს, ამ დუმილს აქვს მხოლოდ ერთადერთი ახსნა: ეფრემს თეოფილეს ლიტერატურული საქმიანობა არა სყოფნიდა. ეს გარემოება კი გვაფიქრებინებს, რომ თეოფილეს შრომა ავტოგრაფულ ცადად დარჩენილა კონსტანტინოპოლში (თუ ათონის მთაზე) და, როგორც კ. კაკელიძე შენიშნავს, საფიქრებელია მის „საქართველომდე არც მოუღწევია“. დიდმა თურქობამ შეერა გზები, კავშირი გაწყვიტა ათონად და შავმთელ ქართველ მოღვაწეთა შორის. საქართველოც მოსწყდა საზღვარგარეთის ლიტერატურულ ცენტრებს. ამიტომაც კონსტანტინოპოლში მყოფმა თეოფილემ ეპარქიერი გაიგო ეფრემ მცირის ლიტერატურულ საქმიანობაზე და, პირიქით, შავმთაზე მყოფ ეფრემს წარმოადგინა არა პქონდა თეოფილეს მოღვაწეობაზე. დღეს ჩვენამდე მოღწეულია ორივე მწერლის თარგმანები. მათი დედნებთან მიმართებისა და სხვა მხარეების შესწავლა მოგვცემს შესაძლებლობას დავადგინოთ, თუ თეოფილესა და ეფრემს რა წვლილი უდევთ ბიზანტიური აგიოგრაფიის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენლის სვიმეონ ლოლოთეტის თხზულებათა სრული კორპუსის თარგმნაში. ამისი დადგენა ჩვენი ფილოლოგიის ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა უფრო იმიტომ, რომ ქართულმა თარგმანებმა და მათმა ავტორებმა დიდი წვლილი შეიტანეს ბიზანტიური მეტაფრასტიკის შესწავლის საქმეში.

 ზევით აღენიშნე, რომ თეოფილეს თარგმანები შეამკო საინტერესო ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობებით. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა სექტემბრისთვის საკითხავთა კრებული (№ 20). მას უძღვის ერცელი შესავალი. ერთვის უცნობი პიში „აღმალღდი უფროსს ცნობითა“ (დასათაურება მე მკუთვნის) და ერცელი ანდერძი, რომლის ბოლო ნაწილი „დაბეჭდილი აქვს რ. ბლეკს, პიშინი დაწერილია თეოფილეს მიერ ათმარცელიანი საზომით, შეიცავს 53 სტრიქონს. მათი თავნი და ბოლონი იტყვიან: „1. აქებდით ყოველნი არსნი უფალსა! გიორგი მეფე დაიკცე, ქრისტე, ამინ. II აცხოვენ ტბილო ღმერთო, აცხოვენ ცოფელი თეოფილე რევა თარგმანი“. ტექსტი შედგება ორი ნაწილისაგან:

პირველ ნაწილში შექებულია ჯერ მამაღმერთი (ქვეყნის შემოქმედი) და მისი ხატი — იესო ქრისტე, შემდეგ საქართველოს მეფე გიორგი II (1073-1089), რომლის „ზრძანებთა და მოღვაწეობით“ შეუდგა თეოფილე სამთარგმნელ საქმიანობას. ავტორი აქ გიორგის სახელდებით იხსენიებს აკროსტიხში, ტექსტში კი — როგორც „აღმოსავლთა ქველსა მეფესა“ (ათონის მთაზე და კონსტანტინოპოლში მყოფი ქართველები საქართველოს უწოდებდნენ აღმოსავლეთს), და ღმერთს ევედრება, რომ ამ „ქველსა მეფეს“ ექმნას შემწე, არიდოს ღალაფა, მარადის აცოცხლოს და მისცეს ძალი მტრის დასამოხობად.

მეორე ნაწილი შეიცავს სამადლობელ და სავედრებელ აღსარებას. აქაც ავტორი მამაღმერთს მადლობას უთოდის, რომ გამოაზრწყინა „მზეა სიმართლისა“ (ძეღმერთი) და აღძრა ენაბრგვნილი მწერალი ქების სათქმელად, თანაც ევედრება, რომ შეისმინოს მისი „ტირილით სულთქმად“, მისცეს წყალობა, გულს უბოძოს ღმობიერება და „ასეას თეოფილეს წყალი იგი ცხოველი უაუნისამდე“.

ეს პიშინი XI საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოეტური ძეგლია, შეთხზული ამადლებული მხატვრული მჭყვრმეტყველებით. რაკი მისი ტექსტი უცნობია, აქვე ვაქვეყნებ მთლიანად (ორთოგრაფა ახალია):

აღმალღდი უფროსს ცნობითა და სდგმ!
 ქება მეტყველთა რიტორთა წარპულე,
 ეგე უხილავ უკვდავსა, ღმერთო,
 ზრძანებთა სრულ-პყავ, სიტყვა ჰქმენ საზღვარ,
 დაპბედენ არსნი, ძალნი პყავ ქადაგ,
 ინებე ოდენ, წარმოადგეს ცანი,



თვალნი მნათობთა ექმნენ შუუდგამ;
 ყოვლად ყოვლითურთ დღეა განაშვენე
 ორსა მას ნესხა რჩეულად განაყოფ;
 ვარსკვლავთა მიერ ღამე შეამკვე,
 ელვარებითა სოფელსა განსმედე,
 ღლოთვილ-ყოფ ბნელსა, მოგვეფენ ნათელსა.
 ნივთიდან კნინთა შენ შექმენ კაცო,
 იყარ შენ სივრცე, სიბრძნე ჩვენ მოგვეც.
 აგებულეგამა დღეს განაცხადე;
 რაღა საკვირველ ყოვლითე ჰყავ,
 სრულეგამა სრულ ჰქმენ სოფელი-ქალაქ,
 ნივთი უნივთო, ხორცნილა აღვირ,
 იძლევის სიტყვა, იქვეყნს ნესო,
 ოფოლი ძალთა ან კვლად მოვალს,
 ვესუ მხსნელი არს მამისა ხატ.
 ფრიად სულგრძელო, შენ ექმენ შემნე
 აღმოსავალთა ქველსა მეფესა,
 ღალტაა არიდე, აცოცხლე მიმდეშ,
 სული უცხოვნე, მიეც მას ძალი
 ან და ოდესვე, მერეგმა! ამინ.

11

არსთა ყოველთა სწორად თანა-აც
 ცნობად ნიჭთა მათ შენთა, მალალო.
 ზეავრიელ ხარ შენ და ნითა მოქმედ;
 ო, სახიერო, ყოველთა ჰფარავ.
 ვითარ მიგიძღვენ მადლობაა ღირსა?
 ნათელთა მიერ შენ ხარ შემკობილ,
 ელვითა დღითა განსმევენებულთ,
 ღამე წყვდიადითა იოტე ძლევით,
 მზე სიშართლისა აღმოგვიბრწყინვე,
 ენა ბრგუნილი აღსძარ, მზილაო,
 რაღა ბრწყინვალედ მადლთა განუყოფ,
 თვითოუფლსა შენ მიეგებვი.
 ოუფალო ღმერთო, მეც მეცა ნანოლ,
 ტირილით სულთქმბა ჩემი ისმინე!
 კეთილთა შენთა შენვე ხარ საზღვარ.
 ბევრის ბევრთაგან ბრალთა მისხენ მე,
 იგი პირველი წყალობაა მომეც,
 ღმობიერებაა უბოძე გულსა.
 ოდეს მოხვიდე ზვიით სუფევით,
 ასმინე სულსა გლახ ჭირვეულსა,
 ცათა მფლობელი გვემნა სახიერ,
 ხარებასა მას თვით მექმენ ქადაგ;
 ოკონიატესლა ხარ თვალთ-შუუდგამ,
 ვითარ მიგხედნე შენისთა მას დიდსა
 ნივთმან ცეცხლისა მის ბნელისამან.
 ემა, უფალო, ასე თოფილეს წყალი
 იგი ცხოველი უკუნისამდე!

როგორც ვხედავთ, პიმნის ტაქთა დასა-
 ნყის-დასასრული ასოები გამოყენებულია
 აკროსტიქული ფრაზისათვის. ამგვარი კი-
 დურწერილობით პიმნებისა და სამოძღვრო
 ლექსების თხზვა იმდროის ქართულ ლიტე-
 რატურაში უკვე დამკვიდრებული ზერხი იყო.

ასეა დაწერილი გიორგი მთაწმიდის ნაშრომი
 ესი „ქებით დიდება“, რომელშიც შემოქმედის
 ბოლონი იტყვიან: „ქრისტე, შეიწყალე ცოდ-
 ვილი გეორგი, ამინ“ (ჩვენი საუნჯე, ს. გვ.
 500), ეფრემ მცირის „ჰოა ადამის ზესთ
 ქმნილო“ (იქვე, გვ. 515-517) და ზემოთ გან-
 ხილული „შესხმა გიორგი მთაწმიდელისა“.
 შემდეგში ასეთი აკროსტიქებით წერა უფრო
 განმტკიცდა და სასულიეროდან შეიჭრა
 საერო პოეზიაშიც. არჩილ მეფემ დაწერა
 თავბოლოკიდურწერილებიანი შვიდი იამბი-
 კო, რომელთა ტექსტი ჯერ კიდევ არ არის
 გამოქვეყნებული. ასე რწმ, თეოფილეს ეს
 უცნობი პიმნი ლექსწმობის თვალსაზრისითაც
 მნიშვნელოვანი მონაპოვარია. იგი უდავოდ
 კუთვნილ ადგალს დაიჭერს ქართული სასუ-
 ლიერო პოეზიის ისტორიაში.

ამ პიმნს ხელნაწერში მოსდევს მოკლე მი-
 ნაწერი, რომლითაც თეოფილე თარგმანი ყველა
 გადამწერს აფრთხილებს, რომ ვინც ჩემს
 ნიგნს გადასწერს, არ გამოტოვოს მისი შე-
 სავალი და ანდერძი. ამას კი მიჰყვება ან-
 დერძი. რომელიც პიმნის მსგავსად შეიცავს
 ლთაების ქებას, ავტორის ვედრებასა და აღ-
 საარებას, ასევე მთარგმნელობითი მეთოდის
 განმარტებას, სულთა მოსახსენიებულსა და
 ნიგნის თარგმნისა და გადამწერის ქრონო-
 ლოგიურ მონაცემებს. იწყება სიტყვებით —
 „რომელი-ეგე მხოლო ხარ, მეუფე მეუფეთა,
 უფალი დაბადებულთა“ და სხვა. მერმე თე-
 ოფილე ღმერთს უთვლის მადლობასა და ევე-
 დრება ამგვარად:

„...დიდებულბაა ღირსისა საქმისა ვინ გა-
 ნიცალბა, რომელი-ესე მრავალ-გზის ჰქმენ
 მრავალთა ზედა, ზოლო უმეტესადლა აღას-
 რულე დღეს უნდოებასა ჩემსა და აღსრულე-
 ბითა არა ღატონითა, არამედ საკვირველითა,
 რომლისა ამის ყოელისათვის გაკურთხვე
 შენ და თავჯანის-გცემ და ეჰმადლობ ვრცე-
 ლთა მათ და ურიცხვთა წყალობათა შენთა,
 რამეთუ განამრავლენ და გარდაჰმატენ ქვე-
 ლის-მოქმედებანი სულგრძელებისა შენისანი
 უბადრუკებასა ზედა ჩემსა. აღვიარებ მადლ-
 სა, ვქადაგებ წყალობასა, არა დაეჰფარავ
 ქველის-მოქმედებასა, არამედ განცვირდები
 და უსიტყველ ვარ და ვადიდებ მდუმრიად
 განუღველთა მათ განკითხვათა შენთა ნანდ-
 ვილვა...“

რამეთუ ჩემთვის, ჰოა მეუფეო ღმერთო,
 უტიანჯველად ოდენ ყოფაა სოფელსა ამას
 შინა დიდ იყო, ფრიადცა დიდ და ნამეტნავი
 და არა მოგებად აღვიარებ შემსგავსებულად
 ცოდვათა ჩემთა, რამეთუ ფრიად არიან და
 მრავალ ცოდვანი ჩემნი ნინაშე ღმრთაებისა
 შენისა, რომლისთვისცა გვედრები და შეგო-



ვრდები და აღვიარებ ნინაშე სუფივისა შენი-
სა ბრალთა ჩემთა.

ყოფათა სიჭაბუკისა და უმეცრებისა ჩე-
მისათა ნუ მოიხსენებ!

მინყალე მე, ღმერთო, მინყალე და უღბი-
ნე ჭირვეულსა სულსა ჩემსა!

განხეთქე, მეუფეო, განხეთქე ხელით ნე-
რილი ბრალთა ჩემთა!

დამინერე, მე, მაცხოვარ, დამინერე ხელით
ნერილი იგი ღვინებისა და გამოხსნისა!
მოიხილე, წმიდაო, მოიხილე უნდობასა
ზედა ჩემსა და განანათლენ დაბნელებულნი
თვალნი სულსა ჩემისანი...

ისმინე ხმაჲ უნდობა ვედრებისა ჩემისა
და წმიდა მყავ მე ყოვლისა ბოროტისა და
ბრძვილისა ვნებათაჲსა და ბრძანე, სახიფ-
რო, შეწყალეუბად ჩემდა არცა აქა და მერ-
მე სამთა მათ შინა ფაშთა საშველისათა და
ნუშტო გარდაშტებულუბაჲ მადლთა შენთაჲ
მეცნების მე (და ნუშტო) გარდაშტებულუბაჲ
სატანჯველთაჲ, არამედ განაგე ცხოვრებაჲ
ჩემი უაღრესად შეცვალებითა მეოხებითა
ყოფლად წმიდისა ღმრთისმშობელისა და ძალ-
თა მათ წმიდათა უსხულოთაჲთა, დიდებულ-
თა მოციქულთა და მოძღვართა და ახოვან-
თა მონაშთთაჲთა. ხოლო უმეტესადღა რო-
მელნი ნერილ არიან ნიგნა ამას სკადებნ-
რისა თვისასა, რომელიც-ესე შემზადა თარგ-
მანებით უნდობისაგან ჩემისა ყოვლად
ძლიერმან წამისყოფამან შენმან, ვითარცა
მთავრისაგან — ვარდი, სულენებება იგი
მთავართაჲ, და მატლისაგან — აბრეშუმნი,
სამოსელი იგი მყოფთაჲ, და ფუტურისაგან
უნდობასა — სიტკობებაჲ და სინაილე, სა-
სურველი იგი და სანადელი ყოველთა კაც-
თაჲ.

ამის შემდეგ ერთი აბზაცი ეთმობა გიორ-
გი მთაწმიდელის, მისი და ასევე თეოფილეს
ტეპსტების მოსახსენებლებს, რომელთა
ტეპსტი ზევით დავიმონწმე, მერმე ერთი აბ-
ზაცი — კვლავ ვედრებას და მათ მიპყვება
უაღრესად საინტერესო მონაკვეთი, რომელ-
შიც თეოფილე ეუბება თავის მთარგმნელო-
ბითს მეთოდსა და იძლევა რჩევას, თუ თეო-
თელნი საკითხავი მონასტერში როგორ უნ-
და შეისწავლონ და ნაკითხონ. მისი ტეპსტი
ეს არის:

„ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, ცო-
დვილისა თეოფილესათვის რეცა თარგმანისა,
რამეთუ მე არაარაშათვის სხვისა, არამედ
ლოცვათათვის თქვენთა წმიდათა თავს მიც
შრომაჲ ამისი. ხოლო ვუვედრობი თა ვამც-
ნებ ყოველთა ეკლესიათა, რომეცა მიინი-
ოს ნიგნი ესე, რათა უკეთუ არა რაფან
ამიერ, ვითა აქა პოსს, ვერეთ ნერდინ შეუ-
ცვალებულად, რათა არა ბრალულ იქმნას

სასჯელთაგან საღმრთოთა, და უაღრესად
სა სცვალებნ, ნუცა თავსა, ნუცა უაღრესად
რამეთუ მე თავით ჩემით არაარა დამინერია,
არცა რაჲ ჩამირთავს და არცა დამიკლია,
როდენი ჩემგან ეგებოდა და ქართული
ენაჲ თავს იდებდა, არამედ ვითარცა ბერძ-
ნულად მიპოვნია ნიგნთა შინა მართალთა
და ფრიადცა ნარჩინებულთა, ესრევე ქართუ-
ლად დამინერია. ხოლო უკეთუ ვინმე ამას
ურნმუნო იყოს, შეანამუნ და მიერ ისწავ-
უნ ქუშმარიტებაჲ სიტყვისაჲ. ესრეთვე
კვლად ვუვედრები წინამძღვართა და დეკა-
ნოზთა, რათა არცა ცხბათა ზედა, არცა წვეფ-
თა ზედა და არცა ყბათა ზედა განაყოფდენ
საეკლესიოდ კითხვასა, არამედ — მეცნიერ-
თა ზედა და ღმრთის-მოშობთა და ესე ნერი
იპყრ მანცა, რომელი უპყრიეს ეკლესიათა
საბურძნეთისათა, რათა პირველსა დღესა
მიცემოდის ნიგნი და დღე-ყოველ და ინჯარ-
თისს მითხველმან ცისკრად და წარსაკითხა-
ვი იგი საკითხავი. რამეთუ თვითთა თქვენ
განბჭეთ და განიკითხეთ, თუ არა სირცხვილ
არს ესე ჩვენდა: უკეთუ ბერძენნი ესოდენსა
მას სიბრძნესა ზედა და ნურთილებასა და ნერი-
ლთა მათთა სიკეთესა და აღნიშვნასა კვლად
და ინურთიდენ და წარინახვიდენ, რომელთა
თვით ენაჲ მას ზედა ამოუდგამს, და ჩვენ
ჩვენსა უსწავლელობასა ზედა არა ვიქმოდით
ამას.

ამ ამონაწერიდან ირკვევა, რომ თეოფილეს
სვიმეონ ლოლოთეტის აგიოგრაფიული საკი-
თხავები ბერძნულიდან უთარგმნია არა „შე-
მატება-კლბის“ მეთოდით, არამედ სიტყვა-
სიტყვით, რამდენადაც მას „ეგებოდა და ქა-
რთული ენაჲ თავს იდებდა“, ე. ი. იმ მთარ-
გმნელობითი პრინციპებით, რომლებითაც
მუშაობდნენ გიორგი მთაწმიდელი და ეფ-
რემ მცირე ამიტომაც აფრთხილებს იგი
მკითხველს: „არცა რაჲ ჩამირთავს და არცა
დამიკლია“, არამედ ვთარგმნე ისე, „ვითარცა
ბერძნულად მიპოვნია ნიგნთა შინა მართალ-
თა და ფრიადცა ნარჩინებულთა“. საქმე ისაა,
რომ სვიმეონ ლოლოთეტის ნიგნებს თავი-
დანვე შუუჩნდნენ მწვალებლები და გაასწო-
რეს ისინი, რის გამოც თვით ბერძნულშივე
გაჩნდა მათი შერყენილი რედაქციები. ჩანს,
ეს იყოდა თეოფილემ და ამიტომაც ირწმუნ-
ება, რომ მე სანდო დედანი მქონდაო, და
მკითხველსაც დაბეჯითებით სთხოვს: ჩემი
ნიგნი უცვლელად ვაღაწერეთ. ნურტილიც
კი არ შეცვალოთო. ამავ დროს ის ითვლი-
სწინებს მღალაღი განათლების ქართულ მკი-
თხველს, რომელსაც შესწევს უწინარე ბერძნულ
ტექსტებში ჩაიხედოს. ამათ მისამართით კი
შენიშნავს: უკეთუ ვინმეს ჩემი ნათქვამი არ
დაეჯუროს, თარგმანი შეუდაროს დედანს და

ისე ისწავლოს „ქვეშაირიტება სიტყვისა“. აქედან ჩანს, რა დიდი პასუხისმგებლობით მოჰკიდებია თეოფილე მთარგმნელობითს საქმიანობას. ასე რომ, დამონშებული ანდერძი მნიშვნელოვანი დოკუმენტია. რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მეტაფრასტულ თხზულებათა ქართულად თარგმნის ისტორიაზე, მეთოდსა და რაობაზე. ყოველივე თქმული გვაძლევს საფუძველს განვაცხადოთ, რომ თეოფილეს მიერ გადმოქართულებული აგიოგრაფიული საკითხავები, რომელთა ტექსტები ჯერ კიდევ გამოუცემელია, უაჭველად დიდ დახმარებას გაუწევენ ბიზანტინისტებს სვიმეონ ლოლოთეიტის ბერძნული მეტაფრასული ნიგნების კრიტიკულად დადგენა-გამოცემის საქმეში.

* * *

აგიოგრაფიულ საკითხავებთან ერთად თეოფილეს ბერძნულიდან გადმოუღია ერთი ეგზეტიკური თხზულებაც — იოანე ოქროპირის „თარგმანებაჲ დაბადებისაჲ“, რომელიც ერთადერთი ავტოგრაფული ნუსხით (№ 29) შემოუნახავს ათონურ ხელნაწერთა კოლექციას. ეს თარგმანიც შექმულია საყურადღებო ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობებით. დართული აქვს მას ურცელი ანდერძი, რომელიც ფურცლების დაზიანების გამო ნაკლებია. აი, მისი ერთი ფრაგმენტი:

„თარგმნი უკვე წმიდაჲ ესე და დიდებაჲ ყოველთა ეკლესიათა ნიგნი ღმრთისა მიერ და მისთა მათ აურაცხელთა მონყალებითა და მეოხებითა ყოველად წმიდისა ღმრთის-მშობლისა, დედისა ღმრთისაჲთა, მადლითა წმიდათა მამათა და მნათობთა სოფლისაჲთა ამასვე დიდსა და ოქროპირსა თანა წმიდისა მამისა ეფთვიმესითა და დიდისა მამისა გიორგი მთაწმიდელისა, აღმზრდელისა ჩემისაჲთა, მწირისა გლახაკისა და ობლისა, ლოცუთა მოძღვართა და მშობელთაჲთა, ლოცუთა წმიდათა მამათა და დიდთა ბერთა —

იოანე რეხვეგს ძისა და ბერისა მარტინოზისა ხარსელისა, ბერისა კლიმი მეუფისა, ნეტარისა ბასილი ულუ(მივი)ლისა, მოძღვრისა ჩემისაჲთა, რომელთა იყვენ ერთბამად საუკუნომცა სახსენებელი და კურთხევაჲ... დაიწუნუსხა უკვე ხელითა ცოფილისა თეოფილესითა ქვეყანას ელადისასა და მთაწმიდას სრულ იქმნა, სადაცა იგი შეინრა“.

ხელნაწერს თარიღი არა აქვს, მაგრამ იგი გადანუსხულია 1081 წლის ახლო ხანში, რადგანაც მისი და №20 და №37 ხელნაწერების წერის მანერა და სტლი იდენტურია. როგორც ჩანს, თეოფილე ტრიანდაფლივის მონასტრიდან წასულა და დამკვიდრებულა „ქვეყანასა ელადისასა“. აღნიშნული (№ 29) ხელნაწერის გადაწერა აქ დაუწყია და დაუმთავრებია მთაწმიდაზე (ათონის მთაზე), სადაც ნაშრომი ქართველთა მონასტრისათვის შეუწირავს.

„დაბადების თარგმანების“ ხელნაწერი საინტერესოა სხვა მხრივაც: თხზულების თვითოველ თავს ერთვის მინაწერი — „ღმერთმან შეინყაღენ ცოფილი თეოფილე თარგმანი“, ან: „ღმერთმან შეინყაღენ ცოფილი თეოფილე, ამისი თარგმან-მწესხველი“ და ა. შ. მაგრამ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს იმ მხრივ, რომ მის დაზიანებულ ანდერძს უძღვის ორი (ათმარცვლიანი და 16-მარცვლიანი) კიდურწერლობიანი იამბიკო, რომლებშიც შექმულია მოსე ნინასწარმეტყველი, როგორც „დაბადების“ ავტორი, და იოანე ოქროპირი, ამ ძველის კომენტატორი. პირველი იამბიკოს კიდურწერილობაა: „ღმერთო ცხოველო, დიდება ჰოჲ შენდა! ამენ. მაცხოვარ, სცხოვენ სული ცოფილი“, მეორისა კი — „მოსეს და იოვანეს ნეტართას ნატრის ცოფილი ფილოთოს“. ორივეს ტექსტი ჩვენი მეცნიერებისათვის უცნობია. აქ ვაქვეყნებ მათ სრულად (ორთოგრაფია ახალია):

3

ღმერთო ცხოველო, მეტყმენ თანამდგომ,
 მადლით მომხუდენ გლახაკსა შენსა,
 ელეა მადლისაჲ [წყალობად] მომეც!
 რადგენ უხვი ხარ, ყოვლთა შენ გვიახს.
 მველო ცხოველო, ყოვლად ნათელწ,
 რუფალო ღმერთო, ნეტარ, ვის ჰფარაჲ!
 მანი ცათანი ძღვენ, მნობენ შენდა,
 ხუროთმოძღვარი ყოველთაჲ შენ ხარ.
 რითა სოფელთა პრძანებლობსა,
 მრცელთა შექმნილთა განცდად ვის ძალ-უც.
 მრთა ზესკნელთა თვით თავად იახ,
 ლოცვაჲ შენ მდგომთა გვასმინე მსხნელწ!

ოციდებდ მზარე ჩვენგან ლტოლვილ ყამ!
 მახადებულნი სიბრძნით დაპაადენ,
 იმყარ ზესენელთა, ქვენა შეამკეპ,
 მდითა საქმეთა გურენ მისწეთების;
 ენა რიტორთაა რადლა ვალს მიმომ? —
 ბრძენნი განცოფნეს, დასტურად ვიტ;
 ბთენ ადრევე იქმნა განკიცხულ;
 ენა, ვის ელენთა ცრუ იქმნა რაზმი,
 შიშით დიდებამ ღმრთისაა თანა-ამ;
 პრსა ადამის ტომისა გამომ
 ნიეთსა ყოველსა ერთბუნებით სნერდ,
 მროა ბრძანე ჩემთვის, ქრისტე, შენ გლოცავი,
 ანვე აქამთვე იღვანე სულნი
 ადამისშვილთა, უფროას მყავ მონყულულ
 ში, უბადრუკი მონა ცოფვილი,
 ნიეთი ცეცხლისა გუპენისაა.

II

მადლისა ღმრთისა დიდებამ მოსე ქადაგა ნეტარმან,
 ოქსკრული მისთა სიბრძნეთა ცხადად გვაუნყა [ჩვენ] კაცთა,
 სიმდიდრე დაბადებისაა ძეა იგ პუო მართებულად ხაბ;
 მთავსა ღმრთისა ნათელი, ზეცითა შოილო მზე ვერ,
 სიტყვაა შჯულისა უფლისაა მადლითა მოგვართვა ღირსნი,
 მახადებულთა თხრობითა ერთა ვნითა ზიარ სცემს,
 აღმართ-მეტყველთა რიტორთა ამიერ სიტყვადა ძალ-უს,
 იმყარა მეტყველნი წინაასნარ, სიტყვაა სახითა ბუჭედულ ვომ,
 ოქსკრულია ღმრთისა ბრძანებამ არსთა დაუდეა საზღვარად;
 მრცელთა ცათა და ზღვათა[ცა] კარმიკნი ზე თქენა საზედავი,
 აღმართ-მსრბოლელი ეთერი ქვე მოაქცია მძნოლელი,
 ნიეთა ოთხთაგანი გვითხრა, ესე ყოელი მზადე გარსულ.
 ენა, რაბამ აღამადლა ღმრთისა ხილვისა ღირსქმნული!
 სრულთა სათნოთა ღმრთისათა ორთა ვერავითა განეყოს.
 ნეტართა მდიდრად ქადაგეს ორთა სოფელთა მოქმედნი,
 პრთი მეუფე გვასწავეს, ზეითა და ქვენა დამართველ,
 ტომთა ვნითა განგებულ მას შვენის სამარადისომ;
 ადამის ძეთა დიდებამ ღმრთით ხორციითა ვიხილემი,
 რომელსა პრქვიან „ძე მადლის“, ღმრთისა მარჯვენით მჯდომარე,
 ოყოფილეს გლახ ცოფვილსა მეობ ექმნენით, წმიდანომ —
 აღმატებულომ ოქროპირ რჩეულსა თანა მოსვის,
 საესე კინი[ი] ნელილი ძღვენი ზოგად ორთავე მიიღეთ
 და მითხოვეთ ღებნა სულთა დღესა მას დიდსა
 სასჯელისასა. ამინ.

პირველი (ათმარცვლიანი) ლექსი არის
 სავედრებელი ჰიმნი. თყოფილე უზუნავს არ-
 სებას სთხოვს, რომ ექმნას თანამდგომ და
 მოხვედრის მას, როგორც გლახაკსა, „უბად-
 რუსსა მონასა ცოფვილსა, ნიეთსა [ანუ ელე-
 მენტს] ცეცხლისა გუპენისასა“. ამავე დროს
 შენაატრის მას, ვისაც მუდარავს უფლის ცხო-
 ველი თვალნი. ამბობს: ღმერთმა, ყოველთა
 ხურთომოდვარმა და ორთა სოფელთა
 მბრძანებულმა, „დაბადებულნი სიბრძნით
 დაპაადენა“, ქმნა „დიდნი საქმენი“, რომელ-
 თაც „ვერენ მისწეთების“, და საღმრთომ
 მოძღვრებამ სძლია წარმართულსაო.
 შუა საუკუნეების აზროვნების ისტორიაში
 ცნობილია, რომ იუსტინე იმპერატორის

[527-565 წ.] ედიქტით, რომელიც 529 წელს
 გამოიცა, მოხდა საბედისწერო გარდატეხა:
 ბიზანტიაში დაიხურა საერო ფილოსოფიური
 სკოლები და გზა გაეხსნა სამონასტრო ქრის-
 ტიანულ სქოლასტიკას. ამან საეკლესიო მო-
 ლაუნეთა შორის აღძრა სასიამოვნო განწყო-
 ბილება. ერთმა მწერალმა ასეთი რამ განაც-
 ხადა: „ამიერ დაცხრა აკადემიოა, ამიერ
 დადუმნა სტოეა, ამის მიერ უქმ არს
 პერიპატოა, ამის მიერ მნოლარე არს
 ლვიკიონ, ამის მიერ დათრგუნვილ არს
 ათინა“, რადგანაც მათი მოლაუნენი „დაუ-
 ტობდნენ ღმერთსა დაბადებულსა და
 ღმერთ-ყოფდნენ დაბადებულთა“, „ხილულ-
 თა ამით უხეშათეს ყყოფდნენ ღმრთისა უხი-

ლავისა" და „ხილულთაგან უხილავსა შეუ-
რაცხჳყოფდენ“. ამისთვის ისინი „სულელ
იქმნენს, ამისთვის დადუმნეს, ამისთვის
უფსკრულსა დაფიყებისასა დაიხრქნეს“.

ჩანს, თეოფილესთვის ეს ისტორიული ფაქ-
ტი ცნობილი ყოფილა, რაკი ამბობს, რომ
„ენა რიტორთა რადღა ვალს მიიშო? — ბრძე-
ნნი განცოფნეს, დასტურად ვიტყვი; ათენ
ადრკუე იქმნა განკიცხულ“, ხო-
ლო „ელენთა ცრუ იქმნა რაზმი“.

მეორე (16-მარცვლოვანი) ლექსი ეხება
მოსე წინასწარმეტყველსა და იოანე ოქრო-
პირს. თეოფილე იხსენებს ბიბლიურ გადმო-
ცემას იმის შესახებ, თუ სინას მთაზე მაცუ-
ლოვანში როგორ გამოცეხდა ღმერთი მო-
სეს და მისცა „ფიყარნი ქვისანი“, რომელ-
ზეც ეწერა ათი მცნება [გამოსდეთა 32,
15-16], და ამასთან დაკავშირებით ამბობს
აღფრთოვანებით: „უჲა, რაბამ აღმადღდა
ღმრთისა ხილვისა ღირსქმნილი“ მოსე, რო-
მელმაც ცხადად გვაუწყა საღმრთო სიბრძნე,
„სიტყვაჲ საჯულისა უფლისაჲ“ და „არსთა და-
უფდა საზღვარად“. შემდეგ ყურადღებას ამა-
ხეილებს მოსეს ზოგიერთ სასწაულზე, რომე-
ლიც იქმნა ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსე-
ლის წინ: „აღმართ-მსრბოლელი ვთერი ქვე
მოაქცია მძრნოლელი“-ო, და იქვე აღნიშ-
ნავს, რომ „ნეტართა [ე. ი. მოსემ და იოანე
ოქროპირმა] მდიდრად ქადაგეს ორთა სო-
ფელთა შემოქმედი“ და გვასწავებს „ერთი
მუფე“, რომელსაც შვენის სამარადისო დი-
დუბაო, პილოს კი ითხოვს მათგან შეოხებასა
და ღებნას.

ამრიგად, თეოფილე თარგმანი გვეკლინება
არა მარტო პროზაული თხზულებების შესა-
ნიშნავ მთარგმნელად და პროზაიკოსად, არა-
მედ ამთარცვლოვანი და თექვსმეტმარცვლო-
ვანი ლექსების ავტორადაც, რომელიც ქართუ-
ლი სასულიერო პოეზიის ისტორიაში დაი-
ჭრის ღირსეულ ადგილს. განხილული პოე-
ტიური თხზულებები ადასტურებენ და ამტკი-
ცებენ ცნობილ მოსაზრებას, რომ რუსთვე-
ლურ და შავთელურ-ჩაბრუხაულ ლექსებს
ქართულ პოეზიაში განვითარების ხანგრძ-
ლივი გზა აქვთ განვლილი, სანამ ისინი ხე-
ნებულ პოეტებთან სრულყოფილ მხატვრულ
ფორმას მიიღებდნენ.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ათონუ-
რი ხელნაწერები ჩვენი ძველი მწერლობის
ბევრ ჩრდილოვან მხარეს მოკლებენ შუქს.
მარტო რაზ ღირს ის, რომ უკვე ხელთა
გვაქვს ეფთვიმე მთაწმიდელის, გიორგი მთა-
წმიდელის, ეფრემ მცირისა და თეოფილე
თარგმანის ავტორადები, რომლებიც ნათელ
ნარმოდგენას გვაძლევენ ხსენებულ მწერალ-
თა შემოქმედებითს პროცესზე: ვიგებთ. თუ

რა სიყვარულითა და მონდომებითი
ისინი თავიანთი შრომების გადაუღებავს. ეს
ხელნაწერები შემკული არიან მრავალმხრივ
საყურადღებო ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული
ხასიათის ნიშანტყეებითა და ანდერძებით,
რომელთაგან ჩვენი მუცნიერებისათვის ა. ცა-
ვარლისა და რ. ბლეიკის მოკლე აღწერილო-
ბებით მხოლოდ ფრაგმენტებია ცნობილი.

აი, ერთი პატარა დეტალი: № 79 ხელ-
ნაწერი, დათარიღებული 990 წლით, ვფი-
ქვით მთაწმიდელის ავტორადია. მასში და-
ცულია „ილარიონ ქართველის ცხოვრების“
მოკლე ქართული რედაქცია, რომელიც
აქამდე ჩვენი ცნობილი იყო ერთი გვიან-
დელი თბილისური ხელნაწერით. ზოგიერთ
მეცნიერი და მათ შორის მეც ეფიქრობდო,
რომ შეიძლება ეს მოკლე რედაქცია შემუშა-
ვებულია თვით გადამწერის [ე. ი. ეფრემის]
მიერ. მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ეს ასე არ
არის. ტექსტს ბოლოზე ერთგვან ეფთვიმეს
შენიშვნა: „ღმერთმან დაგაჯუროს! შევიწი-
ნეთ. სანყლისა დედისაგან დაე-
წერეთ. უკეთესი არა გქონდა“
[ფ. ნ მ ბ]. მაშასადამე, „ილარიონ ქართველის
ცხოვრების“ მოკლე რედაქცია, გამოკრებილი
ერეკლი ათონური რედაქციიდან, 990 წელზე
აღრე ყოფილა შემუშავებული უცნობი პი-
რის მიერ. ეფთვიმეს ის მხოლოდ გადაუწე-
რია.

ათონურ ხელნაწერთა უმრავლესობა
X-XIII საუკუნეებით თარიღდება. მათში
დაცული ტექსტების მეცნიერული ღირებუ-
ლება დიდზე დიდია, როგორც ეს არაერთ-
ხელ აღუნიშნავთ ჩვენს მეცნიერებს. სამწუ-
ხაროდ, ზოგი ხელნაწერი ნაკლებია, ზოგის
ნაწერი კი ან გაცურეულია, ან ალაგ-ალაგ
ჩამავებული, რასაც თავისი გავლენა მოუხ-
დენია მიკროფილემების ხარისხზეც.

ამგვამდ მათი მიკროფილემები, რომლებიც
ათონზე გადაიღეს და ჩამოიტანეს იქიდან გ-
პატარაიამ და აღ. მიქაბერძემ, ახლა დამზადე-
ბულია სამ კომპლექტად: ერთი დაცულია თბი-
ლისის უნივერსიტეტში, მეორე — საქართვე-
ლოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტ-
რალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში და მე-
სამე — აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა
ინსტიტუტში. მე ვმუშაობდი ცენტრალურ
სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიკროფილემებზე,
რომლებიც ვასაცნობად გადმოვიცა ამ ბიბ-
ლიოთეკის დირექტორმა ს. ხადურმა. ის უც-
ნობი მასალა, რომელიც ზემოთ წარმოვად-
გინე, ფოტოკადრებზე დიდი გაჭირვებით იკ-
თება კარგ ტექნიკურ საშუალებათა გამოყე-
ნებითაც კი. ყოველნაირად ვეცადე, რომ ტექ-
სტების დადგენაში დამეცვა სიზუსტე. თუ
რაიმე ცდომილება ნახოთ, მომიტყუეთ.

როსტომ ჩხეიძე

ამირანის თქმულების უძველესი აპიზოდები

ამირანის თქმულება უძველესი კართული მითოლოგიური თქმულებაა, რომლის ამბავიც საშუაროს შექმნის ადრეულ, წარდენამდე ხანას შეიძლება დაუყვავშიროთ და რომელმაც, თუმცა უამრავი ცვლილებებით, მაგრამ მაინც მოაღწია ჩვენამდე, რომ არ ვიცნობდეთ იმ მრავალ ზეპირსიტყვიერ ვარიანტს, — პაროზა, ლექსი, ლექსნარკვი პაროზა, — რომლის მუშეობითაც მოუღწევია თქმულებას ჩვენს დრომდე, ისედაც საფიქრებელი იყო, რომ ათასწლეულები და რელიგიების (იდეოლოგიების) ცვლილება მის პირვანდელ სახესაც შეცვლიდა და დამახინჯებდა. მართლაც, ჩანს, რომ ზოგი უძველესი ეპიზოდი დაკარგულია, ზოგიც ისეა გათქვეფილი უამრავ დანამატ, უზთავრესად ზღაპრებისათვის დამახასიათებელ შრეებში, რომ მათი გამოყოფა ქირს, დანამატ შრეთაგან ზოგიერთი რომელიმე პირვანდელი ეპიზოდის ვარიაციაა, მაგრამ ბევრი შემთხვევით უყავშირდება ამირანის თქმულებას სხვა თქმულებებიდან თუ ზღაპრებიდან, მისი კუთვნილება ბუნებისათვის შეუფერებელია და, ამდენად, გასაკვირი აღარ არის ის წინააღმდეგობანი თუ ზედმეტობანი ცალ-ცალკე რომ შეინიშნება თვითონვე გადმოცემაში. შესაძლოა ზოგიერთი მოტივი თუ ეპიზოდი — ვთქვათ, უმცროსი ძმის ცნობილი მოტივი, ან უკუდაკების ბალახთან დაკავშირებული ეპიზოდი — ხეივანებით არც კი ჩამოუვარდებოდეს ამირანის თქმულებას, მაგრამ ისინი მხოლოდ ძალზე მოგვიანებით უყავშირდებიან მას და გვიანდელ დანამატ შრეებსაც ამიტომ ვუწოდებ.

XIX-XX საუკუნეებში ჩაწერილი ვარიანტებით აღდგენა ოთხი ათასწლეულის წინანდელი

თქმულებისა მხოლოდ ძალიან სათუო შეიძლება იყოს, მაგრამ დადგენა თქმულების პირვანდელი, თუნდაც საეარაუდო, სახისა მაინც აუცილებელია თვით ასეთ გვიანდელ ჩანაწერებზე დაურდნობითაც კი, რადგან სხვა გზა ამირანის თქმულების აღდგენისა, კართული აზროვნების, კართული წარმართული აზროვნების ფესვების მოძიებისა, არ გაგვარჩნია.

შეკვლევარებს, ამირანის თქმულების უძველესი სახის დადგენასა და სწორად გააზრებას რომ ცდილობდნენ, საინტერესო მიგნებებთან, მართებულ დასკვნებთან ერთად არაერთი შეცდომა მოხვლიათ, რამაც კვლევა კიდევ უფრო ვაართულა, მაგრამ მაინც უველაზე ძნელად ასახსნელ ეპიზოდულ დღემდე რჩებოდა ამირანის ღმერთთან ბრძოლისა და მიჭაქვის ეპიზოდი, ძნელად ასახსნელად იმიტომ, რომ იდეოლოგიების შეზღაპრებულად უველაზე მეტად ეს ეპიზოდი დააზარალა, ამის ბრალია, რომ საქციელურ ლიტერატურაში ის, უყეთეს შემთხვევაში, არასრულად არის განმარტებული; რაც შეეხება არასწორ განმარტებებს, განსაკუთრებით მცდარია იმ შეკვლევართა მოსაზრება, რომელნიც ამ ეპიზოდში ათვისტური აზრის ამოცნობას ცდილობდნენ, ეს მოსაზრება იმდენად მცდარია და იმდენად შორს დგას თქმულების კუთვნილება ბუნებისაგან, რომ უბერბულიც კია მასთან სერიოზული დავა. ვახსენებით კი მხოლოდ იმიტომ ვავისენე, რომ მეთქვა, როგორც ნებისმიერი პრობლემის, ნებისმიერი საკითხის კვლევისას, ამირანის თქმულების კვლევის დროსაც აუცილებელია მისი მთლიანობაში განვიხილა, გარკვევა, გააზრება იმ გარემოში, იმ ეპოქისა, სადაც ეს თქმულება წარმო-

ისეა, — ცხადია, აქ პირველად თქმულებას ვგულისხმობ. — მაშინ ტენდენციურად აღარ გავანალიზებთ და არც ასეთი შეცდომა მოგვუვა. თუ გვეხსოვება და თუ შეიძლება, რომ მითოსის მითოსური თვალთვლით მივუდგეთ, თორემ, ამა, რა ხერხით შეიძლება ჰქონდეს ათეისტურ კონცეფციას მითოსურ, წარმართულ აზროვნებასთან.

დღესათვის ცნობილ ვარიანტებში ამიჩინე კრისტეს ბრძანის და დღვის მიერ დათრგუნული სამუდამოდაც კლდეზე მიჩაქვული. ვარიანტები მანამ ამიჩინე კაცობრივად გმირად წარმოგვიდგინენ და კრისტესთან მის შებრძოლებას ამხანაირი ახსნა რომ მოუძებნონ, — მითუმეტეს კრისტე ამიჩინის ნათლიაა, — მოქმედები გუთუვებთან როგორ გაამაჟა გმირი გაუთავებელმა გამარჯვებებმა, თავის ღირსად და ტოლად როგორ აღარავის აღარ ცნობს, როგორ უძმაბს დედამიწას მისი ტარება, როგორ იქცა კეთილი გმირი ბოროტ ძალად, როგორ უტყუანეს ხალხი და ღმერთს როგორ შესისოვს შეუღას, სხვათა შორის, ამიჩინის თქმულების ვარიანტები იმითი მთავრდება რითაღ იწყება ვიღაცემის ეპოსი („მოვრეკივით დაღის, ქვედაღლი, უხადლოა ძვერება მისი იარაღის, ბუის მითი სამწყესო აუშეხდრება, იღუმად დრტყინენ ურუქის ვალები“) და ა. შ. ის რაც ამიჩინისათვის დასახრულია, დასაწეოსია ვიღაცემის მოღვაწეობისა, მისი დემოურგული დეაწლისა. ამიჩინი დედამიწის მკვდრით აღარ იმეორინებს, როგორც ვარიანტებში ვხვდებით. და კრისტე ღმერთს ვამოიწვევს სამხრძოვლად, ხალხის თვალსაზრისით ამიჩინის დამარცხება, დათრგუნვა ბოროტი ძალის დამარცხებაა, რადგან მოქმედები კრისტიალები არიან, მათთვის კრისტეა სიყვითის საწეისი და უწინაესი სიყვითე, მისთან დამიჩინისაზე უფრო ძალი უკვე ბოროტებაა, აუტოლდება ბოროტება. მითოსურმა აზროვნებამ არ იცის ბოროტი და კეთილი, არ განსხვავებს მათ, ეს ირჩი საწეისი ერთმანეთისაგან მკვეთრად რელიგიებმა გამაქნეს, ის რაც ამა თუ იმ რელიგიისათვის სასარგებლოა, სიყვითედ მხოლოდ მას აღიარებს, ვეღა დანარჩენი ბოროტებაა, ბნელი, ქვესკნული საწეისი, რამელიც უნდა მოიხსნოს. ეს ახსიათებს ვეღა რელიგიას და, ბუნებრივია, კრისტიალურ რელიგიასაც. დამაბინებებით ვამოწვეული წინააღმდეგობანი ვეღაზე მყაფიოდ, ვეღაზე მკვეთრად ამ ეპიზოდში შეღაენდება ამიჩინი, ვეღაზე მამო დამოთრგუნველი და ხალხისთვის სიყვითე მომტანი გმირი, მოულოდნელად თვითონვე იქცევა ვეღაზე — კრისტესაგან მისი დათრგუნვა ვეღაზე მამოს, ურჩხულის დათრგუნვა, ურჩხულის, როგორც ბოროტი საწეისის სიმბოლური სახისა, ხალხის წარმოდგენა იოლად ელვა ურთ მითოდრებებს სახით შემორჩენილ თქმულებას და ამა-

ლი აზროვნების შესაბამისად სრულყოფილად უნდა იქნებოდეს. მოქმედების ამიჩინე მანამდე კუთვნილი ვანიჩრული, სანამ ის კრისტე ღმერთს გამოიწვევს ორთაბოლოაში. ამიჩინის მარცხის მათუქმელი ამბრის ცხედართან შეხვედრის ეპიზოდია, ესეც რა თქმა უნდა გვიანდელი ჩანარითა, მკვეთრი ამბრი ურეზე დაუწვენიათ და მისხვენებენ, ფეხი მიწაზე მოსთრვენ და კაცა არა ჩანს, რომ ფეხი ურეზე დაასვენოს, თავდაპირველად ამას ვერც ამიჩინე შეძლებს და კრისტე მთაბრავს ახალ ძალდონეს. ამიჩინის დამიჩინების ამ ეპიზოდში მოქმედების სურთ ერთხელ კიდევ მოგვაგონონ, რომ თუ რამ ძალი აქვს ამიჩინის, მხოლოდ და მხოლოდ კრისტესაგან, მის მიერ დანათლული და წინასწარ გვაგრძობინებენ, რომ ამიჩინისა და კრისტეს გარდუღაა შებრძოლება ამიჩინის დამარცხებით დამთავრდება.

თუმცა ეს ვეღაღერი კრისტიალიზებული ვარიანტებში ვხვდებთ, ასეთივე შემთხვევა იქნებოდა სხვა ნებისმიერი რელიგიის დროს, მაგ. რამ ამიჩინის თქმულება მითოსური თქმულებაა და მითოსური თვალსაზრისით თუ შევხვდეთ, ამიჩინის ღმერთთან ბრძოლა დემოურგის ანუ კეთილი საწეისის უცხო, დამუკრბლის დედაბნისთან ბრძოლაა.

თქმულების და შემდეგ ეპოსის წარმოშობიდან მრავალი და მრავალი წლის შემდეგ, რადეხაც აკაცი წერეთლება ამიჩინის სახის აღდგენა, თქმულების სწორად გააზრება სცადა, ამიჩინე ვიარა რა სწავრთველოს სიმბოლოდ და მისი განთავისუფლება საქართველოს თავისუფლებას დაუკავშირა („მოუა დრო და იმ ქაჭვს გაწვევტ, თავს აიშვებს გმირთაგმირი...“) აკაცი ერთ-ერთი პირველი საწეის თქმულების არსს, მისი საწეისები მოიძია და მხვდა, რომ ამიჩინის თქმულება უაქველად ქართული სამუკრბლის უწველეს ხანს ეკუთვნოდა.

სხვა მოსაზრებით, რომელსაც სათავე ვეღაღეღეღამ დაუდო, ამიჩინი ძველ სამუკრბლი კარგად ცნობილი მოკვადი და აღდგენილი დედაბნა, იგივე გაწეფულის სიმბოლოა. მხვარადა გაწეფულები ამიჩინე ვეღს „ამიჩინის ციკლი“ ლექსებში, ამით ვეღა უწველესი მითოსური ვითარება აღდგინა.

ეს ირჩი მოსაზრება ერთმანეთს ავხებს და ღმერთთან ბრძოლისა და მიქაქვის ეპიზოდს ურთო მყაფიოს ბდის.

ვეღა ხალხს მითოსში, თქმულებებსა და გადმოცემებში, დედაბნის პერიოდულად ქვესკნელში არიან და პერიოდულად ამოდან სამუკრბლზე, სხვაგვარად ამას სიყვითელა და ცკლავ აღდგენას უწოდებენ და ბუნების ცკლდებისთან აიგვიენ, ბუნებაც ხომ ასევე პერიოდულად კვდება და ცკლდება, დედაბნათა სიყვითელი და გაცკლდება ცკლური პერიოდისა და ამიტომ უყოველწლიურად მეორდება, მითო-

სური თვალსაზრისით გველუშაის მუცლიდან, ხაროდან, წულოდან, გამოქვაბულიდან გამოსვლა ერთნაირი ცნებებია და ქვეყნელიდან ხა-შეოვზე ამოსვლად, იგივე მკვდრებით აღდგო-მად გაიარება.

გარდა სამი უძველესი ეპიზოდისა — გვე-ლუშაის განწალკა, იკრიბატონთან მისვლა და ამირანის მიქაქვა, სადაც პირვანდელად გველუ-შაის განწალკის ეპიზოდია საფიქტებელი და ორი კი მის ვარიაციას წარმოადგენს, — გარდა ამ სამი ეპიზოდისა, ამირანის თქმულებს დღე-ისთვის ცნობილ ვარიანტებში სიკვდილისა და გადარსების მოტივი კიდევ ბევრჯერ გვხვდებ-და სხვადასხვა ვარიაციით. ზოგიერთ ვარიანტ-ში ამირანს გველუშაის ნაცვლად დევი ულა-პავს. დევი აქ აშკარად გვიანდელი დანაშაუა. ამ დროისათვის, როდესაც ამირანის თქმულე-ბის შექმნა სავარაუდო, ინდურ კეთილ ღვთა-ება დაიჯან, ბოროტ დევად სახეცვლილს (მი-აქციეთ უფრადლება, როგორ ცვლის გარემო, იდეოლოგია სიკეთეს ბოროტებად) ჭერ არ შე-მოუღწევია საქართველოში. ასევე მკვდრებით აღდგომის ვარიაცია ამირანის სტუმრობა დე-ვიბის ქორწილში (როგორც თამაზ ჩხენკელი შენიშნავს ვაჟს ცნობილი ლექსის „დევიბის ქორწილის“ ანალიზისას, ამ ლექსში ამირანის თქმულების ფაშური ვერსიის ანარქული ჩანს), ამ კიდევ, ზოგიერთი ვარიანტით, ამირანის შიგრ დევიბის გაუფრვა მათსავე გამოქვაბულში. ეს ეპიზოდი იმითაა საინტერესო, რომ ჭერ ერთი, როდესაც ამირანი დევიბის სახლში შედის, ეს უკვე ქვეყნელში ჩასვლას ნიშნავს, მეორედ, საბოლოო დევიბის სისხლში კინაღამ რომ ჩაიხ-რჩობა, ესეც ქვეყნელში ჩასვლის ანალოგიუ-რია. ერთ ეპიზოდში სიკვდილი და აღდგენა ორი ვარიაციით გვხვდება, რაც მითოსისათვის გაუ-მართლებელია, ამ გვიანდელ დანაშაუტებში მითოსური გააზრება დაკარგულია და ამდენად ისინი თქმულების პირვანდელ სახეს ახალს ვე-რაფერს სძენენ.

ოღონდ აქ ერთი სამ არის ვასათვალისწინე-ბელი:

ორმაგი სიკვდილი ამირანის გველუშათან ბრძოლის ეპიზოდშიც გვხვდება, გველუშაში ამირანის ჩაუღაპრის შემდეგ ზღვას მიაშურებს. ამ შემთხვევაში ზღვა და გველუშაის მუცელი ერთსა და იმავეს ნიშნავს — ორივე ქვეყნელს ცვლის. დევიბის სახლში შესვლის ეპიზოდი ამ ეპიზოდს ზუსტად იმეორებს: გველუშა-ის მუცელი დევიბის სახლითაა შეცე-ლილი, ზღვა — დევიბის სისხლით, საბოლოოდ, ვველა ერთსა და იმავეს ნიშნავს, ქვეყნელის ვარიაცია და სიკვდილისა და გადარსების მოვლენას გულისხმობს. მითოსური თვალსაზ-რისით, გვირა მხოლოდ ერთხელ ჩადის ქვეს-კნელში, მერე ჩასვლა-ამოსვლა უყოველწლიუ-რად პერიოდულად მეორდება, ოღონდ ქვესკ-

ნელი ერთია, რომელი სიმბოლურად, [სიმბოლო] არ უნდა იყოს თქმულებასა თუ მსახურს მსახურს ხატული.

გველუშაის, ურჩხულის მოკლა ზღვაში, ქართული თქმულება-გადმოცემებიდან, ამირა-ნის თქმულების გარდა, იახსარის ანდრეშიც გვხვდება, სადაც გველუშას დევი ცვლის. ზღვას ტბა, ახლელაურის ტბა ანალოგიური პასაჟი მკაფიოდაა შემონახული ანგლო-საქსურ საგმირო ეპოსში „ბეოვულფი“, სადაც ჩაიწი ბეოვულფი ურჩხულის, გრენდელის დედას ტბაში ჩაქვება და იქ კლავს. „ბეოვულფის“ და იახსარის ანდრეშის მსგავსება უკვე შენიშ-ნულია („რომანი და ისტორია“) და ამდენად შესაძლებლობა გვაქვს ამირანის გველუშათან ბრძოლა ამავე ტკალში შემოვიტანოთ. ქართუ-ლი თქმულებებისა და ინგლისური ეპოსის ამ მსგავსებას აღდგურად ცალკე ნარკვევში გე-ვიანალიზებ, აქ წინასწარ მხოლოდ იმას ვიტ-უვი, რომ ამ პასაჟში შემონახულია უძველესი ვითარება, — როცა მთავრდება მითოსური აზ-ნოვნება და ეპოსა იწეება, — მითოსიდან ეპო-სში გადასვლის პირველი ეტაპი.

ზოგიერთ ეპიზოდში ამირანის სიკვდილსა და მკვდრებით აღდგენას არა მარტო მდლიანად აქვს დაკარგული მითოსური ფორმა, მითოსის ანარქულიც კი არ ჩანს მკაფიოდ, როგორც, ვთქვათ, განხილულ მაგალითებში. რამდენიმე ვარიანტში ამირანი ძმების დაღუპვის ამბავს რომ შეიტყობს (უამარის მოტაცებისა და უაზ-რის მამის ღაშქართან ბრძოლის ჩანართი ეპი-ზოდი) — თავს იკლავს. შემდეგ უამარი გაა-ცოცხლებს ამირანს თავისიგან ნასწავლები უყ-ვადების ბალახით. უყვადების ბალახის მოტი-ვი საქაოლ ძველია, გავრცელებული ჭერ კი-დეც უძველეს კულტურებში, ძველ თქმულე-ბებსა და გადმოცემებში უყვადების ბალახს სასიცოცხლო ძალა გველუშა დაფარსიარუ-ლი. ჩვენს შემთხვევაში გველს თავი ცვლის და თავისთავად ეს დაბრკოლება არ აქნებოდა, რომ არა ამირანის სიკვდილი, რაც ზღაპრბო-სთვისაა დამახასიათებელი, მას შემდეგ, რაც მითბის საყარლური შინაარსი გამოცვალა და მთელი მითოსური საშუაო ზღაპრებში გაი-ქვიფა და ვველა მოვლენას ახლებური ასსა მოქმედნა. გვირბს ამგვარი „ნატურალისტური“ სიკვდილი, როგორც ამირანი ცდება, სრული-ად სწყდება ძველ აზროვნებას. თიქოს ბაღბს ახსოვს, რომ ამირანი უნდა კვდებოდეს და ცო-ცხლდებოდეს, მაგრამ ამ მოვლენას ვეღარ ხსნის და სხვადასხვა ვარიაციით უკვე შერამ-დენედ იმეორებს, ამ ეპიზოდში კი ვველაზე მეტად შორდება მითოსს.

ორმაგი სიკვდილით კვდება ამირანი მიქაქ-ვის ეპიზოდშიც: ერთი რომ ზის (ვარიანტებ-ში — ტინის) კალოზეა მიბმული, რომელსაც მთელ დედამიწაში აქვს ფერვები გადგმული.

მეორედ — მთავარი გამოწვევადელი. ზოგი ვა-
რიანტი გერგების მთის იხსენიებს, ზოგი ბრუტ-
საბჭელას, ზოგიც ამირანის მთის სახელით
ცნობილ მთას. სხვათა შორის, ამირან —
მთა ბერძნული ამირანტას არაწორი
ეტიმოლოგიის გამო ივარაუდებოდა. მთა ურ-
ველწილიურად იღება და იბურება, ასევე ჩაქ-
ვის ურველწილიურად წერადღება და მსხვილ-
დება. აშკარაა, რომ აქ მთის დაბურვა და გა-
ღება და ჩაქვის დაწერაღება და დასხვილება
ერთსა და იმავეს ნიშნავს და ამიტომაც, რო-
გორც ირაკლი სურგულაძემ აქვს შენიშნული,
შესაძლებელი ხდება მასში მოყვადვა და აღ-
დგენილი დავითის იდეა დავიანახოთ. რა თქმა
უნდა, იდეას ორივე გამოხატავს, მაგრამ უფრო
აღიარებულად მაინც ამირანის მთაში გამოწვე-
ვება მგონია. მიჩვენა კი, — შესაბამისად მჭე-
დლები და მათი კავშირი ამირანის თქმულებას-
თან. — მეორეული უნდა იყოს. მკვლევარები
აქ ცდებოდნენ, როდესაც ცეცხლის მოტაცე-
ბის ეპიზოდსა და მასთან დაკავშირებულ მჭე-
დლების როლს წედებდნენ მნიშვნელობას ანიჭებ-
დნენ. ეპარის — ცეცხლის პერსონიფიკაცია
(შალვა ნუსეზიძე) — მოტაცების ეპიზოდი
ერთ-ერთი უძველესი ეპიზოდია, მაგრამ არა
ხელ პირდაპირი. მჭედლების კულტის დაკავ-
შირება კი გაცილებთან გვიანდელია და ამას-
თან წედებებიც. მჭედლების კულტის გადაჭარ-
ბებულება შეფასებამ გამოიწვია „უფროსი და
წითლის“. მჭეტი რომ აღარ ეთქვა, არც თუ
ხელად სწორა თეორიის შექმნა.

უფრო ადრინდელად მთაში გამოწვევადე-
ვა ჩრ მბრტო ამიტომ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ
სომხურ საგმირო ეპოსში, „დავით სასუნცი“,
დაცული ამირანის თქმულების ერთი გახსნე-
ლადებული ვერსია (აქვე იხაროვება), სადაც
ამირანი მშეკრითაა შეცვლილი, — მჭერის
მთაში გამოწვევადევის ამბავს მოგვითხრობს.
მჭერის ლეგენდაში ამირანის თქმულებას უფრო
ადრინდელი სხვა დაცული და შემონახული
როდესაც ბერძნულმა საზეარომ ამირანის
თქმულებას პრომოტის სახელით სახეცვლილი
ჩვენებს წაიღო, კართულ ტომებში გავრცელე-
ბული აკინის დამოუკვების ხელოვნებაც მას
დაუკავშირა — ბერძნულ გადმოცემებში პრო-
მოტის ზევის ბრძანებით მჭედელთა დავაება
პეტრესო აქვეყანს კავკასიონზე მე მაინც მგო-
ნია. რომ ამგვარად სახეცვლილი თქმულება
უკანეე დაგვიბრუნდა და, შესაძლოა, ამიტომაც
არაიან კართულ თქმულებაში მჭედლები ღმერ-
თის, — მოგვიანებით ქრისტე რომ ენაცვლე-
ბა, — დასმარებდ. თქმულების ზოგადეტი ვარი-
ანტმა ამირანს მჭედლები აქვეყანენ და ჩაქვის
ურველწილიურ განმტაცებაზეც თვითონვე ზრ-
ნავენ, ისე, რომ ღმერთი სულ არ ჩანს.

ამირანის მჭედებით აღდგომა, იგივე ხელა
ხელა შობის, ვარაიკია ამირანის იგრიბატონთან

მისვლის ეპიზოდი, რომელიც უძველეს მის-
დევს ამირანის მიერ გველემშაის მოკვლის ეპი-
ზოდს. გველემშათან ბრძოლას ამგვარად იარ-
რებენ თქმულების დღეისთვის ცნობილი ვა-
რიანტები, თუმცა მითოსური თვალსაზრისით
ურჩხლებას, გველემშაის მოკვლა შეუძლებე-
ლია. მითოსური განიება გველემშაის მხოლოდ
ორგენიანენ და გარწვალავენ. ეს მოვლენა კი
ურველწილიურად ხდება, რადგან მოკვლენის პე-
რიოდულობა, ცალკური პროცესი მითოსის
უშთაფრეხი პრინციპია

სხვადასხვა ვარიანტებში ამირანი ხამ გვე-
ლემშაის ებრძვის — წითელს, თეთრსა და
შავს. მითოსური თვალსაზრისით გვიან შეიძ-
ლება შევხვას მხოლოდ ერთ გველემშას, ჩვენს
შემთხვევაში შავ გველემშას, თეთრი და წითე-
ლი გველემშაები წედებოდა, მითუმეტეს მათ
მითოსური უფიფრება არ გააჩნიათ. შესაძლოა,
როგორც მითითებენ, ისინი გვიანდელ ვარი-
ანტებში მხოლოდ სამი სქელის ანალოგიით
არსებობენ სიმეტრიისათვის, არც მისი გამო-
რცევა შეიძლება, რომ მათი შექმნა ამირანის
ძმების შექმნამ გამოიწვია, რაც, თავის მხრივ,
საქმიად გვიანდელია და, ამას გარდა, იმდენად
წედებოდა, რომ ამირანის ხაზის სწორად ვააზ-
რებისას, თქმულების მითოსური არის ძიებე-
ბას მხოლოდ ხელს თუ შეგვიძლია.

გველემშაებთან ბრძოლის წინ ძმები დალა-
ტობენ ამირანს, გასაქირში მიატრებენ და გა-
რბიან. აქ აშკარად შეინიშნება თავისთავად
უძველესი, თითქმის ყველა ხალხის ფოლკლორ-
ში გავრცელებული უმცროსი ძმის მოტივი,
რომელიც ამირანის თქმულებას მოგვიანებით
უნდა უყავშირებოდა.

გველემშაებთან ბრძოლის ეპიზოდი განსაკუთ-
რებით ამიტომაც საინტერესოა, რომ, როგორც
ზურაბ კიკნაძემ გაარკვია, მოუხებდავად მნიშე-
ნელოვანი ცვლილებებისა, ამ ეპიზოდში შემო-
რჩენილია უძველესი მითოლოგემა, რომელიც
თავდაპირველ ეტაპზე მოიცავს ამირანის შობის
მომენტს, შემდგომში მეორედ შობად რომ გა-
იარებება.

მკვლევარმა უფრადღება მიაცვია იმ ვარემო-
ებას, რომ ამირანის გადაუღებავს შემდეგ გვე-
ლემშას — გველემშაი ხან დევიოთა შეცვლილი
— მუცელი ასტეოდება, რასაც, — თუ ძლიერ
ნაკლები და მჭეტისმეტად დაზიანებული არ
არის, — უცვლელად იმეორებს ყველა ვარიან-
ტი — ეს კი იმას ნიშნავს, რომ დგება უში
ამირანის ხელმეორედ დაბადებისა, ბელახალი
შობისა. გველემშაის მუცლიდან რომ ამირანი
მართლაც იბადება ამის ხსოვნას გარკვეულად
ინახავს ამირანის თქმულების ხალხური ლექსი:

ამირანი დაიბადა, გოჭსა ქავდა ხელხალსა,
წვერ-ულვაში გასკინოდა...

ზოგიერთი ვარიანტით, ამირანი დაბრმავებული
ან ცალკეადა გამოდის გველეშაპის შუკლიდან,
რაც უკვე სხვა ნიშნებით წარმოგვიდგენს ახალ-
შობილის გარკვევან სახეს.

უღრესად საინტერესოა თქმულების სვანურ-
რი ვარიანტი, მას ერთადერთს, ვეღვა სხვა ვა-
რიანტისაგან განსხვავებით, გველეშაპთან ბრძო-
ლის ეპიზოდში (გველეშაპის ნაცვლად სვანურ-
ში ვარიანტი დევს იხსენიებს) ხაუურადღებო
ცნობა შემოუნახავს: — (გვერდი რომ გამოჭრა
და გამოვიდა), ამირანი გვერდის მაგიერ ხის
ჩელტა შეუთვნა.

თქმულების ჩამწერია, ბესარიონ ნიფარძე,
ამ ცნობას სხვა გადმოცემების მოშველიებით
ამგვარად აზუსტებს:

— ამირანს რომ ჩელტი არ ჩაედგა, ქვეყანა
დაიღუპებოდა: როცა მზე ბნელდება, დევი
(გველეშაპი) პულაპავს, მზე ხის გვერდს სწვავს
და ისევ გარეთ გამოდის ქვეულის ხანათებლად.

როგორც მიუთითებენ, ამირანი თავისი და-
ბადებით გზას უხსნის მშენსაც და ეს მომენტი
უძველესი მითოლოგებია ამირანის თქმულება-
ში შემორჩენილი (ზურაბ კიკნაძე). ამირანის
შობის დაკავშირება მშის ხნასთან არ შეიძლე-
ბა შემთხვევითი იყოს და გამოარსებული არაა
აქ გვერდებს გამოძახილი იმ დიდი დემიურგუ-
ლი დეაწლისა, ამირანი რომ მოიშობებდეს
გველეშაპის განწვალეთა და კოსმოსის შექმ-
ნით, ისევე როგორც ვთქვით, შუამდინარული
წარმოდგენებით — მარდუქი, ან ინდური მი-
თოლოგიით — ინდრა.

ასე რომ, ამირანის გველეშაპთან ბრძოლის
ეპიზოდში შემორჩენილი მითოლოგებია უძველესი
უნდა იყოს და პირვანდელ ვითარებას უნდა
ახსენებდეს. ამასთან მოიცავს რამდენიმე მო-
მენტსაც, რაც მოგვიანებით რამდენიმე ეპიზოდში
გამოჩნდა, ესაა ამირანის შობა, დემიურგუ-
ლი დეაწლი (გვიანდელ ვარიანტებში ამირანი
იღვევს რომ სოცავს და ხალხისთვის სიყვითლე
მოაქვს, მითოსური დემიურგული დეაწლის
ზღაპრული სახე უნდა იყოს) და სიკვდილისა
და გაცობლების განწვევებითი ციკლური
პროცესი — ის უკვე აღწერილად ჰქონს გველე-
შაპს შიგნიდან და გვერდში ხის ჩელტს უყე-
ნებს, რათა მზემ უკვალვე გველეშაპი ამირანის
დედა, ისევე, როგორც, — კვლავ შუამდინა-
რულსა და ინდურ წარმოდგენებს თუ მოვიშვე-
ლიებით, — თიამათი—მარდუქისა და ვრიტრა-
ინდრასი, მაგრამ თქმულებაში ეს ვითარება
შეცვლილია და გველეშაპი, რომელიც უჩნბუ-
ლად ქცეულა, კაცობრიობას, — ან უფრო
ზუსტად, ქართულ სამყაროს, — დაუღუპს უქა-
ლის და ამიტომ მას ამირანი უნდა შეებრძო-
ლოს.

მას შემდეგ, რაც ამირანის დედა უჩნბულად
გაიარებს და, ბუნებრივია, შობა მას ვეღარ

დაუკავშირდება, თქმულების შემდგომი ცვლი-
ლებისას ამირანის დაბადება როგორც საერთო-
და ნიშანდობლივი მითოსური თუ ზღაპრული
გმირებისათვის, ბურუნთა შეიბუნა.

დღემდე მოღწეულ ვარიანტებში ამირანი ნა-
დირთმურაველი ქალმწიკთი დალისა და უც-
ნობი მონადირის შვილია, ეს შედარებით გვი-
ანი ჩანართი უნდა იყოს, რადგან დალისა და
მონადირის ციკლი სრულიად დაშორებულად
შექმნილის შთაბეჭდილებას ტრეებს და, ამდენ-
ად, ამირანის მითოსურ თქმულებას პირვან-
დელ ეტაპზე ვერ დაუკავშირებოდა, მაგრამ
როცა არ უნდა უკავშირდებოდეს, ჩვენთვის
იშინადაა საინტერესო, რამდენადაც პირვანდელ-
ლი ვითარებისაგან უნდა მიხვადებოდეს.

როგორც ვეღვა მითოსური გმირი, ამირანიც
ნაწილობრივ ადამიანი და ნაწილობრივ ღმე-
რთი, რადგან ნათლია ღმერთქალია და ადა-
მიანის სიყვარულია, ზოგიერთ ვარიანტში მო-
ნადირებს სულკალმაში, დარგელანი თუ იამანი
ქვეა, მაგრამ ეს კიდევ მოგვიანო ჩანართი უნ-
და იყოს — მითოსური გმირის მამა უკვე დასრუ-
ლებული და დაუღვრელია, თუ მოგვიანებით
არ დაუკავშირებს, როგორც ჩვენს შემთხვევაში,
პირვანდელი ვითარების გამოძახილი უნდა
იყოს ის ეპიზოდი, სადაც სულკალმაში მხო-
ლოდ გმირის გადამჩინადა და აღმზრდელად
გვევლინება.

რადგან ამირანი გარკვევული წარმომოხ-
საა, მას მშობი და ბიძები არ უნდა ჰყავდეს,
უკველ შემთხვევაში, მითოსური გმირისათვის
უცნობია მშობის არსებობა.

დღეისთვის ცნობილ ვეღვა ვარიანტში, თუ
ის ძალზე დაზინებული და ნაკლები არ არის,
უცვლელად გჭედება ორი გმირი — ბადრი და
უსუქი (ვარიანტებით: უსიხი), რომლებიც ამი-
რანის ხან მშებად, ხან ბიძებად, ხანაც მშობი-
ლებად არიან გამოყვანილი.

ქრ კიდევ ექვთიმე თაყაიშვილი და ივანე
ჩახავიშვილი მიუთითებდნენ, რომ ბადრი და
უსუქი ამირანის ნამდვილი მშები არ არიან და
ამითვის ფაშური ვარიანტის ერთ ლექსს იმო-
წმებდნენ:

ცხრათა ფრინველთა მზარგბელთა
აღგეთის ქალა ვაქენა...
უ მ შ მ ს ა, უ მ ა მ ს მ მ მ ს ა
ამირანს თაყი მოეკლა

ცხადია აქ „ამირანს თაყი მოეკლა“, როგორც
ადრეც ვთქვით, გვიანდელი და ზედმეტი ჩანარ-
თია, მაგრამ თვითონ ლექსიც, რაც არ უნდა
გვიანდელი წარმომოხობის იყოს, მასზე დაურდ-
ნობა შეიძლება, რადგანაც მასში პირვანდელი,
ბუნებრივი ვითარებაა დაცული.

შთავარი საბუთი ამირანის თქმულებაში მშე-
ბის აჩარხებობიხა იხაა, რომ არც ბადრისა და

არც უსუბს არავითარი ფუნქცია არ გააჩნიათ. უფიქრობ, მათი შექმნა ზუა საუკუნეებში მოხდა. როდესაც უძველეს მითოლოგიურ თქმულებას საფუძვლად სარაინდო რომანტიკოსთა და მახასიათებელი ეპიზოდები დაემატა „ამირანბატონის“ გულენით.

ახე. რომ „უძმო, უმამისძმო“ რამე კონკრეტულ სიტუაციას კი არ გამოხატავს, არამედ ამირანის, როგორც დემიურგის, როგორც მითოსური გმირის მუდმივი ეპიპოტია.

ამირანის დაბადებასთან დაკავშირებით ახ მომენტია საუბრადღებო, როდესაც ამირანი ნა-აღრვეად ამოქვეყნ დედის მუცელდან, სადაც მომუშეება არ დასცალდება ამიტომ ამირანს კუროს ფაშეში ახვეყენ გამოსაშუშებლად, და ეს კო როგორც ზურაბ კიანაძეს აქვს შენიშნული. უნდა მოახწავებდეს მისი მითოსური არსის დიდ სიძველეს, რადგანაც ამირანი კუროს მითოსური ეპოქის ნაშეირად გვევლინება.

მას შემდეგ რაც გველემეშათან ბრძოლა ამირანის ბელაბლა შობად გაიარეს, თქმულებას დაემატა იგრიბატონთან მოსულის ეპიზოდი, რომელიც კუროს ფაშეში გამოწვევების მომენტს იმერებს: გველემეშაის მუცლიდან გამოსული ამირანი შუშეება წელის სტაქიონში (იგრიბატონი ხომ საერთოგარათული წელის დვთაებაა), რაც, მითოსურა თვალსაზრისით, კუროს ფაშეს ცვლის.

გველემეშათან ბრძოლის ეპიზოდთან დაკავშირებულ მითოლოგემაში გამოხატულ შუის განთავისუფლებას უნდა იმერებდეს შედარებით მოგვიანებით შექმნილი უამარის (იგივე ცეცხლის) მოტაცების ეპიზოდი თქმულებასა და ზღაპრებში. სტრუქტურული თვალსაზრისით, გმირი, გველემეშაის დამარცხების მერე, საცოლეს მოიპოვებს აქ უამარი ცეცხლის პერსონიფიკაციად გაიარება. ქართული წარმოდგენებით შუე მვედარული საწესისა და ამიტომ კლად იყო მიჩნეული, ცეცხლიც ქალის სახეს აიტომ იძენს. ცეცხლის მოტაცება და მიწაზე ჩამოტანა კულტურის დაფუძნებას გულისხმობს. რაც, რაც უძველეს მითოლოგემაში დაკული

მოწესრიგებული სამყაროს, კონსოლიდაციის წარმოდგენს. უამარის მოტაცების ეპიზოდში გამოკვეთილია ამირანის, როგორც დემიურგის, დეაწლი.

ამირანის თქმულების ბერძნულ ვერსიებში, სადაც ამირანი პრომეთეოთა შეცვლილი, პრომეთე იტაცებს ცეცხლს ზეციდან და აღამიანებს მის გამოყენებას ასწავლის, რაც თვალნათლივ ამტკიცებს, რომ აქ ცეცხლის მოტაცება პირველადი კულტურის შექმნასთანაა გაიკავებული. უაღრესად საინტერესოა ბერძნულ წყაროებში მოხსენიებული ერთი ვერსია, — პირველად ამ ვერსიაზე აკვირ ურუშაშემ მიუთითა, — სადაც პრომეთე სიბრძნის ღმერთ-ქალ ათენას იტაცებს, რაც იმავე კულტურის დაფუძნების, ანუ დემიურგული დეაწლის ვარიანტია.

რადგანაც ამირანის თქმულება მითოლოგიური თქმულებაა, ამიტომ დემიურგული დეაწლის ურველწილურად უნდა მეორდებოდეს, ამის ანარკელი უნდა გვექნოდეს ამირანის მიჯაჭვის ეპიზოდში: მველემეშა ურველწილურად რომ ურტყამენ ჩაჭვს უროს, რათა ვანამტიციონ ჩაჭვი, ეს იმ ცეცხლის მეშვეობით ხდება ამირანმა რომ მოიტაცა და ზეციდან მიწაზე ჩამოიტანა. ამირანი ურველწილურად ასრულებს თავის დემიურგულ დეაწლს, რათა შემდეგ ქვეყნელში მოექცეს, სანამ ისეც არ აღდგება, კიდევ უფრო გვიანდელ წარმოდგენებში, როდესაც მითოსური გააზრება დაიკარგა, ხალხს ველარ გაუგავა, რატომ უხდინა მველემეში ამირანს ასე ბორტად კეთილშობილურ დეაწლსა და განსაკუთრებით დამახებრებას სწორედ მათ წინაშე. — ცეცხლი თუ ვინმეს ჭირდება, მველემეშა ჭირდება, — და უველესტერს მათი უმადურობით ხსნიან.

ალბათ შესაძლებელია უყვე ითქვას, რომ ამირანისა და გველემეშაის ბრძოლის ეპიზოდში შემონახულ მითოლოგემაში არსებობს მითოსისათვის ნიშანდობლივი ეველა ის მომენტი, რომელიც თქმულებად ჩამოყალიბებისას რამდენიმე ეპიზოდში განიტოტა.



პირობი გომირიძე

ეთნოგრაფიული შენიშვნები

„მოკერძის“ („მოსაკობის“) ჩვეულება ფერეიდნელ ქართველებში

ფერეიდნელი ქართველები საუკუნეების განმავლობაში მოთმინებით იტანდნენ ყოველივე უსამართლობას და ძალმომრეობას უცხო ტომისას, სასოებით ფერეიდნელები იტანდნენ ქართულ ენას, წესსა და წეს-ჩვეულებებს, რათა შესრულდებოდათ ნატვრა მშობლიურ მიწაზე დაბრუნებისა. ლადო აღნიშნავდა: „მათი საქმე გმირულია; სამაგალითოდ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა, უკვლივე ვალი აიუარეს წინაშე შთამომავლობისა, ხოლო ქართველი ხალხი მოვალეა მშობლისა და შეწევნის ზელი გაუწოდოს მათ“. ასეც მოხდა, რენემა ზალხმა, პარტიამ და მთავრობამ მეგობრული სიბოთით და სიყვარულით მიიღეს თანამემამულენი; 1971 წელს სამშობლოში დაბრუნდა ფერეიდნელთა რამდენიმე ოჯახი.

დიდია ინტერესი რეპატრირებულ ფერეიდნელ ქართველთა ყოფითი და შრომითი საქმიანობის შესწავლისათვის. ეს საკითხი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილების მუშაობის დღის წესრიგშია დადგა. 1978 წელს აკად. ვ. ჩიტიას ხელმძღვანელობით მოეწყო კომპლექსური ექსპედიცია ფერეიდნელთა ყოფის ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ლინგვისტური და სოციოლოგიური შესწავლის მიზნით. გამოიყვანა, რომ მათი, მიუხედავად სამშობლოდან ხანგრძლივი მყოფილებისა, შეიძლება შეენარჩუნებინათ არა მარტო მშობლიური ენა, არამედ ქართული ყოფისათვის დამახასიათებელი არა ერთი ეთნოგრაფიული თავისებურება, როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურის სფეროში. რაც ნაწილობრივ აისახა კიდევ სპეციალურ

სამეცნიერო ლიტერატურაში. (იხ. ლ. ფრუძე, ფერეიდნიდან ჩამოსახლებული ქართველები, „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., 1968 წ. № 2; ნ. ბრეჯაძე, ზორბლის ძველი ქართული ჭიშები ფერეიდანში, „ძველის მეგობარი“, 84, თბ., 1974; თ. ცაგარიაშვილი, ფერეიდნელი „ხარმელობა“, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, XX, თბ., 1979).

შეტად საინტერესოდ და ორიგინალურად გვესახება ფერეიდნელთა საოჯახო და საქორწინო ურთიერთობაც, რომლის ერთ-ერთ შემადგენელ საკითხს წარმოადგენს მექორწინე ოჯახების შორის ნიშნობიდან კორწილამდე ასახული გუნდური ვალდებულებები, კერძოდ, მოკერძვის (მოსაკობის) ჩვეულება.

რეპატრირებულებთან ველზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა ვიცხვენებს, რომ ქალის დანიშნვიდან („ნათხოვნის თხოვნიდან“) კორწილამდე გარკვეული პერიოდი გაივლიდა; ზოგჯერ იგი ორ წელსაც აღემატებოდა. მობრობელთა თქმით „იხე იქნების, რა ზოგერთსა ერთი წლის ნათხოვარი ჰქვანდებ, ერთს — სამ თეს (თვეს), ერთს — ორ თეს, — მისაც როგორ უნდა“.

აღნიშნულ პერიოდში ვაჟისა და ქალის ოჯახები ერთმანეთს მოკეთე-მოყვებად ითვლებოდნენ და სავალდებულოდ მიიჩნევდნენ დღე-სასწაულის, თუ რაიმე სხვა განსაკუთრებულ დღეებში ურთიერთ მონახულებასა და პატრიარქალის (ახალ წელს „ნოურტუზე“, „უურბანო-

1. თ. ეთერგაძე, ვ. ჩხეიძის-შვილი, ე. ვინაშვილი, ფერეიდნელი მეტყველების შესწავლისათვის, ისტორიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXI, თბ., 1979, გვ. 86.



ბას" — „უფროსი ბიარაშვი“, „რამაზიანი“ დღეებში და სხვ.). განსაკუთრებით ვაყის ოქაზი იყო ვალდებული კალის ოქაზი მოციობა და ძველი მიერთმია. მოხრობელის თქმით, „დღეასწაულზე, საზემო დღეებში, ან სხვა რაიმე მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით ვაყის მამა თავის ხარბლოს უფავენდა ჭვირვას ქსოვილს, ტბილეულს, ხალვას ან ტბილ პურს...“² „თუ კორწილი უყან არის, ერთჯერად ნაუჭს და კომპას წაუღებენ ნათონს, თუ კორწილზე დგანან, მაშინ მაიწურობენ ვაყითვას“³

ძვენს, როგორც ფერეიდნელები ზემოთ აღნიშნულ დღეებში გაფავენან ხოლმე, „კერძს“ ეძახიან, ხოლო ძვენის მიტანის პროცესს „მოყრძვას“, აღნიშნულ პერიოდს (ნიშნობიდან კორწილამდე) — „მოსაყრძვას“⁴. „მოყრძვას, ჩემ კერძ წაუღებ, ბეჭედს, ქსოვილს, საათს, უელს (მძივს) რაც რო „ბაღ-გაზე“⁵ არ წაუღიათ, იმას წაიღებენ საპატარძლოსათვის და კიდევ ოქაზისათვის ერთხა ცხორასა, ფლავსა, ბინჯასა, ერბოსა, ხორცსა, ხილსა, შიჩინსა (ტბილეულს), დააწურობენ „მაჭა-ზე“ („სინზე“) და იმით წოუღებენ; ცხორას იქ დაკლავენ, ფლავსა იქ მოხარავენ და ერთ კერძ შევიქნებით“⁶

მოყრძვის ჩვეულება, როგორც რეპროდუქციონთან ჩაწერილი მასალებიდან გამოჩნდა, მარტო ძვენის მიტანას არ გულისხმობდა — „მოსაყრძვას პერიოდში“ (ნიშნობიდან კორწილამდე, როცა ეს სავალდებულო ჩვეულება მოქმედებდა) ქალ-ვაფი ერთმანეთის სტუმრებიც შევიქმნებოდნენ ხოლმე. „ვაფი მიდიოდა ქალის ოქაზში, ეხმარებოდა მათ საკაცო საქმეში, ზოგჯერ დამითაც რჩებოდა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში დილით მიხული, ხალაშის შინ ბრუნდებოდა. მას ამ „სტუმრობის“ დროს პატივით ეპრობოდნენ და ასაჩუქრებდნენ“⁷

ქალის მშობლების ნებათვით, ქვემოთ მოცემული იწვევდა საპატარძლოს თავისთან ქსოვილს⁸ ვევაში ქალი ერთ თვესაც შეიძლებოდა დარჩენილიყო მომავალი ქმრის ოქაზში, ის ქალებს ეხმარებოდა ოქაზის საქმეებში, მონაწილეობას ღებულობდა ხალჩის ქსოვაში, „ხარბულობაში“⁹ და სხვ. ხოლო როცა ქალის მამა მოხუცდებოდა თავისი ქალიშვილი სახლში წაევაანა, ქალიშვილის დედა გამოაცხობდა ტბილ პურს, შეაგროვებდა გარკვეული რაოდენობის ხმელ ხილს, ტბილეულს, შაქარს, ხალვას, გადაკიდებდა ცხენზე ან ვირზე და 4-5 კალის თანხლებით, რომელთაც 2-3 მამაკაცი ახლდათ, ვაყის მამის სახლში წაიდიოდნენ. ამით უველას ვაყის მამა 2-3 დღის განმავლობაში უმასპინძლდებოდა, შემდეგ კი დედას თავისი ქალიშვილი თავისთან მიჰაუვდა შემოდგომამდე¹⁰ აღნიშნულ პერიოდში ქალ-ვაყის შეხვედრა და ინტიმური ურთიერთობა არ შეიძლებოდა; თუ სხვების თანდასწრებით პარისპირ შეხვედებოდნენ ერთმანეთს, უსიტყვოდ (ხმის გაუცემლად) უნდა დაშორებულიყვნენ. ქალი „ენდერტუნში“ ცხოვრობდა და იქ ვაფი ვერ შევიდოდა. თუ ახალგაზრდები ჩუქვად მოაბერებდნენ ერთმანეთის ნახვას და სქესობრივი ურთიერთობის დაწყებას და ქალს ბავშვი აბუებოდა, ეს დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ოქაზებს შორის. ამას ხშირად კორწინების ჩაშლაც კი მოჰყვებოდა შედეგად, რადგან ზოგჯერ თავად ვაფი აშობდა უარს ნამუსახილი, დანიშნული ქალის წაევა-ნაზე, ეს დიდი სირცხვილის, უსამოყენების, „ნაგვარობის“ (მტრად მოყიდების) სახაზს ხდებოდა. შერცხვენილ ქალს არავინ ითხოვდა, თუ ქალის ოქაზს მეორე ქალიშვილიც ჰაუვდა, იმასაც ბუდი „ეყატებოდა“ და ვერ თხოვდებოდა, ამიტომ ოქაზს სოფელში აღარ დაედიგომებოდა და სხვაგან გადადიოდა საცხოვრებლად. როგორც მოხრობელი ამბობს, „მოყრძვას ვასაბუღებთ ახლაც, მაგრამ ქალს აღარ ვაწვევთ ძველებურად ვეფანთას, ქალის ნამუსს ვუფრთხილდებით და მიტკობ“¹¹ ჩვენ ვუფრობთ, რომ ქალ-ვაყის ურთიერთ „შორიდების“ დარღვევა ზოგადად მოვლენა კი არ იყო, არამედ იშვიათი გამოჩენილი შემთხვევები და მის განხორტებას მოერიდდნენ ფერეიდნელები, როცა ქალის წვევა ვაყის ოქაზში აუკრძალავთ.

ამრიგად, როგორც ზემოთ მოტანილი მასალებიდან დაიინახეთ, ფერეიდნელ ქართველებში სრულდებოდა „მოყრძვის“ სავალდებულო

2. ზ. შარაშენიძე, ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების შესახებ, თბ., 1969, გვ. 30.
 3. ა. ჩიქობავა, ფერეიდნელის მთავარი თავისებურებანი, თსუ შოამბე, 7, თბ., 1927; „გაყეთვის“ ანუ საქორწილო ზარჯის გადაწყვეტის შესახებ იხ. გ. გულირიძე — „საქორწილო“ (შორბაპა) ფერეიდნელ ქართველებში, საქართველოს სსრ აკად. „შოამბე“, № 2, თბ., 1980.
 4. ფერეიდნელი „ბაღის“ შესახებ იხ. გ. გულირიძე, დაწინდვა ფერეიდნელ ქართველებში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXI, თბ., 1980.
 5. მოხრობელი თ. ონიკაშვილი, 60 წ. ახაშენი, 1979, რეპროდუქციული ზემო მარტყოფიდან.
 6. იქვე.

7. თ. ცაგარეიშვილი, ზარბელობა ფერეიდნელებში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XX, თბ., 1979.
 8. მოხრობელი რ. ონიკაშვილი, ნაწ. ახაშენი, 1969, რეპროდუქციული ზემო მარტყოფიდან. შეად. ზ. შარაშენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.
 9. იქვე.



ჩვეულება, რომელშიც გარკვეულად ჩანს მე-
ქორწინებ მზარეთა ურთიერთდამოკიდებულება.
ვიდრე ამ ჩვეულების ასნახ შეუფუძვებოდეთ
ორიოდ სიტყვით შევებებით თვით ტერმინ
„მოკერძვის“ მნიშვნელობას.

ტერმინ „მოკერძვის“ დღეს დიალექტური
მნიშვნელობა აქვს. თანამედროვე ქართულ სა-
ლიტერატურო მბრძანებებაში იგი არ შემორ-
ჩენილა, მისი მსგავსი თუ შემცველი უნდა
იყოს ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში
ცნობილი ტერმინი „მოსაკითხი“. რაც ჩვენი
აზრით უფრო გვიანდელი წარმოშობასაა, ვიდრე
„მოკერძვა“. ამავე დროს მოკერძვა, ტერმინი-
ნისა და მისი წინაარსის უფრო ზუსტად შეთან-
ხმების გამოშატველია, ვიდრე მოსაკითხი.
(შხედვებშია გვაქვს რა მათი ეთნოგრაფიუ-
ლი მნიშვნელობა).¹⁰

„მოკერძვა“ ეტრბობასთან არის დაკავშირ-
ბული. ეტრბი სულხან-საბა ორბელიანის მიხედ-
ვით, იგუჯო წილა, არშოვი. დავით ჩუბინაშვი-
ლის „ქართული ღრამატკაში“ კვათხულობთ:
„ეტრბა — კუოფ ნაწილებად ან ვუკერძებ —
წილს დუდებ“. ფშურ კილოში ეტრბა საქმ-
ლის მირთმევაა — მიკერძებს, არგუნებს, შე-
ახვედრებს; ვაფა-ფშაველია მოკერძვის შესახებ
ლექსი „დამხებუეე ცაო“ წერდა: „რაც უნდა
ჭირს მოკერძო, ბილწო არ შევეყვარა ზაითა“. ან
როგორც მის ლექსიკონშია: „ნურას მიკერ-
ძებთ ღვთისაგან გამოშვებულსა სევა სნეუ-
ლებასა“.¹¹ ზემო იმერულში მოკერძე — ეტრ-
ბის მონაწილეა. საუურადღებოა ეტრბის განმარ-
ტება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონ-
ში, სადაც ეს სიტყვა მომხრეს, მზარის დამკერძ
ნიშნავს.

ტერმინი ქერძი დასტურდება ქართლის
ცხოვრებაში: „შემოიყარა თვისნი ეტრბანი“;
წიგნის ლექსიკონში ეტრბი განმარტებულია,
როგორც „ვისივებ მზარეუე მუოფი, „მომხრე“
„საკუთრება“.¹²

„ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა ქერძი, ერთ-
გულუბის, კაცთმუყარობის, ახლობლობის დე-
დააზრია გადმოცემული.

მე შერმაღინ დამივლია,
ჩემად ეტრბად პატრონობდეს,
სიყვდილსა და სიციცხლესა,
სადამდისცა ჩემსა სცნობდეს.

ეტრბის შესატყვისი ტერმინი მეგრულში

10. მოკერძვა — ეტრბის დაღება, განწილე-
ბა; მოსაკითხი — მოკითხვა-მონახულება,
ძღვენის შიტანა.

11. ვაფა-ფშაველის ლექსიკონი, აღ. ჭინჭა-
რაულის რედაქციით, თბ., 1966.

12. ქართლის ცხოვრება, ტ. 2, თბ., 1959,
გვ. 569-570.

ეტრბოკერძია,¹³ იოლო სვანურში ეტრბი
რაკულში — ეტრბ-კაცი... ვეღლან ეტრბ ტო-
მინი ნიშნავს ეთილ მეგობარს, დაახლოებულ
პირს.

რაც შეეხება ტერმინ მოსაკითხს (რომელიც
ჩვენ მოკერძვის ანალოგიად მიგვანჩნია) — მო-
კითხვასთან არის დაკავშირებული. ახალი ქარ-
თული ენის ლექსიკონში მოსაკითხი, მოკითხვა-
მისაღებაა, მიაღერება, მშვიდობით უოფნის
გამოკითხვა; მთიულეთის დარგობრივ ლექსი-
კონში იგი მოსანახია, პირველ შეღწე მირთ-
მული საჩუქარი; როგორც ჩანს, ტერმინ მო-
საკითხის ჩვეულებით მზარე მხოლოდ ეთნოგ-
რაფიულშია უოფამ შემოინახა მესხეთში მოსა-
კითხის,¹⁴ აქარაში — სანახველოს,¹⁵ ქართლსა
და კახეთში სანახავისა და გედელას სახესხვა-
ობით.¹⁷ თანამედროვეობაში ეს ტერმინი ტრანს-
ფორმირებული სახითაა მოღწეული, რომელ-
შიც ოდინდელი საქორწინო ურთიერთობის ამ-
სახველი სოციალური და რიტუალური ბუნება,
ჩვეულებრივ „საჩუქრის“ აღმნიშვნელ თხო-
ბით ელემენტებზე ჩამოკვეთიდა.

მოსაკითხისგან განსხვავებით ტერმინ მოკერ-
ძვის არსებობა ფერადენელ ქართველებში მი-
სი შედარებით ძველი წინაარსის შემცველი
ფორმით შენარჩუნებას ნიშნავს, რაშიც ეთნო-
გრაფიული მასალების შეყვარება დაგვარწმუ-
ნებს.

საქართველოში მოსაკითხის ჩვეულება ფარ-
თოდ გავრცელებული უოფიდა. ხეუში „ქორ-
წილაშივე ერთი თვით ადრე საპატარძლოს გა-
საცნობად და მცირედი ძღვენ-საჩუქრებით მის
მოსაკითხად მივიღინენ სასიძოს მახლობელი
ნათესაეები. კლები პატარძალს ნამცხვრებით
და წერღმანი საჩუქრებით (საგულე, მანდილი,
ძაფი და სხვ.) სცემდნენ პატავს, ხოლო მამა-
კაცები -- ფულით. სასიძოს მიჰყავდა ერთი
საყლავი და მოქონდა საქმარისი არაყი“.¹⁸
ხევისურეთში დანიშნული საქმარის ძმამ ან მამ
მამ ბედიხ კვერით უნდა მოკითხოს და ეს

13. თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები.
თბ., 1956.

14. ბ. ნივარაძე, ისტორიულ ეთნოგრაფიუ-
ლი წერილები 1, თბ., 1962.

15. თ. იველაშვილი, ნიშნობის წესები მეს-
ხეთ-ქაახეთში, „მკაცე“, ისტორიის სერია 4,
თბ., 1979, გვ.

16. მ. ბეჭია, ძველი და ახალი საქორწინო
ტრადიციები აქარაში, ბათუმი, 1974.

17. ვ. სონდელაშვილი, ხალხური ზეპირსიტ-
ყეობების მასალები, V, თბ., 1957, გვ. 238.

18. ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა სა-
ოფახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960,
გვ. 162.



კერი სულ პატარაობა უნდა ქაშის. 19 სამცხე-ჯავახეთში შიშნობის (ან ბენის შიშნობის) შემდეგ თუ რაიმე დღესასწაული იქნებოდა, სასიძოს ოჯახი ადუღებულად ძღვენი მოიყიბებდა და საპატარძლოს ასევე საპატარძლოც თავის მხრივ მცირეოდენ საჩუქრებს უგზავნიდა საქმროს ოჯახის წევრებს.¹⁹ ნ. შანაბელი ქართლში, მოსაყობის ქორწილის შემდეგ განიხილავს. „ქორწილიდან ორი თვის შემდეგ, მშობლები და ახლო ნათესავები მივიდოდნენ ქალთან და მიუტანდნენ „მოსაყობს“. მასში შედიოდა ცხვარი, არაყი, პური. ნეფის ოჯახი ამ დროს იწვევდა მეზობელ-ნათესავებს. საღამოს პატარძლის ნათესავები იწვევდნენ ფულის შეგროვებას, რაც ქალის საუთრებას წარმოადგენდა.“²¹

ქმეტიშიც ხელის დადებით არ თავდებოდა დანაშაუნი. ქორწილამდის ჯერ კიდევ ბევრი დრო გაივლიდა. ამ დროის განმავლობაში უცქედად რაიმე დღესასწაული იქნებოდა, ან შობა-ახალწელიწადი, ან აღდგომა ან პეტრე-პავლობა ან მარამობა. ამ დღესასწაულებზე საქმრო მოვალე იყო თავის საპატარძლოსთან მოსაყობით მისულიყო. საპატარძლოსთან ფესსაცმელი, საკაბე, ღებჩქი, ბუჩია ან დაირა, ერთი სიტყვით, რაც კი რამ საუკეთესო ნივთის შიშნა უნდოდა საქმროს — ამ დროს მიჰქონდა თუ პატარძალი ახლო იყო, თვით დღესასწაულის დღეს მიდიოდა, ხალხი თუ შორს ცხოვრობდა, მაშინ წინა დღეს ქალის პატარონი კი ამ დროს არბინად იქნა შინ იმდით, რომ საძე უკლაფერს, რაც საქმრო იყო, მოიტანდა, ის მხოლოდ სტუმრებს მოიწვევდა, რომ არცე ღვინო გაემართა სიძის მიერ მოუკითხავა შემდგომელი იყო.²²

აქამაში „მოსაყობის“ შემცველი ტერმინი ნახველობაა. აქაც ქალის მთხოვნელ ოჯახს ნიშნობის დღიდანვე გარკვეული ვალდებულება ეკისრებოდა ოჯახის მიმართ. ვერა თუ ღვინო საყიდებელი ურთიერთდამარების გარდა, ვერ ვალდებული იყო ძღვენი და საჩუქრებით მოენახულებინა საპატარძლოს ოჯახი — ყველა სახალხო თუ რელიგიურ დღესასწაულებზე.²³

მოსაყობის ჩვეულება, ქართული ჩვეულების მსგავსად, სრულდებოდა საპატარძლოშიც.

რამდენადაც ფერადინელები ირჩებნენ ცვაში იუვენე, ამდენად პატარძლისათვის მოციტანთ სპარსულ მასალასაც.

საპატარძლოშიც აღნიშნულ ჩვეულებას ნიშნობიდან ქორწილამდე პერიოდში ასრულებდნენ და მას რელიგიურ დღესასწაულებს უკავშირებენ. ნ. ვალუნოვის მიერ მოცემული მასალების მიხედვით, ირანში „ნორურუზე“ (ახალ წელს) ვაფის ოჯახი ქალის ოჯახს მიაჩნებოდა საკაბე ნაქერს საპატარძლოსათვის და ტახილელ ოჯახისათვის, ისინი (ოჯახები) სახალწლო რიტუალის წესებსაც ერთად ასრულებდნენ.

ზამთრის უნეების წინა შაბათს მიჰქონდათ ნეხი და ბილეთლი. მსხვერპლის შეწირვის დროს, „აიდე ურბანზე“ მიჰყავდათ „ხალხი ცხვარი“, რომელსაც რქები ოკრასფერი ფოთლებით ჰქონდა მორთული, ფეხები ისით შედებოდა და შუბლზე სარკე დამატებული. ცხვარს მიიყვანდნენ და ქალის ოჯახში დაკლავდნენ, შემდეგ სვეტოო სადილს აშაადებდნენ. მოკითხულ საჩუქარს საჩუქრებითაც პასუხობდა საპატარძლოს ოჯახს. ვაფის დღისათვის გზავნიდნენ საკაბეს, სიძის წინდებსა და ხელსახოცს უბოძებდნენ, ასევე საჩუქრებდნენ სიძის ოჯახის სხვა წევრებსაც.

ზერაქანის ტაჯიკეთშიც, „ნიშნობის“ შემდეგ, ქორწილამდე, მექორწინე მხარეთა ოჯახები ერთმანეთს ხშირად მონახულებდნენ. დიდი დღესასწაულების — ურბანისა და რამაზანის დღეებისას სიძის მამა აშაადებდა ფლავს ან სხე რაიმე სადილს და საჩუქრებთან ერთად აგზავნიდა საპატარძლოს ოჯახში (ორი საკაბე ნაქერი, ორი თავსაყრავი და სხე). მათ საჩუქრებითაც პასუხობდა ქალის ოჯახს. ისინი აგზავნიდნენ თავსაყრავს, ხელსახოცებს და რაიმე გაშაადებულ კერძს იმ ჭურჭლით, რითაც მათ გამოუგზავნენ. აღნიშნული ჩვეულება ოდნავ განსხვავებული სახესხვაობებით სრულდებოდა ვახიო ზალოს, დარავანის, საფედერონისა და ტაჯიკეთის სხე. რაიონებში, სადაც სპარსული მოსახლეობა იყო.

ანლოგიური ჩვეულება აქვს აღწერილი თანამედროვე ირანელ ეთნოგრაფს მამუდ ქათიანის (სპარსულში) და ანონიმ ავტორს (ირანელ ბახთიარებში) მეტად სანტიტრებოდ ჩანს ეს ჩვეულება უდებში. ყველა დიდ დღესასწაულებზე სასიძო უგზავნიდა საპატარძლოს სხვადასხვა სახის საჩუქრებს. ხელსახოცს სანთლით (ხელსახოცის მისამართვად საქმროდ მიიჩნევენ სანთილსაც), რომელიც ვერას წერის დროს საპატარძლოს ხელში უნდა ეჭიროს. უდები საპატარძლოს ასევე უგზავნიან ერთ წვეულ კოშს, არაყს, ღვინოს, წითლად შეღ-

19. ნ. შანაბელი, ზევერეთი, ტფ., 1935, გვ. 175.
 20. თ. ივლიშვილი, ნიშნობის წესები მესხეთ-ჯავახეთში, შატე, ისტორიის სერია 4, კბ., 1979.
 21. ნ. შანაბელი, ქორწილების რიტუალები, ქართლში, კბ., 1978, გვ.
 22. თ. შ. ზოგერათი ზნე-ჩვეულება ქორწინების დროს ქვეთში, შატე, 1895, № 5, გვ. 54.
 23. ნ. ბეჯალი, ანბან საშრობი, გვ. 40.

ბილ კერტსხაყ; შემოდგომაზე, სექტემბრის შუა რიცხვებში ოქანბი სასაფლაოზე გადაიან, ამ დროს სახმოს ოქანი საპატარძლოს ოქანს უგზავნის ნახევარ ცხარს, ნამცხვრებს, ხაღვას, საწამოს და სხვ. საჩუქრებს აგზავნიან შობასა და უველიერის დროსაც. ზაფხულზე საპატარძლოს ხილის პირველ ნაყოფს და ჭრელად მოჩითულ ქსოვალს მოუყობავენ.²⁴ მხგავსი მავალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ საქობის გარკვევისათვის ზემოთ მოტანილი მასალებიც საჭმარისია.

როგორც ხაველე ეთნოგრაფიული, ისე ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე ვნახეთ, რომ „მოსაიობის“ ჩვეულება ხაველდებულ ოქანს აუთიკონი ოქანებს შორის. ფერტიდული „მოყარძვა“ სხვა არაფერია თუ არა „მოსაიობის“, „ნახველობის“, რომელიც ხაველდებულ ოქანს ატარებდა. მთხრობების თქმით „კერძი აუცილებლად უნდა წიფლით მიქანას, თუ ქალის შხარე კორწინების წინააღმდეგი იყო, უარს იტყოდა და მიჩრთმულ ძღვენს უყარ დაბარებებდა, ამის მერს საქმე აღარ გაყოფიდა...“²⁵ „ერთ კერძ შექმნილი ოქანები ნათესავები შეეკენებოდი და კორწილი გვიანაც რომ მომზადარიყო, მოყარობა არ ჩავეულებოდაო. რამდენადაც ფერტიდული მოყარძვა ოქანს ოქანის მოყარობით ნათესაობის განამატიციებელია, შესაძლებელია ის ხელოცნური ნათესაობის იმ ინსტიტუტის მსგავსად იყოს, რომელიც რაჭაში „კერძობის“ ინსტიტუტის ხაველდობით არის ცნობილი, ხოლო ზეესურეთში მისი მხოლოდ ზოგიერთი ელემენტებია შემორჩენილი. რაჭაში, კერძობის ინსტიტუტის შესწავლის საფუძველზე ს. რგვიაშვილის აზრით, „დაკერძება“ თავდაპირველად ერთმორწმუნე და თვისტომ ოქანების უფროს მამაკაცებს შორის ხდებოდა და ეს მეგობრობა ფაქტობრივად მტკიცდებოდა. რაჭა მოხდებოდა დაკერძება, ეს კავშირი ოქანებს შორის აღარ წუდებოდა, პირიქით, დროთა ვითარებაში კერძობა ზელოცნურ ნათესაობაში გადადიოდა და ამ სახით თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ასე კერძობითობა დღემდე არ ექლოდა. ერთმანეთში ხშირი მიმოსვლა და საქმიანი ურთიერთობა მქონდათ. კერძებს შორის, როგორც მონათესავეთა შორის ქალის თხოვა-ვათხოვება ღრმად ხდებოდა. ეს ნათესაობა მტკიცდებოდა ბრძოლაში და შრომაში უფ-

თიერთდახმარებით, კორწარძობის გზაობებით.²⁶

ე. ერიაშვილის ცნობით, ზეესურეთშიც „ხაველდებს“ წესის შესრულებით ხაველდები ედებოდა წილკერძით. უკველ მამაკაცს, ჭვარში დღეობის დროს, საჭარო პურობისათვის ჭარის დახმობისათვის თვისი „წილკერძი“ დუთინის, რომელიც შედგება პურის, ხორცისა და დღეობისაგან, საჭარო პურობაში მონაწილეობა და „წილკერძი“ ხაველდებს იმ გამოცხადებას, რომ მამაკაცი თემის წევრია და იმ კულტის მატარებელი, რომლის წილკერძსაც ის დეზულობდა. მამაკაცის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მას და მის ოქანს პატრეს სცემდნენ, ხშირად ერთი წლის განმავლობაში უგზავნიდნენ ჭვრიდან გარდაცვლილს წილკერძს. წილკერძში წილის ჩადებით ხაველდები თემის წევრი და ჭვარის იმ კულტთან ნათესაობა ხდებოდა, რომელიც საწილეს იხდიდნენ. წილკერძი — ხორცი და პური — ჭვრიდან დუთინოდა ეველა უმს — დღეობა და პატარასა.²⁷

რაჭაში დამოწმებული კერძობა და ზეესურეთში „წილკერძის“ დადება მინარსით ერთ შემთხვევაში ოქანებს შორის თანაზარობისა და დანათესაების ფორმაა. მეორე შემთხვევაში კი თემის წევრის იმ კულტთან ზიარება, რომელიც საწილეს იხდიდნენ. ამდენად, კერძი და კერძობა (დაკერძვა, წილკერძის დება) შესაძლებელია იმ დროსა და ვითარების ანარკული იყოს, როცა ოქანთა დაკავშირება-დაშორებისათვის ის ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენდა: ჩვენ შემთხვევაში კი „მოყარძვა“ მოყარობითი ნათესაობის განამატიციებელი ელემენტია ჩვეულების სახით. მთ უმეტეს, რომ მას რელიგიური მნიშვნელობა აქვს. როგორც ზემოთ დავინახეთ, ის რელიგიურ დღესასწაულებთან არის დაკავშირებული და მისი შემადგენელი ელემენტები (ცხვარის დაკვლა, ტბილდული, სანთელი და სხვა) რელიგიური მნიშვნელობისაა.

ცალკე უნდა შევხებით „მოყარძვის“ ჩვეულებასთან დაკავშირებით ნიშნობიდან კორწილამდე არსებულ პერიოდში ქალ-ვაჟის ურთი-

26. ს. რგვიაშვილი — ქართველ და ჩრდილო კავკასიელ მოილთა ურთიერთობა XIX-XIX საუკუნეებში (კერძობის ინსტიტუტი რაჭაში, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). ავტორი ანსტავებს კერძობას ჩრდილოკავკასიური „უონალობისაგან“, რომლის მიხედვითაც უკველი გამწვლი მგზავრი შეიძლებოდა „უონალი“ გამზდარიყო.

27. უონალი თერქული სიტყვაა — სტუმარს ნიშნავს. იგივე სიტყვა იგივე მნიშვნელობით დასტურდება ფერტიდულეებშიც.

28. ე. ერიაშვილი — აწილუ, მაცნე, ისტორიის სერია, № 3, თბ., 1979, გვ. 120.

24. მასალები მომწიფდა ასპირანტმა ლ. მისკალიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

25. მთხრობელი ა. ასლანიშვილი, 60 წ., ხაველდი 1980, რეპატრირებული ზემო მარტყოლიან.



ერთ სტუმრობის საკითხს. პირველ რიგში ავლენსავეთ სახიბოს მიერ სასიამოროს ოჯახში მისვლისა და მისი აქ გაწეული შრომის შესახებ. აღნიშნული წესი აღწერილი აქვს აღ. უახლესად მოხვედრა ცხოვრებაში. ამ წესს სათანადო ურთადდება დაეთმო სპეციალურ ლიტერატურაში. საბჭოთა ენოგრაფიულ მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, აღნიშნულ წესში მატრიულკალური დასახლების დროინდელი გადმონახვითი იყო საგულდებელი. როცა მაშაყავი დედაყავის სახლში მიდიოდა და ქორწინების დღიდან მის საცხოვრისში შევიდრებოდა. ამ სახიბოდ უოფნის ვადა დროთა განმავლობაში იცვლებოდა და თუ იგი ძველად ერთიდან სამ წლამდე განისაზღვრებოდა, შემდეგ კი როგორც ვნახეთ, იმდენად შეიკრებულა. რომ უკანასკნელ პერიოდში ის მხოლოდ უოველდღიური მისვლა-მოსვლით განისაზღვრებოდა, რაც იმის შეუწყებელია, რომ ფერეიდელ ქართველებში ამ ჩვეულების განვითარებულ საფეხურთან გვაქვს საქმე, როცა მას ოდინდელი ფუნქცია დაკარგული აქვს და სიძე მოუვრად მოკიდებული ოჯახის დახმარება მხოლოდ, ამასთან მის მიერ გაწეული შრომა მომავალი ახალი ოჯახისათვის საჭირო ეკონომიური საფუძვლების შექმნისათვისაა განიშნული, რაც გარკვეულ სოციალურ-ეკონომიური პირობებით უნდა აიხსნებოდეს.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ:

1. ფერეიდელ ქართველებში მომქმედი „მოკერძვის“ ჩვეულება ქართულ ენოგრაფიულ უოფაში ცნობილი „მოსაკითხის“ იდენტურია,

28. აღ. უახლესი, მოხვედრები და მათი ცხოვრება. თბზ. ტ. V, გვ. 37-38.

29. ვ. იოსანიშვილი, დსაბ. ნაშრომი, გვ. 126

რომელიც შექორწინებ მხარეთა შორის ურთიერთობის ერთ-ერთი განმამტკიცებელი პირობა იყო და რომელშიც ოჯახების საჩუქრების და სასატარძლოსათვის მიერთებული ძველის გარდა შრომითი ურთიერთობების ვალდებულებაც ჩანს. 2. ტერმინი „მოკერძვა“, მოსაკითხთან შედარებით, უფრო ძველი უნდა იყოს, რასაც ადასტურებს როგორც ენოგრაფიული, ისე ლიტერატურული მონაცემებიც. ამასთან, ეს ტერმინი თუ აქამდე დასავლეთ საქართველოს ენოგრაფიულ უოფაში დასტურდებოდა (ჩაქა, სვანეთი, სამეგრელო), ფერეიდელეებში მისმა არსებობამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ის აღმოსავლეთ საქართველოშიც იყო გავრცელებული (ფერეიდელეები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოდან არიან გადასახლებულნი) და თუ „მოსაკითხი“ დღეს არა მარტო საქორწინო ურთიერთობაში გვხვდებოდა, იგი ტრანსფორმირებულია და დღეს ჩვეულებრივი საჩუქრის (მონახულების) გამომხატვლად თბრობით ელემენტებზეა დასული, მოკერძვა კი საქორწინო ანუ მოუვრობითი ურთიერთობის შემადგენელი ნაწილია მხოლოდ. 3. მოკერძვის (მოსაკითხის) ჩვეულება საქორწინო ურთიერთობაში დაკავშირებული უნდა იყოს ნიშნობიდან ქორწილამდე არსებულ პერიოდთან, რამეთუ ნიშნობა სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული აზრის საფუძველზე, ძველად საქორწინო ურთიერთობის გადამწვეტ ეტაპად ითვლებოდა და რამდენადაც ის ეკონომიური ვალდებულების შემადგენელი ნაწილია, ამდენად ოჯახებს შორის არსებული უველა ეკონომიური ვალდებულება სწორედ ამ გადამწვეტ ეტაპიდან (ნიშნობიდან) დებულობს კატეგორიულ ხასიათს. 4. მოკერძვის ცნებამ ფერეიდელ ქართველებში კიდევ ერთხელ დაადასტურა ნათეში არა ერთი ძველი ქართული წეს-ჩვეულებების არსებობა.



წიგნი დიდ მესნიარზე

1951 წელს გამოცემილია „სახეობა საქართველოში“ გამოქვეყნდა სერგო ჯორბენაძის მონოგრაფიული გამოკვლევა: „ცხოვრება და დღევანდელი ივანე ჯავახიშვილისა“.

წიგნი მოტანილია უზარმაზარი ბიოგრაფიულ-მეცნიერული მასალა. მათი დიდი უმრავლესობა პირველადაა მოპოვებული და გამოყენებული.

სხვადასხვა რიგის მასალების კრიტიკული შესწავლის საფუძველზე აღდგენილია ივ. ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უველაზე დაშახტავებული მოკვლევები, ბიოგრაფიული და მეცნიერული მუშაობის ფაქტები. ივ. ჯავახიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე დაწერილია არაერთი წიგნი, მოგონება და გამოკვლევა. მათში მეტწილად სიტყვით წარმოდგენილია დიდი მეცნიერის მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის სხვადასხვა მხარე. მაგრამ უფრადღებდა იმეორდა უმთავრესად მის მეცნიერულ მუშაობას, მისი ნაშრომების მიმოხილვა-შეფასებას და მათს ისტორიო-გრაფიულ მნიშვნელობას.

შედატებით ნაკლებადაა ცნობილი ი. ჯავახიშვილის პირადი ცხოვრება.

ივ. ჯავახიშვილი არ წერდა დღიურებს, არასოდეს არ ლაპარაკობდა თავის თავზე, აწვიათად იძლეოდა თავისი ნაშრომების შეფასებას, ამიტომ ძნელდებოდა მისი შინაარსიანი ცხოვრების და საზოგადოებრივ-მეცნიერული მოღვაწეობის უფელმხრივ გათვალისწინება. ამ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას იძლევა მდიდარი ენციკლოპედიური მასალა, რომლის პუბლიკაცია უკანასკნელ ხანებში დაიწყო.

ენციკლოპედიური მასალა ფართოდ არის გამოყენებული სერგო ჯორბენაძის წიგნში.

მანვე პირველად გამოიყენა მებრძო უხვი, დღემდე თითქმის ბელუბლებული საარქივო მასალა.

ფართოდაა გათვალისწინებული ივ. ჯავახიშვილის თანამედროვეთა და მოწაფეთა მოგონებები.

უფველივე ეს იძლეოდა ივ. ჯავახიშვილის

საქმიან რთული ბიოგრაფიის აღდგენის შესაძლებლობას.

სერგო ჯორბენაძის წიგნი ვრცელი ადგილი ეთმობა ივ. ჯავახიშვილის ოჯახს, ოჯახურ გარემოს (გვ. 9-11), გიმნაზისტობის, სტუდენტობის, მაგისტრანტობის და პრივატ-დოცენტობის წლებს (გვ. 16-28) დახასიათებულია ივ. ჯავახიშვილი როგორც პროფესორი, რექტორი, აკადემიკოსი, დეპუტატი.

საინტერესოაა მოთხრობილი ივ. ჯავახიშვილის შვიდრო ურთიერთობაზე რევოლუციონერულ ქართულ საზოგადოებრივ და კულტურულ წლებთან (საქარო ლექციები საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხზე თბილისსა და ქუთაისში, აქტიურა მონაწილეობა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობაში, მოსაშუადღებელ ღონისძიებათა განხორციელება თბილისის უნივერსიტეტის დახარჯვებულად).

სერგო ჯორბენაძის ნაშრომს ლეიტმოტივად გასდევს ის, თუ როგორ მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული ივ. ჯავახიშვილის პირადი ცხოვრება და მეცნიერული მოღვაწეობა.

მან სცადა და, ჩვენი აზრით, შეძლო კიდევ ერთიანად წარმოედგინა „ივანე ჯავახიშვილის — ადამიანის, მოქალაქის, პიროვნების, მეცნიერის და მოღვაწის — მთელი შემოქმედებითი ცხოვრება“ (გვ. 5).

მრავალმხრივი მასალების კრიტიკული შესწავლის საფუძველზე აღდგენილია ივ. ჯავახიშვილის საქმიან სრული „ბიოგრაფიული პორტრეტი“ და კიდევ უფრო სრული „მთელი შემოქმედებითი ცხოვრება“.

ამ მხრივ სერგო ჯორბენაძის წიგნი განსხვავდება პროფ. დ. გვრიტიშვილის წიგნისაგან, რომელშიაც მთავარი აქცენტი მებრძოლად ივ. ჯავახიშვილის ნაშრომების მიმოხილვაზეა გადატანილი. მაგრამ, ამავე დროს, სამართლიანად შეინიშნავს ავტორი, პროფ. დ. გვრიტიშვილის წიგნმა „დღივად წასწია წინ ივ. ჯავახიშვილის უმდიდრესი შემოქმედებისა და ცხოვრების შესწავლის საქმე“ (გვ. 5).

ივ. ჭავჭავაძეში თავის დროზე სწორი არ-
ჩვეანი მოაზრება.

მან წავლანა განაგრძო პეტერბურგის უნი-
ვერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტ-
ზე. ეს მას საშუალებას აძლევდა დაუფლებოდა
აღმოსავლურ ენებს და იმ წუთარებს, რომელ-
თა გარეშე შეუძლებელია საქართველოს ძველი
ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა. ივ. ჭავჭავაძე
მედიის „ქართული ერის ისტორია“, და სხვა
ნაშრომებზე, როგორც ცნობილია, დაფუძნებ-
ულია არა მარტო საერთო ქართულ, არამედ
სომხურ, სირიულ, არაბულ და სპარსულ ხაზ-
ტორიო წყაროებზეც. ივ. ჭავჭავაძის საფუძ-
ვლიანი ფილოსოფიური და საზოგადოებრივი
დასაუბრებელი (ბერძნულ, ლათინურ), ისე აღმოსავლურ (სომხურ
სირიულ, არაბულ, სპარსულ) ენებს. ფართო-
და გამოყენებული შთაბეჭდილებები ენებ-
ზე არსებული ლიტერატურაც.

ივ. ჭავჭავაძეში ქართულ სინამდვილეში
ის ამოცანა შეასრულა, რაც ორჯინა წლით
აღრე დასავლეთ ევროპელმა ისტორიკოსებმა.

ცნობილია რომ ისტორიის ცოდნა ისტორი-
ის მეცნიერებად გადაიქცა XVIII საუკუნეში.
ეს იყო ფეოდალური ისტორიოგრაფიის
დასასრულის და ბურჟუაზიული ისტორიოგრა-
ფიის დასწისის ხანა. სოციალურ-ეკონომიკური
ხასიათის ფაქტორებთან ერთად ისტორიის
ცოდნის ისტორიის მეცნიერებად გადაქცევა
განაპირობა ისტორიის დამხმარე დისციპლინე-
ბის ჩამოყალიბებამ ასე ვარსება: დიპლომატი-
კა, პალეოგრაფია, ეპიგრაფიკა, ნუმისმატიკა,
მეტროლოგია და სხვ.

ისტორიის დამხმარე დისციპლინების ჩამ-
ოყალიბება ქართულ სინამდვილეში ივ. ჭავ-
აძის სახელით არის დაკავშირებული.

ივ. ჭავჭავაძეში საქართველოს ისტორიის
დამხმარე დისციპლინები გაერთიანა ერთ სა-
თურს ქვეშ: „ისტორიის მიზანი, წყაროები
და მეთოდები წინათ და ახლაც“.

სერგო ჭორბენაძე ვაკლად მიმოიხილავს
ივ. ჭავჭავაძის მიერ შექმნილ ისტორიის
დამხმარე დისციპლინებს (პალეოგრაფია, დი-
პლომატიკა, ნუმისმატიკა-მეტროლოგია...), აღ-
ნიშნავს მათს მნიშვნელობას ქართული
ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში.
(გვ. 379-389).¹

1. აღსანიშნავია რომ ისტორიის დამხმარე
დისციპლინები დღემდე არ არსებობს არაბუ-
ლად და სპარსულად. 1926 წ. ავსტრიელმა მე-
ცნიერმა კრისტინა გამოაქვეყნა „თურქული
დიპლომატიკა“ ახვე წილს გამოქვეყნდა ივ.
ჭავჭავაძის „საქართველოს დიპლომატიკა
ანუ საგეოლოგიკური“.

ვალ-ვალად დაწერილებით არის დასაბუთებული
თებული ავტორის მიერ „ქართველი ერის ის-
ტორია“, „ძველი ქართული ხაზტორიო მწე-
რლობა“, „საქართველოს ეკონომიკური ისტ-
ორია“, „ქართული სამართლის ისტორია“,
„ქართული მატერიალური კულტურის ისტო-
რია“. „ქართული მუსიკის ისტორია“, ახვე
ვრცლად მიმოიხილულ. შეფასებულა ივ.
ჭავჭავაძის ენთომეცნიერული ნაშრომი:
„კავშირები ენების თავდაპირველი ბუნება
და წარმოშობა“. უვლადიერს ეს სრულ წარ-
მოდგენას გვიქვს ივ. ჭავჭავაძის მიერ
მეცნიერული შემოკლებების შესახებ.

სერგო ჭორბენაძე უფრადებობდ არ ტო-
ვებს კრიტიკულ შეხედულებებსა და მტოც-
ებებს ივ. ჭავჭავაძის მეცნიერული მუშა-
ობის შესახებ. მზილებულია ზოგთა უსაფუ-
ძლო „მტოცებანი“, ნაჩვენებია, მისი, როგ-
ორც ისტორიკოსის, პრაგმატიული შეხედუ-
ლებანი (ისტორიული წარსულისადმი „მომ-
ღიწეველი“ დამოკიდებულების შეფუწვა-
რებლობა, სოციალური ისტორიის საკითხ-
ებით დაინტერესება, მონღოლოა შემოსევებისა
და ბატონობის უარყოფითი შეფასება და სხვ).
მას ხაზგასმით მითითებული აქვს, რომ
ჭერს კიდევ რევოლუციამდე ივ. ჭავჭავაძის
აღნიშნავდა საზოგადოების კლასობრივ დაწ-
წილებას, სოციალური მოძრაობების ფაქტებს
(საქართველოში, სომხეთში) და, საზოგადოდ
აქწისავლეთში ისეთივე ხასიათის საზოგად-
ობრივ წინააღმდეგობათა და მოძრაობათა
არსებობას, როგორც დასავლეთისათვის იყო
დამახასიათებელი („მამულიშვილობა და მე-
ცნიერება“). სოციალური ისტორიისადმი კი-
დეე უფრო გამახვილდა უფრადება ივ. ჭავ-
აძის მიერ წლებში.

სერგო ჭორბენაძის გამოკვლევაში არაფრ-
თვანა ნაჩვენები ივ. ჭავჭავაძის დამოკი-
დებულება საქართველოს საზოგადოებრივი
ცხოვრების უვლადიერ თვალსაზრის მოვლენე-
ბით, მისი ურთიერთობანი ქართული მეცნი-
ერების, კულტურის და ხელოვნების გამოჩე-
ნილ წარმომადგენლებთან.

ხაზგასმით არის აღნიშნული ივ. ჭავჭავაძის
ვილის ღვაწლი არა მარტო ქართული ისტო-
რიოგრაფიის, არამედ საზოგადოდ ქართული
მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარე-
ბის საქმეში.

ერთმანეთისაგან ეკრძოდ განუყრელია ივ.
ჭავჭავაძის და თბილისის უნივერსიტეტის
დაარსება.

ამიტომ ეთობა ასე ვრცელი ადგილი ივ.
ჭავჭავაძის თაოსნობით თბილისის უნივე-
რსიტეტის დაარსების ისტორიას (გვ. 184-407).
აქ მოტანილია მრავალი, ბევრ შემთხვევაში

უცნობი მასალები; უნივერსიტეტის დაარსების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მოსაზრებანი, უნივერსიტეტის ფუძემდებელთა მრავალრიცხოვან სხდომათა ოქმებიც ამონაწერები და ანგარიშები, აღწერილია ზანგრძლივი და დაძაბული ბრძოლა, რომელიც ბოლოსდაბოლოს უნივერსიტეტის დაარსებით დაგვირგვინდა.

ივ. ჭავჭავაძის რექტორობის დროს ზორციულებდა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთაც ახალგაზრდა უნივერსიტეტს უველგან დამსახურებული ავტორიტეტი შეუქმნეს. ამის დადასტურებაა მისი წარმომადგენლის პროფ. გრიგოლ წერეთლის მონაწილეობა ნეაპოლის უნივერსიტეტის 750 წლისთავის ზეიმზე.

ქრ უნივერსიტეტში, ზოლო შემდეგ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ივ. ჭავჭავაძის ინტენსიურად განაგრძობს მუშაობას საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე. ამთავრებს ძველ და იწყებს ახალ გამოკვლევებს. ზედინედ ქვეყნდება „ქართული ერის ისტორიის“, „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“, „ქართული სამართლის ისტორიის“ ახალი ან გადაშუშავებული-გააქცობილი ტომები. იქმნება „ქართული მუსიკის ისტორია“. ინტენსიურად გრძელდება მუშაობა „ქა-

რთული მატერიალური კულტურის ისტორიაზე“. ქვეყნდება მისი დიდი საენათმეცნიერო ნაშრომი „ქავასიური ენების ათავადპირველი ბუნება და ნათესაობა“.

სერგო ჭორბენაძის შეიღსავე კარში მოხმობილი მასალები საშუალებას გვაძლევს თავილი გავაღვიწოთ ივ. ჭავჭავაძის მეტად შეინახისიან და ნაყოფიერ შემოქმედებას.

სამისო მასალა კარგადაა განაწილებული წიგნის მთელ მანძილზე. მაგრამ ალაგალაგ თბრობა, ჩვენი აზრით, გადატვირთულია ნალებ მნიშვნელოვანი დეტალებით, ზოგან კი ზედმეტად დიდი ყურადღება ეთმობა ივ. ჭავჭავაძის შეიღის თანამედროვეთა პარალელურ ბიოგრაფიებს.

აღნიშნული გარემოებანი სრულიადაც არ ამცირებენ სერგო ჭორბენაძის წიგნის მთავარ და უცილობელ ღირსებას. ჩვენს ხელთა ივ. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი უველაზე სრული გამოკველა.

სერგო ჭორბენაძის წიგნი „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჭავჭავაძისა“ არა მარტო ქართული ისტორიოგრაფიის, არამედ, საზოგადოდ, მთელი ქართული მეცნიერების კარგი შენაქნია.

ვალერიან გაბაშვილი



6 32/99



6360 80 333.

0660660
76198

«М Н А Т О Б И»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ